

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

9 ივლისი 2010 №14(118)



დარდიანი თაობა

ანდრე მორუას ნოველები

ნინო დარბაისელი გალაკტიონზე

ავთანდილ ყურაშვილის ლექსები

საქართველოს საპატრიარქოს გერბი

იოსებ ჭუმბურიძე გურამ ქართველიშვილზე

ემზარ კვიციანიშვილის მუხრან მაჭავარიანზე

მიხეილ მახარაძე შალვა ხიდაშელზე

ინტერვიუ ვახტანგ დავითაიასთან

ბორხესის საშინელი სიზმარი

შინაარსი

წარსული მომავლისათვის	2	ზურაბ გაიპარაშვილი საქართველოს საპატრიარქოს ბერძნის ისტორიისათვის
ჩვენი ყოფა, წუთისყოფილი	6	მედუა კუჭუხიძე ხალმონური სიტუტუცა
მსხარეს-ინტერვიუ	12	ვასტანგ დავითაია „იყავი მიმტაცებელი“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	14	გივი ჩიღვინაძე მთებში დარჩენილი ნაფიქრალი
პოეზია	19	მარი გველესიანი დანვიმბული ზარები და სხვა ლექსები
	22	ავთანდილ ყურაშვილი „საფხეშურები ცაში აღინა“
ასეისტიკა	25	ხორხე ლუის ბორხესი საშინელი სიზმარი
თეატრალური სიხალენი	30	როსტომ ჩხეიძე პარის შეხსნის წინ (ფრანგულ-ქართული სპექტაკლი თბილისში)
მწერალი მწერალზე	33	ემზარ კვიციანიშვილი ხალხის თვალწინ და ფარფლილი სიცოცხლე (მუხრან მაჭავარიანი)
გამოსაზრება	35	პაატა ჩხეიძე ალექსანდრე ორბელიანი კონსერვატორი იყო!
ანონსი	36	ნინო დარბაისელი ბალაქტიონის „ვუალისა და ვიოლჟეს შესახებ“
დღიურის ფურცლებიდან	39	ელგუჯა თავბერიძე სტინგბეკი სტინგბეკია
ლიბერატორული ცხოვრება	40	თეკლე ჯანელიძე შერისხული წიგნაკები
რეპორტაჟი	41	ეკა ბუჯიაშვილი დარდინი თაობა (ნონა კუპრეიშვილის საჯარო ლექცია)
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ	45	თეონა კომახიძე ანგელოზს და სხვა ლექსები
	46	ნანა აბლოთია წეროები და სხვა ლექსები
დაუნიწყარი სახელები	47	მიხეილ მახარაძე გამორჩეული სიბლის მოქალაქე და მეცნიერი (შალვა ხიდაშელი)
კრიტიკა	49	ლელა კოდალაშვილი სიმშვიდის მომგვრელი პოეზია (რამდენიმე მოსაზრება ბელა ჩეკურიშვილის პოეტური კრებულის შესახებ)
სამინარი: სამი ისტორია	51	პასუხისმგებლობა და მოვალეობა
უსტორიი ნოველა	55	ფრიდემ კარინტი ფიცვი
	57	ანდრე მორუა ორი ნოველა
ახალი წიგნები	59	ნინო ვახანია „პოეტს სიკვდილისა არ ეუბნია“ (თამაზ ბაძაღუას პოეტური კრებული)
გამოსაზრება	60	იოსებ ჭუმბურიძე გამჭვირვალად მშვენიერი (გურამ ქართველიშვილის ერთი მოთხრობის გამო)
ნაქვესები	61	მასვილსნიტყვაოვის ნიშუშები
მოზაიკა	63	მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო ობიექტით „ომეგა ტეგ“
საბეჭდო, თბილისი, საბურთალოს რაიონი 17
ბუჩქნაძის ქ. +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEG" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TEL/FPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: სცენა ალექსი ჯაყელის სპექტაკლიდან „სადა ხარ?“

მზია საგანელიძის ფოტოგრაფიები

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 23 ივლისს

ზურაბ გაიპარაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს ბერძნის ისტორიისათვის

1977 წლის 25 დეკემბერს, აღსაყდრების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეკლესიისა და ქართველი ერის ერთიანობის საუკუნეობრივ ტრადიციას და მიზნად ამ ფენომენის გაძლიერება, ეკლესიის ზრუნვა ერის გაჯანსაღებისთვის, სულიერი ამაღლებისთვის მოღვაწეობა დაისახა: "...თავს ვიხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის — ქართველი ერის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და ჩემი გონება: უნდა ემსახუროს იმ სარწმუნოებით, რომლის დაცვისა და შენარჩუნებისათვის დანებებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან, ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ერმა. ქართველი ერი და ქართული ეკლესია მუდამ ერთად იყვნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ძნელბედობის ჟამს... ჩვენს ერში მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნება ჩვენი ეკლესიის საქმიანობის პირველი საზრუნავი..."

ამ მაღალი მიზნის გრაფიკული განსხეულება უნდა ყოფილიყო საქართველოს საპატრიარქოს გერბიც.

საპატრიარქოს არქივში დაცულია მრავალი საინტერესო სამუშაო ვარიანტი, რომლებიც გერბის შექმნის პროცესში მზადდებოდა. თითოეულის ნამყვანი თემა წმინდა გიორგია. გერბის ესკიზზე მუშაობდნენ ალექსანდრე სარჩიმელიძე, ემირ ბურჯანაძე, ჯემალ ლოლუა, ელგუჯა ამაშუკელი, გურამ ბუჩუკური, ელგუჯა ბერძენიშვილი (საქართველოს საპატრიარქოს არქივი. საქალაქო №1676. დოკუმენტი №10646. თემა №106, №19). მხატვართა ჯგუფი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კონსულტაციით ხელმძღვანელობდა. მხატვრებს თავიდანვე კონკრეტული ამოცანა ჰქონდათ, ჰერალდიკური კომპოზიციის მთავარი ფიგურა დიდმონაშემ მხედარი უნდა ყოფილიყო.

მრავალი ნამუშევრიდან საპატრიარქოს სამხატვრო საბჭომ აირჩია ესკიზი, რომლის ავტორი იყო გურამ ბუჩუკური. გურამ ბუჩუკური (1933-1986 წწ.) 1952-58 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მისი პედაგოგი, თეიმურაზ ყუბანეიშვილთან ერთად, იყო იოსებ შარლემანი.

1958-63 წლებში მუშაობდა კინოსტუდია "ქართულ ფილმში" დეკორატორად, მულტიპლიკატორად, მთავარ მხატვრად. მისი ინიციატივით 1961 წელს კინოსტუდიაში დაიწყო დიაფილმების წარმოება.

1963-80 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში უფროს მასწავლებლად. ასწავლიდა საგნებს: შრიფტი, კომპოზიცია, ქსილოგრაფია, ოფორტი, ლინოგრაფიურა. აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალი კათედრის — სამრეწველო გრაფიკის — ჩამოყალიბების საქმეში.

1982 წლის იანვარში აკურთხეს დიაკვნად, ორი თვის შემდეგ კი — მღვდლად და მიანიჭეს მღვდელ-მონაზონის წოდება. ამავე დროს მუშაობდა დაიწყო საქართველოს საპატრიარქ-

ოში მხატვარ-რესტავრატორად, ხუთი თვის შემდეგ კი, 1982 წლის 28 აგვისტოს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბრძანებით, საქართველოს ეკლესიაში თავდადებული სამსახურისათვის, საპატრიარქოს სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე მღვდელ-მონაზონი დავითი (ბუჩუკური) ალყვანილ იქნა ილუმენის, ხოლო 1984 წლის იანვარში კი — არქიმანდრიტის ხარისხში (საქართველოს საპატრიარქოს არქივი, თემა №11, დოკუმენტი №11223, ფურც. 8, 16-20).

სამწუხაროდ, არ შემონახულა გერბის ბლაზონირება. ამ მასალის მომზადებაში დიდი დახმარება გამიწია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, მის უწმიდესობასა და უნეტარესობასთან ილია მეორესთან და მხატვარ ემირ ბურჯანაძესთან საუბარმა.

საქართველოს საპატრიარქოს გერბი წარმოადგენს ნორმანულ (ხან ინგლისურსაც უწოდებენ) ნითელ ფარს, რომელზეც მარცხნივ შებრუნებული თეთრ ცხენზე ამხედრებული აბჯარასხმული წმინდა გიორგია გამოსახული. მხედარი შუბით განგმირავს ცხენის ფერხით გართხმულ გველეშაპს. გამოსახულება შესრულებულია შავი კონტურით. ნითელი ფერი ჰერალდიკაში გამბედაობის, ვაჟკაცობის, უშიშრობის (Лакиер А. Русская геральдика. Москва, 1990), აგრეთვე, მხედრული მამაცობისა და დიდსულოვნების (Wade W. C. The Symbolisms of Heraldry or A Treatise on the Meanings and Derivations of Armorial Bearings. London, 1898) სიმბოლოა. ცხენისა და მხედრის ფერი (თეთრი) ჰერალდიკური განმარტებით, უცოდველობასა და სისპეტაკეს მიანიშნებს (Лакиер А. Русская геральдика), მაგრამ აქ ფერის ჰერალდიკური სიმბოლიკის ძიება გამართლებული ვერ იქნება, რადგან გველეშაპიც თეთრ ფერში და შავ კონტურშია გადაწყვეტილი. აქ უფრო გრაფიკოსის ხელწერა ჩანს, ვიდრე ჰერალდიკოსის.

გერბი მკაცრ ჰერალდიკურ ჩარჩოებში ვერ თავსდება. მხატვარი გერბის ტრადიციული ელემენტების ნაცვლად საეკლესიო რეალობიდან აღებულ გამომსახველობით ხერხებს გვთავაზობს.

ფარის უკან გამოსახულია სერაფიმის ფრთები, რომლებსაც, ფაქტობრივად, ჰერალდიკურ ფარისმტვირთველთა ფუნქცია აკისრია.

ზეციურ იერარქიაში ანგელოზთა შორის სერაფიმნი ყველაზე აღმატებულნი არიან.

ესაია წინასწარმეტყველთან, მე-6 თავის მე-2-3 მუხლებში ვკითხულობთ: "და სერაფიმნი დგეს გარემო მისა. ექუსნი ფრთენი ედგნეს ერთსა, და ექუსნი ერთსა. და ორითა იფარვიდეს პირთა მათთა. და ორითა იფარვიდეს ფერგთა მათთა. და ორითა ფრინვიდეს. ლალადებდეს ერთი ერთისა მიმართ და ეტყოდეს. წმიდა არს. წმიდა არს. წმიდა არს. უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა." სერაფიმები საუბრობენ, უმღერაინ ღმერთს მორიგეობით, ასრულებენ უფლის ნებას. ისინი გონიერი,



ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის გერბი, 1909 წ.



ეკლესიის გერბი



იოანე ბოდბელის გერბი

სულიერი არსებანი არიან. მათ აქვთ ფრთები. ეს მიანიშნებს მათ ზეციურ სამყაროში არსებობაზე, ძალაზე, ღვთაებრივ ძალმოსილებაზე. ორი ფრთით ისინი, მოწინების ნიშნად, სხეულს იფარავენ და ასე დგანან ღვთის გვერდით და მის ირგვლივ. მეორე წყვილი ფრთით, ღვთაებრივი სიდიადის წინაშე მოკრძალების გამო, სახეს იფარავენ, ხოლო მესამე წყვილით დაფრინავენ. მათი დანიშნულებაა ღმერთის სამსახური. სხვა ანგელოზებისგან განსხვავებით, ისინი არ წარიგზავნებიან მიწაზე, განეკუთვნებიან მხოლოდ უშუალოდ ღვთაებრივ სფეროს. ლოპუხინის ბიბლიის განმარტებების თანახმად, სამჯერ გამეორებით “წმიდა არს. წმიდა არს. წმიდა არს”, — სერაფიმები გამოხატავენ წმინდა სამების საიდუმლოს (Толковая Библия или комментарий на все книги Св.Писания Ветхого и Нового Заветов. А. П. Лопухина). სადაც სერაფიმი არიან, იქ კაცის თვალთაგან უხილავი ღმერთიც არის. გერბზე სერაფიმების ფრთების გამოსახვა უფლის სიახლოვის მინიშნებაა.

ფრთების უკან ლურჯი კონტურებით გამოსახულია ომოფორი, რომელიც ჰერალდიკური მანტიის ფუნქციასაც ასრულებს. ჰერალდიკაში ლურჯი სიდიადის, სილამაზისა და სიმსუბუქის (Лакиер А. Русская геральдика), აგრეთვე, სიმართლის (Wade W. C. The Symbolisms of Heraldry or A Treatise on the Meanings and Derivations of Armorial Bearings) სიმბოლოა.

ომოფორი (ბერძნულად: მხრით სატარებელი) მღვდელმთავართა სამოსელის ნაწილია, რომელზეც ჯვარია გამოსახული. ომოფორით შემოსვისას სასულიერო პირი კონდაკიდან კითხულობს ლოცვას: “მხართა ზედა ქრისტეს შეცთომილი კაცობრივი ბუნებაი აღიხვეწ, ამაღლდი და მიჰვარე ღმერთსა და მამასა, ყოვლადვე ან და მარადის, და უკუნითი უკუნისამდი. ამინ” (სამღვდელმთავრო კონდაკი. ტფილისი, 1908). ომოფორი სიმბოლურად გზააბნეულ ცხვარს განასახიერებს, რომელიც კეთილმა მწყემსმა მხარზე შეისვა და ისე მიიყვანა სახლში (ლუკ. 15: 4-7).

სასულიერო პირის მიერ ომოფორის მოსხმა და ღვთისმსახურება განასახიერებს ქრისტეს მიერ გზააბნეულთათვის ზეციური მამის სახლში დაბრუნებაში დახმარებას. ქრისტემ გზააბნეული ცხვრის იგავში მიანიშნა, რაოდენ ძვირფასია უფლისთვის თითოეული გზააბნეული ადამიანის სული და როგორ ეძებს ღმერთი ცოდვილ ადამიანებს, რათა ისინი თავისთან დააბრუნოს. გზააბნეული ცხვარი ცოდვილის მეტაფორაა, რომელიც გზის უცოდინრობის გა-

მო, ხშირად ბილიკს ასცდება და ფარას ჩამორჩება. მწყემსი მიანიშნებს ღმერთზე, რომელსაც იმდენად ედარდება ჩამორჩენილი ცხვარი, რომ მის გამო მთელ ფარას, დანარჩენ 99 ცხვარს, დატოვებს და ერთი ჩამორჩენილი ცხვრის მოსაძებნად გაეშურება. ცხვარი დაღლილია. ამიტომ მწყემსი მხარზე შეისვამს. ასე ეხმარება ქრისტეს მაღლი გადარჩენაში ცოდვილს, რომელსაც არ ჰყოფნის ძალა, დამოუკიდებლად გაიაროს ძნელი გზა.

ადამიანთა ცოდვების ტვირთებად განმარტავს ამ იგავს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელიც. ქრისტემ იპოვა რა მომაკვდავი ცხვარი, საკუთარ მხრებზე შეისვა იგი. ამით მან ყველა ჩვენი სნეულება და ცოდვა იტვირთა. მან გამოისყიდა ყოველივე ის, რის გამოც ჩვენ უნდა გვეზლო და ჩვენ, ტანჯვის გარეშე, მიგვიყვანა სახლამდე, ანუ ზეცამდე (Благовестник или толкование блаженного Теофилакта Архиепископа Болгарскаго на Святое Евангелие. ч. 3, Евангелие от Луки. казань, 1907). ომოფორის გამოსახვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გერბზე მიანიშნებს, რომ ეკლესია, კეთილი მწყემსის მსგავსად, ასევე შეეშველება მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყოსოს, ქართველ ერს, სრულიად საქართველოს, და დაეხმარება უფლის სახლისკენ სვლაში.

საქართველოს ეკლესიის გერბზე ომოფორის გამოსახვა, ჰერალდიკურ-გამომსახველობითი პრინციპების გათვალისწინებით, ოსტატური ხერხია. მას ქართულ სასულიერო პირთა გერბებში გარკვეული ტრადიცია უკვე ჰქონდა (მაგალითად, იოანე ბოდბელის გერბი, პეტრე კონჭოშვილის გერბი, რომლებიც მათი საფლავის ქვებზეა გამოსახული...)

გერბს აგვირგვინებს მიტრა.

გერბის გვირგვინით შემკობის ტრადიცია დასავლეთ ევროპაში XV საუკუნიდან გაჩნდა, მას თავდაპირველად დიდი ფეოდალები იყენებდნენ. სამეფო წარმოშობისა და სხვა დიდგვაროვანი მემკვიდრეობის მქონე ეპისკოპოსები ხშირად თავიანთ გერბებს ყარყუმის მანტიის ფონზე გამოსახავდნენ და ფარის ზემოთ სამეფო გვირგვინსაც ათავსებდნენ, თუმცა ეს წესი მიუღებელი იყო ეკლესიისათვის, რომელსაც თავისი იერარქია და თავისი ჰერალდიკური ნიშნები აქვს. ყველა სასულიერო პირი ერთმანეთის სულიერი ძმაა და არ უნდა არსებობდეს მათ შორის განსხვავება წარმოშობის, სიღარიბისა თუ სიმდიდრის მიხედვით. სასულიერო პირმა შეიძლება თავის გერბზე გამოსახოს საკუთარი გვარის ჰერალდიკური ესა თუ ის ნიშანი, მაგრამ ხაზი

არ უნდა გაეცვას სოციალურ უპირატესობას, აქედან გამომდინარე, საეკლესიო გერბზე მიზანშეუწონელია გვირგვინის (ანუ ელემენტის, რომელიც სოციალური იერარქიის ნიშნის მქონეა) გამოყენება (Heim B.B. *Heraldry in the catholic church. Buckinghamshire. 1978*). ამიტომაც საეკლესიო გერბებში გვირგვინის ადგილი მიტრამ დაიკავა.

ჰერალდიკური მიტრა თავსდება ყველა იმ პირის გერბზე, რომელსაც კათოლიკური, აღმოსავლური, ანგლიკანური ეკლესიების მიერ თეორიულად თუ ფაქტობრივად მინიჭებული აქვს მიტრის ტარების უფლება. მას ხმარობენ არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. მიტრის, როგორც აღკაზმულობის ელემენტის ხმარება, რა თქმა უნდა, წინ დიდი ხნით უსწრებს მის ჰერალდიკაში გამოყენებას. მისი უძველესი გამოსახულება XI საუკუნის დასაწყისის მინიატიურებზეა შემონახული. პირველად წერილობით კი იხსენიება პაპ ლეო IX-ის 1049 წლის ბულაში.

მართლმადიდებლურ რიტუალში ლიტურგიულ თავსარქმელს არ ატარებდნენ XVI საუკუნემდე, თუმცა აღმოსავლეთში ქრისტიანი სასულიერო პირები უფრო ადრე იყენებდნენ თავსაბურავს. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების ერთიანობის ხანაში მიტრას ატარებდა რომის ეპისკოპოსიცა და ალექსანდრიის ეპისკოპოსიც. უცნობია, ვინ მისცა მათ ამის უფლება. შესაძლებელია, მათ ეს უძველესი მღვდელმთავრის თავსარქმლის მიბაძვით გააკეთეს, არსებობს მოსაზრება, თითქოს რომის პაპ სილვესტრეს პირველმა ქრისტიანმა მეფემ კონსტანტინემ უბოძა თავსარქმელი. სიგელში, რომელიც მეფე კონსტანტინემ გაუგზავნა რომაელებს, ნათქვამია, რომ იგი უძღვნის სილვესტრეს, როგორც სულიერ მამას, გვირგვინს მისი სინმინდის თავყვანისციმის ნიშნად. მაგრამ როდესაც სილვესტრემ, მოკრძალების გამო, უარი თქვა ამ საჩუქარზე, მეფემ თავიდან მოიხსნა სარტყელი, რომელსაც მეფეები ატარებდნენ და აიძულა იგი, მიეღო ძღვენი. მიტრა ევანგელეს სიმბოლოდაც ითვლება (Архиепископ Вениамин, *Новая Скрижаль. Москва, 1992*).

მიტრა, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ბერძნების თავსაბურავიდან მომდინარეობს, ასეთ თავსარქმელს იყენებდნენ პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსები (უკან შეკრული ოქროსფერი ზონარი ამკობდათ იოანე ღვთისმეტყველს, წმ. მარკოზსა და იერუსალიმის ეპისკოპოს იაკობ მცირეს). დროთა განმავლობაში თავსაბურავი სიმალეში წაგრძელებდა და იქცა ზემო მხრიდან გახსნილ, ორი ნამახვილებული ნაწილისგან შედგენილ ქუდად. ეს ორი ნამახვილებული ნახევარი იესოს ჯვარცმოდან ორმოცდამეათე დღეს იერუსალიმში მოციქულებზე სულიწმინდის მოფენისას გადმოსული ცეცხლის ენების სიმბოლოა (Jones A. A. *Illustrated dictionary world religions. Exeter, 1982*). („და ეჩვენეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი და დაადგრა თითოეულად კაცად კაცადსა მათსა ზედა“, — საქმე, 2.3). პირველად VI საუკუნეში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა იოანე კაბადოკიელმა შეამკო მიტრა ნაქარგებით და ამით მას სარიტუალურ-საზეიმო ელფერი მისცა. წმინდანთა გამოსახულებები შუბლის მხარეს იყო უპირატესად მოთავსებული. ეს სიახლე დასავლეთშიც გავრცელდა. XII საუკუნემდე მიტრა დაბალი იყო. მოგვიანებით იგი იმდენად მნიშვნელოვანი ატრიბუტი გახდა ეპისკოპოსთათვის, რომ მასზე ფიცსაც კი დებდნენ. აღმოსავლეთ ეკლესიაში XI საუკუ-

ნიდან მიტრა საიმპერატორო გვირგვინთანაც გაიგივდა (ეპისკოპოსი – ხატი მეუფე ქრისტესი). საგულისხმოა, რომ XVII—XVIII საუკუნეების ქართველ კათალიკოსთა საბეჭდავებზე ქრისტეს სახის გამოსახულება დროთა განმავლობაში მიტრის გამოსახულებამ შეცვალა (ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბილისი. 1978). მის სიმბოლიზმს ზემოთ ნათქვამისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციაც აქვს, თუმცა ეს ვარიანტიც, ეკლესიის გვირგვინთან და მკვდრებით აღმდგარი იესოს საფლავში დაგდებულ სუდარასთან პარალელის გამო („და სულდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თვისაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა“, — იოან. 20-7), მოციქულებთან არის დაკავშირებული.

დროთა განმავლობაში მიტრას ფორმა შეეცვალა, ზემოთ დაიხურა, გაგანიერდა და მომრგვალდა. ამ ფორმის მიტრას იყენებს მართლმადიდებელი ეკლესია.

თავზე ჯვარდადგმული მიტრა მართლმადიდებლური ჰერალდიკის ტრადიციაა.

საქართველოს საპატრიარქოს გერბის მიტრა ეკლესიის ჯვრიანი გუმბათის სტილიზებული გამოსახულებაა, რომლის ყელსაც შვიდი სარკმელი აქვს. სარკმელთა რაოდენობა ეკლესიის შვიდ საიდუმლოს უნდა მიანიშნებდეს. მიტრისა და ომოფორის სილუეტი გუმბათიანი ეკლესიის შენობის ასოციაციას ქმნის.

გერბს აქვს დევიზი: ასომთავრული წარწერა “ჩვენთან არს ღმერთი”. მათეს სახარებაში წერია: “აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემბანუელ, რომელი არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი” (მათ. 1: 23). თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, “საქმეები გვიჩვენებს, რომ ეს არის ღმერთი, თუმცა ჩვენთან ცხოვრობს” (თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება წმ. მათეს სახარებისა. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შრომები, I, საქართველოს საპატრიარქო, 1989). მაშასადამე, ეს დევიზი, გარდა იმისა, რომ ადასტურებს სერაფიმის ფრთების გამოსახვით გრაფიკულად გაცხადებულ მინიშნებას ღვთის ახლოს ყოფნის შესახებ (გავიხსენოთ: სერაფიმები არ იგზავნებიან მიწაზე და ფიზიკურად არ განემორებიან ღმერთს), ამავე დროს, იმ იმედსა და პასუხისმგებლობაზე მიანიშნებს, რაც აკისრია ამ გერბის მფლობელს უფალთან სიახლოვისა და მასთან ყოფნის გამო.

რატომ გამოიხასიათა საქართველოს საპატრიარქოს გერბზე წმინდა გიორგი და არა ქრისტეს კვართი? თუ ბაგრატიონების გერბზე დატანილი უფლის სამოსლის ემბლემა მიანიშნებს იმას, რომ ბაგრატიონთა გვარი ამ უდიდესი სინმინდის მცველი, ქრისტიანული რელიგიის დარაჯი იყო მაშინაც კი, როცა ამ გვარის წარმომადგენელი მეფეები ხშირად მაჰმადიანობას იღებდნენ, მაშინ რატომ არ გამოიხასიათა თვით მართლმადიდებელი ეკლესიის გერბზე კვართი? იგი ხომ საქართველოში უპირველეს და უდიდეს ქრისტიანულ სასწაულთან არის დაკავშირებული და დაფლულია ჩვენი ეკლესიის უმთავრეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში; იმდენად მნიშვნელოვანი სინმინდია, რომ მასზე პრეტენზიას რუსეთის ეკლესიაც აცხადებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპის სხვა ქვეყნებზე?

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საპატრიარქოს გერბი ქართული ჰერალდიკური მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნიმუშია. მასზე მუშაობა, საქართ-

ველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით, მისი აღსაყდრებისთანავე, დაიწყო. ჯგუფი, რომელიც გერბის შექმნას ცდილობდა, რეგულარულად იღებდა პატრიარქისგან მითითებას იმის თაობაზე, რომ ჰერალდიკური გამომსახველობითი ხერხებით მასზე ასახულიყო ეკლესიის მჭიდროდ დამოკიდებულება ქართულ სახელმწიფოსთან, წინა პლანზე წამოწეულიყო ქრისტიანობის მნიშვნელობა ქართველი ერის გადარჩენის, ინდივიდუალობის შენარჩუნების, თვითდამკვიდრების პროცესში, გერბი უნდა ყოფილიყო საეკლესიო ფორმის და შინაარსის, მაგრამ მას ამავე დროს უნდა ჰქონოდა ზოგადქართული აზრობრივი პლასტიკი. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე ათწლეულების წინ ჰქონდა დაკარგული და მის სახელმწიფოებრიობაზე საუბარი არათუ იდეოლოგიურად იყო აკრძალული, არამედ საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც კი, საბჭოთა რეჟიმის გავლენით, ნაწილობრივ აქტუალობადაკარგულად ითვლებოდა, კათალიკოს-პატრიარქისგან მხატვრებმა მიიღეს რჩევა, რომ საპატრიარქოს გერბზე გამოე-სახათ ისეთი ფიგურა, რომელიც რელიგიურთან ერთად ქართულ-სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის გამომხატველი იქნებოდა. ასეთი სიმბოლო წმ. გიორგი იყო.

წმინდა გიორგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წმინდანია არა მხოლოდ მართლმადიდებელ, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

დასავლეთ ევროპაში წამებული მხედარი განსაკუთრებით რაინდთა წოდების მფარველად ითვლებოდა. წმ. გიორგის წინამძღოლობით განხორციელებული სასწაულების გამო მას სრულიად ქრისტიანული ლაშქრის მხედართმთავრად მიიჩნევენ. თავდაპირველად ქრისტეს ემბლემად მიჩნეული წითელი ჯვარი თეთრ ფონზე, მოგვიანებით მოიაზრებოდა, როგორც წმ. გიორგის გერბი. თეთრი ბაირალი წითელი ჯვრით (ან წითელი ბაირალი თეთრი ჯვრით) დასავლურ იკონოგრაფიაში გავრცელებული ატრიბუტია ადდგომის სცენაში. ბაირალის ფერები ქრისტეს ვნებებს (თეთრი — ქრისტეს სინმინდე, წითელი — სისხლი), ან ევქარისტის (ხორცი და სისხლი) შეესაბამება.

წმ. გიორგის, როგორც რაინდთა მფარველს მიეძღვნა არისტოკრატიის ათეულობით ორდენი და გაერთიანება. მათ შორის, პირველი ევროპული რაინდთა საერო ორდენი — უნგრეთის წმინდა მონამე გიორგის რაინდი ძმების საზოგადოება. “ამ გაერთიანებათა ნიშნები უპირველესად შემკული იყო გველის გამგმირავი წმინდანის გამოსახულებით და თეთრ ფონზე წითელი ჯვრით” (Медведев М. Георгий Победоносец: святой иконы и герой герба).

ასეთივე საპატიო წმინდანი იყო გიორგი აღმოსავლეთში.

არც ერთი წმინდანის ცხოვრებად, არ ქცეულა იმდენი ლიტერატურული ნაწარმოების წყარო, როგორც ბოროტებასთან მებრძოლი წმინდა გიორგის გმირული თავგადასავალი. “განსაკუთრებით პოპულარულია წმინდა გიორგი ჩვენ-

ში, საქართველოში. ამ მხრივ მას ალბათ ვერც ერთი ქრისტიანული ქვეყანა ვერ შეედრება. არც წმ. სამება ღმერთის, არც იესო ქრისტეს და არც ერთი წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმ. გიორგის სახელზეა აშენებული” (ე. გაბიძაშვილი, წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში. 1991). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: “არ არიან ბორცუნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანი” (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV. 1973).

წმ. გიორგის გამოსახულების ჰერალდიკურ ნიშნად გამოყენებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. ქართველ ჰერალდიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ გველეშაპის განმგმირავი მხედარი საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოდ გამოიყენებოდა (უცხოური წყაროები, ვახუშტის რუკები, ბაგრატიონთა გერბების ნაწილი...).

განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომელიც წმინდა გიორგისადმი აქვს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს კარგად ჩანს მის მიერ 1985 წელს შექმნილ ლოცვაში, რომელსაც “მოკრძალებული თხოვნა” უწოდა ავტორმა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს საპატრიარქოს გერბის ფარზე გამოსახვა წმინდა გიორგი, რომელიც ერთდროულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართულ სახელმწიფოსთან მისი მჭიდრო კავშირის სიმბოლოა. “ისტორიული ტრადიციით, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის სახელმწიფოებრივ განვითარებაში საქართველოს ეკლესიას განსაკუთრებულად რთული და უაღრესად საპასუხისმგებლო ფუნქცია ეკისრებოდა; სახელმწიფოებრივი ძლიერების, მისი წყობილების იდეოლოგიადამცველი იყო; ქვეყნის ერთიანობისათვის საზოგადოების ყველა ფენის გამაერთიანებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის აქტიური მონაწილე, გარეშე ძალთა წინააღმდეგ მებრძოლი და ეროვნული კულტურის დამცველ-ქომაგი, მისი განვითარებისა და წინსვლის, ეროვნული ცნობიერების ბურჯი იყო” (ქ. პავლიაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. თბილისი, 2000).

ამ გერბში ზუსტად იქნა გადმოცემული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის იდეა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილი ეკლესია ერის სულიერ ცხოვრებაზე არათუ სრულფასოვნად ვერ ახდენდა ზეგავლენას, არამედ, მას, ფარული თუ აშკარა იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფს, უდიდესი ძალისხმევით ფასად უწევდა არსებობისთვის ზრუნვა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გერბზე დიდმონამე ძლევაშვილი მხედრის გამოსახვა იმ თავგანწირული ბრძოლისთვის მზადყოფნის დეკლარირება იყო, რომლის გადატანაც მოუწევდა ქართულ ეკლესიას და მის მეთაურს ქვეყანაში მართლმადიდებ-



გურამ ბუჭკური

მედეა კუჭუხიძე

ხელოვნური სიტუტუცა

როცა სხვების ციტირებას ვახდენ, მხოლოდ იმიტომ,
რომ უკეთ გამოვხატო საკუთარი აზრი.
მიშელ მონტენი

გასული საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე **არნოლდ ტონი** წერდა: „შეუძლებელია ისეთი დანაშაულის და უფუნური სისულელის წარმოდგენა, რომლის ჩადენისგან ადამიანი დაზღვეული იყოს; ბაქტერიებს შეუძლიათ იმედიანად განაგრძონ ცხოვრება. და თუკი ადამიანი თავად არ დაუთმობს ბაქტერიებს იმ ძალაუფლებას, რომელიც მის მიმართ ჰქონდათ, მაინც ბაქტერიები არ არის ადამიანის ერთადერთი მტერი“.

დიდ ბრიტანეთში ყველაზე საუკეთესო თანამედროვე მწერლად აღიარებული **Geoff Dyer**-ის ნიგნის „Anglo-English Attitudes“ ერთ თავს „ხელოვნური სიტუტუცა“ ჰქვია (სახელწოდება ფ. ნიცშესგან მოდის). ავტორი ამბობს, – ადრე კვლევის საგანი ინტელექტი იყო, მაგრამ ინტელექტი (ბუნებრივი თუ ხელოვნური) წარსულს ჩაბარდა, კვლევის საგანი ხელოვნური სიტუტუცა უნდა გახდესო პოსტმოდერნიზმის უტექსტო ტექსტის (ფართო გაგებით) ხანაში. გამოჩენილი ნიდერლანდელი კულტუროლოგი **იოჰან ჰეინგა** კი **XX** ს. პირველ ნახევარში წერდა: „არ არსებობს ისეთი ხელსაწყო, რომლითაც გატუტუცების და გაბრიყვების პროცენტის დადგენა მოხერხდებოდა და იმის გაგება – ადრინდელზე უფრო მალაღია თუ არა, მაგრამ თავად სიტუტუცა უფრო ძლევამოსილი გახდა, ვიდრე ადრე იყო, უფრო ზემოთ არის დაბრძანებული ტახტზე და უფრო ბოროტად მავნებლობს. ნახევრადკულტურულ ამოროფულ მასას სულ უფრო მეტად აკლია მუხრუჭები – ტრადიციისადმი, ფორმისა და კულტურისადმი პატივისცემის მხსნელი მუხრუჭები [...] გაბარბაროსება მაშინ იწყება, როდესაც აზროვნების და შემეცნების მკაფიოების და სინმიდის მრავალი ასწლეულის განმავლობაში მიღწეული სიმალეებისას, ამ შემეცნების შეზღუდვა ხდება გააფთრებული ინსტინქტების და ვნებების მხრწოლაღვი ტალღის მაგით და ფანტასტიკით. **გიგანტური ნაბიჯებით უკან ბარბაროსობისაკენ!** მასა შესანიშნავად გრძნობს თავს ნახევრად ნებაყოფლობით გამოტუტუცების მდგომარეობაში. ეს მდგომარეობა ყოველ წუთს შეიძლება გახდეს უკიდურესად საშიში იმის გამო, რომ სულ უფრო ნაკლებად მოქმედებენ მორალური მრწამსის მუხრუჭები [...] სულის დაკნინება შორს ჩამოიტოვებს გულუბრყვილო ანიმალიზმს და მიგვიყვანს თითქმის სატანიზმის დონის გაუსულიერებასთან, რომელიც ბოროტებას აამაღლებს გზისმარჯვენებლად და კაცობრიობის სასიგნალო შუქურად“.

დღეს გავრცელებული ნიუეიჯიზმი ჰეინგას დროს არ არსებობდა, მაგრამ ამ იდეოლოგიის კონტურები მეც-

ნიერმა დიდი ხნის წინ შენიშნა: ცხოვრებისადმი ბავშვური დამოკიდებულება, პერმანენტული ყრმობა, საკუთარი პერსონისადმი ჰიპერტროფირებული ყურადღება და სხვა. ჰეინგას აზრით, – ამგვარი მდგომარეობის სტიმულირებას ტექნიკის საოცარმა განვითარებამაც შეუწყო ხელი. ადამიანი სასწაულებით სავსე სამყაროში აღმოჩნდა ბავშვივით, როგორც ზღაპარში: „თვითმფრინავით ფრენა შეუძლია, დედამიწის სხვა ნახევარსფეროსთან ლაპარაკი, ავტომატიდან ჩასატყბარუნებლის მიღება, რადიოდან ქვეყნიერების ყველა ხმის გაგება. დააჭერს ლილაკს და ცხოვრება სახლში შემოუფარდება. შეუძლია ასეთ ცხოვრებას სულიერად მომნიჭებული გახადოს? პირიქით, მისთვის მთელი სამყარო სათამაშოდ გადაიქცა, არც არის გასაკვირი, ბავშვივით რომ იქცევა“.

გამოტუტუცების ჩინებული ამსახველია ის ტუტუცობები, უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად რომ გვაუწყებენ ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამები. რამდენ ტუტუცობასაც გააკეთებენ სადღაც და რაც უფრო დიდი ტუტუცობა იქნება, ყველამ უეჭველად უნდა ნახოს, არსად არავის უნდა გამორჩეს: გეიპარადები, ტალახში გორაობა, შეჯიბრებები ქამა-სმამი, ზურგზე ცოლებმოკიდებული ქმრების დოლი; კანადურმა კომპანია „პეტსელმა“ ძაღლებს რომ დაუმზადა მობილური ტელეფონები; ვიღაც იაპონელმა სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 120 თოჯინა-ქალი რომ შეიძინა და კიდევ უკვეთავს; ვიღაც ფოტოგრაფი შიშველი ადამიანების მასის სურათებს რომ იღებს სხვადასხვა ფონზე და ა.შ. გარდა ამისა, ყველა ქვეყნის ყველა ტელევიზიაში აშშ-დან გადმოღებული ე.წ. რეალითიშოუების თვალისმოკვრაც საკმარისია თანამედროვე კულტურის კატასტროფული დონის წარმოსაჩენად. თან ყველაფერი უპირატესობის სპორტული კოეფიციენტით, შეჯიბრის სახით, რეკორდით, ინფანტილური თვითგამორკვევით იზომება, ვითომ შემეცნებითი პროგრამებიც კი ერთ-ერთი ასეთი „დიდი ათეულის“ სახელწოდებით საქართველოშიც გადმოიღეს – ერთობ წარმატებული პროექტიაო ინგლისში. არ ვიცი, რა კრიტერიუმით – სექსუალურად აფორიაქებული პრინცესა დაიანა რომ პირველ ადგილზე გავიდა და შექსპირი მეექვსეზე?

მთელი მსოფლიოს პრესაში გავრცელდა მალაიზიელი 107 წლის მოხუცი ქალბატონის პორტრეტი, რომელიც ახალ, რიგით 23-ე ქმარს ეძებს; მეუღლე ახლაც ჰყოლია – 37 წლის, მაგრამ ნარკოდამოკიდებულებისაგან გასათავისუფლებლად მკურნალობს კლინიკაში, დედაბერს კი მართლობა არ უყვარს. არც ნორვეგიის ქალაქ არენდალის ერთ-ერთ აფთიაქში მომხდარი ამბავი დარჩენილა საყოველთაო ყურადღების მიღმა: ახალგაზრდა მამაკაცი ძალიან დიდხანს ათვალეირებდა ნაირ-ნაირ პრეზერვატივებს; როცა ამოირჩია და ფულიც გადაიხადა, კოლოფი გახსნა, შარვალი ჩაიხადა და პრეზერვატივის მიზომვა დაიწყო აფთიაქარი გოგონას წინაშე, რომელსაც გული წაუვიდა.

რატომ არის აფიშირებული ამგვარი ამბები? ბრიტანეთის პარლამენტის ყოფილი წევრი **Edwina Currie** თავის ნიგნში „This Honourable House“ წერს, – საინტერესოა, მედიაში მომუშავეებს წინასწარ გამოცდას თუ უტარებენო სიტუტუცის ხარისხის გასარკვევად. ჟურნალისტის ოც-

ნება ყოფილა: „ღმერთო, წესიერი პოლიტიკოსებისაგან გვიხსენი, ეგენი უსაქმოდ დაგვტოვებენ, დასაწერი და სათქმელი აღარაფერი გვექნება“-ო (ყოფილი პარლამენტარი იმასაც ამბობს, – „მხოლოდ გიჟს, ცუდს და ტუტუცს სურს პარლამენტში მოხვედრა“-ო). მართლაც, რა ეშველებათ თანამედროვე ჟურნალისტებს, ცუდი ამბები და სკანდალები რომ არ ხდებოდეს?

დენტის ტოლფას გამოგონებად მიიჩნევა გაზეთს შესანიშნავი გერმანელი მწერალი **ფრ. ჰებელი** და ჯერ კიდევ 1845 წ. ამბობდა: „ჩემი აზრით, პრესა უდიდესი შხამია ერისთვის. მოშხამვის შედეგები საშინელი იქნება, ვინაიდან გავრცელების შესაბამისად სულ უფრო მძიმე ფორმას მიიღებს. ზნეობრიობის ზღვარს პრესამ დღეს უკვე გადააბიჯა“. დიდმა ინგლისელმა დრამატურგმა **ბ. შოუმ** (1856-1950) კი იაფფასიან პუბლიკაციებს მისთვის დამახასიათებელი პარადოქსული „გამართლება“ მოუძებნა: „ჩვენ იდიოტიზმი დაგვლუპავს ჩვენი სულიერი შესაძლებლობების უარყოფით, თუ ილუსტრირებული გაზეთების, რომანების, პიესების, ფილმების რომანტიკული უაზრობით არ გამოვიტენით თავს. ასეთი წამალი გვაცოცხლებს; თან ის ისე აბსურდულად აყალბებს ყოველივეს, რომ ნაკლებად სამიმ გიჟებად გვტოვებს რეალურ სამყაროში“.

პირველი გაზეთი პარიზში 1631 წელს გამოიცა, მანამდე ახალი ამბები და საზოგადოებრივი აზრი სალონებში ვრცელდებოდა და აგრეთვე მინერ-მოწერიტ. ზეპირსიტყვაობის უძველესი ხანიდან მომდინარეობს ფოლკლორის ფართოდ გავრცელებული სახეობა – ანეკდოტი; ეს ბერძნული სიტყვაა და გამოუქვეყნებელს ნიშნავს და მოკლე სახუმარო მოთხრობას წარმოადგენს სასაცილო ამბავზე, ან თავად ამ ამბავს, ერთი სიტყვით, ხუმრობაა. საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური ანეკდოტების ისეთი შედეგები იქმნებოდა, რომ კომედიის გაკეთებაც მოვიდომე, მაგრამ თეატრის ხელმძღვანელობამ ვერ გაბედა და არ განმანბორციელებინა, სამწუხაროდ. დღეს ქართულ გაზეთებში და კალენდრებში შიგადაშიგ ანეკდოტებსაც ბეჭდავენ, თუ უხამსობას, უზნეობას და უნიჭობას შეიძლება ანეკდოტი ეწოდოს. იუმორიც გატუტუცდა, საუბედუროდ.

ნიდერლანდელმა ფილოსოფოსმა და მეცნიერმა **ერაზმუს როტერდამელმა** 1509 წელს დაწერა განთქმული სატირა „სისულელის ქება“. მანამდე და შემდგომ ავტორებს და ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრებს, სადაც

გამასხარავებელია ნაირ-ნაირი ტუტუცობები, არ ჩამოვთვლი. ხელოვნება რომ უშუალო ზეგავლენას არ ახდენს ადამიანებზე, იმითაც დასტურდება, რომ ტუტუცობა დღემდე წარმატებულად სვებდნიერობს. არ ვიცი, რატომ იწუხებენ თავს მონდიალიზმის მესვეურები „ტვინების გამორეცხვის“ (Brainwash) ნაირ-ნაირი პროგრამების შექმნით და დაფინანსებით.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ე.წ. პეროსტრატეს კომპლექსს – როცა სახელდიდების მოპოვებას არა კარგი, არამედ გამორჩეულად ცუდი საქმის ჩადენით ცდილობენ, მეგალომანიით შეპყრობილებმა დღეს ტუტუცობის ჩადენაც შემოიღეს და გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრაც მოახერხეს: ფრანგმა მიშელ ლოტიტომ რამდენიმე წლის განმავლობაში შეჭამა შუშა, ლითონები, 7 ტელევიზორი, 2 სანოლი, 6 შანდალი, თხილამურები, კომპიუტერი და კუბოც კი. ბრიტანელ დაშინიყლაპია ტომას ბლეკტონს 3 წამის განმავლობაში პირით ეჭირა 38 კგ-იანი ჩართული პერფორმატორი. ამერიკელი ლესლი ტიპტონის რეკორდი ჩაკეტილი ჩემოდნიდან 7,5 წამში ამოძრომა გახდა. ლუქსემბურგელმა ჟორჟ კრისტენმა 7,5 წამში გაიარა 10 მეტრი კბილებში მოქცეული მაგიდით, რომელზეც გოგონა იჯდა. ამერიკელმა კევინ შელიმ საპირფარეშოს 46 ხის სკამი გატეხა თავით, თომას ვოგელმა ერთი წუთის განმავლობაში 56 ბიუსტჰალტერი გახსნა. გინესის წიგნში მოხვედრა მაიკლ ჯექსონის მექსიკელმა თავიანთი კერპის სახელის უკვდავსაყოფად გამართული შეუჩერებელი ცეკვით და მონაწილეთა რაოდენობით მოახერხეს.

გინესის წიგნში არ შესულა, მაგრამ საყოველთაო ყურადღება არ მოაკლდა შემდეგ ამბებს: ამერიკელი მხატვარი რონ ინგლიში თვითმფრინავის დახმარებით ცაში წარწერა-ღრუბლებს გამოსახავს და აბრაამ ლინკოლნის და ბარაქ ობამას პორტრეტებიც „შექმნა“. „პრინგლის“ გემრიელი ჩიფსების შემქმნელი, 89 წლის ასაკში გარდაცვლილი ფრედერიკო ბაური მისი ანდერძის შესაბამისად მინას ჩიფსის კოლოფში ჩასვენებული მიაბარეს. როუზ და კრის რასმუსენებმა ლონდონიდან მიჩიგანის შტატამდე 6400 კმ იფრინეს და ინტერნეტსაიტზე აღმოჩენილი უპატრონო კატა წამოიყვანეს. ირლანდიური ბანკი „ულსტერი“ ანაბრის გახსნის წასაქეზებლად კლიენტებს სტრიპტიზკლუბის ბილეთებს სთავაზობს. ამერიკელმა სპეციალისტებმა ვერტიკალური საწოლი შექმნეს, რომე-



ზაალ ბაჩანაშვილი

მუდმივი ჭიდილი

ლიც ქუჩაში მოძრაობისას გამოიყენება; ის პატარა ხელჩანთაში თავსდება და როცა სიარულის დროს ძილი მოგვრევიათ, ზურგზე მიიმაგრებთ და პრობლემა გადაწყვეტილია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქ. პორტ-ელისაზედში პასტორმა დერიკ დერბიშირმა დოლში გამარჯვების მოსაპოვებლად ცხენი მონათლა. მალდივის ხელი-სუფლება სხდომას წყალქვეშ მართავს; ქართველი პოლიტიკოსები ვენახებს, მაღალსართულიანი კორპუსების სახურავებს ამჯობნიებენ. ლიბერია ახალ დედაქალაქს აშენებს, რაც 10 მილიარდი დოლარი დაუჯდება. ლანჩუთის მუნიციპალურ ტუალეტს, რომელიც 30 000 დაჯდა, ქარმა სახურავი გადაადრო. აუქციონზე დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ვიქტორიას (1837-1901) ტრუსები გაყიდეს; კერძო კოლექციონერების დიდი ინტერესს მიუხედავად, გამარჯვება ბრიტანეთის სამეფო საცერემონიო ტანსაცმლის საკრებულოში მოიპოვა, რომელმაც დედოფლის ქვედა საცვალში 600 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა; დედოფლის ტრუსები კი მთელი მსოფლიოს პრესაში „გამოაჩვენეს“, მათ შორის საქართველოშიც.

საინტერესოა, დღეს რას იტყოდა შესანიშნავი მწერალი **დ. ლორენსი**, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის ტრაგედიას სიმახინჯის ტრაგედიად აღიქვამდა: „ქვეყანა ისეთი საყვარელია; ადამიანის გაკეთებული ინგლისის ისეთი საძაგელი. უაზრობა და უფორმოება ჩვენს გარშემო; მახინჯი იდეალები, მახინჯი რელიგია, მახინჯი იმედი, მახინჯი სიყვარული, მახინჯი ურთიერთობები. ადამიანის სულს პურზე მეტად ჭეშმარიტი მშვენიერება სჭირდება“.

ტუტუცობებს ტუტუცი ინდივიდები რომ სჩადიოდნენ მხოლოდ, კიდევ არაფერი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს ლამის საკაცობრიო საქმედაც კი იქცა. სხვადასხვა ტუტუცურ კონკურსებს, ფესტივალებს და გამოფენებს მთელი ქვეყნის მასშტაბით აწყობენ:

ისლანდიაში პენისის მუზეუმი გაუხსნიათ – 154 ნატურალური ექსპონატი ჰქონიათ გამოფენილი, რომლებიც სპეციალურ სითხეებში ინახება; მუზეუმის მესვეურები ამბობენ, რომ კოლექციას სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია. კიევში ტუალეტის ისტორიის მუზეუმი დაუარსებიათ და ტუალეტის განვითარების ისტორია აქვთ წარმოდგენილი უხსოვარი დროიდან დღემდე. ტაილანდში ადამიანების ზოოპარკი გაიხსნა, სადაც გრძელკისერა „ქალი-ჟირაფები“ ჰყავთ გამომწყვდეული და ეს უკანასკნელნი გალიებში ცხოვრებას საკუთარი სურვილით თანხმდებიან; ზოოპარკს უამრავი ტურისტი სტუმრობს და შემოსავალიც დიდი აქვს. ვენეციის ერთ-ერთ გალერეაში ჩოიას გამოფენა გაიმართა; ჩოია 23 წლის ცხენია და კბილებით დაჭერილი ფუნჯით ხატავს; თითო ტილოს ფასი 2000 ევრო ყოფილა. მაგრამ ეს სიახლე არ არის: XX საუკუნის დასაწყისში რუსმა ავანგარდისტებმა ვირი წარმოადგინეს, რომელსაც კუდს საღებავებიან ვედროებში აწყობნიებდნენ, შემდეგ ტილოებზე აშხეფებდნენ და ასე ქმნიდნენ აბსტრაქციონისტულ შედეგებს.

სილამაზის კონკურსებთან ერთად შეუხედავების კონკურსების გამართვაც დაიწყო, ამასწინათ აშშ-ში ჩატარებულა. კონკურსი „მის მსუქანა და მისტერ მსუქანი“ იტალიის ქალაქ ფორკოლიში იმართება; ბოლო კონკურს-

ში საპატიო ტიტული 198 კგ ქალმა და 204 კგ მამაკაცმა დაისაკუთრეს. ბებიების კონკურსებიც იმართება, თბილისის „კათარზისშიც“ მოაწყეს. იაპონიის ქალაქ კავასაკიში ფალოსის ფესტივალია ტრადიციული; მთავარი სიმბოლო უზარმაზარი ფალოსია, რომელსაც მამაკაცებიც და ქალებიც მხრებით დაატარებენ; მომცრო ზომის ფალოსებს სუვენირების სახით ამზადებენ – სათამაშოებს, საწუნენ კანფეტებს და ა.შ. კონკურსები გადაფურთხებაშიც ტარდება.

გატუტუცების არანაკლები ნიმუში „ყველაზე“ კრიტიკური შერჩეული ფაქტებია, მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ნივთები და ადამიანები(!): ყველაზე ძვირადღირებული თოჯინა, ყველაზე ძვირფასი სავაჭრო ნიშანი, ყველაზე ძვირადღირებული ფილმი, ყველაზე ძვირადღირებული მოგზაურობა, ყველაზე ძვირადღირებული ჯენიფერ ლოპესის უკანალი (ერთი მილიარდი ევრო), ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ზინედინ ზიდანია (68,7 მილიონი ევრო).

ყველაზე პოპულარული გახმაურებული სექსკანდალებია – აქ ძირითადად პოლიტიკური ლიდერები ფიგურირებენ! აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ისრაელის ექსპრეზიდენტი მოშე კაცავი, იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რომელიც სკანდალში ამხილეს მასაჟისტ ქალთან დაკავშირებით.

სამხრეთ აფრიკაში 50 ტონიანი ფეხბურთის ბურთი გააკეთეს. ერთტონიან ტორტს და სხვადასხვა ნამცხვრებს ხომ ამზადებენ და ამზადებენ. ჩვენ ვისზე ნაკლები ვართო და თბილისის მერიამაც მიჰბაძა და რიყეზე, მგონი 100 ინდაურის საცივი და გრანდიოზული ხაჭაპური გამოფინეს. ღონისძიება აღარ გაუმეორებიათ, ეტყობა, პირველს წარმატება არა ხვდა.

ეროვნული ჩემპიონატის IV ლიგის საფეხბურთო კლუბ „ტრენტოს“ დაფინანსება იტალიელმა მეძავებმა იკისრეს. ჰარვარდის უნივერსიტეტში ანტინობელის პრემიები დაარიგეს; ჯანდაცვის სფეროში ილინოისის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გაიმარჯვეს თავიანთი ტრანსფორმირებადი ბიუსტპალტერით, რომელიც ჩვეულებრივ სიტუაციაში ქალის მკერდს ფარავს, საგანგებო მდგომარეობისას კი აირნიხლად გადაიქცევა.

ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში, ყველაფერთან ერთად, სიტყვების მნიშვნელობაც განიცდის ცვლილებას. მაგალითად, სიტყვა „დემოკრატია“ ძველ საბერძნეთში „ხალხის მმართველობას“ გულისხმობდა; საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ევროპაში ტერორის და ბრბოს მმართველობის საშიში, დამანგრეველი მნიშვნელობა შეიძინა; XX საუკუნიდან და განსაკუთრებით დღეს კი ყველაზე საოცნებო რამ გახდა. სიტყვების მნიშვნელობის ტრანსფორმაცია ადრე ბუნებრივი პროცესი იყო. ხელოვნური შემცვლელების ამჟამინდელ ეპოქაში სიტყვების მნიშვნელობაც ხელოვნურად იცვლება და თან შემცვლელივით ყალბი და მოჩვენებითია. თუნდაც, იგივე „დემოკრატია“: ბურჟუაზიულმა წყობილებამ სიტყვა „ბურჟუა“ ითაკილა და საერთოდ ამოიღო ლექსიკონიდან – „კაპიტალიზმი“ ამჯობინა. დღეს მთელ მსოფლიოში გაბატონებულ კაპიტალიზმთან, რომლის ძირი უთანასწორობაა

ნებისმიერ სფეროში, როგორ უნდა შეთავსდეს დემოკრატია, არ ვიცი და არც არავინ იცის, რადგან ეს შეუძლებელია. დღესაც არსებობენ ჭკვიანი ადამიანები, რომლებიც ახლანდელ დემოკრატიათა ფსევდოდემოკრატიათა, ან პოპულისტურ დემოკრატიათა უწოდებენ. ბერძნული სიტყვა „ფსევდო“ სიცრუეს, მოჩვენებითობას ნიშნავს. ასევე ხელოვნურად გადააქციეს სალანძღავი „სკანდალი“ და „სკანდალური“ ისეთი ხარისხის ქებად, რომ, მაგალითად, საქართველოში ლამის ნანინანატრ „დასავლურ სტანდარტზე“ აღმატებულადაც კი მიაჩნიათ.

ყოველივე ამას რომ მოსწრებოდნენ, ძველი დროის პესიმისტები უფრო მეტად დარწმუნდებოდნენ თავიანთი პროგნოზების სისწრაფით: „ამ სამყაროს ჩვენ ისეთსავე სულელს და ისეთსავე ბოროტს დავტოვებთ, როგორც დავგვხვდა“ – ვოლტერი (1694-1778). „ყველა დროის ბრძენკაცნი ერთსა და იმავეს ამბობდნენ, ყოველთვის უმრავლესობაში მყოფი სულელები კი მუდამ ერთსა და იგივეს აკეთებდნენ – საპირისპიროს; მომავალშიც ასე იქნება. სამყარო ბოროტებაში წევს – ველურები ერთმანეთს ჭამენ, კულტურულები ერთმანეთს ატყუებენ. წესია ასეთი“ – შოპენჰაუერი (1788-1860).

სიცოცხლეში სკანდალების მოყვარული მერილინ მონროს სიკვდილის შემდგომი ერთ-ერთი მორიგი სკანდალის მიზეზი მისი ბიუსტპალტერი გახდა, რომლის აუქციონზე გაყიდვის შემდეგ ბრიტანულმა მედიამ ბრალი წაუყენა კინოვარსკვლავს – საზოგადოებას ატყუებდა, ძალიან პატარა მკერდი ჰქონდა და ბიუსტპალტერში ბამბებს იტენიდაო. დღეს ამგვარი პრობლემა აღარ არსებობს; საკუთარი სახის თუ სხეულის შეცვლა-გადაკეთება ანუ ფსევდოგარეგნობის მიღება ყველას შეუძლია, მაგრამ ეს დიდ თანხებს მოითხოვს და აი, როგორ იყენებენ ამას მარიფათიანი ბიზნესმენები თავიანთ სასარგებლოდ: მკერდის გადიდების ოპერაციის დაფინანსება ფინეთის უმსხვილესმა ავიაკომპანიამ შესთავაზა მგზავრებს, თუკი ისინი მის თვითმფრინავებში 120-ჯერ იფრენენ ბიზნესკლასით.

ახალი ზელანდიის ქ. ოკლენდში ყოველწელს იმართება პორნოალღუმი. ღონისძიებაზე პორნოინდუსტრიის ერთ-ერთი კამკაშა ვარსკვლავი 27 წლის ჩელსი შარმსიც გამოჩნდა, რომლის მკერდი 24 კგ იწონის. მაგრამ გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის პატივი ამერიკელ მოდელს, სტრიპტიზის მოცეკვავეს და პორნომსახიობს მაქსი მაუნდს აქვს მოპოვებული, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის მკერდის იმპლანტანტების მფლობელს. ორივე ქალბატონის და კიდევ სხვათა ხელოვნური მკერდების ხილვით ქართულმა პრესამაც „გაგვაბედნიერა“.

გასული საუკუნის 60-იანი წლების სექსუალური რევოლუციის (იგივე კონტრკულტურის) ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი, დღეს განხილული ფრანგი ფილოსოფოსი **ჟან ბოდრიარი** ბოლოდროინდელ ნაშრომებში უსასტიკეს დიაგნოზს უსვამს თანამედროვე ცივილიზაციას – პირველყოფილი საზოგადოების კულტურულ დონეზე დაებრუნდითო, მთელი კულტურა განუსხვავებლობის ვირუსულ პროცესშიაო ჩართული, „პოლიტიკა სპეცტაკლად გადაიქცა, სექსი – რეკლამად და პორნოგრაფიად; ღონისძიებათა კომპლექსია, რასაც კულტურა ერქვა, კულტურა ქსეროქსის დონემდე დავიდა“. ბოდრიარი იმასაც ამბობს,

– რომ ყველა თანამედროვე გამოკვლევა, განსაკუთრებით ბიოლოგიური, გენეტიკური შეცვლის სრულყოფისკენ არის მიმართული. დღეს აქტუალური ხდება შეკითხვა: „კაცი ვარ მე თუ ქალი?“

უთვალავია სქესთან და სექსთან დაკავშირებული შეკითხვა-გამოკითხვები თუ კონკურსები: სექსუალური მსახიობი, სექსუალური სხეული, სექსუალური ტანსაცმელი, სექსუალური ავტომობილიც კი. „გულახდილი საუბრები სექსზე“ – ქართული ელექტრონული მედიის ოცნება ალბათ მალე ახდება. გადაცემის წამყვანობის ერთ-ერთმა ამბიციურმა პრეტენდენტმა ქალბატონმა ინტერვიუში განაცხადა: „წარმოგიდგენიათ ისეთი ქვეყანა, სადაც სექსზე არანაირი ინფორმაცია არ აქვთ? პირადად მე ინტერნეტში ახლახან ამოვიკითხე ისეთი რამ, რაზეც მანამდე წარმოდგენაც არ მქონდა. დაქალთან ერთად ვიყავი და ეკრანს ორივე ყბადაფრენილი ვუყურებდით. მოკლედ, მსგავსი ტიპის გადაცემა საქართველოს სჭირდება კი არა, ძალიან სჭირდება!“

იმ ქვეყნებიდან კი, სადაც ამგვარი გადაცემები აქვთ და მოსახლეობის სექსუალური განათლებისთვის თავს არ ზოგავენ, მასმედია ასეთ ფაქტებს იტყობინება: აშშ-ში ქალიშვილების ყრილობა გამართეს; მონანილეებს სხვადასხვა საგნებიც გამოუფენიათ, რომლებიც ქორწინებამდე სექსზე უარის თქმის პროპაგანდისთვის იყო შექმნილი, მათ შორის ქვედა საცვალის წარწერით – „სდექ! უცხო პირთა შესვლა აკრძალულია“; ყრილობის მონაწილეთა რაოდენობა უმცირესი იყო – სამასნახევარ მილიონიან მოსახლეობაში მხოლოდ 200-ს გაუბედავს – ქალწულობა ხომ სამარცხვინოდ არის აღიარებული დღეს; ის კი არა, ე.წ. თავისუფალი სექსის, იგივე პრომისკუიტეტის კიდევ უფრო მეტად ნასახალისებლად აშშ-ში უკვე ოფიციალურად გაიცა ნებართვა სპეციალური პრეპარატის ქსელში გაშვებაზე, რომლის ყოველდღიური მიღება მენსტრუალური ციკლის საერთოდ შეწყვეტას განაპირობებს. პერიოდულობის შემამცირებელი პრეპარატი დიდი ხანია იყიდება აშშ-ში, ახალი პრეპარატი კი სექსის ხელისშემშლელ ამ მოვლენას სამუდამოდ დაუსვამს წერტილს.

უზომოდ ნახალისებული და სექსუალური განათლებით აღჭურვილი ადამიანების ფანტაზიებს და ნამოქმედარს მასმედია ფართო აშუქებს: ლონდონში 51 წლის რობერტ სტიუარტი პოლიციელებმა საკუთარ ველოსიპედთან სექსუალური კავშირის გამო დააკავეს; ეს ქუჩაში ხდებოდა. 37 ამერიკელი ქალი ეიფელის კოშკთან დაქორწინდნენ; ერთ-ერთ მათგანს წარსულში ბერლინის კედელი უყვარდა და, მისივე თქმით, ღობის ნაწილთან, რომელიც მის საძინებელში დღემდე ინახება, ფიზიკური სიახლოვეც ჰქონია. რკინის კონსტრუქციასთან ავსტრიელი ქალიც დაქორწინდა – იგი ცოლად გასართობი პარკის ატრაქციონს გაჰყვა. ამერიკელი „ვირჯინ გალაქტიკ“, რომელიც კოსმოსური ტურიზმის განხორციელებას აპირებს, უამრავ შეკვეთას იღებს და მსურველები, რომლებიც უზარმაზარი თანხის გადახდას აპირებენ, მოითხოვენ, რომ პროგრამაში ჩართონ სექსი ორბიტაზე. ესპანეთის ერთ-ერთი კომპანიის რიგითმა თანამშრომელმა ხელმძღვანელს იმისთვის უჩივლა, რომ ამ უკანასკნელმა იგი სამუშაო საათებში პორნოფილმების ყურების გამო სამსა-

ხურიდან დაითხოვა; მოსამართლემ შეფის სანინალმდე-
 გო განაჩენი გამოიტანა, გამოგდებული თანამშრომელი
 დააბრუნებინა და მისთვის პორნოფილმების ყურების
 უფლების მინიჭებაც მოითხოვა. „ვოლ-მარტის“ სუპერ-
 მარკეტების გერმანული ქსელის თანამშრომლებს რომა-
 ნის გაჩაღება ნებისმიერ კლიენტთან პირდაპირ დახლებს
 შორის შეუძლიათ და სუპერმარკეტის ტუალეტებში. სა-
 ერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ ჩინელ სტუდენტებს
 ხელისუფლებამ კვირაში ერთხელ სექსის უფლება მისცა,
 ოღონდ დამცავი საშუალებები უნდა გამოიყენონ უეჭვე-
 ლად და ამას სპეციალურად მოვლინებული ადამიანები
 გააკონტროლებენ – როგორ? არ კონკრეტდება. აშშ-ს
 სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთმა კაპელანმა კურსან-
 ტი, რომელიც მასთან კონსულტაციებზე დადიოდა, გააუ-
 პატიურა, თან შიდსით ყოფილა დაავადებული ეს სასუ-
 ლიერო პირი; სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა მას
 მხოლოდ 2 წლით მიუსაჯა. ლონდონის ერთ-ერთმა სკო-
 ლამ მაცურებელს შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ წა-
 რუდგინა სახელწოდებით „რომეო და ჯულიანი“, რომე-
 ლიც ჰომოსექსუალების სიყვარულს მიეძღვნა. ინდოეთში
 ნ მილიონამდე ტრანსსექსუალი და საჭურისი ყოფილა,
 უამრავი საზოგადოებრივი მოძრაობა ჰქონიათ დაფუძნე-
 ბული და მათ მიაღწიეს, რომ საარჩევნო მოწმობების და
 რეგისტრაციის სხვა ფორმების გრაფაში – სექსი არა სა-
 ყოველთაოდ მიღებული „მამრობითი“ ან „მდედრობითი“,
 არამედ „სხვები“ ჩაიწერა, ანუ ინდოეთში მესამე სექსი
 „სხვები“ დააკანონეს. ჰოლანდიელი პედოფილები ახალი
 პარტიის დაფუძნებას გეგმავენ, რათა პარლამენტში მოხ-
 ვდნენ და ცხოველებთან სექსის ლეგალიზება, ქუჩაში
 შიშვლად სიარული, ტელევიზიაში პორნოფილმების დღის
 ნებისმიერ დროს ჩვენება საკანონმდებლო ორგანოს ტრი-
 ბუნნიდან მოითხოვონ; ალბათ მიაღწევენ, ჰოლანდია ხომ
 ძალიან, ძალიან დემოკრატიული ქვეყანაა – მაგალითად,
 ჰოლანდიელმა ქალბატონმა შენონ მატისმა, რომელიც
 ჯადოს აკეთებს და ჯადოქრობის შემსწავლელი კურსე-
 ბიც აქვს გახსნილი, სახელმწიფოსგან გადასახადებზე შე-
 ლავათების მიღება მოახერხა. ევროპული მამაკაცების ნა-
 ნილმა ასოციაცია „მამაკაცები კაბებში“ შექმნა; ორგანი-
 ზაციის წევრები ყველგან კაბებით, კოლოტებით და
 ნორმალური კაცისთვის შეუფერებელი სხვა აქსესუარე-
 ბით დამშვენებულები დადიან და თან ამტკიცებენ, – არც
 გარყვნილები ვართ, არც გეები.

ცნობილმა ფრანგმა დრამატურგმა **ჟან-პოლ სარტრმა**
 „პედერასტული მატრიაქატი“ უწოდა „ჰიბრიდული არსე-
 ბის“, „ფალსიფიცირებული ქალურობის“, „პოლიმორფული
 სექსუალობის“ იდეებიდან გამომდინარე ვითარებას.

მედია იმასაც იტყობინება, რომ იაპონელები სექსისგან
 იმდენად გადაღლილან, ლამის ისეთი იეროგლიფების ამო-
 ლებას მოითხოვენ, ამ სიტყვას რომ ახსენებთ. ვითარებას
 ჯანდაცვის სამინისტროც შეუფოთებია – ფრაგვიდულო-
 ბიდან გამომდინარე მოსალოდნელი დემოგრაფიული კა-
 ტასტროფის გამო. მართალია, მეცნიერები გვაიმედებენ, –
 მალე ადამიანისათვის ცხოველების ორგანოების გადანერ-
 გვა გახდება შესაძლებელი, მაგრამ მომავალს ადამიანის
 და მანქანის ნაერთს – კიბორგს უწინასწარმეტყველებენ
 და არა მარტო ფუტუროლოგები, სერიოზული მეცნიერე-

ბიც, თუ ადამიანის გამოტვივება-გატუტუცება და მანქა-
 ნების დაჭკვიანება ასეთი ტემპით გაგრძელდება. ზემოთ
 ნახსენები ქალი-თოჯინების და სხვა უამრავის გარდა,
 იაპონელმა სპეციალისტებმა ქალი-რობოტი შექმნეს, რო-
 მელიც პოდიუმზე მოდელებს გაუნეცს კონკურენციას.

მოდელს ვინ ჩივის, როცა თანამედროვეობის ყველაზე
 გამოჩენილი ფიზიკოსი, **სტივენ ჰოკინგი** ადასტურებს რა
 გენური ინჟინერიის და კომპიუტერების დიდ მიღწევებს,
 ამბობს, – რომ ისინი ჩვენი მომავალი სიცოცხლის სახეს
 შეცვლიან. „ახლა გამოკვლევებში უდიდეს დახმარებას
 გვიწვევენ კომპიუტერები, მაგრამ ისინი ადამიანის გონე-
 ბამ უნდა მართოს. თუმცა, განვითარების სიჩქარის ექსტ-
 რაპოლაციას თუ მოვახდენთ, სრულიად რეალური მოგ-
 ვერვინება, რომ მომავალში თეორიულ ფიზიკას ისინი
 მთლიანად აიღებენ თავის თავზე. ისე რომ, შესაძლოა,
 თეორიული ფიზიკისა თუ არა, ფიზიკოს-თეორეტიკოსე-
 ბის დასასრული უკვე ჩანს“.

მსოფლიოში რობოტტექნიკის წამყვანი სპეციალისტი,
 რედინგის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) კიბერნეტი-
 კის პროფესორი, დოქტორი **კევინ უორვიკი**, რომლის მეც-
 ნიერული და პრაქტიკული კვლევის სფერო ხელოვნური ინ-
 ტელექტია და მასზე კონტროლი, თავის ფუნდამენტურ
 ნიგნში „**March of the Machines**“ ასაბუთებს, რომ „არ არსე-
 ბობს არც თეორიული, არც ფიზიკური და არც მაგიური
 დაბრკოლებები იმისათვის, რომ ხელოვნური ინტელექტი
 ჯერ გაუთანაბრდეს ადამიანისას, შემდეგ კი გაუსწროს კი-
 დეც [...]. მანქანები ძალიან მალე შესძლებენ ბოლო მოუღონ
 ჩვენს კონტროლს და საერთოდ ადამიანის ბატონობას დე-
 დამინაზე“. წამყვანი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ
 არსებობის მანქანურ ფორმაზე გადასვლა შესაძლებელია,
 შესაძლებელია მანქანური ევოლუცია: „მანქანები უნდა
 განვიხილოთ როგორც ახალი, დღემდე არნახული სიცოცხ-
 ლის ფორმა დედამინაზე და არა როგორც კიდევ ერთი ახა-
 ლი არაბიოლოგიური სახეობა. სრულებით არ არის აუცი-
 ლებელი, რომ ევოლუცია ადამიანით დასრულდეს, რო-
 გორც გაბატონებული ფორმით. ადამიანებსაც თავიანთი
 ვადა აქვთ განკუთვნილი, როგორც დინოზავრებს, რომლე-
 ბიც გაჩნდნენ, ძლიერების პიკს მიაღწიეს და შემდეგ ამოწყ-
 დნენ. ეგებ ჩვენც უბრალოდ ამოვწყდებით ამა თუ იმ მიზე-
 ზის გამო, თუმცა უფრო შესაძლებელია, რომ გაგვაძვირონ“.

ერაზმუს როტერდამელის „სისულელის ქება“ შესავა-
 ლით იწყება: სისულელე, ბერძნულად მორია, თავს წარუდ-
 გენს აუდიტორიას და შემდეგ თავისი ზოგადსაკაცობრიო
 უნივერსალური ძალაუფლების დასაბუთებას იწყებს; ქალ-
 ბატონი მორიას მტკიცებით, – სისულელე ადამიანის ცხოვ-
 რების და ბუნების ფუძემდებელია ჩადებული; აღწერს სისულე-
 ლის სხვადასხვა სახეობებს; იერარქიაში პირველ ადგილზე
 მთავრობები და ზოგადად პოლიტიკაა: „მეფეებს თავიანთი
 სულელები უეჭველად უფრო უყვართ, ვიდრე დღევრემილი
 ბრძენკაცები. ამგვარი უპირატესობის მიზეზი ისევე ნათე-
 ლია, როგორც ნაკლებად გასაკვირი: ბრძენკაცები ჩვეულე-
 ბისამებრ მეფეს ნაღვლიან ამბებს მოახსენებენ და ხანდა-
 ხან გესლიანი სიმართლით ნაზ ყურებს შეურაცხყოფენ. და
 პირიქით, მასხარების სულელური საქციელი, მათი ლათაი-
 ები, სიცილი, ლაზღანდარობა მონარქებს უფრო სიამოვნ-
 ებთ“. ამის საუკეთესო დასაბუთებაა **პეტრე პირველის**

1715 წ. გამოცემული „უკაზი“: „ხელქვეითს მკვირცხლი და მოტუტუცო შესახედაობა უნდა ჰქონდეს, რათა უფროსობა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს თავისი გონიერებით“. ეს „უკაზი“ საქართველოში დღეს უნივერსალურ კანონად არის გადაქცეული ყველა სფეროში.

გატუტუცების ინტენსიურ პროცესში პოლიტიკას ხელოვნება მოსდევს. მაყურებლის გასატუტუცებლად და საკუთარი სიტუტუცის აღმატებული ხარისხის მოსაპოვებლად განსაკუთრებით თავგამოდებულია დღევანდელი ქართული თეატრი, განვითარებული ქვეყნების თეატრებში ახალი გატაცება – კინოსთვის დამახასიათებელი ძვირადღირებული (და იაფფასიანი) სპექტაკლებია და სხვადასხვა ფანტასტიკური არსებების გამოყვანა. ქართულ თეატრს ამ „დასავლურ სტანდარტთან“ მიახლოება ხელმოკლეობის გამო არ შეუძლია. ხელმისაწვდომი „სიახლე“ მხოლოდ კვამლია – უხვად იფრქვევა ყველა თეატრში და ყველა სპექტაკლში – ეს აუცილებელი შტამპია, რომლის ზემოქმედება მაყურებლებში ხველებას და თვალების წვას იწვევს (ალბათ გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების უფარგის ხარისხის გამო). ჩემს ერთ კოლეგას ენამოსწრებულად უთქვამს, – ალბათ იმიტომ აკეთებენ, ისინი (მსახიობები) რომ ვერ დაეინახოთ. „ისინი“ – დღევანდელ სცენაზე წარმოდგენილი, კვამლი მოტივიტივე, კვამლივით გამოშინებული, სულიერების და აზროვნების უნარჩამორთმეული, უტყვი და თუ მეტყველებენ, გირჩევენია ხმა არ ამოიღონ...

ქართული თეატრისთვის ხელმისაწვდომი გახდა „დასავლური სტანდარტის“ სიახლე – ბილნსიტყვაობა. ქუჩურ ბილნსიტყვაობაზე 2010 წ. საშობაო ეპისტოლეში გაამახვილა ყურადღება ჩვენმა პატრიარქმა. კიდევ კარგი, უწმინდესსა და უნეტარესს არ მოუსმენია, რა გინებები იფრქვევა აკადემიური თეატრების სცენიდანაც კი. არ მინდა, დავასახელო ან გარდაცვლილი, დიდ ინტელექტუალად შერაცხული პიროვნება, ვინც ეს პირველად გააკეთა თავის დადგმულ სპექტაკლში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. დღეს კი უკანასკნელი სიტყვებით არა მარტო მამაკაცები, ქალი მსახიობებიც იგინებიან და ვაი, რომ ეს მაყურებლის აღტაცებას და ტაშს იწვევს. თუმცა შესაძლოა იმიტომ, რომ მსახიობების მიერ ფათხა-ფუთხით ჩაბურღილებული მთელი ტექსტიდან მხოლოდ გინებების გარჩევაა შესაძლებელი, დანარჩენს ერთ სიტყვასაც ვერ გაიგებ. დამანგრეველი რეფორმების ტალღამ თეატრებში რეჟისორის შტატი გააუქმა. ეს იგივეა, საავადმყოფოებში მარტო ექთნები და სანიტრები რომ დატოვონ, ქირურგები და ექიმები კი მოიწვიონ, თან ფული მათვე მოატანინონ – სადადგმო ხარჯების თანხა რეჟისორმა თვითონ უნდა იშოვოს. ვინ ახერხებს დღეს ამას? არ არის ძნელი გასარკვევი – სახეზეა მათ მიერ დადგმული სპექტაკლები. თეატრების ამჟამინდელი მესვეურები ზუსტად ასრულებენ პეტრე პიროვლის „უკაზს“. გართობის მოყვარული თავიანთი მამა-მარჩელის საამებლად მასხარების როლი თავად იკისრეს, ჭყეტელა ფარდა იფარეს და არც დაკარგულ მინა-წყალს და არც ქუჩაში სამათხოვროდ გამოსულ თითქმის ნახევარ მოსახლეობას ვერ ამჩნევენ. დღეს სექსი და უხამსობა ყოფილა აქტუალური.

პატრიარქმა თავის ეპისტოლეში ქართულ ენაზეც გაამახვილა ყურადღება. სწორი მეტყველების ეტალონის შექ-

მნას ადრე ქართული თეატრიც ემსახურებოდა და გრიგოლ ორბელიანის შეგონებაც კარგად ახსოვდა: „რა ენა ნახდეს, ერი დაეცეს“. განათლების იდიოტურმა რეფორმამ თეატრის და კინოს უნივერსიტეტში მეტყველების კათედრა შეინირა. რეჟისორებს საერთოდ არ ასწავლიან მეტყველებას, თუმცა, თუნდაც ასწავლონ და კათედრაც რომ არსებობდეს, აღარ აქვს მნიშვნელობა: რეფორმატორებმა ისე „განავითარეს“ ცხოვრებითი მალიკო მრევლიშვილის მიერ შექმნილი სასცენო მეტყველების ბრწყინვალე სკოლა, რომ თუ მომავალი მსახიობების გაკვეთილებზე ან გამოცდებზე მოხვდები, ვერ გამოარჩევ მეტყველებისა თუ ფიზიკულტურის. ძალიან კარგია და საჭირო ლამაზი პლასტიკა სცენაზე, მოქნილი უნდა იყოს მსახიობის სხეული, მაგრამ დრამის თეატრი, უწინარესად, ვერბალური ხელოვნებაა არის. დღევანდელი თეატრი კი, ვერ გაიგებ, პანტომიმაა, ბალეტი, თუ რაღაც გაურკვეველი სახეობა. თან ყველა თეატრის, ყველა რეჟისორის სპექტაკლები ტყუპებით ერთნაირია თბილისშიც და სხვა ქალაქებშიც. ყველგან ერთნაირია განსაკუთრებული სიუხვით და მონდომებით წარმოდგენილი, სპექტაკლის აუცილებელ მომენტად მიჩნეული სექსის გამოშხატველი სცენები, რომლებიც ავადმყოფურ ონანიზმს უფრო ჰგავს, მაგრამ დედის გინების მსგავსად, მაყურებლის ოვაციებს იმსახურებს.

მეტყველების უნარი და საკუთარი ენა უფლის ჯილდოა. ქართული ენის „დასავლურ სტანდარტზე“ მორგება ქართველების გატუტუცების სავალალო მაგალითია. უბედურება ის არის, რომ ეს არა უნებლიე, არამედ მიზანმიმართული, ხელოვნური და ამიტომ საშიში სიტუტუცეა. ამის თქმის საბაზს საქართველოს კულტურის მინისტრის მრჩეველის განცხადება მძღვეს: იგი საჭიროდ მიიჩნევს წარსულის დაინყებას, გადაკეთება-ამოძირკვას, ვინაიდან ამის მეშვეობით ქართველებში „ახალი მენტალიტეტის“ ჩანერგვას აპირებს ძველის ნაცვლად. რანაირია ეს „ახალი მენტალიტეტი“ არ დაუკონკრეტებია გაურკვეველი საქმიანობის და დამსახურების ამბიციურ ქალბატონს და, სამწუხაროდ, ისიც არ სცოდნია, რომ ზუსტად ასეთივე იყო ბოლშევიკების ჩანაფიქრიც – მენტალიზმის შეცვლა, ოღონდ ბოლშევიკები პირდაპირ ამბობდნენ, რისი მიღწევა უნდოდათ და, რაც მთავარია, ამ ქალბატონმა, საუბედუროდ, არ იცის, რომ ადამიანების მენტალიზმის გადაკეთების მცდელობა ამპარტავნობაა, ამპარტავნობა კი დიდი ცოდვაა. კიდევ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, როცა ჩვენს კულტურას ასეთი მოძღვარი ჰყავს. ჩემი ვარაუდით, „ახალ მენტალიტეტში“ ალბათ იმას გულისხმობენ, რაც, როგორც არაერთხელ მომხდარა, მხატვრულ ნაწარმოებებში წინასწარმეტყველებასავით გაცხადდა:

ევენ იონესკოს შედევრის „მარტორქის“ მეტაფორაში, პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე, ზოგი ფაშიზმს ხედავდა, ზოგი კომუნიზმს; ჩემი აზრით, მეტაფორა უფრო ფართოა – ეს ზოგადად ადამიანის გაცხოველებება, გავლურება, გაპრიმიტივობა, ერთი სიტყვით, ანიმალიზაცია. ამავე თემაზე იუნესკოზე 30 წლით ადრე დაუმსახურებლად მივიწყებულ ჩვენს **კარელ ჩაპეკს** აქვს დანერილი რომანი „სალამანდრებთან ომი“ და აქ „გამარტორქების“ მაგვირად ადამიანების „გასალამანდრება“ ხდება. დღევანდელი გლობალიზაციის, იგივე სტანდარტიზაციის საჭირობოტო პრობლემას ჩაპეკი უფრო

მწვავედ წინასწარმეტყველებს, თუნდაც, განათლების იმ სისტემის შემოღებით, რომელიც საუკეთესოდ უწყობს ხელს ე.წ. რიგითი საშუალო ადამიანის ჩამოყალიბებას: სალამანდრების მიერ რეფორმირებულმა სკოლამ უარპყო ჰუმანიტარული დისციპლინები – ლიტერატურის და ისტორიის სწავლება და მთელი ყურადღება ტექნიკურ სწავლებაზე გადაიტანა; „სწავლების ეს პროგრესული სისტემა“ ანუ „პრაქტიკული ცხოვრების სკოლა“ სულ მალე ადამიანების შურის საგნად გადაიქცა.

ადამიანების გამოშვიგების, გამანქანების პროცესს დღეს, სამწუხაროდ, ხელოვნება წინ მიუძღვება; მიზანი-მართულად ხორციელდება პოსტმოდერნისტული დეკონსტრუქტივიზმის მიერ დადგენილი კულტურის ცენტრიდან ადამიანის გამოდევნის ჩანაფიქრი. ეს ყველასთვის ადვილია და ხელმისაწვდომი: სად სრულქმნილებისაკენ მიმავალი ძნელი გზა – „ინრობჭე“ და სად „ფართო გზა, რომელსა მიჰყავს წარსანყმედლად და მრავალნი ვლიან მას ზედა“ (მათე 7:13). რალა გასაკვირია, რომ მამაზეციერი აღარ გვიგზავნის ნიჭიერ მწერლებს, რეჟისორებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს და არც პოლიტიკოსებს.

იდეა იმის თაობაზე, რომ ჩვენი სამყარო საფრთხეშია, რომ კაცობრიობას ჩასვენება ან დაღუპვა ემუქრება სხვადასხვა ეპოქებში არსებობდა და გარკვეული პროგნოზები და თან პესიმისტური დღესაც კეთდება: ბრიტანელი მეცნიერი Adam K. Webb თავის ნიგნში „Beyond the global Culture War“ კაცობრიობის ისტორიის მის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის განხილვისას, დიდ ადგილს უთმობს გლობალისტების საოცნებო „ატომისტური ადამიანის ცივილიზაციას“ და უყურადღებოდ არ ტოვებს მისთვის დამახასიათებელ კულტურულ პლურალიზმს (მისი თქმით, კულტურულ პათოლოგიას), წარსულის გადაკეთებას, ანემიურ ტოლერანტობას, ეთიკურ ანემიას, მარგინალიზაციის გაფეტიშებას, იდენტურობის ფრაგმენტაციას, მეტაპოლიტიკას, ფასადის კულტს, პრაქტიკულ მორალს, იდეალებზე თავდასხმას, სულის ინფექციას, რელიგიური სექტების ნაქეზებას, პროგრესის ნაცვლად ბაზრის გაფეტიშებას და სხვა. „პლატონიდან ნატომდე“ – ასეთია მეცნიერის დასკვნა, რომელსაც მიაჩნია, რომ „ოპტიმიზმის საფუძველი არა გვაქვს“.

სტივენ ჰოკინგის თქმით, შესაძლებელია, „კაცობრიობა ის ჩიხი აღმოჩნდეს, სადაც ბუნებრივი გადარჩევა მივა. შესაძლებელია, სადაც გალაქტიკაში სხვა გონიერმა არსებებმა უკეთეს ბალანსს მიაღწიონ პასუხისმგებლობასა და აგრესიულობას შორის. შესაძლებელია, მათ ჩვენი არსებობა იციან, მაგრამ არ სურთ გვეჩვენონ. ჩვენი ისტორიის გათვალისწინებით ეს, შესაძლოა, გონიერული იყოს“.

სხვათა შორის, ყველაზე პესიმისტური პროგნოზი არაპესიმისტ **გოეთეს** აქვს გაკეთებული ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში: „მე ვწინასწარმეტყველებ დროს, როცა კაცობრიობა უკვე აღარ გაახარებს უფალს და იგი იძულებული იქნება კვლავ დაანგრეოს ყველაფერი განახლებული ქმნილებისათვის“.

შეგვიძლია დღეს დამაიმედებლად ჩავთვალოთ **შექსპირის** სიტყვები, „იულიუს კეისარში“ კასიუსს რომ წარმოათქმევინა – „ზოგჯერ ადამიანები მჭედლები ვართ საკუთარ ბედის“?

ვახტანგ დავითაია

„იყავი მიმტვეხელი“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა უძლური ხარ სისასტიკის და უსამართლობის წინაშე.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც ახლა ვცხოვრობ, თბილისში. საცხოვრებელი არ არის მხოლოდ კომფორტული გარემო, ის გაცილებით მეტია, ადგილი სადაც გიხარია და გტკივა.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— იყო ბედნიერი, ეს ნიჭია. ის ან გაქვს ან არ გაქვს.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?

— დონ კიხოტი, დათა თუთაშხია, მუშნი ზარანდია...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი, ცოტნე დადიანი...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ნიკო ფიროსმანი, სანდრო ბოტიჩელი, ზურაბ ნიჭარაძე, დიმიტრი ერისთავი, ლევან ცუცქერიძე, ილია პატაშური, არაერთი იმპრესიონისტი, სოცრეალისტი, პერედვიჟნიკი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— იავნანას, ჩელას, ოდოიას, ჩაკრულოს, ხასანბეგურას, მრავალჟამიერის და სხვათა შექმნილები. ჯუზეპე ვერდი, ზაქარია ფალიაშვილი, ბიძინა კვერნაძე, გია ყანჩელი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცებში?

— სიტყვის კაცობას, პასუხისმგებლობის გრძნობას.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— საკუთარი ღირსების შეგრძნებას.

— რომელი ადამიანური სათნოება არის თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?

— სამართლიანობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— არქიტექტურა, მხატვრული და მემუარული ლიტერატურის კითხვა, ზაფხულში სოფელში ეზოში „ფუსფუსი“.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ვახტანგ დავითაია.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სამართლიანობა, სიზუსტე, შრომა, შრომა, შრომა...

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სანდოობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მოგესხენებათ, მეგრელების მთავარი ნაკლი ისაა, რომ ნაკლი არ გვაქვს; რაც შემეხება, მე ჩემი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ნაწყენობას, უტაქტო, უსიამოვნო ამბებს ვერ ვიმახსოვრებ, შეიძლება არ ვიმახსოვრებ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— თანხმობა ოჯახში, ქვეყანაში, მთელს სამყაროში.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— გარდაცვალება ტკივილით.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ისეთი როგორიც ვარ, ბუნებით თვითკმარი ადამიანი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი, ზურმუხტისფერი — გააჩნია სად.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია, ყოჩივარდა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— შაშვი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, ტოლსტოი, დოსტოევსკი, მარკესი, აიტმატოვი. კიდევ ბევრი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ანა, მუხრანი, მურმანი, ვაჟა ეგრისელი, კიდევ არაერთი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მოყმის დედა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ბერი თევდორე, გრიგოლ ფერაძე, პროფესორი ჟორდანიას.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული, არა “გმირიდან” თავადის ქალი მაია.

— საყვარელი სახელი?

— ნინო, მარიამი, გიორგი, ანა მარია, ქრისტინე, სალომე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— საჩვენებელ სიკეთეს, საჩვენებელ ღვთისმოსაობას, საჩვენებელ პატრიოტიზმს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა.



— ადოლფ ჰიტლერი, ლავრენტი ბერია, სხვებიც, ბევრია.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ისტორიის მიხედვით სპარტელეების გმირობა თერმოპოლეში, დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— შორს არ წავალ, საქართველოს განათლების სისტემის ალვირახსნელი ალებ-მიცემობისგან განთავისუფლება, საქართველოს პოლიციის ტრანსფორმაცია, მორალური, ფსიქოლოგიური.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკალური ნიჭი.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— ისეთი, როგორც “ერგო” მამას. მის ცხედართან სენაკელები ამბობდნენ: “ჰა, რა პატიოსანი კაცი წავიდაო”.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— აფორიაქებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ქმედება, მათ შორის სასტიკიც კი, რომელიც დაკავშირებულია ოჯახის, პირადად შენი, თუნდაც უცნობის ღირსების დაცვასთან.

— თქვენი დევიზი?

— ადამიანები ხომ სხვადასხვანაირი იბადებიან, იყავი მიმტევებელი.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ჩემს მიერ შენთვის გაღებული ნიჭის ფარგლებში ყველაფერი გააკეთე. ამქვეყნად შენი მოვლინება გამართლებული იყო.

სინანული და ბოდიში

ძვირფასო მკითხველო, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ წინა ნომერში (2010, №13) გამოქვეყნებული მარსელ პრუსტის ანკეტა შეცდომით დაიბეჭდა —

ნაცვლად

ბაჩანა ბრეგვაძის სახელისა და გვარისა, ასევე ფოტოსი, უნდა ყოფილიყო

ბაჩანა ჩაბრაძის ფოტო და სახელი და გვარი, რადგან პასუხები **ბაჩანა ჩაბრაძეს** ეკუთვნოდა.

მართალია, მარსელ პრუსტი კითხვებს ველარ შეცვლის, გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ ცოცხალ ადამიანებს კი, ჩვენდა სასიხარულოდ, შეცდომების გამოსწორება შეგვიძლია, და მეც ვისარგებლებ ამ შესაძლებლობით, გასულ ნომერში გაპარულ შეცდომას ამ ნომერში

გამოვასწორებ, ბოდიშსაც გულწრფელად მოგიხდით.

პირველ რიგში ბატონ **ბაჩანა ბრეგვაძეს**, უაღრესად განათლებულ და უკეთილშობილეს ადამიანს და შემოქმედს; მერე **ბაჩანა ჩაბრაძეს**, ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდა მთარგმნელს, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს ნლებია და რა თქმა უნდა, თქვენ ჩვენს ერთგულ მკითხველს.

იმედი მაქვს, ბატონ **ბაჩანა ბრეგვაძესთან** შეხვედრაც, თუნდაც მარსელ პრუსტის ანკეტის კითხვარის მეშვეობით, ძალიან მალე მოხდება — ჩემთვისაც და მკითხველისთვისაც ეს ძალიან სასიხარულო მოვლენა.

ნატა ვარადა

რაც ამ მოთხრობაში ხდება, ამაზე თითქმის აღარ წერენ. უფრო ზუსტად, წერენ, როგორ არა, მაგრამ ეს ე.წ. ბუნების წიაღში გასეირნება და აღწერილობა რალაციტ დღევანდელი დესტრუქციული ვერლიბრის სამყაროდან კონვენციური ლექსის ტრადიციულ წიაღში დესანტის გადასხმას ჰგავს დავალებით: დაათვალიერე, შეისწავლე და აღბეჭდე გადავიწყებული, თითქმის მოძულებული მთა, და ამ შემოქმედებულ კაკაფონიაში ძველი მოტივივით წაილილინე. შენი ემოციები, განცდები ჯვარედინა რითმების შემწეობით გააცოცხლე, ამოთქვი, აამუსიკე.

არაფერი გამოდის აქედან, რადგან ბუნება მართალია მარადიულია, მაგრამ თავისი შიშითა და სულსწრაფობით ადამიანი შეიცვალა ძალიან. ამიტომ ნებისმიერ სიფაქიზეს ეჭვის თვალთ უყურებს და არ ენდობა. ხელოვნური და არაბუნებრივი ეჩვენება ეს „ლირიკული გადახვევები“. სკეფსისის ეკლებს შემოტევას სულ ბოლოს ქართულ პროზაში რევანს ინანიშვილი უმკლავდებოდა. დიდებულად ახერხებდა, რადგან თვითონვე იყო ჩუმი, სუფთა და მშვიდი.

ამ მოთხრობის ავტორიც ასეთია – ბუნებრივია, ნამდვილი, კეთილი. ამიტომაც ახერხებს ტყვიანასროლ დათვს, თოვლის საფარიდან თავამოყოფილ ენძელებსა და ქალაქში დარჩენილ, სტუდენტობისდროინდელი მეგობარი გოგონას სურვილებს ერთად მოუყაროს ფიქრებში თავი. და რაც მთავარია, ამ უცნაური თაიგულის ფაქიზ სურნელს ჩვენც გვაზიაროს.

გივი ჩილვინაძე

მთებში დარჩენილი ნაფიქრალი

აჰა, ისევ დავუბრუნდი ჩემს მთებსა და ტყეებს! გუშინ ჩამოვედი დედაქალაქიდან სოფელში. საღამოს ბავშვობის მეგობრები სუფრას მივუსხედით და დღეს დილით კი ადრეული გაზაფხულის მთებში დავხეტიალობთ. ნუხელ გადავწყვიტეთ აქ წამოსვლა სანადიროდ. გადავწყვიტეთ და აღარ დავგიყოვნებია, მაშინვე თადარიგს შევუდექით.

შვიდნი მივუყვებით დილის მზის სხივებით გახალისებული ტყის ბილიკს. ალაგ-ალაგ უბეებსა და ჩრდილებში ისევ გაყინული თოვლი დევს. ნიფლებსა და რცხილებს ჯერ არ ეტყობათ გაღვიძება, მხოლოდ ტყის თხილები დაბანრულან ყვითლად. შორიდან თოვლიანი მთა დაჰყურებს თავის ფერხით უკიდევანოდ გადაშლილ ნიფლნარებს.

მიდიან, მილაპარაკობენ ბიჭები და მეც მივყვები უკან. მეცინება გულში — აბა, რა მონადირეები ჩვენა ვართ? თოფებიც კი არ გავგაჩნია ყველას. წინ დომენტი მიდის ორღულიანი თოფითა და ნუხელ მშვირად დატოვებული ძაღლით. ეს მართლა სანადიროდაა წამოსული, ნუხელ ჩვენთან არ ყოფილა, მაგრამ ბიჭებმა შეატყობინეს — ნადირობა გვინდა და უშენოდ ვერაფერს გავხდებითო. რამდენიმე დათვი მოუკლავს უკვე და სჯერათ მისი მონადირეობა თანასოფლელებს.

დომენტის მურმანა მიჰყვება თორმეტკალიბრიანი თოფით. თუმცა არ მოსწონთ მისი თოფი ბიჭებს — ერთ მხარეს რომ გაისვრი, ტყვია მეორე მხარეს მიდისო, იცინიან. მეც მომიხდა ერთხელ მისი თოფით წასვლა მთაში. მაშინაც ადრეული გაზაფხული იყო, თითქმის მწვერვალამდე ავალნიე, დიდი თოვლი იყო. ვითომ კალმასა სოკოზე ვიყავი წასული, სინამდვილეში ტყეების ნახვა მსურდა, გაზაფხულის მზით აბრწყინებული თოვლიანი მთები მოვიარე მარტოდმარტო. სათოფე არაფერი შემხვედრია, მაგრამ მაინც ვისროდი — ზამთრის ძილიდან გამომყავდა უდაბური ტყეები. რამდენჯერმე ნიშანში ვისროლე, თუმცა ვერაფერს გავარტყი. არ ვიცი, ჩემი ბრალი იყო თუ თოფის. თითქმის მთლიანად დაუწივი ვაზნები მურმანას, გადარეული იყო — ასე ტყუილად მთელი სავაზნი რამ და-

გაცლევინაო!.. დღეს კი არ უნდოდა მაინცდამაინც სანადიროდ წამოსვლა — ძალით წამოვადგეთ ლოგინიდან, ხათრი ველარ გაგვიტეხა.

მურმანას იულონი მიჰყვება, ჩვენ მოკლედ იულოს ვეძახით. ესეც ძალიანაა ნადირობას მონადინებული:

— ე, ბიჭო, ჩქარა იარეთ, ბეროებში უნდა ავიდეთ, მთის ძირში. თუ გამოსულია ბუნაგიდან დათვი, კვალს ვნახავთ და გავყვებით, თუ არა და, ჩვენ გამოვიყვანთ.

მეცინება მის ტრაბახსა და ფაფხურზე. მართლა რომ დახვდეთ იმ ბეროში ნადირი, არ ვიცი, რას იზამენ, როგორ გამოიყვანენ.

იულოს თედო მიჰყვება ნაჯახით ხელში, თოფი არა აქვს და ვერც ინათხოვრა. არადა, ძალიან განიცდის — უთოფოდ სანადიროდ წამოსვლა ვინ გაიგონაო. იქით ბიჭები დასცინიან სანყალს — შენი იმედი გვაქვს, თოფით თუ ვერ მივუდექით ნადირს, მაგ ნაჯახით მაინც მიწვდებო. თედოსთან ერთად ჭაბუკა მიაბიჯებს. ჭაბუკა კი ჰქვია, მაგრამ მოგვიხუცდა უკვე, შუახანსაა გადაცილებული, ნუხელ ჩვენთან იყო და აგვყვა ახალგაზრდებს, მეც თქვენთან მოვდივარო. ვინ დაუშლიდა? არც ამათა აქვს თოფი. თოფი კი არა, ნაჯახიც არ წამოუღია.

— მე სოკოზე წამოვედი, ვიცი, თქვენ დათვის მომკვლევები არა ხართ, სოკოს კი თოფი რად უნდა? აგერ ჯაყვით შევაჭრი ხეზე, — ხითხითებს იგი.

მის სიტყვებზე დომენტი ბრაზდება და უბღვერს:

— შენ ჭკვიანად იყავი, თორემ სულ მიგატოვებ სადმე, ნაბიჯს არ გადმოგადგმევინებ ჩვენთან ერთად, ჩუმად იარე, შენი ხმა არ გავიგონო.

— უჰ, მიმატოვებ თუ არა, დავიკარგები, აქ არა ვარ გაზრდილი? ბავშვობაში ნახევარჯერ აქ მეძინა, — ტყეს მოავლებს თვალს ჭაბუკა და ისევ ხითხითით მიაბიჯებს. არ იქნა მისი გაჩუმება, ჩვენი სოფლელებიდან ხან ვის აჯავრებს და ხან ვის, გვაცინებს მთელი გზა.

უიარაღო მონადირეებს გიგლა მისდევს. ამან ბიძაშვილისგან ითხოვა თოფი, ოცდათორმეტკალიბრიანი, მაგ-



რამ რად უნდა? — სამი ვაზნა აქვს სულ. ნუ გეშინია, აგერა გვაქვს ვაზნები და მოგცემთო, ეხუმრებიან ბიჭები. გიგლას კი რაში გამოადგება ჩვენი ვაზნები — დომენტის, იულოსა და მე თექვსმეტკალიბრიანი თოფები გვაქვს, მურმანას კი — თორმეტიანი.

მე განზე მივაბიჯებ, მათ საუბარში იშვიათად ვერევი. მონატრებული ტყეების ხილვითა ვარ მოხიბლული და ხარბად ვათვალისწინებ ნაზამთრალ ხეებსა და ფერდობებს, ნიფლების ტყვრებსა თუ ახალახმაურებულ ღელეებს. თოფი უდიერად მაქვს გადაკიდებული, ხელში ფოტოაპარატი მიჭირავს და ხანდახან ვიღებ მზერის დამატკობელ ხედებს.

— მაგ ხეებს რომ უღებ სურათებს, ჩვენ გადავიღე, არ სჯობია, ეგენი რაში გამოადგება? — მეძახის გიგლა.

— ოჰ, გადავიღოს თუ არა, შენც ნანადირევი შველი გაქვს მხარზე მოგდებული, — დასცინის იულო.

გადავულე უკვე რამდენჯერმე ყველას, მაგრამ ვერ წარმოუდგენიათ, ტყის სურათები რაში მჭირდება. ესენი ძირითადად სოფელში ცხოვრობენ, ხშირად დადიან ამ ტყეებსა და მთებში, არასდროს მონატრებიან. მე კი ზამთრის ღამეებში წარმოვიდგენ აქაურობას, გადაბარდნილ, ფიფქებში ჩამყუდროებულ უღრანებს და ნეტარი სითბო და სიმშვიდე ჩამელვრება ხოლმე გულში. და განა მარტო ზამთარში, ყოველთვის სიამეს მგვრის ამ ადგილების გახსენება.

ორ თუ სამ ადგილას შაშვი აფრინდა, ჩხიკვებიც აჩხავლდნენ ჩვენს დანახვაზე, მაგრამ არ უსვრიათ ბიჭებს — მაგაზე ვერ გავისვრით ხელს, დიდი ნადირი უნდა მოვკლათო. ძალიან კმაყოფილი ვარ ამით. თუ ჩხიკვსა და შაშვს თოფს არ ესვრიან, დათვის მომკვლელები ჩვენ არა ვართ და გადარჩენილა ყველაფერი.

რაც მალლა მივიწვევთ, მთისკენ, მით მეტი თოვლი გველობება ნინ. ზემოთ უთოვლო ადგილები თითქმის აღარაა, ისევ თეთრი და ცივი საბნითაა დაფარული მიწა. მხოლოდ ხეებს მოუცილებიათ მთლიანად თოვლის ნარჩენები და გაზაფხულის მზემი გატრუნულნი ნელა გამოდიან ზამთრის ძილიდან. ზამთრისა და გაზაფხულის გზაშესაყარზე ვართ თითქოს ახლა. დიდ, მოტეხილ ნიფელზე ჩამოვსხედით და ვისვენებთ. თედო ირგვლივ უფლის ნაქცევულ ხეს, ათვალისწინებს, იქნებ სადმე სოკო ჰქონდეს გამოშობილი. კალმახა სოკოს ეძებს, ხმელ ხეებზე რომ მოდის. მას ჩვენთან, ადრე გაზაფხულზე მოსულს, ყინვის სოკოს ეძახიან, ხოლო გვიან გაზაფხულსა და ზაფხულში — ჭყუმპლას. გაზაფხულზე მოდის ხმელ ხეებზე მეორე სახის სოკოც — ძერანა.

— დაათვალიერე, თედო, დაათვალიერე, უთოვოდ შენ დათვს ვერ მოკლავ და იქნება სოკო მაინც იშოვო, — ეუბნება მურმანა.

— სოკოს თუ ვიშოვით, თორემ შენი ლულაგაღუნული თოფის იმედზე რომ ვიყო, რა ხეირი დაგვადგება? — იღიმება თედო და ნიფლის გადატეხილი ძირისაკენ მიდის. ნიფელი კი გრძელია და იმდენად მსხვილი, ძირის ახლოს სამი კაცი ვერ შემოაწვდნენ ხელს.

— ისე, რო დავალირეთ თავები და მივყვებით ამ დომენტას და იულოს, მოგვეძებნა სოკოც, რაფა, დათვის მყავე ხორცზე ნაკლებია ჭყუმპლა ან ძერანა? — ამბობს გიგლა.

— ძერანა არ იქნება ჯერ, მარტი არ გასულა, მაგისტრის მეტად უნდა გათბეს ჰაერი, — ამბობს მურმანა, სიგარეტს აბოლებს და მალლა იყურება, ვერ გაიგებ, ნიფლების კენწერობებს უცქერს თუ ცისკენ წასულ კვამლს მიაცილებს თვალს, — ჭყუმპლა კი ყოველთვის მოდის, ზამთარშიც, თუ ოდნავ მაინც გათბა ჰაერი. ახლა უნდა იყოს მოსული, ნავანყდებით სადმე, ამხელა ტყეები გვაქვს მოსავლელი.

— რა სოკო აგიტყდათ, კაცო, ავდგეთ, ავდგეთ, დათვი უნდა მოვკლა დღეს, სოკოსთვის ვის სცალია? — წამოიძახა იულომ და წამოდგა.

— დაგვასვენე, შე კაცო, მოკლავ, აბა, რას იზამ, თანაც ერთსა და ორს? — ღიმილით ვეუბნები იულოს. ტყეების შუაგულში ვარ უკვე და აღარსად მეჩქარება, თუმცა გული მეც ნინ მიმინწვეს ახალი ადგილების სახილველად, — ეჰ, მეტი არ იქნა ჩემი მტერი, თქვენ დათვის მომკვლელები არ იყოთ! — თვალს ვავლებ ყველას.

— აი, დაგვცინის უკვე, ადექით, ადექით! — თქვა დომენტიმ და ისიც წამოდგა თოვლში გამოტილი ნიფლიდან.

— ოჰოჰო, აგერ სოკო! ნახეთ, თუ არ არის! — ნიფლის გადატეხილ ძირთან მისულა თედო და ჩვენკენ იყურება ნიშნისმოგებით, გახარებული, — მოდით, მოდით, ნახეთ!

— ნახა მართლა სოკო ამ გლახამ, — წამოდგა მურმანა.

— ე, ბიჭო, გვეშველა, — აჰყვა გიგლა.

ყველანი თედოსკენ გავემართეთ. ხის გადატეხილსა და მზედაფიცხებულ ძირზე მართლაც ამოსულა კალმახა სოკო, სქელი, რამდენიმე მოზრდილ ბოლქვად შეკრული. ერთი, ყველაზე დიდი შეკვრა სამ კილოგრამამდე იქნება, მოშავო-მოლურჯო, ფართო ფრთები ერთმანეთზე აქვს შეჯგუფული და თეთრი ძირით ხის მერქანს ეკვრის. კიდევ სამ ადგილასაა ასეთი ბოლქვი ამოსული, შედარებით პატარები. თედოს დანა ამოულია და ფრთხილად, აურქარებლად აჭრის სოკოს მერქანზე. სახეზე სიამოვნების ღიმილი დასთამაშებს და თავზე დამდგარ თანამგზავრებს აღარც გვიყურებს.

— აი, ყოჩაღ, თედო, მე არც კი ვაპირებდი ამ ხის ძირთან მოსვლას, — ვაქებ.

— არ გვაჯობა ამ უთოვო კაცმა?! — იცინის მურმანა.

— მოვსულიყავი პირველად ამ ადგილას, დათვი კიდევაც რომ მოკლათ, იმის ხორცს მაინც არ მარგუნებს დომენტა, გაბრაზებულია ჩემზე, — დანანებით ამბობს ჭაბუკა.

— რა მოხდა მერე? იმდენია, ყველას გვეყოფა. კარგია, ხელცარიელი მაინც არ მივალთ შინ, — კმაყოფილია გიგლა.

— ნავიდეთ, ნავიდეთ, მარტო სოკო არ გვეყოფა! — მთის ფერდობისაკენ იყურება იულო.

— არ მომწონს მე ეს ამბავი, — თავს აქნევს დომენტი, — რა დროს სოკო იყო, ვაითუ ამას დაგვაჯეროს დღეს ჩვენმა ილბალმა და ვერაფერი მოვკლათ.

— რატომ დაგვაჯერებს ამას, რამდენი ხელი ხეა კიდევ ამ ტყეში, არ იცი? კიდევ ვნახავთ სოკოს, — ამოხედა დომენტის თედომ.

— ეჰ, ეს ისევ სოკოზე ფიქრობს! — შებრუნდა დომენტი და ფერდობისკენ გასწვია. მას იულო გაჰყვა უკან.

— ეგ სოკო შვიდი კილო მაინც იქნება, ქე გვეყოფა სათრევად, რაღას გვდევ ახლა, დარჩი აქ, დაჯექი ამ ხეზე და

მოიცადე ჩვენს ჩამოვლამდე, თოფი მაინც არ გაქვს და რა გინდა ზევით? — გამოაჯავრა მურმანამ თედო და წინ წასულელებს აედევნა.

— ამ ხეზე დაჯდეს, რომ შენი ლულამოღუნული თოფით დაჭრილმა დათვმა დაგლიჯოს უიარაღო კაცი? — თითქოს ვესარჩლები თედოს.

— აბა, დავეიდოთ აგერ, ამ დიდ ნიფელზე თავის სოკოიანად, დათვი რომ არ შენვდეს, — მპასუხობს მურმანა და გზას აგრძელებს.

თედო სოკოთი დამძიმებულ საველე ჩანთას წამოიკიდებს და დანარჩენებიც მივიღვართ, ალმა მივყვებით ხშირი ტყით დაფარულ, თოვლიან ფერდობს, მზეზე თვალისმომჭრელად აბრწყინებულს.

ორიოდე საათში ტყიანი ქედის ძირას, თოვლით დაფარულ შამბთან მიგვიყვანეს დომენტიმ და იულომ, ჩუმად ყოფნა გვთხოვეს და თვითონ ძალლიანად ხეებს შორის გაუჩინარდნენ. ჩვენც წავინიეთ წინ და ბექობზე შემომდგარი სუროდახვეული ნიფლის ძირში პატარა მღვიმის მსგავსი ღრმული დავინახეთ. ეს დათვის ბუნაგი — ბეჩო იყო. მის წინ თოვლზე მართლაც ჩანდა დათვის კვალი, შესასვლელთან მშრალი ფოთლები ეყარა, სიღრმეში კი სიბნელის გამო ვერაფერს ვარჩევდით. დომენტის ძალმა სუნი აიღო და ბუნაგში ყვეფით შევარდა, მაგრამ მალე ანკმუტუნებული გამოვარდა გარეთ, პატრონს მიეკრა და გარედან უყეფდა შიგნით მყოფს.

აშკარად ჩანდა, რომ ბუნაგში დათვი იყო. ამას კი არ მოველოდით.

გამოცდილმა მონადირეებმა — დომენტიმ და იულომ სხვადასხვა ადგილას ჩაგვასაფრეს და დაგვარიგეს, როგორ მოვცქეულიყავით, ვის როდის გვესროლა, თუ ბუნაგიდან დათვი გამოვიდოდა. ისიც გვითხრეს, შეიძლება ორი დათვი იყოს და პირველად გამოსულს ყველა ნუ დაახლით თოფსო.

მე ბეჩოდან მოშორებით, მაღალი ნიფლის ძირას დავდექი.

— დათვის გადალება არ დაიწყო, — ჩემს ფოტოაპარატზე შეაჩერა მზერა დომენტიმ, — ჯერ ესროლე და მერე გადაიღე.

— კარგი, აგრე ვიზამ, — ვუთხარი მე, გულში კი გავიფიქრე, ჯერ გადავიღებ, მერე, თუ საფრთხე დაგვემუქრა მისგან, ვესვრი, მეტი რა გზაა?

იულო ბეჩოს თავზე დადგა ფეხზე შეყენებული თოფით — ზემოდან დავაზელ დათვს ტყვიასო. გიგლა მორჩილ ნიფელს ამოეფარა ჩემს ახლოს. მურმანა იულოს გვერდით, ბეჩოს ახლოს ჩასაფრდა. თედოს მართლა ხეზე მოუწია ასვლა. არ შვრებოდა, ხეზე რა მინდაო, მაგრამ ვინ დააყენა ძირს? პატარა ხშირტოტიან ნიფელზე აფორთხდა წვალებით და ტოტებში მოკალათდა.

— ნუ გეშინია, თედო, მანდ თუ დააპირა დათვმა ამოსვლა, სანამ მოგწვდებოდეს, მანამდე გავაგორებთ, — ეძახის მურმანა.

— არ ჩამოვარდე, ბიჭო, — ვაფრთხილებ ჩემი მხრიდან.

— ეგ სოკო კარგად დაიჭირე, არ ჩამოგივარდეს და დათვმა არ წაგვართვას, — ეხმიანება გიგლაც.

ჭაბუკამ, რომელსაც არავითარი იარაღი არ გააჩნდა, ხეზე ასვლაზე უარი თქვა, ამ ბებერ კაცს ხეზე რა ამიყვანსო. საკმაოდ მოშორებით ნაქცეულ ხმელ ნიფელზე გადაჯდა და იქიდან დაგვიწყო თვალთვალი.

— როგორ უნდა ინადირო, კაცო, ამ ხელით სათრევე ხალხთან? — ბრაზობდა დომენტი. მან იკისრა ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე — ბუნაგიდან დათვის გამოგდება.

ყველანი გაფაციცებით ვიცქირებით ბეჩოსაკენ. გული გამალებით მიცემს, არ მოველოდი დათვთან შეხვედრას. მე ხომ მთებისა და ტყეების სანახავადა ვარ წამოსული და ამათი ნადირობაც ტყეში ხეტიალი მეგონა მხოლოდ. არადა, აგერ დაადგენ თავზე ბუნაგს და დათვიც უნდა იყოს შიგ, აბა, ეს ანკმუტუნებული ძალლი რატომ გამოვარდა გარეთ? თვალი მოვაველე ირგვლივ ჩანყნარებულ მიდამოს. ნუთუ თოფების ბათქაბუთქი დაარღვევს ახლა ამ სიმშვიდეს? აქ თითქმის ზამთარია ისევ. ირგვლივ თოვლია. მზეს ღრუბელი მოჰფარებია და ჩრდილში მოქცეულა ტყიანი ფერდობი.

დომენტი აყეფებული ძალლით ბუნაგს მიუახლოვდა და ზედიზედ ორჯერ გაისროლა ბეჩოდან გამომზირალი სიბნელის მიმართულებით. გულმოცემული ძალლი ისევ შევარდა ბუნაგში, მაგრამ მალე კვლავ გარეთ გამოიძურნა. დომენტიმ ქურთუკი გაიხადა, იქვე დააგდო და თოფი გადახსნა ახალი ვაზნების ჩასაწყობად. უცებ ბუნაგიდან დათვი გამოვარდა, წამით შეხედა მონადირეს და თითქოს მისკენ გაიწია. ნადირის დანახვაზე ყველა ავყვირდით, თოფი ვერავინ ესროლა, რადგან იქვე კაცი იყო, ძალაუნებურად ჩვენს ადგილებს მოვწყდით და წინ გავექანეთ დომენტის საშველად. მან ველარ მოასწრო თოფში ვაზნების ჩანყობა, უკან დაიხია, თავის ახალგახდილ ქურთუკს წაავლო ხელი და დათვისკენ ისროლა. დათვი შეჩერდა, ქურთუკს პირი დაავლო, მერე ცალი ტორი მიაშველა და შუაზე გაგლიჯა. ამ დროით ისარგებლეს ბიჭებმა — როცა დომენტი გამოსცილდა, იულომ და მურმანამ თოფები დაახალეს ნადირს. მე და გიგლამ ვერ ვესროლეთ, დომენტი ჩვენკენ გამორბოდა და გვეფარებოდა. სროლისას დათვმა ერთი დაიღრიალა, შებრუნდა, დალმა დაჰყვა ხშირ ნიფლნარს და გაუჩინარდა.

მზემ გამოიხედა ღრუბლებიდან და დააფინა სხივები ფერდობს. ბეჩოსთან მივედით და თვალი მოვაველეთ მის წინა ადგილს.

— მოვარტყი, მოვარტყი, შორს ვერ წავა! — ყვიროდა იულო. დომენტი ცოტა შეფიქრიანებული ჩანდა, თუმცა შიში არ შემჩნევია, ჩაანყო თოფში ვაზნები, წინ ძალლი გაუშვა და გამოუდგა ნადირს. კამათობდნენ ბიჭები, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

— არა, ბეჩოში არ უნდა ესროლა, ეს რა გააკეთა! — დომენტის მისამართით ამბობდა მურმანა.

— შენ რალა დაგემართა, რატომ ააცილე ასე ახლოდან? — საყვედურობდა იულო.

— რა იცი, მე ავაცილე თუ შენ?! — არ უთმობდა მურმანა.

— რას ამბობ, ბიჭო, რას, ვინ ააცილა?! — შფოთავდა იულო.

— კარგი, კარგი, ახლა დავის დრო არაა, რამე მოვიმოქმედოთ, იქნებ მართლა დაჭრილია ის დათვი, არაფერი გვავნოს, — შევეცადე მათ დამშვიდებას. აშკარად ჩანდა, რომ ჩემს მეგობრებს ნადირობის წესები არაა მიაჩნდათ, შემთხვევით გადაჯურჩით ხიფათს და მეტი სიფრთხილე იყო საჭირო.

ალარ გაუგრძელებით კამათი. ისევ გავინანილეთ მოვალეობანი. იულო დომენტისკენ წავიდა, დანარჩენები კი მათგან ორივე მხარეს უნდა გავყოლოდით ტყეს. ყველას უნდა გვცოდნოდა, ვინ სად ვიქნებოდით, რომ თოფი უყურადღებოდ არ გვესროლა.

მე განზე და მალა აყვევი თოვლიან ფერდობს, მის ქვედა მხარეს გიგლა და მურმანა გაჰყვნენ. თედო და ჭაბუკა არ გამოგვყოლიან. ბუნაგის წინ გადათხრილი თოვლი და დომენტის გაგლეჯილი ქურთუკი დარჩა.

ნელა მივაბიჯებდი ფერდობზე, ალაგ-ალაგ თოვლი თხლად იდო, ზოგან კიდევაც გამდნარიყო, ძირს გართხმული შქერები და ხმელი ფოთლებით დაფენილი მიწა მოჩანდა. კარგა ხანს ვიარე, მალა მივიწვედი. ქვემოდან ძაღლის ყეფა ისმოდა, ამხანაგებიც მეხმიანებოდნენ ხანდახან. დათვი არსად ჩანდა, ვერც სხვები ნახულობდნენ და ერთ ხმაურში იყვნენ ქვემოთ. ჩემ მოშორებით ძაღლი ერთხანს დაენია ნადირს, მაგრამ დამფრთხალი უკან გამობრუნდა, წინ წასვლას ველარ ბედავდა და პატრონის ახლოს ყეფდა მხოლოდ, — როგორი მონადირეებიც იყვნენ, ძაღლიც ისეთი ჰყავდათ.

ფერდობის ერთი ნაწილი ავათავე და პატარა ვაკეზე ავედი. იქ ალაგ-ალაგ ჩანდა ხეები, თოვლის საფარი მთლად გათხელებულიყო. უცებ ბუჩქების ძირას რაღაც კვალი შევნიშნე, დავაკვირდი — დათვის კვალი იყო, ახალაღბეჭდილი თოვლზე.

ბიჭებს გადავძახე, აქეთ წამოდით-მეთქი და თოფმომარჯვებული კვალში ჩავუდექი ნადირს. მერე უცებ თვალშიც მოვკარი შორს, ციცაბო ფერდობის ძირას ბუჩქებს შორის შეჩერებულს — ცოტა შეესვენებინა, აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ციცაბოზე ასულიყო და ქედის გადაღმა მიმალულიყო თუ განზე გაჰყოლოდა ფერდობს. გულმა ძგერა დამიწყო, ჩემშიც გაიღვიძა ნადირობის ჟინმა, იქვე მუხლზე ჩავიჩოქე და დათვი მიზანში ამოვიღე. იგი ვერ მხედავდა, მე კი ვუმიზნებდი — ხან თავზე, ხანაც მკერდზე ვუსწორებდი თოფის ნიშანს, მაგრამ ვერ გამემეტებინა ტყვიისთვის ნუთით შესვენებული მხეცი. წამოვდექი და წინ წავინიე, ისევ დავუმიზნე, მაგრამ სროლა ვერ გადავწყვიტე, მითუმეტეს, ახლა კარგად ველარ ვუმიზნებდი — მხერის არეში, ჩემსა და ნა-



დირს შორის მოქცეულ, თხელი თოვლით გადალესილ კორდზე რაღაც პატარა მცენარეები ჩანდნენ და თითქოს დამიზნებაში მიშლიდნენ ხელს. წყნარად წამოვინიე ისევ, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მზედაფენილ კორდს მივუახლოვდი. იქ კი მშვენიერი სურათი ვიხილე: მოცვის ბუჩქებს შორის, სხივებით აბრწყინებულ თოვლზე თეთრყვავილები ამოსულიყვნენ მრავლად და, თითქოს მზისათვის თვალეში შეხედვა ერიდებათო, თავები ძირს დაეხარათ. მათ შორის ალაგ-ალაგ მოვარდისფრო-მოლურჯო ენძელებსაც ამოეხეთქათ თოვლის თხელი საფარი და

მზეს უცინოდნენ. მეტად კარგი სანახავი იყო თოვლზე მოფენილი ამდენი ნაზი ყვავილი. შევდექი, თვალს ველარ ვაცილებდი, მერე დავიხარე, სათუთად გადავუსვი ხელი და მოვეფერე. მაინც რა ძალა აქეთ ამ უმწეო არსებებს, ცივ თოვლს რომ ამოხეთქავენ და მზეს შეჰხარაინ! წამით გაღვიძებული ნადირობის ჟინი სრულიად ჩააცხრო ამ მშვენიერების ხილვამ. ბუნება ასეთ სილამაზეს მთავაზობდა, მე კი მისი ბინადრის მოკვლას ვაპირებდი! დათვის სამყოფელისაკენ გავიხედე. იგი ისევ გაუჩინარებულყო, რამაც შვება მომგვარა და კმაყოფილი დავრჩი, რომ არ ვესროლე. მერე ისევ მოვავლე მზერა მთის ფერდობს და თვალი ვკიდე ნადირს, რომელმაც ისე გამალებით გადაიარა ქედი, რომ დაჭრილი არ უნდა ყოფილიყო. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ არც მის

მხატვარი ცირა პაპინაშვილი

ნაკვალევს ეტყობოდა სისხლის წვეთები. ისევ აყვავებულ კორდს დავხედე. უცნაურად მომიჩვენა, რომ ქვევიდან მომავალ დათვს პირდაპირ ყვავილებზე კი არ გადაველო, არამედ გვერდი აექცია მათთვის. რა, ვითომ არ უნდოდა გაეთელა ეს სილამაზე? — გავიფიქრე და ღიმილი მომერია.

თოფი მოშორებით დავდე, თითქოს ყვავილებს მოვარიდე. მერე ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, რამდენჯერმე გადავიღე ყვავილებიანი კორდი და იქვე პატარა ნიფელს მივეყრდენი. მდუმარედ ვუყურებდი უდაბურ მთებში მოვლენილ უნაზეს მშვენებას — თეთრყვავილებისა და ენძელების სხივდაღვრილ ღიმილს.

მალე ბიჭებმაც ამოაღწიეს ჩემამდე. წინ დომენტი მოდიოდა, მოჰყვებოდა დათვის ნაკვალევს.

— რას შერები, კაცო, რას უყურებ? — აქომინებულნი მომიახლოვდა.

— შეხედე! — გაღიმებულმა მივუთითე ყვავილებით მოქარგულ კორდზე.

დომენტიმ თვალი მოავლო ყვავილებს და ხელი ჩაიქნია:

— ეგენი სად გაგეცქევინა? აიღე თოფი და გავყვეთ კვალს.

— ველარ დავენევით, შორს იქნება უკვე, თანაც არც დაჭრილია, როგორც თქვენ გგონიათ, — ვცადე გამეჩერებინა იგი. ის კი არ მითქვამს, რომ დამიზნება მოვასწარი და არ ვესროლე.

— მაინც ვნახავ, სად წამივია! — თქვა მან და გაჰყვა ნაკვალევს.

იულო და გიგლაც მოვიდნენ. ჯერ მე გამომხედეს, მერე — ფერდობზე ამავალ დომენტის, ბოლოს ყვავილებიც შენიშნეს.

— ნახე, რამდენი მოსულა ერთად, — თქვა იულომ.

— რა ლამაზი ადგილი გინახავს, — ჩაიციხა გიგლამ,

— რა ვქნათ, არ გავყვეთ? — დათვის კვალზე მიმითითა.

— არა, ძმაო, სანყალი დათვის ცოდვის დადებას ამ სილამაზის ცქერა მირჩევნია, — ვუპასუხე.

— რამ გაასანყლა, სანყლები ჩვენ ვართ, დავიქანცეთ მაგის დევნით, — ხეს მიეყრდნო გიგლაც.

— როდის შემოგვითვალა, ამოდით და მდიეთო? — ვკითხე მე.

— არ გინდა წამოსვლა. კარგი, კარგი, დარჩი, ცოტა ხანს მოვეძებნით და, თუ ვერ ვნახეთ, აქვე გამოვივლით, — მეუბნება გიგლა, — ჩადი თუ გინდა ქვევით, მურმანამ სოკო ნახა ხმელ ხეზე და იქ დარჩა, აღარ წამოგვყვა ზევით, თედო და ჭაბუკაც მასთან არიან.

— არა, მე აქ დაგელოდებით, ფრთხილად იარეთ.

გაჰყვენენ ბიჭები დათვის ნაკვალევს. მომხიბვლელმა ყვავილებმა დიდად ვერ მიიქციეს მათი ყურადღება.

კიდევ ერთხელ დახვდე ყვავილებს, მერე ირგვლივ გაშლილ ქედებსა და ტყეებს მოვავლე თვალი და მშვენიერი გარემოთი უსაზღვროდ დამშვიდებულმა უნახეს ფიქრებს გავუღე გული.

ამ ენძელებმა და თეთრყვავილებმა ათიოდე წლის წინანდელი, სტუდენტობის დროინდელი ამბავი გამახსენეს. მაშინაც ადრეული გაზაფხული იყო, საჯარო ბიბლიოთეკაში ვიჯექი და ვმეცადინებდი. გარეთ მშვენიერი მზიანი დარი იდგა, ხეებს კვირტები დაბერვოდათ. ველარ ვუდებდით გულს წიგნებს — წინა დღით მე და ჩემმა თანაკურსელმა გოგონებმა მეცადინეობას თავი დავანებეთ და მთელი დღე მთანმინდაზე ვიხეტიალეთ. ვიჯექი და ვკითხულობდი რალაცას, ახლა რა გამახსენებს, რას ვკითხულობდი? აქ, ქალაქის შუაგულშიც, იგრძნობოდა გაზაფხულის სუნთქვა და მე, როგორც ყოველთვის, ჩემი მშობლიური მთები მედგა თვალწინ, გაცრეცილი წიგნის სტრიქონებს შორის ტყის ბილიკები მელანდებოდა.

ამ დროს ერთი ჩემი თანაკურსელი გოგონა გამოჩნდა დარბაზში, მაგიდებს ფოფანი თვალელები მოავლო და ჩემკენ წამოვიდა. არა, ის მათ შორის არ ყოფილა, წინა დღეს ჩემთან ერთად რომ იხეტიალეს მთანმინდაზე. ძალიან ბუჯითი გოგო იყო. მოვიდა, მომესალმა ია, მე თავისუფალი სკამი გამოვუწიე და ჩემ გვერდით დავსვი. ერთხანს გავაბით ჩურჩული, მერე მან წიგნებში ჩარგო თავი და კარგა ხანს წყნარად მეცადინებდა. ბოლოს ისევ განვაგრძეთ საუბარი.

— რომ დავამთავრებთ, რას აპირებ? — მკითხა იამ.

— რა ვიცი, ალბათ, ჩემს სოფელში წავალ, — ვუპასუხე.

— მერე იქ მარტო არ მოგეწყინება, არავინ გინდა წაიყვანო? — მიღიმოდა იგი.

— აბა, იქ ვინ წამომყვება? — მიუღე მე.

— როგორ არ წამომყვება, — წამით შემომხედდა იამ და თვალი მომარიდა, გაიბუჭა თითქოს.

არ მიმიქცევია ყურადღება, იმხანად სხვა ქალიშვილით ვიყავი გატაცებული.

ბიბლიოთეკიდან გამოსვლისას სწორედ ენძელების პატარა თაიგული ვუყიდე:

— აი ია, შენ ხომ ია ხარ, ავერ ენძელებიც.

ძალიან გაეხარდა, სათუთად ეფერებოდა ნაზ ყვავილებს. არ გამიცილებია, იქვე დავემშვიდობე. გულზე მიეკრა ენძელების თაიგული და სევდიანი თვალებით მეტხოვებოდა...

ვუცქერდი ახლა დუმილით მოცულ მთებში მოსულ ყვავილებს, იმ გოგონას სახე მედგა თვალწინ და მისი სიტყვები მახსენდებოდა — როგორ არ წამომყვებაო. კიდევ უფრო ნათლად ვიგონებდი მასთან შეხვედრებს და ვხვდებოდი ამდენი ხნის შემდეგ, რომ ია ყველაზე მშვენიერი და ღირსეული იყო ჩემგან მოწონებულ ქალიშვილებს შორის. ეჰ, მეც ვერ დამინახავს ბევრი რამ თავის დროზე... სად არის ახლა ნეტავ?..

ამ ფიქრებში გართული კარგა ხანს ვიყავი თეთრყვავილებითა და ენძელებით დამშვენებულ თოვლიან კორდთან. მერე ღრუბლები გადმოადგნენ მთის წვერებს. ფერდობზე მათი ჩრდილები დაეცა და თოვლს სილურჯემ გადაჰკრა თითქოს. ამ დროს მეგობრების ძახილიც გავიგონე ქვემოდან — ჩამოდი, ჩამოდი, შინ მივდივართო.

ჩემკენ აღარ გამოუვლიათ, სხვა გზით დაბრუნებულიყვნენ ხელმოცარული მონადირეები. დავემშვიდობე ყვავილებით მოქარგულ ადგილს და მათკენ გავსწიე.

მივდიოდი, თან უკან ვიყურებოდი დანანებით და მეჩვენებოდა, თითქოს იმ თვალეფოფინა გოგონაზე ნაფიქრალს — ჩემს გულში გაცოცხლებულ მის ღიმილსა და სევდას ვტოვებდი სამუდამოდ იქ, მშობლიურ მთებში, გაზაფხულის მახარობელ ყვავილებთან და ვხვდებოდი, რომ ამიერიდან ეს ყვავილები და ის გოგონა ერთად გამახსენდებოდნენ...

ლამდებოდა, სოფელში რომ ჩამოვედი. ჩემთან შევიკრიბეთ, სოკოს სხვა კერძებიც შეემატა და კარგა ხანს ვისაუბრეთ. სიცლით ვიგონებდით ნადირობის ამბებს, დომენტის ახალი ქურთუკის ყიდვასაც შევპირდით.

მესამე დღეს თითქმის ყველანი მეზობელ სოფელში ვიყავით გადასული — ჩვენი ნათესავი გოგო თხოვდებოდა და ქორწილში დაგვპატიჟეს. ვნახეთ ახლობლები და ნაცნობები. იქაური ამხანაგებიც შემოგვიერთდნენ, ჩვენი ნადირობის მახარობელ გაეგოთ და ღიმილით გვეკითხებოდნენ ამბავს. ერთი მათგანი დომენტის, ჩვენს საუკეთესო მონადირეს, მიუბრუნდა და ეუბნება:

— დომენტი, ჩვენც ვიყავით გუშინ ტყეში და ერთი დათვი ვნახეთ, შენი ქურთუკი ეცვალა...

არ აგვცდა მეზობელი სოფლის ახალგაზრდების დაცინვა. სხვა მხრივ მშვენიერი ქორწილი იყო, კარგად მოვილხინეთ.



მოკლედ ჩემს შესახებ:

30 წელია ლექსები აღარ დამიბეჭდავს და თავს შეგახსენებთ...

პირველი ლექსები 1957 წლიდან იბეჭდებოდა იმდროინდელ პერიოდიკაში. 1968 წელს გამომცემლობამ „ნაკადული“ გამოსცა ჩემი ლექსების პირველი წიგნი მორის ფოცხიშვილის რედაქტორობით. ვთანამშრომლობდი კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“. ჩემი პირველი მულტფილმი იყო „კაცი და ლომი“, რომელიც დღემდე შემორჩა ეკრანს. 1968 წლიდან ვმუშაობდი კინოკომიტეტის გაზეთში „საქართველოს კინემატოგრაფისტი“. 1970 წლიდან გადავედი სამუშაოდ სატელევიზიო ფილმების სტუდიაში რედაქტორად, სადაც ვიმუშავე 36 წელი, სტუდიის დახურვამდე. ჩემი სცენარებით გადაღებული ფილმებიდან დავასახელებ ზოგიერთს: დოკუმენტურები — „ჰამლეტ გონაშვილი“, „ნანა ბოტკოველი“, „ბორჯომის ხეობა“, „ხვიჩა მინდიაშვილი“, „სიტყვა თქმული კახეთზე“; მხატვრულები — „ბავშვები“, „გოგონა და ჩიტები“ — თოჯინური, „რწყილი და ჭიანჭველას ახალი თავგადასავალი“ — მუსიკალური ორსერიანი, კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“.

1979 წელს დაიბეჭდა ჩემი ლექსების მეორე წიგნი „ფესვების საგალობელი“ არჩილ სულაკაურის რედაქტორობით. 1981 წელს გამომცემლობამ „ნაკადული“ გამოსცა ჩემი თარგმანი ედუარდ უსპენსკის წიგნისა „ძია თევდორე, ძალი და კატა და საგარანტიო კაცუნები“. 1987 წელს ვიყავი

ამავე გამომცემლობაში მომზადებული საბავშვო ენციკლოპედიის ხელოვნების ტომის (№12) ერთ-ერთი რედაქტორი, მთარგმნელი და ავტორი წერილისა: „საქართველოს ტელევიზია“.

ახლანან დაიბეჭდა რამდენიმე ლექსი გაზეთებში „ქართული სიტყვა“ და „ლიტერატურული გაზეთი“. ამჯერად ლექსების მესამე წიგნს ვამზადებ გამოსაცემად. ღვთის წყალობით დავბრუნდი ლექსთან, როგორც ხანგრძლივი მოგზაურობიდან საკუთარ სახლში.

მარი გველესიანი

სხეულით იგრძნობ...

ისე ჩამოცხა, რომ კისერზე თავს ვერ დაიყრდნობ და წვიმის მაღლით უცაბედად ზეცა გაიცრა, სულს მოითქვამ და გაგრილებულ სხეულით იგრძნობ, თეთრი ყვავილი გასაშლელად როგორ დაიძრა...

რაგინდ თავპირზე ოქრო გეყაროს...

რაგინდ თავპირზე ოქრო გეყაროს, ირგვლივ ყოველი დროით ხუნდება, მაგრამ თუ ღმერთი შეგასმევს წყაროს, აღსასრულამდის არ მოგწყურდება... მდაბლად თავდახრით გვიხმობს თავთავი და საფერავშიც სისხლი მწიფდება, თუ ეზიარე უფლის პურ-ღვინოს, უკუნისამდე არ მოგმივდება!

ფუტკარი

ამ სკაში ფუტკრის სახელმწიფოა გასაოცარი წესწყობილებით, ყვავილების და თაფლის სურნელით, სანთლით, მლოცველით, ფიჭის ბინებით და სკაში, როგორც მაღალ ტაძარში, მრავალხმიანი ისმის გალობა, ასე წვეთ-წვეთად და რუდუნებით გროვდება თაფლი - ღმერთის წყალობა...

და როცა გრძელი მოვა ზამთარი და ჩამონვება მთებზე ბურუსი, ყვავილის მტვერში ამოგანგლული გამახსენდება ფუტკრის ბუსუსი - და მლოცველივით მივეახლები, გამოვიხურავ ქალაქში ხუთ კარს, სადმე ფერდობზე დავესახლები, დავრგავ ცაცხვებს და გავიჩენ ფუტკარს!...

ხმა გარდასულთა

ყური ინახავს ხმას გარდასულთა და როს სივრცეში გაბნეული ხმა საყვარელი დამინყვილდება და უეცრად ყელში გაჩრილი სიხარულის ბურთი დამახრჩობს, ვებლაუჭები მონატრებულს ყურთასმენით ცადგამობმული, რომ იქნებ კიდევ, კიდევ გაჟღერდეს... გული ინახავს ხმას გარდასულთა - მე ამოვიცნობ შორეთიდან ვინ მომეფერა და კურცხალი ვინ ჩამომიგდო... გმადლობთ, უფალო!

ჩამოხსნილი ცოდვების ლოდი

დღეს გაგანდეთ და დიდი თევზივით ავიფცქვენი სულის კუნჭულში შეყუყული ცოდვების ქერცლი და განწმენდილი, თოთო კანის ტკივილის თმენით, ამოვაბრწყინე ჭაობიდან დაფლული ვერცხლი. დღეს აღსარებით ჩამოხსნილი ცოდვების ლოდი, მამაო ჩვენო, მოკრძალებით გავგიზიარე და როგორც კადრი შენელებული, ავცილდი მინას, ბუმბულებზე გადავიარე...

ხმა

ჭირი ვმალეთ და
ჭირმა მაინც თავი იჩინა,
არ მეჩვენება,
ნამდვილია ხმა უცნაური -
ცით ჩამომესმის
მომავალი ბრძოლის ყიჟინა
და ხალიჩებში ჩაქსოვილი
ჯვრების ხმაური!..

* * *

გული მატკინე -
ნუ მანუგეშებ,
არა მჭირდება პირის ფარეში,
ეს მონატრება
ისე მწარეა,
როგორც სიკვდილი უცხო მხარეში!..

კლასიკა მუდამ...

კლასიკა მუდამ და ყველაფერში —
გვერდიგვერდ ვნონი წარსულს და დამდევს,
აფერადებულ სინამდვილეში,
შავ-თეთრი კადრის გრაფიკა დამდევს!

„ნურას დაიდებ გულსა ბოროტსა!“

როდესაც მიმტრობს მოყვარე ჩემი
და თავის ხელით მოიჭრის ტოტსა,
ჩამომესმება ხმა უზენაეს -
„ნურას დაიდებ გულსა ბოროტსა!“
და დავმშვიდდები, და დავდუღდები,
დაპურდებიან თითქოს ობლები...
და მე ვივსები, და მე ვმალდები,
როგორც ტაძარი საგალობლებით...

დანვიმებული ზარები

მთის წვერზე ამაღლებულნი
ბრწყინავენ გამოდარებით,
თაღჩამოშლილი სამრეკლო,
დანვიმებული ზარები...
დავისაჯენით, რადგანაც
რწმენას გაუჩნდა ბზარები,
მინასა ხნავდნენ უსანთლოდ
ნიშა-ნიკორა ხარები...
ჩამოფანტული ლოდები
თვლითა მაქვს ჩანაბარები,
თოკის შერხევას ლამობენ
დანვიმებული ზარები!..

ვიდრე და მერა

ვიდრე ჩემთან ხარ, ვიდრე ჩემთან ხარ,
მე არ მაშინებს ფიქრი არყოფნის...
ცის კაბადონზე ამოგენტები
გამრავლებით და დიდი გაყოფით...
ყოფნას მოგირთავ იავნანებით,
დანედლებიან ხმელი ფესვები -
მერე კი, ძველი სიმღერასავით
შორი მთებიდან შემოგესმები!..

ვიდრე

ვიდრე ვანთივარ, ვიდრე თვალეში
ეს დაკორტნილი მინა მეტევა
და ვიდრე ძალმძის დიდი ტკივილის
ლექსით აკინძვა ქარვის მტევნებად,
უნდა მოვასწრო - მტერსაც შევუნდო,
თუ მიტაცებულ მინებს დამპირდა!..
მაშინ სიკვდილსაც ლექსი ერქმევა,
ლექსი, რომელიც ცისკენ გაფრინდა!..

აღდგომა

ღმერთო, ოდეს გარდამოხვალ ნათლით,
ჩემს შანდალშიც დაენთები სანთლად,
ქედს მოგიხრი დღესა შინა შვიდგ ზის -
ამარიდებ ბოროტსა და ავთვალს...
ენდროს ფესვით შეგიღებავ კვერცხებს,
გადმოგიფენ ჩიტებიან ფარდაგს
და მოგართმევ მხართეძოზე მთვლემარ
შაქარმოყრილ ქიშმიშიან ბატკანს...
შევაფხიზლებ საგალობლის ხმებით
ჯვრებით მორთულ ხალიჩას და ჯეჯიმს
და გაჩუქებ მობიბინე ყანას -
თეფშზე მოსულ სააღდგომო ჯეჯილს!..

ალუბალი

სისხლით გაჟღენთილ, დამზრალ მინაზე
ალუბლის ნერგი ყინვას ითმენდა
იმის იმედით, რომ სადაცაა
აყვავდებოდა, როგორც განწმენდა...
და ვიდრე ქარი არბევდა ბალებს,
ვიდრე ცა იყო პირგამეხებით,
მას ბელურების ერთგული გუნდი
ტოტებს უთბობდა რბილი შეხებით...
და გაზაფხულდა... დგას ალუბალი
შრიალებს ძონის მძივების ცვენით
და ბელურების ფაფუკ ბუმბულზე
მოჟონავს სისხლი, — ალუბლის წვენი...

იქნება დროა...

იქნებ ეს თქეში არის გამოცდა,
იქნება დროა ძალთა მოკრების,
რა დამაძინებს, რა დამაძინებს,
როცა ყვავილებს სცვივით კოკრები?!
იქნება ცუდად მოვიმკეთ ყანა
და ვერ დაეზარდეთ ლომის ბოკრები,
ვაი, თუ კვდება ჩემი ქვეყანა,
რადგან ყვავილებს სცვივით კოკრები?!..
დიახ, ეს თქეში არის გამოცდა,
დიახაც, დროა ძალთა მოკრების!..
ქარში, ნვიმაში გამოდით გარეთ,
გადაუშლელი გვრჩება კოკრები!..

დარდი

ვხედავ, რომ უკვე ვეღარ ვპატრონობთ
აბალახებულ მამულს, დასაბარს -
ამ დარდით გავცვდი და დავემგვანე
გამოხუნებულ ჩითის თავსაფარს...
დრო იყო, ვგავდით გაშლილ იალალს,
ქვეყანა ჩვენგან ელოდა ამაგს...
და გული, როგორც სავსე ფიალა,
რომ არ დამეცქეს, სიფრთხილით დამაქეს!..

უნდა მოვასწრო

ოდეს სისხამზე პირველი სხივი
ნათელს მომფენს და მზედ ამამალლებს,
ძღვევამოსილი ჯეჯილის ღივი
სულში შემოვა ვით განახლება...
და ვიდრე მზით მაქვს სავსე თვალები
და ვიდრე მთვარე დაიბადება,
უნდა მოვასწრო მონანიება,
უნდა მოვასწრო გამონათება!..

დადგება ფერთა კორიანტელი...

მზე ჩამოსულა თითქოს მიწაზე,
ტყეებს ოქროსფრად ააფერადებს
და შემოდგომის ფერთა ალღუმი
გრძელდება ქარის შემობერვამდე...
ნამიერია ეს სილამაზე
და იმ მზესავით არის ნათელი,
რომ უცებ, ქარის ჩამოქროლაზე
დადგება ფერთა კორიანტელი...
დამთრგუნველია ეს ალტაცება -
გულსდანოლილი ლოდივით მდევდა
შემოდგომამდე ვერმიღწეული
ადრედაცვნილ ფოთოლთა სევდა...

სიტკპო

ვილაცა ხარშავს კაკლის მურაბას
და იჟლინთება სიტკპოთი სივრცე
და უამრავი ფუტკარ-კრაზანა
დაბზუის ირგვლივ, რომ სიტკპო მისცენ..
ამ სუნს ინახავს ჩემი ბავშვობაც,
როცა ხარშავდა ჩემი ბებია -
როგორ შაქრდება ირგვლივ ყოველი,
სიტკპო როგორი გადამდებია!..

ღიმილი

ამ ბაღს, ყვავილებს,
ხეებს, ფოთლებს, შენ ასხივოსნებ,
შენ აფერადებ
და შენ ავსებ ისეთ სურნელით,
რომ უკვდავების
ნამალივით ჩამოვარიგებ
ღიმილს,
რომლითაც შენ განკურნე
განუკურნელი!..

გმაღლობთ...

უბრალოდ ვიტყვი, - როცა თენდება,
როცა იყივლებს ხეზე მამალი,
იღვიძებს გლეხი, ძროხა და ცხენი,
ხე და ბალახი - ლორთქო, მაღალი,
როცა ვივსები სუფთა ჰაერით,
მიმღერის სული თავისუფალი,
შვიდგზის გაქებდე შენ, დღესა შინა
და ყველაფრისთვის გმაღლობთ, უფალო!

შაშვის გალობა

დილაადრიან, მზის ამოსვლამდე
გვიგალობს შაშვი
და ამ ხმაზე ტყდება ზამთარი...
და ვიდრე დილა შემორჩენილ
ყინულებს დაფშენის,
ქარი გაყმუის, როგორც აფთარი...
გულის გალობით მღერის შაშვი
და ეს გალობა
ისე ტკბილია, ისე თბილი, -
დნება ზამთარი.
ხვალ იგალობებს შაშვის
მთელი შთამომავლობა -
გაზაფხულია! -
არავითარი ნასესხები,
არავითარი!



პოეტური ფრაზა — ტევადი, ლაკონური, ელასტიური, აზრობრივად ღრმა, წარმავლობისა თუ ამქვეყნად ყოფნის დანიშნულებაზე ფიქრით განმსჭვალული... მაინც რა არის ადამიანი, რისთვის მოაველინა განგებამ, რაში უნდა განილიოს ღვთისაგან ბოძებული დღენი წუთისოფლისა — აი, მოკლედ ის მარადიული კითხვები, ავთანდილ ყურაშვილის ლექსების გაცნობის დროს რომ წამოტივტივდება, იქვე გაჩნდება ეჭვიც ადამიანის არასრულყოფილებაზე, სოფლისა და ზესთასოფლის მსახურებისათვის უარყოფაზე, იმ ნათელი გზის გაბუნდოვანებაზე, რისთვისაც ღმერთმა თავის ხატად შექმნა იგი.

„რადგან მიწაზე ვერ დავეტიე, რადგან არ მჯერა, რომ ჩემში ცოცხლობ, იმად ვეხლები შენს მზეს ეკლიანს და იმად ველტვი შენს ცას უხორცოს“ — წერს პირველივე ლექსში და ამით ნათლად ამჟღავნებს მამულისადმი სიყვარულსაც, იმ იჭვინულ ფიქრსაც, თუ რას არგებს ქვეყანას მისი მსახურება, რაოდენ დააჩნდება კვალი, რაოდენ ღირსეულად წარუძღვება ძველთაგან ნალოლიავებ სისხლით დაცულ სამშობლოს. ეს ეჭვი მართალი ეჭვია, დიდი ფიქრისა და განსჯის მერე გაჩენილი და არა შემთხვევით და უადგილოდ. ეჭვით იქსოვება ჭეშმარიტი აზრი, ფიქრთა ზვეულების გამოტარების მქონე იბადება მარადიული მსახურების განცდა.

და ეს ყველაფერი იხატება ლაღად, ნაღდი, იმავდროულად ფაქიზი, პოეტური ფერებით, გამჭვირვალე სიმბოლოებით...

ავთანდილ ყურაშვილი

* * *

რადგან მიწაზე ვერ დავეტიე,
რადგან არ მჯერა, რომ ჩემში ცოცხლობ,
იმად ვეხლები შენს მზეს ეკლიანს
და იმად ველტვი შენს ცას უხორცოს;

რადგან არ მჯერა, როსმე გიპოვი,
როსმე შენს ხილვას გამოიმეტებ,
იმად მჭირდება ლექსის სტრიქონი
და იმად ვრჩები ზეცის იმედზე.

რადგან მიმონებ და მკლავ უსიტყვოდ, —
ველარ ვეტევი ამ ნიჟარაში...
რად მეთქი, რატომ ეს სხვა მუსიკა,
უხმო მუსიკა და ისიც ცაში...

ბაღდა

თავფარავნელი ჭაბუკი
ზღვას გაღმა ქალსა ჰყვარობდა...

დღე-დღეს ცვლის და ღამეს — ღამე,
ძილ-ფხიზლობ და იფშენეტ თვალებს...
დაიხედავ, დაბლა შენ ხარ,
აიხედავ — მაღლა მთვარე;
ვარსკვლავებიც ციმციმებენ, —
ამგვარ ყოფის სიმძიმეზე
თხზავენ, გარდუაღად თხზავენ...
ეს ერთია, რაც გახარებს:

ხვალეც რომ იქნება ხვალე...
გინდა, თოხნე; გინდა, ბარე;
გინდა, სულაც, ყორე ყარე...
მარტო ხარ, ვინ გეტყვის რამეს,
მხოლოდ ყვავი დაგყრანტალეებს:

„ახლაც ისევ იმ ქალს ჰყვარობ,
ზღვის გაღმა რომ კელაპტარობს?!

ვერა, ვერ მისწვდები ნაპირს,
დასტრიალებს თავს როკაპი, —
ნინ ჩურჩუტა მღვდლის ალაპი
და სამარის გიცდის ყაპი“.

ჩვეულებრივ ყიამყარალობს,
სხვისი ჭირით სძლება, ხარობს...
გულში კი ბუღბუღი გგალობს:
„თუ არ გიყვარს, თუ არ გყვარობს,
სჯობს, სიკვდილი გამოთხარო“...

* * *

ხასხასა მოღზე და წყნარ წყლებზე
ზღაპარს მოგისმენ,
შავეთის ველზეც რომ ვიარო,
გპოვებ როდისმე;

მივენურები წელიწადებს,
ჩემს ჟამს, მონისლულს...
კვლავ მოვიქცევი,
გავეყრები, ალბათ, მონის სულს;

მთელი სიცოცხლე სიზმარში ვარ,
სიზმრებში ვცხოვრობ,
ეს არის, ლამის, ჩემი ყოფა —
თავი და ბოლო;

ნუ გამშორდები,
როცა ახლო არავინ არი...
ირგვლივ მგლის ხროვა მომადგა
და დამარტყა რკალი;

ფართოდ მოაღეს პირი ჩემზე
და თქვეს: ოჰ-ოჰო!..
ჭიანაჭამო ხმალ-ხანჯალო,
ნაბად-ბოხოხო!..

ჰა, ეს ზამთარიც...
ამ ზამთარსაც გავეძლოთ უნდა, —
ჩრდილოეთიდან შემოფგლეთილ
ტომივით მურდალს!

* * *

ვერც იმ საუკუნეს შევრჩი,
ვერც ამ საუკუნეს ვუძლებ...
ნეტა იმ დროს, მყავდი მკერდში –
სულ, სულ ახლოს, გულისგულზე.
ჰოდა, ორმოებად მექცნენ
თვალნი და ვარ თავთან ომში...
შიგნიდან შევმდური ზესკნელს:
რად არ მქმენი იესოში.

რად მიმეცი მგელის ხახას, –
ამ გულ-გვამში რად ჩამჩეხე...
გეკითხები, კი არ გძრახავ,
რა თამაში ამიტეხე...

ჟამიჟამ, რომ ავიხედავ,
ისევე შიგნიდან გიცქერ...
ბაგეს ვერ ვხსნი: რად არ ხედა?!
რად არ ზღვადა?! რად არ სივრცედ?!.

ეთერს!

შუალამეა, უფრო სწორად, დილა დაიწყო,
სულ შენზე ვფიქრობ, მენატრები, ჩემო დაიკო!

ფრთებს იქნევ, ალბათ, დაფათქუნობ, სიზმრებში ფრინავ,
თუმც სად გაგიშვებს შენი ბუდე, უფრორე – ბინა...

სივრცის, რომელიც ჩვენს შორის ძევს, თავი და ბოლო
ერთი კვნესაა, ერთი ცრემლი მხოლოდ და მხოლოდ;

დიდ ბოდიშს გიხდი, ვერ მოგწერე ისეთი წიგნი...
არაფერია ამ სოფელში ხელჩასაჭიდი.

რას გიმეორებ, რომ მიყვარხარ, ისედაც იცი,
არ ღირს ამაზე ლაპარაკი, ფიცი და მტკიცე.

სამშაბათია, ჭირვეულობს ორი დღის მთვარე,
იხუთშაბათებს, იქნებ მაშინ მეშველოს რამე;

კვლავ ბოდიშს გიხდი, ვერ მოგწერე ისეთი წიგნი...
არაფერია ამ ოხერში ხელჩასაჭიდი.

* * *

როცა ზეცას ენათები
და როს სივრცეს აოქროებ,
ვხედავ: როგორ გელათდები,
როგორ მშობ და როგორ მტოვებ

და სამოთხის ვენახების
შუბლზე როგორ მაფენ რტოებს...
ჩემში ხარ და მენატრები,
შენში ვარ და მამარტოვებ.

ჰოდა, ძელზე მაინც გავალ,
მაინც უნდა გავდგა ბიჯი...
უშენობით, ღმერთო, რა ვარ,
უშენობით ღმერთო, მიჭირს.

მტანჯავს ისიც: იქით რაა,
მაგ შენს იქით, რომ არ მესმის...
ვინ რას გეტყვის, ყველა ბრმაა,
და ბრმაზედაც უარესი...

ვიმეორებ, რომ მიყვარხარ,
რომ არასდროს მომწყინდები,
დაიჯერე,
მე თიხა ვარ
და სიკვდილზე ვქორწინდები.

* * *

გხატავენ მხრები და ყვრიმალბები,
ფაფუკი თმები და ცვარნამა თვალბები;
სხვა რაღა, ხომ ვიცი, მინა ხარ, თიხა ხარ
და მაინც დაგეძებ:
მიყვარხარ,
მიყვარხარ!

ანთიხარ, ასხივებ კიანთობ, ციმციმებ,
შორია შენამდე, სულ ახლოს კი მყავხარ,
მითხარი, გააღლობს? მაგ ბროლის სიცივეს
ეგ ჩემი დულილი:
მიყვარხარ,
მიყვარხარ!

ამ უქმი ცოდვილით, ამ უხმო ღალადით,
ყოვლითა გულითა, ყოვლითა გონითა
მეგონა, მშობლიურ ნაპირზე გნახავდი,
მეჯერა, მოხვალ და სინაზეს მომიტან;

სხვა რაღა, ხომ ვიცი, მინა ხარ, თიხა ხარ
და მაინც დაგეძებ:
მიყვარხარ,
მიყვარხარ!

* * *

გურამ ყურაშვილის სურათისათვის

აზნაურის გახლავს პენი,
ვერაინ აგიჭრის კარტებს...
ისე დახვალ, თითქოს ბეჭით
ცა დაგაქვს და ხარ სოკრატე.

მე რა ვიცი, რა გინოდო,
ჭკუა გიჭრის და გონება,
ბიზნესმენტა მაგისტროსო,
ვერ დაძლიე არქონება;

მინც ცალი ხელით სხვისკენ...
არ იმჩნევ და სულ ბობოქრობ,
თუ არახარ ეშმაკისკენ,
ვერ იპოვი გურამ ოქროს.

შენი ძირის, შენი ფესვის
არ შეეკვრი, ვიცი, ფლიდებს...
მინდა, იდგე შენს ნათესში,
მინდა, შენს დათესილს მკიდე;

მინდა, შეგრჩეს მერცხლის ბუდე
ასჯერ ას წელიწადს კიდევ, –
მე კი სიტყვის აბდაუბდებს
გიქსოვდე და გძღვნიდე, გძღვნიდე!

**პაზის სხვლა,
გაზაფხული ჩემს ეზოპარში**

ვენახს ვსხლავ, კავები ჩამოდის ბჰნკალბნკალა,
კორდიდან შეგვხარის ორსული შავმსხალა;

ფეხმძიმობს ტყემალი, ქლიავი, ალურჩა...
ვბუნჯალობ, ვსაქნარობ, ბოლო კი არ უჩანს;
ღვიფია, კინკრისხოს უწყალოდ ახურებს,
ფეხი დამედგა და კივის ნიახური,
აჰყვა ოხრახუში, ქინძმაც ქინძის სუნით:
ქიციც ვიცო და ქიცმაცურიც...
„მოგვწყდიო თავიდან, არ გვზოგავ თუკი“, –
მოუშვა ვენახმა ცრემლი ლაპალუპით;
ილიმის გუზგუზა ტურჩებში ატამი,
კრიახობს, ქოთქოთობს მეზობლის ქათამი...
ნაილო მიმინომ საბრალო ვარკა –
მიჰყვება სოფელი: „არიქა! არიქა!“
დღე არის ისეთი-მთენთავი, პურპურა,
ქვაც სკდება კვირტებად, ყვავილად, კუკურად;
ფუფდება თიხნარი, ჰაერიც თაფლს ირევს,
ადამი დავაცხვე და ევაც ავზილე...
გავთავდი, გავრეტი ცხოვრების ტრიალში,
შექმნაში, შობაში და რიარიაში
იღვიძებს, ცოცხლდება გაჩენით, აღდგომით
უფალში აპრილის ეს მწვანე ნახტომი;
და მინც: შესაქმით არავინ ცხონდება –
ჩამოდის ზესთაზე და მიახლოვდება.

* * *

ვხვდები, რომ უკვე არ გენატრები,
ვხვდები, რომ მართლა აღარ გიყვარვარ,
აქ კი შენს სახეს მაგონებენ მწიფე ზღმარტლები
და რალაც მსგავსი გაქვს ამ თიკანთან...

რა მოხდა, ხორცის ეს თხელი გუნდა
რომ ვერ დავძლიე, რომ ვერ დავთმე, ვერ შეველიე...
რაც მართალია, მართალია, ყოველგან მსურდი,
ყოველთვის მსურდი,
ვით პური სურს მშიერზე მშიერს.

რა ვქნა, ვერაფრით შევეურთდი ცას, ვარსკვლავიანს,
ვერა, ვერაფრით გავეყარე ამ ტიალ სოფელს...
არც აჩნდა ვინმე, რომ დამკრას ტყვია
იმსოფლიურის სატანურად უარისმყოფელს;

არადა, მშია, მართლა მშია, უწყალოდ მშია
ე მაგ თვალების მწვანე ცეცხლი თუ მწვანე ია.

* * *

საფეხურები ცაში ადიან,
იქ კი გუმბათი, გუმბათები,
იქ გუმბათია...

გამორღვეული თაღედია, ფრთააკეცილი,
მოშლილ იკანკლედს მორგოლვია მთვარე კეცივით;

გარიჟრაჟების ვარსკვლავები, მწვანე, წვრილ-წვრილი
ძირს ეშვებიან, ჩამორბიან სიცილისცილით...

აქ სიცოცხლეა, სიკვდილია,
ცეცხლი, ყინული...
შხამზე ბადაგი,
ბალღამის წილ მოდის ბინული;

ხვაშიადია გამხელილი ამ ქვის გრეხილში –
ჩამორღვეულში, ჩამოშლილში, ჩამოტეხილში.

ხავსმოდებული კარიბჭის ზღურბლს რომ გადმოლახავ,
ხდები უფალი – ყოველში ხარ, ანუ ყოველად ხარ...

და გრძნობ ოსანას – ღვთაებრივი ცეცხლის მოდებას,
ლანდური ყოფნის სიმსუბუქით რომ გელოდება.

* * *

უშულიამის* გორაზე
ვიჯე ნისლების ბორანზე
და მივცურავდი შორს:
გუდულამისკენ** მივყავდი
ბასრი, კაუჭა ნისკარტით,
ფუჭი ფიქრების ქორს;

მიყვარდა, ისიც მყვარობდა,
მოლლილად მოფერმკრთალობდა,
ხმობდა მიმცხრალი მაჯა...
ის ღვთისკენ მიიჩქაროდა,
ულტობი ჯვარის წყაროსთვალს,
ვიდექ, შევყურებ ნატანჯს...

ახლაც: ფერდობზე ზვრების
და მაშინდელი მთების
მკრთალი ხაზები ჩანან...
მეც ამ ნისლივით ვქრები,
აღსრულდა!
შენში ვკვდები და ვიბადები მამა.

* ადგილის სახელია ლეჩხუმში
** სალოცავია ლეჩხუმში

ხორხე ლუის ბორხესი

საშინელი სიზმარი

სიზმარი ჟანრია; საშინელი სიზმარი — თემა. ჯერ სიზმრებზე ვიტყვი, შემდეგ — კომპარზე.

ამას წინათ ფსიქოლოგიურ ნიგნს ჩავკირკიტებდი და საშინლად იმედგაცრუებული დავრჩი. აქ ყველგან სიზმრების მექანიზმსა თუ სიუჟეტზე მსჯელობენ (შემდეგ მე შევეცდები დავასაბუთო ეს სიტყვა), და არცერთი სიტყვა იმაზე, რაც მე მაინტერესებს — სიზმრის საუცხოო და განსაცვიფრებელი მოვლენის შესახებ.

ასე, ფსიქოლოგიის ერთ ნიგნში — “The Mind of Man” („ადამიანის გონება“), რომლის ავტორია გუსტავ სპილერი — მე მას ძალიან მაღლა ვაყენებ, — ლაპარაკია იმაზე, რომ სიზმრები გონებრივი ქმედითობის ყველაზე პრიმიტიულ დონეს შეესაბამებიან (მე ეს აზრი მცდარი მეჩვენება), და იმის შესახებაც, თუ რარიგ ალოგიური და ქაოტურია სიზმრის სიუჟეტები. მე ვიხსენიებ გრუსაკს და მის შესანიშნავ შრომას — ღმერთო, სათაური გამახსენე, — „სიზმართა შორის“. ამ ნიგნის ფინალში გრუსაკი ამბობს, რომ ყოველ დილით საღი გონებით იღვიძებს, ან, ასე ვთქვათ, ერთგვარად საღი გონებით, მას შემდეგ, რაც მოინახულა აჩრდილთა სამყარო, ზმანებათა ლაბირინთები, — ნამდვილი სასწაული.

სიზმრების შესწავლა განსაკუთრებით ძნელი საქმეა. მათი უშუალოდ შესწავლა — შეუძლებელია. შეიძლება მხოლოდ იმ სიზმრის განხილვა, მეხსიერებაში რომ აღბეჭდილა. მეხსიერებაში ჩარჩენილი სიზმარი და საკუთრივ სიზმარული ჩვენება კი უშუალოდ როდი შეესაბამებიან ერთმანეთს. XVIII საუკუნის დიდ მწერალს სერ თომას ბრაუნს მიაჩნდა, რომ სიზმრის ბრწყინვალე რეალობასთან შედარებით მეხსიერებაში ჩარჩენილი სიზმრის ხატება უბადრუკობაა. სხვების აზრით კი, პირიქით, ჩვენ თვითონ ვამკობთ და ვალამაზებთ სიზმრებს. თუ სიზმარი ბელეტრისტიკაა (ჩემი აზრით კი სწორედ ასეა), ჩვენ, ალბათ, გამოლვიძების შემდეგ ვაგრძელებთ სიზმრის თხზვას მისი მოყოლისას. მახსენდება დანნის ნიგნი “An experiment with Time” („ექსპერიმენტი დროით“). მის თეორიებს არ ვეთანხმები, მაგრამ ეს შესანიშნავი ნიგნია, ჭეშმარიტად ხსენების ღირსი. მაგრამ ჯერ, მისი გაგების გასაადვილებლად (მე ვმოძრაობ ნიგნიდან ნიგნამდე, ჩემი მეხსიერება უკეთ მუშაობს, ვიდრე აზროვნება) მინდოდა გამეხსენებინა ბოეციუსის დიადი ნიგნი “De consolatione philosophiae” („ფილოსოფიის ნუგეშცემისთვის“), რომელსაც უთუოდ კითხულობდა და კვლავ უბრუნდებოდა დანტე, ისევე, როგორც კითხულობდა და კვლავ უბრუნდებოდა მთელ შუასაუკუნეობრივ ლიტერატურას. „უკანასკნელ რომაელად“ ნოდებულის ბოეციუსი წარმოსახვით ხედავს მარულის მაყურებელს.

მაყურებელი ჰიპოდრომზე ზის და თავისი ტრიბუნიდან ერთიმეორის მიყოლებით ხედავს სტარტს, რბოლის პერიპეტეებს და ფინიშთან პირველად მისულ ცხენს. მაგრამ


ბოეციუსი წარმოსახვით ხედავს კიდევ ერთ მაყურებელს, მზერით რომ აღიქვამს პირველ მაყურებელსაც და რბოლასაც. ეს, რა თქმა უნდა, უფალი ღმერთია. უფალი ხედავს მთელ რბოლას, ხედავს მარადისობის ერთი წამის განმავლობაში. თავისი წამიერი მარადისობიდან ხედავს სტარტს, რბოლის პერიპეტეებს, ფინიშს. მყისიერი მზერით აღიქვამს უკლებლივ ყველაფერს, მათ შორის, მთელ მსოფლიო ისტორიასაც. ასე შემოაქვს ბოეციუსს ორი ცნება: თავისუფალი ნებისა და პროვიდენციისა. იმ მაყურებლის მსგავსად, თვალს რომ ადევნებს მთელ რბოლას, მაგრამ არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს მასზე (გარდა იმისა, რომ მკაცრი თანმიმდევრობით აღიქვამს მას), ღმერთი მთლიანად ხედავს ჩვენს რბოლას — დაბადებიდან სიკვდილამდე. ის გავლენას არ ახდენს ჩვენს მოქმედებაზე; ჩვენ თავისუფლად ვმოქმედებთ, მაგრამ უფალმა იცის, ანდა, ვთქვათ, სწორედ ამ წამს იცის ყველაფერი, რისი ატანაც მოგვინევს. უფალი ღმერთი ასევე ხედავს მსოფლიო ისტორიასაც და იმასაც, რაც მოსდის მსოფლიო ისტორიას; ყველაფერს ხედავს ერთ თავბრუდამხვევ წამში, რომელსაც სახელად ჰქვია მარადისობა.

დანნი ჩვენი საუკუნის ინგლისელი მწერალი გახლავთ. არ მეგულება უფრო თავშესაქცევი სათაური, ვიდრე მისი ნიგნისა: „ექსპერიმენტი დროით“. ამ ნიგნში ის ფიქრობს, თითქოს თვითეული ჩვენგანი ერთგვარად მოკრძალებულ ინდივიდუალურ მარადისობას ფლობს; ყოველ ღამე ჩვენ ვხდებით ამ მოკრძალებული მარადისობის მფლობელები. ჩვენ ვიძინებთ და გვესიზმრება, თითქოს ახლა ოთხშაბათია, მისი მომდევნო ხუთშაბათიც და, შესაძლოა, სამშაბათიც... თვითეულ ჩვენგანს სიზმარში ეძლევა ინდივიდუალური მარადისობის ერთი მნიკვი, რაც მას საშუალებას აძლევს თავისი თვალთ იხილოს უახლოესი წარსული და არაშორეული მომავალი.

ყოველივე ამას სიზმრის მხილველი წამიერი მზერით მოიცავს, როგორც ღმერთი, მთელ მსოფლიო პროცესს თავისი უსასრულო მარადისობიდან რომ აკვირდება. რა ხდება, როცა ვიღვიძებთ? აი, რა: რაკი ხაზოვან არსებობას ვართ ჩვეულებით, ჩვენს ფრაგმენტულ და ერთდროულ სიზმარს თხრობით ფორმას ვანიჭებთ.

განვიხილოთ ერთი პატარა მაგალითი: დავუშვათ, ჩემს წინ ჩნდება ადამიანი, ანდა ვისიმე ხატი (საქმე ეხება საკმაოდ უფერულ სიზმარს), წამის შემდეგ კი ხე მეჩვენება. გამოლვიძების შემდეგ მე უჩვეულოდ ვართულებ ამ ელემენტარულ სიზმარს: თითქოს მესიზმრა ადამიანი, რომელიც ხე იყო თუ ხედ იქცა. ასე გადავასხვავებ მოვლენას; მაშასადამე, მე მთხზველი ვარ.

ზუსტად არ ვიცი, რა ხდება სიზმარში. გამორიცხული არ არის, რომ სიზმარმა ცაში თუ ჯოჯოხეთში გადაგვიყ-



ვანოს, ან, შესაძლოა, ვინმედ გარდაგვექმნას, შექსპირისეულ “the thing I am” („იმად, რაცა ვარ“), ანდა ლეთაებად. გამოღვიძებულს ყოველივე ეს გავიწყდება. სიზმრებს შეიძლება მხოლოდ ჩვენს მესხიერებაში დაცული ანარეკლის, ფერმკრთალი ანარეკლის მიხედვით ჩავწვდეთ. ყოველივე დანარჩენს რომ თავი ვანებოთ, წამიკითხავს ფრეზერის — ამ შესანიშნავი, მაგრამ ძალზე მიმდობი და მალემრწმენი მწერლის ნიგნი, მწერლისა, მიაბიჭურად რომ იზიარებს მოგზაურთა ყველა ნაამბობს. ველური, ფრეზერის თუ იმ მოგზაურთა მიხედვით, მას რომ წაუკითხავს, — ძილში ხედავს სიზმარს: სიზმარში სულმა მიატოვა სხეული და ლომი მოკლა; ან ოდნავ გავართულოთ: მე მოკალი ლომის სიზმარი. ყოველივე ეს საცხებით შესაძლებელია: რა თქმა უნდა, ველურებისა და ბავშვების აზროვნება, მკაფიოდ რომ ვერ ასხვავებენ სიზმარსა და სიცხადეს, ჩვენს შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა.

მოვიტან საკუთარ მაგალითს: ჩემი დისწული (ხუთი თუ ექვსი წლისა; თარიღებს ცუდად ვიმახსოვრებ) ყოველ დღით მიაბობდა მის მიერ ნანახ სიზმრებს. ერთხელ, დღით, იატაკზე მჯდომარეს ვკითხე: რა გესიზმრა-მეთქი? მან იცოდა ჩემი ჰობი და თვინიერად მომიგო: მესიზმრა, ვითომ ტყეში დავიკარგე. მეუწინოდა, მაგრამ მიხედვით გავედი. იქ იდგა თეთრი ხის სახლი, თავისი კიბით, გალერეით და კარით, საიდანაც შენ გამოხვედი“. მაგრამ უცებ შეცბა და მკითხა: „აბა, მითხარი, რას აკეთებდი იმ სახლში?“

მისთვის ყველაფერი ერთ განზომილებაში ხდება — ცხადიც და სიზმარიც. აქ ჩვენ მივადგებით სხვა — სრულიად საპირისპირო, მისტიურსა და მეტაფიზიკურ ჰიპოთეზას, რომელსაც ხშირად ურევვენ პირველში.

ველურისა და ბავშვისთვის სიზმარი სიცხადის ეპიზოდი; პოეტებისა და მეტაფიზიკოსებისთვის კი მთელი სიცხადე შეიძლება სიზმარი იყოს. ამის თაობაზე მშრალად და ლაკონურად აბობს კალდერონი: „ცხოვრება სიზმარია“; შექსპირი კი ხატოვნად გამოთქვამს: „ჩვენ იმავე მასალისგან ვართ ნაგები, რომლითაც ითხზვიან ზმანებები“. შესანიშნავად აბობს ავსტრიელი პოეტი ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე (ჯერ ჩემი უხეირო გერმანულით გადმოვცემთ, შემდეგ კი — ოდნავ უკეთ — ესპანურად): “Oder mein Leben geträumt oder ist es wahr?” („ან ჩემი სიცხადე სიზმრად მეჩვენებოდა, ანდა ეს იყო ცხადი?“) თვითონვე არ იცის ზუსტად. აქ ჩვენ უთუოდ სოლიპსიზმს ვუახლოვდებით; იმ აზრს, რომ სიზმრის მხილველი მხოლოდ ერთია; და ესაა ყველა ჩვენგანი. თუ ეს მე ვარ, ამ წამს თქვენ მხედავთ სიზმარში; მე მესიზმრება დარბაზიც და ლექციაც... სიზმრის მხილველი მხოლოდ ერთია: ის სიზმრად ხედავს მთელ კოსმიურ პროცესს, მთელ წინარე მსოფლიო ისტორიას; მას ესიზმრება მისი ბავშვობა და ყრმობა. სინამდვილეში ეს შეიძლება არც ყოფილიყო, მაგრამ სწორედ ის იძენს ყოფიერებას, მის სიზმრად და თვითეულ ჩვენგანად იქცევა, არა ჩვენად, არამედ თვითეულ ჩვენგანად. ახლა მე მესიზმრება, რომ ლექციას ვკითხულობ ჩარკასის ქუჩაზე, ვეძებ თემებს და ვერ ვპოულობ; თქვენ მესიზმრებით, მაგრამ ეს მართალი როდია. ეს — თვითეული თქვენგანი მხედავს მე და ყველა დანარჩენსაც ხედავს სიზმარში.

ამრიგად, მე მაქვს ორი წარმოდგენა: პირველის მიხედვით, სიზმარი სიცხადის ნაწილია; მეორის, ბრწყინვალე, პოე-

ტური წარმოდგენის მიხედვით კი მთელი სიცხადე სიზმარია. მათ შორის არსებითი სხვაობა როდია. ამაზე მსჯელობს გრუსაკიც თავის სტატიაში. ჩვენი გონებრივი ქმედითობისთვის უცხოა სხვაობა. ჩვენ შეიძლება ვფიზიოლოგიურად, ან გვეძინოს და ვხედავდეთ სიზმრებს, მაგრამ გონებრივი ქმედითობის ხასიათი უცვლელი რჩება. გრუსაკი შექსპირის იმავე ფრაზას იმეორებს: „ჩვენ იმავე მასალისგან ვართ ნაგები, რომლითაც ითხზვიან ზმანებები“.

არსებობს კიდევ ერთი თემა, რომელსაც დუმილით გვერდს ვერ ავუვლით: წინასწარმეტყველური სიზმრები. სიზმრისა და სინამდვილის ურთიერთკავშირის იდეა მალაღანვითარებულ აზროვნებას ეკუთვნის, რადგანაც აქ ერთმანეთისაგან ასხვავებენ ორ დონეს.

„ოდისეაში“ არის ეპიზოდი, რქისა და სპილოს ძვლის ორ ბჭეს რომ გვიხატავს. სპილოს ძვლის ბჭიდან ადამიანებს ეწვევიან ცრუ სიზმრები, რქის ბჭიდან კი — მართალნი. და კიდევ „ენეიდის“ ერთი ეპიზოდი (მრავალრიცხოვანი კომენტარები რომ გამოიწვიო), — დარწმუნებული არა ვარ, — მეცხრე თუ მეთერთმეტე წიგნში. ენეასი ელისიონის ველზე ეშვება, ჰერაკლეს ბჭეთა მიღმა, სადაც ხედავს აქილევისა და ტირესიას გიგანტურ ლანდებს, ხედავს დედამიძის აჩრდილსაც, ცდილობს გულში ჩაიკრას, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან ის ჩრდილითაა ნაქსოვი; გარდა ამისა, ხედავს იმ ქალაქის სიდიადესაც, რომელსაც შემდეგ დააარსებს; ხედავს რომულუსსა და რემუსს; ხედავს ვრცელ ველსაც — რომის მომავალ ფორუმს; ხედავს რომის მომავალ დიდებას და ავგუსტუსის სიდიადეს; ხედავს მომავალი იმპერიის მთელ ძლიერებასაც. მას შემდეგ, რაც ყოველივე ამის მხილველი თანამედროვეებთან საუბრით იჯვრებს გულს, — ისინი მისთვის მხოლოდ მომავლის ადამიანები არიან, — ენეასი დედამიწაზე ბრუნდება, და აქ რაღაც ძალზე საინტერესო ხდება, რასაც, ერთი უსახელო კომენტატორის გარდა, რომელმაც, ეტყობა, მიზანს უწია, ვერავინ ვერ განმარტავს მართებულად. ენეასი რქოვანი კი არა, სპილოს ძვლით შემკული ბჭის გავლით ბრუნდება უკან. რატომ? კომენტატორი ასე პასუხობს: იმიტომ, რომ ჩვენ, არსებითად, რეალურ სინამდვილეში როდი ვცხოვრობთ. ვერგილიუსისათვის რეალური სამყარო, როგორც ჩანს, პლატონის არქეტიპთა სამყარო იყო. ენეასი სპილოს ძვლის ბჭიდან გამოდის, რადგანაც სიზმარულ სამყაროს უბრუნდება, რომელსაც ჩვენ სიცხადედ ვსახავთ.

ასე რომ, ყოველივე ეს საცხებით მართალია.

ახლა კი მივადექით თემას — საშინელ სიზმარს, კომმარს. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ საშინელ სიზმართა სახელწოდებანი. ესპანური ძალზე არაადექვატურია; კინობითი ფორმის გამო (“pasadilla”) ის თავის ძალას კარგავს. სხვა ენებში სახელწოდება უფრო ენერგიულია: ბერძნული “*efaltes*” („ეფალტეს“) — კომმართა გამომწვევი ბოროტი სული. ლათინურში — “*incubus*” — ბოროტი სული, მაჯლაჯუნასავით რომ დასწოლია მძინარს და მასში კომმარულ განცდას იწვევს. გერმანული სიტყვა ძალზე საინტერესოა — “*Alp*” („ელფს“) — ელფის მიერ გამოწვეულ ხუთვას, იმნაირ აზრს რომ გადმოგვცემს, რასაც კომმარული განცდის გამომწვევი ბოროტი სული. არსებობს სურათი, რომელიც უნახავს დე კუინსის, მსოფლიო ლიტერატურაში კომმარულ სიზმართა ერთ-ერთ უდიდეს მკვლევარს. ესაა ფიუსელეს თუ ფიუზლის — XVIII ს. შვეიცარიელი მხატვრის

ტილო "The nightmare" („კომმარი“). ახლად გამოფიზილებული ქალიშვილი ხედავს, რომ ზედ საშოზე დასწოლია პატარა, ბოროტი და მახინჯი ჯუჯა — „ინკუბუსი“; სწორედ ესაა კომმარი. ამ სურათის ხატვისას ფიუზილი სწორედ სიტყვა "Alp"-ზე სულთამხუთავ ელფზე ფიქრობდა.

ჩვენ მივადექით უფრო ღრმა და მრავალმნიშვნელოვან სიტყვას, საშინელი სიზმრების ინგლისურ სახელს — "The Nightmare", რაც უშუალოდ „ღამეულ ფაშატს“ ნიშნავს. ასე ესმოდა ის შექსპირს. მას აქვს სტროფი, სადაც ვკითხულობთ: "I met the night mare" („მე შევხვდი ღამეულ ფაშატს“), საიდანაც ჩანს, რომ საშინელი სიზმარი მას ღამეულ ფაშატად ესახება. არის მეორე სტრიქონიც, სადაც პირდაპირ ლაპარაკობს: "the night mare and her nine foals" („ღამეულ ფაშატსა და მის ცხრა კვიცზე“). კომმარი მას აქაც ფაშატის სახით წარმოუჩნდება.

მაგრამ, ეტიმოლოგიის მიხედვით, აქ სიტყვის ძირი სხვაა. მისი ძირი უნდა იყოს "niht mare" თუ "niht maere" — ღამის სული. თავის ცნობილ ლექსიკონში დოქტორი ჯონსონი წერს, რომ სიტყვა დასაბამს უნდა იღებდეს ჩრდილოური, ან, ჩვენი აზრით, საქსონური მითოლოგიიდან, სადაც საშინელი სიზმრები ავსულის ხრიკებად ითვლება. აქ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გადაძახილს, ან ბერძნული "effaltes"-ისა თუ ლათინური "incubus"-ის თარგმანს.

არსებობს კიდევ ერთი განმარტება, რომელიც გვეხმარება იმაში, რომ ინგლისური "nightmare" გერმანულ "Märchen"-ს დაუფუკავშიროთ. "Märchen" ლეგენდას, ჯადოსნურ ზღაპარს, გამონაგონს ჰქვია. ასე რომ, "nightmare" შეიძლება „ღამეულ გამონაგონს“ ნიშნავდეს. ასე, ვიქტორ ჰიუგოსთვის "nightmare"-ის როგორც „ღამეული ფაშატის“ გაგება (არის რაღაც საშინელი ამ „ღამეულ ფაშატში“) სასიხარულო აღმოჩნდა იქცა. ჰიუგო სწავლობდა ინგლისურს და წერდა დღეს სრულიად დავიწყებულ წიგნს შექსპირზე. "Contemplations"-ის ერთ ლექსში, თუ მესხიერება არ მალატობს, ის იხსენიებს "le cheval de la nuit" („ღამის შავ ცხენს“) — კომმარს. ჰიუგოს უეჭველად ინგლისური სიტყვა "nightmare" უნდა ეგულისხმა.

რაკი ჩვენ ჩამოვთვალეთ სხვადასხვა ეტიმოლოგიები, ფრანგული სიტყვა "cauchemar" („კომმარიც“) მოვიხსენიოთ, რომელიც უთუოდ ინგლისურ "nightmare"-თან უნდა იყოს დაკავშირებული. ყველა ეს სიტყვა შეიცავს დემონურ იდეას — კომმარის გამომწვევი დემონის იდეას. ჩემი აზრით, აქ საქმე მხოლოდ ცრურწმენას როდი ეხება. ეს ცნება რაღაც ჭეშმარიტს შეიცავს.

შევიდეთ საშინელი სიზმრის, საშინელი სიზმრების სავანეში. მე ყოველთვის ერთი და იგივე რამ მესიზმრება.

პირდაპირ ვიტყვი: მე მტანჯავს ორი, ერთმანეთში გარდამავალი კომმარი: პირველი — ლაბირინთია, რომელიც ნაწილობრივ უკავშირდება ბავშვობაში ჩემს მიერ ერთ ფრანგულ წიგნში ნანახ ესტამპს, სადაც აღბეჭდილია მსოფლიოს შვიდი საოცრება, რომელთაგანაც ერთ-ერთი კრეტის ლაბირინთია. ლაბირინთს გიგანტური, ძალზე მაღალი ამფითეატრის ფორმა ჰქონდა (რაზედაც შეიძლება იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომ თავს დაჰყურებდა გარს შემოჯარულ კვიპაროსებსა და ადამიანებს. ამ დახშულ, ფატალურად დახშულ ნაგებობას ბზარები ჰქონდა. ბავშვობაში მეჩვენებოდა — ან ახლა მეჩვენება, რომ მეჩვენებოდა, — საკმაოდ ძლიერი ლუპა რომ მქონოდა, ერთ-ერთ ამ ბზართაგანს მიმტერებულს ლაბირინთის ამაზრზენ ცენტრში თავისუფლად შემეძლო დამენახა მინოტავრი.

ჩემი მეორე სიზმარული ჩვენება კი სარკეს უკავშირდება. სარკესთან ერთად თავს იჩენს ახალი ხილვა, ჩემი ღამეების ახალი კომმარი; ნილბის ხატება. ნილბი ყოველთვის შიშის ზარს მცემდა. ბავშვობაში მეჩვენებოდა, რომ თუ ნილბს იკეთებენ, მაშასადამე, რაღაც საზარელს მალავენ. ზოგჯერ (ეს ყველაზე შემზარავი სიზმრებია) ჩემსავე ანარეკლს ვხედავ სარკეში, მაგრამ ჩემი სარკისმიერი ორეული ნილბოსანია. ნილბის ჩამოგლეჯას ვერ ვხედავ, მეშინია, ვაითუ ჩემი ნამდვილი სახე დავლანდო-მეთქი, რომელიც, ჩემი წარმოდგენით, მხეცისას ჰგავს. ის, ალბათ, კეთრის, უბედურების თუ რაღაც სხვა საშინელების ნაკვალევითაა აჭრელებული, თავისი თავზარდამცემი ზემოქმედებით შეუდარებლად რომ აღემატება ჩემს წარმოსახვას.

კომმართა ნიშანდობლივი თავისებურება (არ ვიცი, აქ ჩვენი წარმოდგენები ემთხვევა თუ არა ერთმანეთს) მათი ზუსტი ტოპოგრაფიაა. მე, მაგალითად, ყოველთვის ბუენოს-აირესის გზაჯვარედინებს ვხედავ სიზმრად. აი, მე „ლაპრიდა ი არენალეს“ კუთხეში ვდგავარ, ან კიდევ „ბალკარესისა“ თუ „ჩილეს“ კუთხეში. ზუსტად ვიცი, სადა ვარ; ვიცი რომ სადაც, ძალიან შორს უნდა წავიდე. სიზმარში ყველა ამ შორეთს თავისი ტოპოგრაფია აქვს, თუმცა სრულიად სხვა თვისებისა. ეს, სულერთია, შეიძლება იყოს ხეობა, ჭანჭრობი, ჯუნგლი. მე ვიცი, რომ ბუენოს-აირესის სწორედ ამა და ამ გზაჯვარედინზე ვდგავარ და გზის გაგნებას ვცდილობ.

ასეა თუ ისე, კომმარში გარკვეულ ხატებას როდი აქვს მნიშვნელობა. მთავარია, როგორც მიაკვლია კოორდინა (მე განზრახ ვიმონებ პოეტებს), ის შთაბეჭდილება, სიზმრები რომ ახდენენ ჩვენზე. ხატებანი ყველაზე ნაკლებ ყურადღებას იმსახურებენ,



ჰარი პეტერსონი

ღამის კომმარი

ისინი წარმოებულნი არიან. იმთავითვე მოგახსენეთ, უამრავი ფსიქოლოგიური ტრაქტატი წამიკითხავს-მეთქი, მაგრამ პოეტურ პასაჟებს ვერ იქნა და ვერ მივაკვლიე მათში, ისინი კი წარმოუდგენლად ილუსტრირებულნი არიან.

განვიხილოთ ერთი ნიმუში პეტრონიუსიდან, რომლის ციტირებასაც ახდენს ადისონი. ის ამბობს: „ხორცის სიმძიმეს გარიდებული, თამამით ტკბება სული“. ხოლო გონგორამ თავის ერთ სონეტში ზუსტად გამოხატა აზრი: „სიზმრებიც და კომპარებიც, ყოველივე დანარჩენს რომ თავი ვანებოთ, მხოლოდ გამონაგონი, ლიტერატურული ქმნილებებიაო...“ სიზმარი წარმოდგენაა. XVIII საუკუნის დამდეგს ამ იდეით ისარგებლა ადისონმა თავის შესანიშნავ სტატიაში, ჟურნალ „The Spectator“-ში რომ გამოქვეყნდა.

მე ვიმონებდი თომას ბრაუნსაც. მისი აზრით, სიზმრები გვანვდიან იდეას სულის უპირატესობის შესახებ, რამდენადაც სიზმარში სული თავისუფლდება სხეულისაგან, თამამსა და ოცნებას იწყებს. ის ამბობს, რომ სული თავისუფლებით ტკბება. ხოლო ადისონის მიხედვით, სხეულის სიმძიმისაგან განთავისუფლებულ სულს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს ის, რაც სიცხადეში მიუწვდომელია მისთვის. და იქვე დასძენს: სულის ყველა უნარიდან (ჩვენ კი ვიტყვით — გონებისა; დღეს სიტყვას „სული“ აღარ ხმარობენ) მისთვის ყველაზე ძნელია თხზვის საკუთარი ნიჭის რეალიზება. ცხადია, სიზმარში ჩვენ ვთხზავთ. გვესიზმრება, რომ წიგნს ვკითხულობთ, სინამდვილეში კი ამ წიგნის თვითუფლებად სიტყვას ჩვენვე ვიგონებთ, თანაც — არაცნობიერად, და ამიტომაც ობიექტურად არსებული გვეგონია იგი. მე შემიმჩნევია, რომ ამნაირი მოსამზადებელი სამუშაო — ვუნდოთ მას საგანთა გამოსაგონებელი შრომა — ნიშნულია ბევრი სიზმრისათვის.

მახსენდება ერთი ჩემი სიზმარი — ეს მოხდა, ზუსტად მახსოვს, სერანოს ქუჩაზე, ან, უფრო ზუსტად, სერანოსა და სოლერის კუთხეში, მხოლოდ ადგილი სრულიად სხვა იყო, არაფრით რომ არა ჰგავდა სერანოსა და სოლერის კუთხეს. მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ პალერმოში ვარ, სერანოს ძველ ქუჩაზე. ერთი ჩემი ამხანაგი შემხვდა, რომელსაც მე ვერ ვცნობ. ვუყურებ და მიკვირს — ისე შეცვლილა. მისი სახე არც არასდროს მინახავს, მაგრამ დაბეჯითებით ვიცი, რომ შეუძლებელია ასე გამოიყურებოდეს. მარჯვენა ხელს ქურთუკის ლაცკანში მალავს (ეს დეტალი მნიშვნელოვანია სიზმრისთვის), ასე რომ, ხელს ვერ ვხედავ. ახლავ ვხვდები, რომ დახმარება სჭირდება და გულში ვიკრავ. ჩემო საბრალო მავანო, რა დაგმართინა? როგორ შეცვლილხარ? ნელ-ნელა გამოაქვს ხელი; მაგრამ ხელის ნაცვლად ჩიტის ფეხს ვხედავ.

საკვირველი ისაა, რომ იმთავითვე გულთან მალავდა ხელს. იმის აღმოჩენას, რომ ადამიანს შეიძლება ჩიტის ფეხი ჰქონდეს, რომ მე შევნიშნავ ამ გამაოგნებელ ცვლილებას, ადამიანის ტრაგედია, რომელიც ჩიტად იქცევა, — მე არაცნობიერად ვამზადდები. სიზმარში ესეც ხდება: რალაცას გვეკითხებიან, ჩვენ კი პასუხის თავი არა გვაქვს; პასუხს გვეკარნახობენ, ეს კი საბოლოოდ გვიბნევს თავგზას. პასუხი შეიძლება აბსურდული იყოს, მაგრამ სიზმარში ის სწორია. ასე მივდივარ დასკვნამდე, — არ ვიცი, მეცნიერულია თუ არა ის, რომ სიზმარი ესთეტიკური ქმედითობის ყველაზე არქაული სახეა.

სიზმრებს, როგორც ცნობილია, ცხოველებიც ხედავენ. ერთ ლათინურ ლექსში ლაპარაკია მწევარზე, სიზმარში

ყევით რომ მისდევს კურდღელს. ამრიგად, სიზმარი ჩვენთვის ესთეტიკური ქმედითობის სხვადასხვა სახეთა შორის ყველაზე არქაული, ყველაზე დრამატული ხასიათის სახეა. ეს აზრი მინდა შევავსო ადისონის სიტყვებით, თავისდა უნებურად კვერს რომ უკრავს გონგორას — სიზმრები, არსებითად, ლიტერატურული ქმნილებებიაო. ადისონის მიხედვით, სიზმარში ჩვენ თეატრად, აუდიტორიად, მსახიობებად, სიუჟეტად და იმ სიტყვებად ვიქცევით, რომლებიც გვესმის. ყოველივე ეს არაცნობიერად ხდება და იმდენად ცხოველმყოფელია, რომ თვით რელობასაც კი იტოვებს უკან. ზოგი უფერულ, ბუნდოვან სიზმრებს ნახულობს (ყოველ შემთხვევაში, მე ამ სახით გადმომცემენ), ჩემი სიზმრები კი ძალზე ნათელია და მკაფიო.

მაგრამ დავუბრუნდეთ კოლრიჯს. მისი აზრით, ყოველივე იმას, რასაც სიზმარში ვხედავთ, მნიშვნელობა არ გააჩნია. ახსნას მოითხოვს თვით სიზმრის ფაქტი. მას მოაქვს მაგალითიც: ახლა ამ დარბაზში ლომის გამოჩენა ყველას დააფთებებს. შიშს ლომის გამოჩენა იწვევს. ანდა: მე ძიძნავს, ვიღვიძებ და ვხედავ, რომ მკერდზე მაზის ვეება მხეცი. შემინებულს ჭირის ოფლი მასხამს. მაგრამ სიზმარში შეიძლება რალაც პირუკუ მოხდეს. ჩვენ რალაც გვთრგუნავს, ვცდილობთ ავსხნათ ამ დათრგუნვილობის მიზეზი. მაშინ, ლოგიკის საპირისპიროდ, მაგრამ ძალზე ცოცხლად, სიზმარში წარმოვიდგენ, თითქოს თავს მაზის სფინქსი. სფინქსი შიშის კი არა, დათრგუნვილი გრძნობის გამოხატულებაა. ადამიანები, დასძენს კოლრიჯი, გადაცემულ მოჩვენებას უფროთხიან და ჭკუაზე იშლებიან. და პირუკუ, მოჩვენების მხილველნი იღვიძებენ და რამდენიმე წუთის თუ წამის შემდეგ გონს ეგებებიან.

მე მსიზმრებია — და ახლაც მესიზმრება — უამრავი კომპარი. ყველაზე საშინელი — ან ჩემს მიერ საშინლად მიჩნეული — სონეტში ჩავრთე. აი, როგორი იყო: ჩემს ოთახში ვიჯექი; თენდებოდა (შესაძლოა, ამ დროს სიზმარს როდი ვხედავდი); ქვემოთ, სანოლთან იჯდა მეფე, თანაც ძალიან ბებერი. სიზმარში მივხვდი, რომ ის ჩრდილოელი მეფე, ნორვეგიის მბრძანებელი უნდა ყოფილიყო. მე არ მიყურებდა. თავისი უსინათლო თვალები ლურჯი ცის ნაჭრისთვის მიეპყრო. მივხვდი, რომ ძალიან ბებერია; ახლა ამნაირ სახეებს ვერსად შეხვდები. ამ სიზმარმა თავზარი დამცა. მე ვხედავდი მეფეს, მის ხმაღს, მის ქოფაკს. როგორც იქნა, გამომეღვიძა. მაგრამ მეფე ისე ღრმად აღმბეჭტოდა მესხიერებაში, რომ ერთხანს კვლავ ჩემს წინ ვხედავდი. ამ ჩემი სიზმრის მოყოლა ფუჭი საქმეა. მისი ყურება თავზარდამცემი იყო.

მოგიტხრობთ კიდევ ერთ საშინელ სიზმარს, ამას წინათ სუსანა ბომბალმა რომ მიაშბო. არ ვიცი, ჩემი მონაცოლი სათანადო შთაბეჭდილებას მოახდენს თუ არა თქვენზე. შესაძლოა, ვერც მოახდინოს. მას ესიზმრებოდა, თითქოს ოთახში ზის, რომელსაც თალიანი ჭერი აქვს. ოთახის ზედა ნაწილი ნყვდიადს მოეცვა. ნყვდიადიდან შავი ქსოვილი ეშვება დაბლა. ქალს ხელში მაკრატელი უჭირავს, ცოტა არ იყოს, უხერხულად სახმარი. მან ქსოვილს ქვემოთ ჩამოშვებული უამრავი ძაფი უნდა შეაჭრას. ქსოვილის იმ ნაწილს, რომლის შეთვალერებაც შეძლო, მეტრნახევრის სიგრძე ჰქონდა და მეტრნახევრის სიგანე. შიშმა და ძრწოლამ მოიცვა ქალი. კომპარი ხომ ყოველთვის შიშს იწვევს.

აქამდე ნამდვილ კომპარებზე ვმსჯელობდი. ახლა კი ლიტერატურულ კომპარებზე გადავალ. თუმცა, ალბათ,

ისინიც ნამდვილი არიან. წინა ლექციის კითხვისას დანტეზე ვლაპარაკობდი და „ჯოჯოხეთის“ „nobile castello“ („კეთილშობილური ციხე-სიმაგრე“) აღვინერეთ. დანტე ვერგილიუსის თანხლებით უახლოვდება პირველ გარსს და ხედავს, რომ მისი მეგზური გაფითრდა. ის ასე მსჯელობს: თუ ჯოჯოხეთში, თავის მარადიულ სამყოფელში შესვლისას ვერგილიუსი ფითრდება, როგორ არ უნდა ძრწოდეს თვითონ? ამიტომაც ეკითხება, ამის შემყურე, შიშით ფერმიხდილ მეგზურს; მაგრამ ვერგილიუსი უდრეკია: „მე წინ წავალ“; და ისინიც მიდიან; მიდიან მხნედ, მოუქანცველად, შორიდან კი უწყვეტი გმინვა ესმით; მაგრამ ეს გმინვა ფიზიკური ტანჯვით როდია გამოწვეული; არა, ის გაცილებით უფრო საშინელ სატანჯველს იუწყება.

ისინი უახლოვდებიან კეთილშობილურ ციხე-სიმაგრეს — „nobile castello“-ს, რომელსაც გარს შვიდი გალავანი აკრავს, სიმბოლურად რომ განასახიერებენ შვიდ თავისუფალ ხელოვნებას — trivium-სა და quadrivium-ს სამი გზა... ოთხი გზა. თუმცა, შესაძლოა, შვიდ სიქველესაც. დანტე რიცხვს „შვიდი“ უთუოდ მაგიურ რიცხვად თვლიდა. ის მართლაც უამრავ განმარტებას ითავსებს. დანტეც სწორედ მათი სიმრავლით სარგებლობს. ის ლაპარაკობს დანტეზე დაწერილ კამკამა წყაროსა და ხასხასა, ან უკვე მიმჭენარ მდელიზე, რომლის ნაცვლადაც ის მხოლოდ მინანქარს ხედავს; არა მდელს, სიცოცხლით მფეთქავ სივრცეს, არამედ — მიმჭენარსა და მინავლულ არეს. მათ უახლოვდება ანტიკურობის ოთხი დიდი პოეტის ლანდი. მათ შორისაა ჰომეროსი, ხმალი რომ უპყრია ხელთ; იქვე არიან ოვიდიუსი, ჰორაციუსი და ლუკანუსი. ვერგილიუსი სთხოვს დანტეს პატივი მიაგოს მის სათაყვანებელ პოეტს: „Honorate l'altissimo Poeta“ („პატივი მიაგეთ უზენაეს პოეტს“). ჰომეროსი უახლოვდება და ესალმება დანტეს, როგორც მისი გუნდის მეექვსე წევრს. „ღვთაებრივი კომედია“ ჯერ კიდევ არ დანერვილა: ის სწორედ ახლა იწყება, მაგრამ დანტე დარწმუნებულია, რომ თავს გაართმევს მას.

შემდეგ მას უამბობენ იმას, რისი გამეორებაც უხერხულია. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ საქმე ფლორენციელის სიმორცხვეშია. მაგრამ აქ მიზეზი გაცილებით უფრო ღრმაა. საქმე ეხება კეთილშობილური ციხე-სიმაგრის ბინადართ. აქ ცხოვრობენ წარმართთა და მუსულმანთა დიადი აზრდინი. მათი სიტყვა მოზომილია და ზომიერი. მათი იერი უზენაეს ღირსებას ავლენს. მაგრამ ღმერთი არ არის მათთან. აქ უღმერთობა სუფევს. მათ იციან, რომ განწირული არიან ამ მარადიულ, დიადსა და შემზარავ ციხე-სიმაგრეში ცხოვრებისათვის.

აქა არისტოტელე, მცოდნეთ მოძღვარი; აქ არიან სოკრატემდელი ფილოსოფოსნი, პლატონი; აქვეა ტახტზე ეულად მჯდომარე დიდი სულთან სალადინი; ყველა ის დიდი წარმართი, რომელთა ხსნაც შეუძლებელი შეიქნა, რადგან არცერთი მათგანი არ არის მონათლული. ქრისტემ ვერ შეძლო ეხსნა ისინი. ვერგილიუსი ჯოჯოხეთში ქრისტეზე მსჯელობს, მაგრამ სახელდებით ვერ იხსენებს და „მბრძანებელს“ უწოდებს მას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დანტეს ჯერ კიდევ არ აღმოუჩენია თავისი დრამატურგიული ტალანტი, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს აამეტყველოს თავისი პერსონაჟები. ისლა დაგვრჩენია, ვნანობდეთ, რომ ვერ გადმოგვცა ის მშვენიერი და ღირსეული სიტყვები, ხელში ხმალჩაბლუჯული რომ წარმოთქვამდა ჰომეროსის დიადი ლანდი. მაგრამ ჩვენ გვესმის დანტესი: უმჯობესია, თუ ყველაფერი მოხდება სრულ

სიჩუმეში. მაშინ ციხე-სიმაგრე შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენზე. დანტე ესაუბრება დიად აზრდინებს; იხსენიებს სენეკას, პლატონს, არისტოტელეს, სალადინს, ავეროესს. სათითაოდ ასახელებს მათ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ გვესმის. და მართლაც, ასე სჯობს.

გააზრების შემდეგ ვიტყვოდი: ჯოჯოხეთი საშინელი სიზმარი კი არ არის, არამედ — სანამებელი კამერა, სადაც საშინელი ამბები ხდება, მაგრამ კეთილშობილურ ციხე-სიმაგრეში კომპარტა ადგილი არ არის. ასე ფიქრობს დანტე, როგორც ჩანს, პირველად მსოფლიო მწერლობაში.

ავიღოთ მეორე მაგალითი, რომელსაც ძალიან აქვდა დეკუინი. ჩვენ მას შევხვდებით ვორდესვორთის „პრელუდიის“ მეორე ნიგნში. ვორდესვორთი აღიარებს, რომ მას ძალიან აშინებს საფრთხე, რომელიც კოსმიურ კატაკლიზმებს დაქვემდებარებული ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგს ემუქრება. ეს შიში საკმაოდ უცნაურია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვორდესვორთი ამას XIX საუკუნის პირველ ნახევარში წერდა. იმ დროისათვის უცხო იყო ამნაირ თემებზე ფიქრი. ჩვენ მხოლოდ დღეს ვამბობთ, რომ ადამიანის ყველა ქმნილება და თვით მთელი კაცობრიობაც შეიძლება განადგურებულ იქნეს ნებისმიერ მომენტში. გახსოვდეთ ატომური ბომბი. ვორდესვორთი აღადგენს მეგობრულ საუბარს. ის ამბობს, რა საშინელი, რა შემზარავია იმაზე ფიქრი, რომ მეცნიერებისა თუ ხელოვნების ყველა დარგი, ადამიანის სულის ყველა ქმნილება, შეიძლება ნებისმიერი კატასტროფის მსხვერპლი აღმოჩნდეს. მეგობარი პასუხობს: ხშირად მეც ამნაირი შიში მიპყრობსო. ვორდესვორთი ამბობს: მე კი ეს შიში სიზმარში განვიცადე.

აქ ჩვენ მივადგებით სიზმარს, შედეგად რომ მესახება ყველა სხვა სიზმართა შორის. ის შეიცავს საშინელი სიზმრის ორივე კომპონენტს: როგორც ფიზიკური ტკივილის, დამთრგუნველი მდგომარეობის მოტივს, ისე თავზარდამცემი შიშის, ზებუნებრივი სანყისის ელემენტსაც. შუადღისას, გადმოგვცემს ვორდესვორთი, ზღვის პირას მჯდარი ჩემს საყვარელ ნიგნს — „დონ კიხოსს“ ვკითხულობდი. მართალია, ნიგნს არ ასახელებს, მაგრამ ჩვენ ვხვდებით, რას ეხება საქმე. ის ამბობს: „ნიგნი გადავდე და ფიქრს მივეც თავი. სრული სიმართლეა: მე ვფიქრობდი ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის ბედზე. შემდეგ კი საათმა დარეკა“. შუადღის საშინელი, სულის შემსუთავი სიციხის ჟამს ზღვრისაპირა მღვიმეში მჯდომარე ვორდესვორთს (მის წინაშე ყვითელი ქვიშის სანაპიროა) სიზმარული ხილვა ეუფლება: „სიზმარმა მომიცვა და ჩემში შემოვიდა“.

მღვიმეში, ზღვის პირას, ოქროსფერი ქვიშრობით გარემოცულს ძილი ერევა. სიზმარში უკვე შავ ქვიშას, საპარის შავ ქვიშას ხედავს. აქ არც წყალია და აღარც ზღვა. შუაგულ უდაბნოში — ვინც უდაბნოში ამოყოფს თავს, უთუოდ მის შუაგულში ხვდება, — ფიქრობს, როგორ გააძლიოს აქედან, და თანდათან გვირი იპყრობს. უცებ გაძნობს, რომ მარტო არ არის, მის გვერდით ვილაცხაა. ჰოი, საოცრება: ესაა ბედუინთა ტომის არაბი; აქლემზე ამხედრებულს მარჯვენა ხელში შუბი ჩაუბლუჯავს, მარცხენა ილიაში კი ქვა ამოუჩრია; ხელში ნიჟარა უჭირავს. არაბი ამბობს: ჩემი მისია მეცნიერებისა და ხელოვნების გადარჩენააო, და მის ყურთან მიაქვს აუნერელი სილამაზის ნიჟარა. ვორდესვორთი („ჩემთვის უცნობ, მაგრამ გასაგებ ენაზე“) ამბობს, რომ მოესმა მგზნებარე ოდის მსგავსი

ნინასწარმეტყველება, რომელიც იუნყებოდა — უფლის რისხვა მოავლენს საშინელ წარღვნას, სულ მალე ერთნაირად რომ წალეკავს მთელ დედამიწას, მაგრამ უნდა ვიხსნათ მეცნიერება და ხელოვნებაო. არაბი უჩვენებს ქვას, რომელიც ქვადვე რჩება, მაგრამ უცნაური მეტამორფოზის გზით ევკლიდეს „გეომეტრიად“ იქცევა. შემდეგ კი ნიჟარას უწვდის, მთელი ამ საშინელების გამოწვევ წიგნად რომ გარდაიქმნება. ნიჟარა, იმავდროულად, მთელი მსოფლიოს პოეზიაა და, ამასთან, ვითომ რატომაც არა? — საკუთრივ ვორდსვორთის პოემაც. ბედუინი ამბობს: „მე მინდა ვიხსნა ორივე წიგნი — ქვაც და ნიჟარაც!“ უკან იხედება და უცებ ვორდსვორთი ხედავს: ბედუინი სახეს იცვლის; შეძრწუნებული აქეთ-იქით იყურება და ნახევარი უდაბნოს წამლეკ თვალისმომჭრელ სინათლეს ხედავს. ეს — დედამიწის წამლეკი წარღვნის წყალია. ბედუინი აქლემს მიაგვლევს, და ვორდსვორთი ხვდება: ბედუინი დონ კიხოტია, აქლემი კი — როსინანტი. და ზუსტად ისე, როგორც ქვა და ნიჟარა წიგნებია, ბედუინი კი — დონ კიხოტი, თვითონ არც ერთია და არც მეორე, არამედ — ორივე ერთად. ამნაირი დუალიზმი ნიშნეულია სიზმრებისთვის. და უცებ, შემზარავი ყვირილით, ვორდსვორთი იღვიძება.

ჩემი აზრით, ეს საშინელი სიზმარი ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავია მსოფლიო ლიტერატურაში.

იქიდან, რაზედაც მე და თქვენ დღეს ვლაპარაკობდით, შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, ორი დასკვნა მაინც გამოვიტანოთ; შემდეგ ჩვენ კვლავ მივუბრუნდებით მათ. პირველი: სიზმარი მხატვრული ნაწარმოებია, შესაძლოა, ყველაზე არქაული მხატვრული გამოხატულების სფეროდან. ის უაღრესად დრამატულ ფორმას იღებს, რადგან, ადისონის მტკიცებით, ჩვენ თეატრად, მაყურებლად და მსახიობებად ვიქცევით. მეორე დასკვნა საშინელებათა სფეროს ეხება. ჩვენს ცხოვრებაში საშინელება უამრავია: ყველას კარგად მოეხსენება, ცხოვრებაში არის წუთები, როცა რეალობა დამთრგუნველად მოქმედებს ჩვენზე. საყვარელი ადამიანი კვდება, სამუდამოდ გვტოვებს, — რამდენი სხვადასხვა საბაბი სასონარკვეთისა და ურვისთვის... რა თქმა უნდა, საშინელ სიზმრებთან ამ განცდებს ცოტა რამა აქვთ საერთო. კომმარში საშინელება სხვანაირია, მან შეიძლება ნებისმიერ სიუჟეტში შეისხას ხორცი. შეიძლება ბედუინი დონ კიხოტში განსახიერდეს, როგორც ვორდსვორთის სიზმარში; მაკრატიელსა თუ აბსურდულ ძაფებში, ან ჩემს სიზმარში მეფის შესახებ თუ ედგარ პოს ცნობილ კომმარებში. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი რამ: კომმარის „გემო“. ჩემს მიერ განხილულ ტრაქტატებში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ.

ისლა დამრჩენია, თეოლოგიური ინტერპრეტაცია შემოგთავაზოთ, რაც სავსებით შეესაბამება ეტიმოლოგიას. ავიღოთ ნებისმიერი სიტყვა: ვთქვათ, ლათინური „incubus“, საქსონური „nightmare“ ან გერმანული „Alp“. თვითუფლ მათგანში რაღაც ზებუნებრივი იგრძნობა. დავუშვათ. მაგრამ თუ კომმარის ბუნება მართლაც ზებუნებრივია? კომმარები კი ჯოჯოხეთის ხერხელებად გვევლინებიან? და საშინელ სიზმრებს მართლაც ჯოჯოხეთში გადაყვართ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით? რატომაც არა. სამყარო საოცარია: მასში ყველაფერია შესაძლებელი.

**ესპანურიდან თარგმნა
ბაჩანა ბრეხვაძემ**

როსტომ ჩხეიძე

პარის შეხსენის წინ

□

ფრანგულ-ქართული საქვეყნო ტიპილისში

დრამატულ სპექტაკლს ელოდები და... პანტომიმური სანახაობა შეგრჩება ხელთ.

ამ დადგმაზე შორეულ წარმოდგენას გვიქმნიდა ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, რომელთა ქართულ ვერსიასაც მკითხველი „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან (2010, №7) გაეცნო.

იქიდან შეიტყო, რომ ამ ქვეყანაში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა **ალექსი ჯაყელმა** თვითონვე მოამზადა დრამატურგიული სცენარი ფრანგულ-ქართული სპექტაკლისათვის — დამაფიქრებელი სახელწოდებით „**სადა ხარ?**“ — სცენარი შთააგონა **ოთარ ჩხეიძის** ორმა პიესამ: „**პანო**“ და „**დედა**“, დადგმაში კი მონაწილეობდა სამი ქართველი მსახიობი: **გვანცა დადიანიძე, ლიკა კველიშვილი** და **ზაზა ცარულაშვილი** — რეჟისორის მონაწილეები თბილისის თეატრალური უნივერსიტეტიდან, რომლებიც ალექსი ჯაყელმა საგანგებოდ მიიწვია საფრანგეთში და იქაურობისათვის შესაგუებლად ეს სპექტაკლი შეურჩია.

რაკილა ოთარ ჩხეიძის ამ პიესებში უკიდურესი სიმძაფრით გამოიხატა თანამედროვე ადამიანის ტრაგიკული ხვედრი და საქართველოს მწარე ბედისწერა, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე რომ გადის, მოსალოდნელი გახლდათ, რომ ეს სიმძაფრე სცენაზეც გადაინაცვლებდა.

საქართველოს დრამატული ბედისწერა რამდენად ააღვლევდა ფრანგ მაყურებელს?

ამიტომაც სავარაუდო იყო, რომ სპექტაკლის მხატვრული მრწამსი ზოგადადამიანური პრობლემატიკის რკალში უფრო მოექცეოდა, დასავლური სამყაროსათვისაც ასერიგად მტკივნეულსა და აქტუალურში.

იმ მასალებში სწორედ ქოტურობის, სასონარკვეთილები-სა და დაკარგულობის მოტივებზე მახვილდებოდა ყურადღება.

კი მაგრამ, სიუჟეტურად ეს ორი სრულიად დამოუკიდებელი პიესა როგორ ერთიანდებოდა?

რეჟისორს არც უთქვამს: გავაერთიანო.

იგი მხოლოდ „ძალზე თავისუფალ შთაგონებას“ ახსენებდა, შთაგონებით კი არამცთუ განსხვავებული სტილისტიკის, არამედ სრულიად სხვადასხვა ჟანრის თხზულებებმაც შეიძლება აგანთოს და მიგიყვანოს ორიგინალურ სპექტაკლამდე, რომელშიც შერწყმული იქნება თეატრის, პანტომიმის, სიმღერისა და ცეკვის ხელოვნება.

და, აი, ეს ფრანგულ-ქართული ქმნილება თბილისშიც ვიხილეთ, **ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო**

ცენტრალურ საბავშვო თეატრში, საფრანგეთიდან ამ ქართული გუნდის საგასტროლო დადგმისას.

არადა:

ოთარ ჩხეიძე და... პანტომიმური სანახაობა?..

იგი ხშირად და დაჟინებით იმეორებდა, რომ თეატრი უპირველესად სიტყვა და დიალოგია და სიტყვად და დიალოგად უნდა დარჩენილიყო, როგორი ექსტრავაგანტური სიახლეებიც უნდა მოეტანათ რეჟისორებს.

ცხადია, სანახაობრივ მხარესაც თავისი კუთვნილი უნდა მიგებოდა, მაგრამ სიტყვის ხარჯზე არამც და არამც. არ მოსწონდა სპექტაკლებში დიალოგების შეკვეცა, სიტყვის გადანაცვლება უკანა მხარეს... და ესეებსა და ლიტერატურულ საუბრებსაც აღარ იკმარებდა თავისი სამდურავისა თუ გულისწყრომის გამოსახატავად და აგერ, პიესაში „დედა“ პოლემიკურ პასაჟად ჩაურთავდა რემარკის გაშლისას:

— ანთუ ამდენიც არ უნდა მეთქვა, როცა რეჟისორი მაინც გადახაზავს ამგვარ ადგილებსა, მერე დიალოგსაც შეესევა, შეესევა, რას იზამ, გაურბის ხელი თავისთავადა, გაურბის, გაურბის. ოღონდ მაინც ვურჩევდი: ეს გადახაზოს, არაფერია, დაიხსომოს და გადახაზოს, გადახაზოს და გადახაზოს, დიალოგს არ ახლოს ხელი, არა, არ ახლოს ხელი, დრამატურგია დიალოგია, თეატრი დიალოგია, სხვა არაფერი არ არის თეატრი.

რეჟისორთაგან თუ ვინმეს მიეტანა გულთან ოთარ ჩხეიძის ეს სამდურავი, ერთ უპირველეს სწორედ ალექსი ჯაყელსაც, იმხანად გორის დრამატულ თეატრში რომ მოღვაწეობდა და უდიდესი სიფრთხილით მოეკიდა ამ მწერლის დიალოგებს, როდესაც მისი ორი ისტორიული ტრაგედიის ხორცშესხმა სცადა: „სოლომონ — მსაჯული მეფისა“ და „ქეთევან“. არც სიტყვა გამოუტოვებია და არც თეთრი ლექსი ჩაუნაცვლებია პროზაული მეტყველებით, მსახიობებს ასე უფრო გაუადვილებათო (რეჟისორებს უმთავრესად ეს ცრუმოტივი აქვთ ხოლმე ხელზე დახვეული). პირიქით — მოინდომა, რომ მსახიობი შესჩვეოდა სიტყვის მადლსა და დიალოგის ხიბლს და სიტყვა ყოფილიყო წარმართველი სცენაზე, სხვა ყოველივეს კი ფონის მოვალეობა დაჰკისრებოდა.

სანახაობრიობის გარეგნულმა მხარემ უკან გადაინაცვლა იმ დადგმებში და... კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თურმე სცენაზე ყველაზე უკეთესი სანახაობა სიტყვა ყოფილა — მსახიობებმა წარმატებით გაართვეს თავი მათთვის ან ცოტა არ იყოს უჩვეულო ყოფას, და მაყურებელიც მოხიბლული დარჩა. და აღტაცებულიც — ერის დრამატული ბედისწერა ასეთი სისავსით რომ განიცადა.

აქ კი... ამჯერად...

დიალოგების შეკვეცას ვინ ჩივის, საერთოდ დაკარგულა

სიტყვა, თუ მაინცდამაინც „სიტყვად“ არ მივიჩნევთ დროდადრო გადმოსროლილ რეპლიკებს, რალაცას სერვანტესზეც რომ მიგანიშნებენ, შექსპირზეც, მოლიერზეც, გალაკტიონის ორიოდ სტრიქონიც ჩაერთვის, ხოლო ოთარ ჩხეიძის პიესებიდან შემორჩენილა მარტოდენ განწირული ძახილი: „დედა“.

თუმც აკი რეჟისორს არც განუცხადებია: ოთარ ჩხეიძის დრამატული ქმნილებანი დუმილის ესთეტიკის ანდა რაიმე მსგავსი სტილისტიკის გათვალისწინებით დავდგო.

ხოლო შთაგონება, მითუფრო — ძალზე თავისუფალი, სრულიად არ მოითხოვს არამცთუ სიუჟეტის კვალდაკვალ მიყოლას, არამედ ცალკეულ ეპიზოდთა ამოკრებასაც.

შთაგონება ამჯერად დასადგმელად შეგულიანებაა და სხვა არაფერი.



სცენა სპექტაკლიდან „სადა ხარ?“

ამიტომაც მხოლოდ იმ პიესათა განწყობილებანი ბრუნავს სცენაზე — პერსონაჟთა ამაო ტორტმანი და მიმონყდომა აქეთ-იქით სინათლის რალაც ნახაბის ძიებაში, მათი უმიზნო ბორიანი და ამაოების უფსკრულში ჩახედვა.

ზოგადი თვალსაზრისით ეს განწყობილებანი ნიშანდობლივია არაერთი დასავლელი მწერლისათვის, და მათ შორის, აბსურდისტ შემოქმედთათვის, უშუალოდ იმ სტილისტიკისათვის, რომელსაც ენათესავება „პანო“.

და ალექსი ჯაყელს თავისუფლად შეეძლო საგანგებოდ არც მოეხსენი-

ებინა ოთარ ჩხეიძე... მაგრამ მისთვის ესაა ძვირფასი სახელი, საქართველოში ყოფნისას სულაც „**ოთარ ჩხეიძის თეატრის**“ დაარსებაზე რომ ოცნებობდა, ამჟამად კი ლამობს მის დრამატურგიას გზა გაუკაფოს ჯერ ფრანგულ, შემდეგ კი მთელ დასავლურ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში. ამცნოს ფრანგულ თეატრალურ სამყაროს, რომ არსებობს ასეთი დრამატურგი საქართველოს სახელმწიფოში, საუკეთესო დასავლელ მწერალთა რანგისა (**დომინიკ გრეგუარი** სწორედ მისი ჩავონებით მოიხსენიებს ოთარ ჩხეიძეს შექსპირის, მოლიერის, ლოპე დე ვეგასა და კალდერონის ფონზე), რომლის მხატვრულ ქმნილებებსაც დღეს თუ ხვალ აუცილებლად დაისაჭიროებს ევროპაც და ამერიკაც... გააღვივოს ცნობისნადილი, რათა როდესაც ფრანგულ ენაზე მომზადდება თუნდაც „პანოსა“ თუ „დედის“ სრულყოფილი ვერსიები, გაუადვილდეს მათი დადგმაც და ფრანგი მაყურებლის ჩართვაც ამ სპექტაკლებში.

ამიტომ კარის შეხსნის წინ ჯერ დაე პანტომიმური სტილი ყოფილიყო — უდენებოდ რასაც განვდებოდა.

სპექტაკლს „სადა ხარ?“ უთუოდ ქართული მელოდიებიც უნდა ჩაფენოდა, უხვად, საკმაოდ უხვად, საცეკვაოც და სასიმღეროც, რათა ფრანგ მაყურებელს ჯერ ამ მხრივ შეეგრძნო მისთვის უცხო სამყარო, მიეახლოვებინა, შეეთვისებინა.

მთელს იმედს კი რეჟისორი მსახიობთა ვოკალურ და პლასტიკურ უნარზე ამყარებდა... და კიდევ გაუმართლებდნენ გვანცა დადიანიძეც, ლიკა კეკელიძეც და ზაზა ცარულაშვილიც იმ შესანიშნავი, დახვეწილი პლასტიკით, ნამდვილი ხელოვნების მადლს რომ გაზიარებს, და გულს სიამედ ჩაგეფინება, ფრანგული საზოგადოება ქართული ნიჭის გამოვლენას კიდევ ერთხელ რომ მიადევნებს თვალს.

არა, მაინც პანტომიმა რატომ?

იქაურ თეატრალურ გემოვნებასა და ინტერესს ითვალისწინებს რეჟისორი — სიტყვისა და დიალოგის შეკვეცი-საკენ სწრაფვა მართლდენ ქართველ რეჟისორთა სენი კი არ არის, ანდა მხოლოდ ჩვენი მაყურებლის გაზარმაცების ბრალი, საყოველთაო განწყობილება, ის „ახალი ესთეტიკა“, რომელსაც ბოლოსდაბოლოს უნდა გაუვიდეს ყავლი, და თუ ამჟამად რეჟისორები უფრო იმით ინონებენ თავს, როგორ შეკვეცეს პიესა და თავიანთ ნება-სურვილს მოარგეს, მოახლოებულია დრო, როდესაც თავს იმით მოიწონებენ, სიტყვა რა არის, სიტყვაც არ გამოგვიტოვებია თუ შეგვისხვაფერებია და მაყურებლის გემოვნებაც საგრძნობლად დაეხვეწეთო.

საყოველთაო განწყობილების მთავარი გეზი იგულისხმება, თორემ ცალკეული რეჟისორები მუდამაც ერთგულობდნენ სიტყვიერი ხელოვნების ამ იდუმალ კანონს და მის უწყვეტობას ინარჩუნებდნენ ყველაზე გაუსაძლის პირობებშიც.

დრამატურგია დიალოგია, თეატრი დიალოგია, სხვა არაფერი არ არის თეატრიო...

დაე ფრანგებმა თუნდ „პანოსა“ ან „დედის“ დადგმების მაგალითზე განიცადონ, თუ რას ნიშნავს ამ ესთეტიკისა თუ სტილისტიკის გადარჩენის აუცილებლობა, რათა თეატრმა დაიბრუნოს თავისი დანიშნულება და საღვთო ვალი, რომელიც სიტყვის გარეშე ისეთივე ამო ბორიალს ემსგავსება, თუნდაც ალექსი ჯაყელის ამ სპექტაკლის პერსონაჟებს რომ დამართნიათ და გამოსავალი კი ვერსაით უპოვნიათ... და ვერც იპოვნიათ, სიტყვა თუ არ წამოეშველათ — ხელმოსაჭიდად, საყრდენად, იმედად...

სადა ხარ? — კითხულობს ქართველი რეჟისორი საფრანგეთის მიწაზე, და პასუხი კი მის მხატვრულ-ესთეტიკურ ძიებებში იგულისხმება — სადაც სიტყვა მანუგეშებლად.

სწორედ აქეთ მიიღვით სპექტაკლი, რაოდენ დამორგუნველიც უნდა იყოს ჩახუთულ სივრცეში მომწყვდეულ პერსონაჟთა მიმოწყდომა, რადგანაც შიგადაშიგ მაყურებლისათვის აშკარად საცნაური ხდება იმედის ნამცეცების არსებობა. ამიტომაც ახსენებს დომინიკ გრეგუარი პირველი სიყვარულის შორეულ მოგონებასაც, განშორების ბუნდოვან შეგრძნებასაც, რაღაცის გამოუთქმელ ნოსტალგიასაც, რაც ლოგიკური იყო, თუმც სახელი ვერც დაგერქმია...

ასეა თუ ისე, სწორედ ამ გარემოებებმა უბიძგეს, რომ რეცენზიაში ეს ფრანგულ-ქართული ქმნილება შეეფასებინა როგორც: არაჩვეულებრივი სპექტაკლი, რომლის ორიგინალური ფორმაც მჭიდროდ უნდა შეინწყმოდა იმ ქაოტურ აღქმას, რაც აქვს ადამიანს საკუთარი არსებობის თაობაზე, და რის შინაგან მოტივსაც ყველაზე უკეთ კითხვითი ფორმა განსაზღვრავს და პასუხსაც ის გულისხმობს.

სადა ხარ?.. სადა ხარ?.. სადა ხარ?.. — ამ ზოგადადამიანურ ტკივილებს უძებნიდა პოეტურ გარსს გალაკტიონი და მისი ეს შეკითხვა, თავისებური პასუხის ჩამტევიც, ამიტომ გახშირდა ასე მარჯვედ ფრანგულ-ქართული სპექტაკლის სახელწოდებად.

და მაინც:

დიალოგია დრამატურგია.

დიალოგია დრამატული თეატრი.

სხვა არც არაფერია დრამატული თეატრი — სიტყვაგამოცლილი, უსულოქმნილი სანახაობრივ ეფექტებს დროებით თუ შეაფარებს თავს, ვიდრე ზედ ჩამოეგრეოდეს ეს მყიფე სადგომი, თუკი მთავარ ძარღვად სიტყვას არ გაიხდის, თორემ თავისთავად სანახაობრიობაც არაფერს დააშავებს, დროდადრო გამჟღავნებული და თავისებურ მხატვრულ პაუზებზე დაჩაღებულ თეატრების რეპერტუარებში იმ მთავარი მოვალეობის აღსრულების გზაზე — როგორც შექსპირი ჩაურთავს ხოლმე კომიკურ პასაჟებს ტრაგედიების სიუჟეტურ ქარგაში, რათა მაყურებელს ნაღველი ოდნავ შეუმსუბუქოს.

სადა ხარ? — კვლავაც მტანჯველ ფიქრად და გამოცანად რჩება. და ვაი ჩვენდა, თუ თვალსაწიერზეც ვერსად დავლანდავთ ნუგეშისა და იმედის ანარეკლებს.

ქრონიკა

ისინი სულ რამდენიმე წელია სცენაზე დგამენ ნაბიჯებს, ზოგიერთი კი სულაც პირველად წარსდგა მსმენელის გარეშე.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ვოკალურმა ჯგუფმა, ლიკა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, მორიგი საანგარიშო კონცერტი გამართა.

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის საბავშვო თეატრის სცენაზე პატარებმა მთელი წლის მუშაობის შედეგები წარადგინეს.

მათ შესარულეს გურამ ბზვანელის, რევაზ ლალიძის, კახა ცაბაძის, ლილიკო ნემსაძის, სულხან ცინცაძის, მაკა აროშიძის, რუსუდან სეფისკვერადისა და თამარ ვაშაკიძის ნაწარმოებები.

ამ კონცერტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, როგორი ნიჭიერი თაობა ეზრდება ჩვენს ქვეყანას. მათი პედაგო-

გის დიდი ძალისხმევის შედეგად, საოცარი სცენიურობითა და ვოკალით ხიბლავდნენ მსმენელს **ნინი ჯაველიძე, ანა ჭიკაძე, ელისაბედ ჩხეიძე, ნატა მინდაძე, ნინი სტურუა, თაკო ნოსელიძე, ანა მამალაშვილი, სოფო და ქეთი ბურდულაძე.**


— ამ პატარებს სხვადასხვა კონცერტიდანაც იცნობს მსმენელი. ჩვენ ვახერხებთ გასვლით ღონისძიებებშიც მივიღოთ მონაწილეობა. დღეს კი შევეცადეთ წარმოგვედგინა, რა შეიძინეს ამ პატარებმა სასწავლო წლის დასაწყისში გამართული კონცერტის შემდეგ. ზოგი პირველად იდგა სცენაზე, ზოგს კი უკვე აქვს ამის გამოცდილება. ამიტომაც ნერვიულობაც ბუნებრივია და ისიც, რომ ზოგიერთმა ბოლომდე შეძლო თავის წარმოჩენა.

ასეთი კონცერტების მიზანიც ხომ სწორედ ეს არისო, — თქვა ქალბატონმა ლიკამ.

ემზარ კვიციანი

სალხის თვალწინ დაფერფლილი სიცოცხლე

საშუალო სკოლას ვამთავრებდი, როცა ჩემმა უფროსმა მეგობარმა, პოეტმა შოთა ჩანტლაძემ ვერის ბაღში მუხრან მაჭავარიანი გამაცნო. იქვე იყო მათგან განუშორებელი მესამე პოეტიც, მათთან შედარებით საკმაოდ ჩასუქებული და ძალზე კეთილი გივი ძნელაძე. მუხრანი ერთი შეხედვითვე იქცეოდა ყურადღებას. ახოვანს, ზორბას გრძელი, ფაფარივით თმა მხრებამდე სცემდა (ქუდს ზამთარშიაც არ იხურავდა) და უხეზად ნაქსოვი სქელი სვიტრის ჩაცმა უყვარდა, ჯაჭვისპერანგიან ძველ რაინდს ჰგავდა. დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა და როდესაც რაიმე სასაცილოს გაიგონებდა, ხმამაღლა გადაიხარხარებდა ხოლმე. წლების მერე, სამივემ ერთად, სამაგალითო ოსტატობით თარგმნეს სახელგანთქმული ფინური ეპოსი „კალევალა“, მაგრამ ნაადრევად გარდაცვლილი შოთა ჩანტლაძე მის წიგნად გამოცემას ვეღარ მოეხსნა.



მუხრან მაჭავარიანი

კარგად მახსოვს მუხრან მაჭავარიანის პირველი პუბლიკაციები, გამოსვლები მწერალთა კავშირში, მსმენელთა აღტაცება. იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც სრულიად გამორჩეული ხმისა და ხელწერის პოეტმა. სრულიად ახალგაზრდამ დაწერა თავისი შედეგები — „საბა“, „ტყე-ტყე მიდის“, „მინურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელები“, „ვახტანგ მეფის ნანადირევი“, „შემოდგომა“ და სხვები.

ტრადიციული, კლასიკური სალექსო ფორმების გვერდით, იგი ხშირად და აშკარა წარმატებითაც იყენებდა ვერლიბრს და ამ დროსაც არავის ჰგავდა. სანიმუშოდ მოვიტან ნაწყვეტს ერთი თავისუფალი ლექსიდან, სადაც ბუნების გამოლვიძებას დანატრებული პოეტი გაზაფხულს, აყვავებულ ტყემლის ხეს ისე ხარბად უმზერს განთიადისას, „თითქოს საავადმყოფოს ფანჯრიდან ავადმყოფის თვალებით“ ხედავდეს. ისეთი ცხადი, დაუფინყარი სურათია წარმოსახული, გეგონება — ვეება მუშამბაზე ფიროსმანის შეუღარებელი ფუნჯი მოძრაობს და მკვეთრად განსხვავებულ, კონტრასტულ ფერებს თამამად ალაგებს, რაც საბოლოოდ იშვიათ ჰარმონიას ქმნის:

**დერეფანში აგურისფერ ძროხას
ხორციით სავსე დედაკაცი წველის...
ძროხის ვარდისფერ ცურიდან
რძის თეთრი ჩხირები
წამდაუნუმ გამოსხივდებიან ხოლმე
და შავი ქოთნიდან
ხამუმ-ხამუმ ისმის ჩხრიალი მათი.**

დილაა...

მუხრან მაჭავარიანს მრავლად აქვს ოსტატურად დაწერილი, გამოკვეთილი სიუჟეტური ლერძის მქონე ერთგვარი ჟანრული ლექსები, რომლებშიც ახლო თუ შორეული წარსულის ეპიზოდებს აცოცხლებს და რეალურ, ისტორიულ პირთა შთამბეჭდავ პორტრეტებს ძერწავს. ასეთი გამორჩეული ლექსთაგანია „პუშკინი ტფილისში“, სადაც „რუსული პოეზიის მზე“ არაჩვეულებრივი სითბოთი და სიყვარულითაა გამოყვანილი. პუშკინის ბრწყინვალე დოკუმენტური პროზის გარდა („მოგზაურობა არზრუმში“) აქ გამოყენებულია მისი პოემა „ბახჩისარაის შადრევნის“ მღელვარე სტრიქონები (რუსულადაა ჩართული ტექსტში), რომელსაც

ყირიმის მრისხანე ხანის, გირეის, უსაყვარლესი ცოლი, საკვირველი სილამაზის ქართველი ქალი, ზარემა წარმოსთქვამს: „...кинжалом я владею, я близ кавказа рождена!“

სხენებული ლექსის პათოსი და ფერადოვნება, ჩვენი ქალაქის ძველი უბნების თავისებურებანი, მეცხრამეტე საუკუნიდან მოღწეული ხმები რომ შევიგრძნოთ, ერთი სტროფი მაინც უნდა მოვიტანოთ:

**პუშკინი
ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს...
ბაღში ქეიფია...
თავადი თამადაბოს...
მძვინვარებს ქეიფი
აზიურ ყაიდაზე.
— ალექსანდრ პუშკინი!
იცნობდეთ, თავადო.**

ხშირად მაგონდება მუხრან მაჭავარიანის ერთი მეტად ლამაზი და თავისებური ლექსი „პოეტი“, რომელიც თავის თავზე დაწერა და წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. პირველსავე სტრიქონებში აღწერილია მისი დაბადება ადრინა გაზაფხულზე, ხვან-თესვის ჟამს, როცა მთელი სოფელი მინდვრად ყოფილა გასული, გუთანში შებმულ ხარებს უძღვებოდნენ და მომავალი პოეტის გაჩენა ქვეყნიერებაზე თითქმის არავის გაუგია. ლექსის ავტორი იქვე ხუმრობის კილოთი შენიშნავს, რომ მაშინ იგი არც იყო ამის ანუ ყურადღების მიქცევის ღირსი.

გასაოცარი დინამიზმითაა გადმოცემული ყმანვილის

თვალდახელშეუა ზრდა, დაეაჟაკცება, სამყაროს საოცრებათა ხილვა, ყოვლის აღმქმელ შემოქმედად ჩამოყალიბება. ჭეშმარიტად უიტმენისებური სიმძაფრით შეიგრძნობს ჭაბუკი ბუნების უჭკნობ მშვენიერებას და სიცოცხლის უსაზღვრო ხოტბა, იმერეთის სოფლის პეიზაჟთა თავდავინყებამდე მისული სიყვარული მთელ მის შემოქმედებას მსჭვალავს, კელაპტარივით ასხივოსნებს.

ლექსის ბოლო, ფინალური აკორდი მის გარდაცვალებასა და დასაფლავებას ასახავს („აღმართის შემდეგ თავდაღმართზე დაეშვა ხალხი...“) და თუკი, როგორც ვნახეთ, მისი გაჩენა შეუმჩნეველი დარჩა, საქვეყნოდ სახელმძღვანელო პოეტის უეცარმა ნაქცევამ მთელი ერი დაამგლოვიარა. დავაკვირდეთ ამ სტრიქონებს:

**სამაგიეროდ,
ოდეს ხორცი მიეცა მინას,
ოდეს ლექსილა ხმაურობდა
პოეტის სისხლი, —
ქვეყანა შეძრა სიკვდილმა მისმა,
თხემით ტერფამდე
იგრძნო ხალხმა
დაკარგვა მისი.**

„თხემით ტერფამდე“ ხალასი ნიჭიერების პოეტი იყო და მისგან ნათელმხილველის უნარით ნაწინასწარმეტყველებები ელდაც სწორედ ამან გამოიწვია. მართლაც უცნაური და ამაღლებული შემთხვევა — გაზაფხულზე დაბადებული, გაზაფხულზევე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაისის გადაბრიალებულ დღეს, როცა ერთი ჩვენი, უცხოობაში გარდაცვლილი უიღბლო მეფე პოეტის, ვახტანგ მეექვსის თქმისა არ იყოს, თბილისის ნახვას არაფერი სჯობს.

მუხრან მაჭავარიანის სანაქებო თვისებათაგან ერთ-ერთი ის იყო, რომ იგი მუდამ ზრუნავდა თავის მეგობრებზე — ცოცხლებზეც და გარდაცვლილებზეც. როდესაც, დაგვიანებული ოპერაციის შემდეგ, ორმოცი წლის შოთა ჩანტლაძე დაიღუპა, მუხრანმა მალე ითავა მისი პირველი კრებულის გამოცემა. გივი ძნელაძეც ჩვენთან იყო. გადავსინჯეთ შოთას ხელნაწერები, შევადგინეთ წიგნი (ძალზე ეფექტური, სიმბოლური სათაური — „წავიდა თოვლი — მოვიდა მინა“... — მუხრანმა შეარჩია, მოკლე წინასიტყვა დაურთო) და, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, განახევრებული, ნაკლულევანი სახით, მაგრამ მაინც გამოსცა „მერანმა“.

ახლა სამი განუყრელი მეგობარი კვლავ ერთად იმყოფება ზეციურ საქართველოში. მჯერა, მონათესავე სულელები იქაც მოძებნიან ერთმანეთს და სამუდამო სასუფეველსაც ერთად დაიმკვიდრებენ.

ამ ცოტა ხნის წინ ჩემმა უფროსმა მეგობარმა ფრიდონ ხალვაშმა მითხრა — თბილისელი მწერლებიდან მუხრანი ყველაზე მეტად მიყვარდა. ჩამოვიდოდი თუ არა დედაქალაქში და სასტუმროში დავბინავდებოდი, მაშინვე მას ვურეკავდი, მყუდრო ადგილს მოვნახავდით, ლიტრიან ბოთლებში ჩამოსხმულ, სასიამოვნოდ დასალევ კახურ ღვინოს დავიდგამდით, სამშობლოს დავლოცავდით, წინაპრებს მოვიგონებდით და პოეზიაზე საათობით ვსაუბრობდით, ერთმანეთს ლექსებს გვიანობამდე ვუკითხავდით, იმ საღამოებს ვერაფერი დამავინყებსო. ამას რომ მეუბ-

ნებოდა, თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი.

ფრიდონს თავისი ოთხმოცდახუთი წლის საიუბილეო საღამოზე დაეპატიჟებინა მუხრანი (ვიცოდით, სამი წლის წინ გულის ურთულესი ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და ძველ ჯანზე ვერ იყო), თუ რამენაირად შეძლებ, მენვიეო. უყოყმანოდ ეთქვა, შენგან იმდენი სიკეთე მახსოვს, ამაზე როგორ დაგზარდები, ცოლ-შვილით მოვალ და სიტყვასაც გეტყვიო. რა ვიცოდით, ის საგანგებოდ დაწერილი სიტყვა შუაზე თუ გაუნყდებოდა.

იმ საბედისწერო საღამოს, რუსთაველის თეატრის დარბაზში წარმოსადგეი, გულლიად მოლიმარი, ჩვენს სიახლოვეს შეჩერდა, გაგვესაუბრა, კარგად ვარო, გვითხრა, ხელი ჩამოგვართვა. რას ვიფიქრებდით თუ ეს უკანასკნელი ხელის ჩამორთმევა იქნებოდა. ჯერ მისებურად იხუმრა სცენაზე ასულმა. ძველებური რიხით დაინყო ის მშვენიერი სიტყვა და როცა მამული, ქართველობა უხსენა იუბილარს, ეს მთაკაცი უეცრად მოიცელა. ადვილი წარმოსადგენია, რა დაგვემართებოდა იქ მყოფთ. საათზე მეტ ხანს ვიდექით დაზაფრულეები. ფრიდონ ხალვაში დღემდე გაოგნებულია, შეუძლოდ არის, ვერ მოუწნელებია, ასეთი ახლობელი ადამიანი რომ დაკარგა და ზეიმი გლოვის დღედ ექცა.

ერთ საკრალურ ლექსს, რომელშიც მუხრანი მისი სალოცავი წინაპრების — რუსთაველის და საბას აჩრდილებს ეალერსება („სიტყვის კონის“ უბადლო მცოდნე, დიდებული ლექსიკოგრაფიც იყო და საუკეთესო ნაშრომიც დაგვიტოვა), იგი ასე ამთავრებს:

**სიცოცხლე მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე ყაყაროსავით
შყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა.**

თუკი პოეტს თავისი ყველაზე სანუკვარი ნატვრა შეიძლება აუსრულდეს, ნაღველშერეული სინანულით შეგ-



ვიტალი კაპანაძე

საჩხერე. კვერეთის ეკლესია

პაატა ჩხეიძე

ალექსანდრე ორბელიანი კონსერვატორი იყო!

ძვირფასო რედაქციავ,
მინდა გავიხსენო ჩემი ამასწინანდელი ბარათი და კიდევ ერთხელ გამოვეხმაურო ბატონ მერაბ კალანდაძეს; ამჯერად მის ახალ წერილს, „ალექსანდრე ორბელიანი ახალი ისტორიის საკითხებზე“.

წერილში საყურადღებო ცნობებია განალიზებული და, სამწუხაროდ, კვლავ მცდარი დასკვნებია გამოტანილი, საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებსა და პიროვნებებზე.

ჯერ ჩარლზ ჯეიმზ ფოქსზე მოგახსენებთ.

წერილში იგი ლიბერალად არის მოხსენიებული. რომელი ენციკლოპედიაც უნდა გადაშალოთ, ნახავთ, რომ ფოქსი მაღალარისტოკრატული წარმოშობის ინგლისელი ჯენტლმენი გახლდათ და მეფესაც კი ენათესავებოდა. მართალია ვიგების პარტიის წევრი იყო, მაგრამ ცნობილი თავისი ტრადიციული კონსერვატული შეხედულებებით.

იგი გახლდათ კონსერვატიზმის ფუძემდებლის, ედმუნდ ბერკის მოწაფე და მიმდევარი.

ისინი ერთად იღვწოდნენ ამერიკის შტატების დასაცავად, აქტიურად ესარჩლებოდნენ პარლამენტში და შემდეგ ამერიკულ რევოლუციასაც ამართლებდნენ, რაც შტატების ტრადიციული უფლებების დასაცავად გამართულ ბრძოლად მიაჩნდათ.

ერთად ესარჩლებოდნენ აღმოსავლეთ ინდოეთის ხალხთა ტრადიციულ უფლებებსაც. ამ უფლებათა დარღვევისათვის, კორუფციისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის მოითხოვდნენ გუბერნატორ უორენ ჰასტინგსის იმპიჩმენტს.

ფოქსი მართლაც იყო უილიამ პიტ უმცროსის დაუძინებელი მტერი. ალბათ, სწორედ ამ მტრობამ დაუბრმავა თავლები და საფრანგეთის რევოლუციისათვის დააჭერინა მხარი. არც ბერკის გაფრთხილებამ იხსნა და არც იმან, რომ ვითომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებისათვის გამართული ბრძოლა მალე სისხლიან კალოდ და ადამიანთა წმინდათა წმინდა უფლებების დათრგუნვად იქცა.

ედმუნდ ბერკი იმდენად გააჯავრა თავისი მოწაფისა და თანამებრძოლის საქციელმა, რომ პარლამენტის სხდომის დროს დემონსტრაციულად გადაჯდა პიტის გვერდით, როცა საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების საკითხი იხილებოდა.

მოკლედ, ფოქსი თავისი ცხოვრების წესით კონსერვატორი იყო, მაგრამ — პოლიტიკური მტრობით დაბრმავებული — რადიკალი ლიბერალთა რიგებში ჩადგა. კარგი ორატორი ყოფილა, მაგრამ დაუსრულებელი და უსისტემო



მსოფლმხედველობა ჰქონდა, ისეთი, თანამედროვე პოლიტიკოსებს რომ აქვთ, ძალაუფლებისათვის ბრძოლის დროს „ჩამოდექი“ რომ არ იციან.

რაც შეეხება ალექსანდრე ორბელიანს: აი, მისთვის კი ლიბერალის დარქმევა, რბილად რომ ვთქვა, დაბნეულობა და გაუგებრობაა. იგი კონსერვატორი იყო.

თქვენი ჟურნალისათვის დამახასიათებელია აკადემიზმი, ობიექტურობა, ისტორიული, ლიტერატურული, სახელოვნებო და ფილოსოფიური ინტერესების წინა პლანზე დაყენება. ამიტომაც ალბათ მომიტყვებთ თუ გავებედავ და აღვნიშნავ, რომ, მიუხედავად ჩემი დიდი მოწინებისა ალექსანდრე ორბელიანის წინაშე, ვერ ვიტყვით, რომ იგი მთლად კარგად ერკვეოდა ევროპის იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. დაინტერესებული კი უთუოდ იქნებოდა, მაგრამ მაშინდელი საშუალებანი და ევროპული ამბების რუსეთის გზით შემოსვლა ამის საშუალებას არ მისცემდა.

გარდა ამისა, ქართული კონსერვატიზმისათვის დამახასიათებელია ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა XIX და XX საუკუნეებში. როგორც კონსერვატორთა მედროშისათვის, ალექსანდრე ორბელიანისათვის, მნიშვნელოვანი იყო რუსეთის საპირწონე ძალის გამოჩენა ევროპაში ნაპოლეონის სახით და სწორედ ამიტომ გულშემატკივრობდა მას და არა იმიტომ, თითქოს ლიბერალური იდეები იზიდავდა.

ეს ყველაფერი ხომ დღესავით ცხადია და სწორედ თქვენი ჟურნალიდანაც ვიცით და ბატონ მერაბს რატომ ვერ გაუგია, ძალიან მიკვირს.

სრულიად არაადეკვატურია შეფასება ალექსანდრე ორბელიანის სიტყვებისა: „რაო, რათ ქუხდა, რას იძახდა, რა ანმბავი ჰქონდა ჭაბუა დივანბეგსა, იმ კრებაში? ინგლისის პარლამენტი ხომ არ ჰგონია პლატონს მეფე ირაკლისთან ის თავაზიანი თათბირი?“

მე აქ ინგლისის პარლამენტის მოწონება-დანუნებას ვერა ვხედავ, თუ მაინცა და მაინც, უფრო ხაზგასმულია ხანდახან წრეგადასული დებატები და ცხარე გამოსვლები ინგლისის პარლამენტში, ხან ცემა-ტყევაზეც რომ მიდიოდა საქმე, სროლამდეც და დუელში განწევამდეც. აი, მეფე ერეკლესთან თავაზიან თათბირზე კი ჭაბუა დივანბეგი ამას ვერ გაბედავდაო, წერს ალექსანდრე ორბელიანი — მონარქისტი, კონსერვატორი, ტრადიციონალისტი და რეაქციონერი.

იმასაც დავძენ, რომ ეს ბოლო სიტყვები პირადად ჩემთვის პოზიტიური სემანტიკის მქონეა, და თუ ვინმე ასე მიწოდებს, დიდად მადლობელი დავრჩები; ხოლო თუ ბატონ მერაბს სალანძღავი ჰგონია, მისი ნებაა.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“ განაგრძობს გამოცემას სამეცნიერო-ლიტერატურულ კრებულთა სერიისა „გალაკტიონოლოგია“, რომლის ახალ, მეხუთე წიგნსაც დღე-დღეზე მიიღებს მკითხველი.

წინასწარ გთავაზობთ ერთ თავს წინო დარბაისელის ვრცელი ნაშრომისა „სამი ლექსი „არტისტული ყვავილებიდან“ („უცნაური სასახლე“, „ვუალისა და ვიოლის შესახებ“ და „მივარდნილი აივანი“), რომელიც მკვლევარმა და პოეტმა ნაიკითხა ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში გამართულ თავყრილობაზე 17 მარტს — გალაკტიონის აღსასრულის დღეს — რაც ტრადიციულად აღინიშნება.

მოხსენება მსმენელმა დიდად მოინონა არა მხოლოდ ღრმა პროფესიული ანალიზის გამო, არამედ სტილის დახვეწილობითაც, რამაც გამოიწვია ის, რომ მეცნიერული კვლევა თვითონ გადაიქცა ესთეტიკურ პროცესად, ნიმუშად იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს პოეტებზე, მითუმეტეს — გალაკტიონის რანგის შემოქმედებზე.

წინო დარბაისელი

გალაკტიონის „ვუალისა და ვიოლის შესახებ“

ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს პალაცო პიტი და პერუჯო, ვენეტა. ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს, რომელსაც იძლევა ხმები მასსენეტა.

გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი! ოცნება! შენ წარსულს ვედრებით შესძახებ, რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი ვუალის, ვიოლეს და სხვების შესახებ.

ასეთი სახით არის წარმოდგენილი ლექსი „არტისტული ყვავილებში“, გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულში კი სხვაგვარად არის შეტანილი:

ვუალისა და ვიოლის შესახებ

ვენერა სარკესთან ეგონა ფრაგონარს პალაცო პიტი და პერუჯო ვენეტა. ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს, რომელსაც იძლევა ხმები მასსენეტა.

გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი! ოცნება! შენ წარსულს ვედრებით შესძახებ, რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი ვუალის, ვიოლის და სხვების შესახებ.

თორმეტტომეულში ლექსს ახლავს კომენტარი, რომლის მიხედვითაც: „ვენერა - რომაულ მითოლოგიაში გაზაფხულისა და მოსავლიანობის ქალღმერთია, რომელიც ბერძნული გავლენით გაიგივებული იქნა აფროდიტესთან, სილამაზისა და სიყვარულის ღვთაებასთან.

ფრაგონარი ონორე (1732- 1806) - ფრანგი მხატვარი.

პალაცო - კერძო სასახლეები იტალიის ქალაქებში, [...] ლექსებში ნახსენები პიტი და პერუჯო ვენეტა - ორივე ფლორენციელია“

ეს კომენტარი არაზუსტ ცნობას გვანდის ლექსში დასახელებული პალაცოების რაოდენობასა და სახელების შესახებ.

სინამდვილეში ლექსში მოიხსენიება არა ორი ფლორენციული პალაცო, არამედ ერთი — „პალაცო პიტი“, ხოლო პერუჯო (პერუჯო) და ვენეტა (ვენეცია) იტალიური ტოპონიმებია.

კომენტარის არასრულყოფილების მიზეზი ტექსტში შეტანილი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური სწორებებია, რომელიც ამ ისედაც სიმბოლისტურად ვუალირებულ ტექსტს არათუ ბუნდოვანებას უმატებს, არამედ გაუგებარს ხდის.

რაკი ამ ლექსის ევფონიური პლანი გამოწვლილვით არის გაშუქებული (თეიმურაზ დოიაშვილი) და დადგენილია მისი ფართო ესთეტიკური კონტექსტიც (ირაკლი კენჭოშვილი), ვფიქრობ, უკვე არსებობს საშუალება შედარებით თავისუფალი ინტერპრეტაციისა, რომლის დროსაც დაგვირდება გავარკვიოთ, რას გულისხმობს ავტორი ლექსის სათაურში, რას უნდა ნიშნავდეს „ეგონა ფრაგონარს“, „ხმები მასსენეტა“ და რა „უცნობ ლამპარზე“ საუბარი აქ. შეიძლება თუ არა, სიტყვაში „ვიოლე“ ნაგულისხმევი იყოს რაიმე სემანტიკა, ვინ არის „შენ“ ან ლექსის ფინალში ნახსენები „სხვები“ და როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ლექსის ტოპოსი.

ამთავითვე აღვნიშნავ, რომ მსჯელობისას დავეყრდნობი არა თორმეტტომეულის, არამედ „არტისტული ყვავილების“ ტექსტს, როგორც უფრო სანდოს. დავიწყოთ სათაურის პოეტიკით.

ტიპობრივ შემთხვევაში სათაური პირველი სიგნალია იმის შესახებ, თუ რას ეხება ლექსი. გალაკტიონი კი, რომელიც, ჩვეულებრივ, სათაურის სემანტიკის გარდა, ჟღერადობასაც დიდ ყურადღებას აქცევს, სათაურის ბოლოში აფიქსირებს სიტყვას, რომელიც არათანამჟღერი (მსხბ) თანხმოვნებით მკვეთრად უპირისპირდება, ახშობს ნატიფი სონორული პარონიმების მელოდიკას. ეს მაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ სიტყვას რალაც საგანგებო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამ ფიქრს საფუძველს ჰმატებს ლექსის ფინალი, სადაც ჩვენთვის საინტერესო სიტყვა აბსოლუტურ ბოლოში, რიტმულ-ინტონაციურად და კომპოზიციურად უაღრესად მკვეთრ ადგილასაა მოთავსებული: „რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი ვუალის, ვიოლეს და სხვების შესახებ.“ ეს არა მხოლოდ შინაარსობრივად, გრამატიკულადაც უცნაური კონსტრუქციაა, რადგან ლამპარი შეიძლება აინთოს რალაცის ან ვილაცის გამო, ვილაცის მიერ, ვილაცისთვის და არა შესახებ.

მაგრამ არსებობს ანტიკურობიდან გადმოსული ფრთიანი გამოთქმა „ცოდნის ლამპარი“. ამ ფრთიან გამოთქმაში შემავალ სიტყვათა სუბსტიტუციის მეშვეობით ჩამნაცვლებელი ინარჩუნებს მთელი მყარი სინტაგმის ერთიან სემანტიკას და, ამასთანავე, ჩანაცვლებულისაგან მიიკუთვნებს გრამატიკულ ნიშანს, თვისებას, რომელიც მას ჩვეულებრივ არ ახასიათებს:

ცოდნა — ვუალისა და ვიოლეს შესახებ, ლამპარი — ვუალისა და ვიოლეს შესახებ.

ლამპარი ლექსის მიხედვით, „უცნობია“. უცნობობა კი შეიცავს ნეგატიური ნიშნით გამოხატულ პოტენციას **შე-ცნობისა**. ეს პოტენცია გამოვლენილია ზმნის „**აინთოს**“ მეორე კავშირებითის ფორმითაც, რაც მომავლის გაგებას იძლევა. „**ისევ** აინთოს“ ცხადყოფს, რომ ლექსში გამოსახული სიტუაცია - არაერთგვარადაა, ყოფილა წარსულშიც, ანუ უცნობ ლამპარს - ცოდნას ადრეც გაუნათ(ლ)ებია პოეტის არე. თანაც ეს უცნობი ცოდნა არა ერთი რომელიმე საგნის (ვუალის), არამედ კიდევ ვიღაცის თუ რაღაცისა და **სხვების შესახებაც** არის. ვცა-დოთ გარკვევა, მაინც რა ცოდნაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი.

„ვენერა სარკესთან“ — ეს სახვით ხელოვნებაში მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულისა და მეთექვსმეტეს დასაწყისის ვენეციური მხატვრობიდან მომდინარე ტიპობრივი თემაა და ველასკესის, რუბენსისა და რაფაელის გარდა, სხვა მრავალ ცნობილ თუ უცნობ მხატვარს აქვს დამუშავებული. ფრაგონარს, ისევე როგორც ბოტიჩელის, შექმნილი აქვს ფერწერული ტილოები, რომელშიც იყენებს სარკის იკონიკურ პოეტიკას, აქვს ნამუშევრებიც, დაკავშირებული ვენერასთან, მაგრამ არა ვენერა, რომელსაც სარკეში ახედებს კუპიდონი. მიუხედავად ამისა, ამ თემასთან მისი სახელის დაკავშირება მაინც შესაძლებელია, თუ მხატვრის ბიოგრაფიის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს გავითვალისწინებთ. მაგრამ ამაზე - ქვემოთ.

სახვითი ხელოვნების ამ თემის დასახელებას მოსდევს ანჟამბამანური ნინადადება:

**...ეგონა ფრაგონარს
პალაცო პიტტი და პერუჯი, ვენეტა.**

ამდენად, წყვეტა, რომელიც ვენერასა და ფრაგონარს შორის „არტისტიული ყვავილების“ ტექსტში ნერტილით არის დაფიქსირებული და რომელიც თორმეტომეულში ნერტილის მოხსნის გამო გაუქმებულია, აუცილებელია ამ ტექსტის სივრცეში ორიენტირებისთვის. „ეგონა“ ზმნა, რომელთანაც ფრაგონარი მჭიდრო ევფონიურ კავშირშია, მოგონების/გახსენების მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული: მოაგონდა, აგონდებოდა. მოტივაცია ამ ფრანგი მხატვარის მიერ იტალიური პალაცოს მოგონებისა კი მის შემოქმედებით ბიოგრაფიას უნდა უკავშირდებოდეს: თითქმის თორმეტი წელი (1752-1765) იგი ცხოვ-

რობდა და მოგზაურობდა იტალიაში. იტალიურმა მხატვრობამ და ზოგადად ხელოვნებამ მის ხელწერას სასიკეთოდ გამოჩენილი კვალი დაამჩნია და საფრანგეთში დაბრუნების შემდგომ დიდი ხელოვანის სახელი და სიმდიდრეც შესძინა. მაგრამ თანდათან მოძლიერებულმა ფრანგულმა კლასიციზმურმა სკოლამ აქტუალობა დააკარგვინა, მოდიდან გაიყვანა როკოკოს სტილი და, შესაბამისად, ფრაგონარის ფერწერაც.

**ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს,
რომელსაც იძლევა ხმები მასსენეთა.**

ეს ნაწილი სიტყვით „საგონარი“ რითმულად, მაგრამ არა შინაარსობრივად უკავშირდება ფრაგონარს, რადგან ფრაგონარი „მასსენეთა ხმებს“ ვერ მოისმენდა ცხადი მიზეზის გამო: ამ ორ ხელოვანს მთელი საუკუნე ამორებთ (ფრაგონარი დაიბადა 1732 წელს, ხოლო მასსენე — 1842 წელს).

„მშვენიერი საგონარი“ ერთდროულად ორმხრივი გაგების საშუალებას იძლევა: მშვენიერი საგონებელი - დარდი (ოქსიუმორონი) და მშვენიერი გა-საგონებელი, მოსასმენი (ანუ „ხმები მასსენეთა“). უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მასში ერწყმის ორივე გაგება.

სიტყვა „მასსენეთა“ რომ **მასნეს** გულისხმობს, ცხადია, მაგრამ რატომ არის ეს საკუთარი სახელი მრავლობით რიცხვში? მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაერთიანოს სიტყვას „ვენეტა“?

მასნე, მასსნე, მასსენე, მასსენეტი — ფრანგი კომპოზიტორი, რომლის სახელიც ამდენი ვარიაციით დამკვიდრდა რუსულ და მოგვიანებით ქართულ კულტურულ სივრცეში, გალაკტიონისათვის განსაკუთრებით ახლობელია და ამას პოეტის ბიოგრაფიული რეალიები და საარქივო მასალებიც ნათელყოფს. გალაკტიონის არქივში დაცულია არა მარტო მისი მუსიკის ხელნაწერი ნოტები, არამედ სტამბურად გამოცემული ნაწარმოები, რომლის სიტყვებზე პოეტს მერისადმი მიძღვნილი ლექსი „ო, დღეს შემოდგომა“ გადაუმუშავებია, მოურგია მელოდიისთვის.

ცნობილია მეორე ფაქტიც: ოციან წლებში გალაკტიონი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობდა და იქ გამართულ პოეზიის საღამოებზე თავის „მერის“ მასნეს „ელეგის“ ფონზე კითხულობდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი მომენტი: „არტისტიული ყვავილებისა“ და ზოგადად, გალაკტიონის სიმბოლისტიური პერიოდის მხატვრულ-კონცეპტუალური არე, გარდა სხვა მუსიკალური წყაროებისა, მოიცავს მასნეს მიერ მუსიკის ენაზე „თარგმნილ“ არაერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს: ოპერა „ვერთერს“ (1892), „მინიონს“



ნოტრ დამის ქიმერა

(1884) — გოეთეს მიხედვით, ოპერას „მანონის პორტრეტი“ (1894) — აბატი პრევოს „მანონ ლესკოს“ მიხედვით, ხოლო მისი ოპერის „ლეთისმშობლის ჯამბაზი“ ლიბრეტოსთან, ჩემი წინასწარი ვარაუდით, ალუზიურ კავშირში უნდა იყოს ლექსი „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“. მასწინეს ასევე არაერთი სიმღერა აქვს შექმნილი თ.გოტიეს ლექსებზე. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მასწინე საფრანგეთში მოდიდან გადადის, მაგრამ სწორედ ამ დროიდან ძალზე პოპულარული ხდება რუსეთში, ალბათ იმის წყალობითაც, რომ მის ნაწარმოებებს ასრულებს შალიაპინი — სპეციალურად შალიაპინისთვის მან დაწერა ოპერა „დონ კიხოტი“. გარდა ცოცხალი შესრულებებისა, მასწინეს ნაწარმოებები მსმენელებამდე უკვე გრამფირფიტებითაც აღწევს, 1901 წლიდან კი, რუსეთში კომპანია „გრამოფონის“ დაარსების შემდეგ, ხელმისაწვდომი ხდება იმპერიის პერიფერიებისთვისაც.



ვიოლე ლე დიუკი

ეცყვის: „შენ სივრცეებმა დაგიზინადრეს“. მაგრამ ლექსში გარდა ვუალისა, რომელიც ერთი მთავარი სიმბოლისტური სახე-კონცეპტია, გაუგებარი რჩება, რას გულისხმობს „ვიოლე და სხვები“. ნუთუ ეს ფრანგულად მჟღერი ვიოლე, რომელიც ვუალს ეხმარება და იისა და სიმებიანი საკრავის ბგერობრივ ასოციაციებსაც აღძრავს, „მხოლოდ ტკბილ ხმათათვის“ გაჩენილი ასემანტური სიტყვაა?

ვ-ლ ჟღერადი თანხმოვნებისა და ხმოვანთა კომბინაციის შემცველი სიტყვა ვიოლე, რომელიც ბგერწერულ მსგავსებას ვუალის გარდა, კიდევ რამდენიმე სიტყვასთან ამჟღავნებს, ფრანგული ენის ლექსიკონებში არ დასტურდება, მაგრამ დასტურდება ფრანგული ენის ლექსიკურ ფონდში. რაკი ეს პატარა ტექსტი ასეთ უშუალო სი-ახლოვეს ავლენს ფრანგულ-იტალიური კულტურის კონტექსტთან, მაგრამ სიტყვა „ვიოლე“ არ აღნიშნავს არც ერთ მოვლენას, საგანს ან სახე-კონცეპტს, ხომ არ არის სავარაუდებელი, რომ იგი საკუთარი სახელია ამავე კონტექსტთან დაკავშირებული ვინმე პიროვნებისა?

„ნოტრ დამი“ - პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი, რომელსაც ვ. ბრიუსოვმა 1904 წელს ლექსი „პარიზი“ უძღვნა და რომელიც ქართულ მოდერნისტულ პოეზიაშიც ძალზე აქტუალური იყო, 1850 წელს აღადგინა ცნობილმა ფრანგმა არქიტექტორმა, მხატვარმა, მწერალმა, ხელოვნების თეორეტიკოსმა ვიოლე ლე დიუკმა (1814-1878).

„ნოტრ დამის“ (1163-1345) — ამ ადრეული და მაღალი გოტიკის ძეგლის — ახალი ქიმერები სწორედ ვიოლეს ნახატების მიხედვით არის შექმნილი. მისი სახელი ძალზე ცნობილი იყო რუსულ კულტურულ წრეებში იმის გამოც, რომ 1879 წელს რუსეთში გამოიცა მისი წიგნი „რუსული ხელოვნება: მისი წყაროები, შემადგენელი ელემენტები, მაღალი განვითარება და მომავალი“. ამ წიგნმა ინტერესთან ერთად საპროტესტო გამოხმაურებებიც გამოიწვია, რადგან ავტორი რუსულ არქიტექტურას ბიზანტიურთან კი არა, ინდურ ძირებთან აკავშირებდა.

ვიოლე, რომელსაც, ცხადია, კარგად იცნობდნენ ფრან-

ადამიანის საკუთარი სახელის მრავლობით რიცხვში გამოყენება ცნობილი რიტორიკული ტროპია და ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ერთი სახელით აღინიშნება რაიმე ტიპობრივი ნიშნითა თუ ნიშნებით მასთან დაკავშირებულ ადამიანთა სიმრავლე, მაგალითად, ასეთ გამოთქმაში „მომრავლდნენ ვერთერები“ ანუ ახალგაზრდები, სიყვარულის გულისთვის თავს რომ იკლავენ. მაგრამ მასწინენი, მასწინეები, „მასწინეთა“ — მაინც ძნელი წარმოსადგენია, თუნდაც სიმბოლისტური იმაგინაციის დონეზე. ვფიქრობ, სწორ კვალზე სრულიად სხვა ესთეტიკური კონტექსტიდან მოხმობილი, ვახტანგ ჯავახიძის პატარა ლექსი დაგვაყენებს:

წვიმს. მუზეუმში მანეთად შევდივარ ფიროსმანებთან.

ცხადია, ფიროსმანები აქ ერთი მხატვრის სხვადასხვა ნაწარმოებების კრებითი აღმნიშვნელის ფუნქციითაა გამოყენებული. ავტორის სახელის წიგნზე გადატანის მეტონიმიური ხერხი უცხო არ არის გალაკტიონისათვის, როგორც, მაგალითად, ამ ლექსში:

დაე, მფრინავი ლანდი მიაქანებდეს ფოთლებს, იყოს საღამო ზანტი, მე კი გადავშლი ბოდლერს.

ეს მაფიქრებინებს, რომ მასწინეთა/მასწინენი ამ კომპოზიტორის ნაწარმოებთა სიმრავლეს უნდა აღნიშნავდეს და შეიძლებოდა წარმოგვედგინა, რომ ლექსის ტოპოსი რომელიმე საკონცერტო დარბაზია, სადაც მასწინეს ნაწარმოებები სრულდება, ეს რომ არ ეწინააღმდეგებოდეს

გი პარნასელები, ნეოგოთიკის თეორეტიკოსი იყო. ევროპაში ილუსტრირებული ენციკლოპედიების გამოცემის ისტორია იწყება სწორედ მისი წიგნით: „შუა საუკუნეების ყოფა და გართობანი“ (Виолле-ле-Дюк Эжен Эмануэль 1997), რომელშიც შესულია მრავალმხრივი ცნობები არა მხოლოდ არქიტექტურასა და ფერწერაზე, არამედ სამოსზეც, მათ შორის, ვუალზე. ვიოლეს შრომებს ეყრდნობა და იმონებს ლამის ყველა მომდევნო მკვლევარი ევროპულ კულტურაზე მსჯელობისას, გალაკტიონისათვის კი ევროპული კულტურა ცხოველი ინტერესის საგანი იყო.

შემოთავაზებული ჰიპოთეზის ლოგიკით, ვიოლესთან ერთად დასახელებული „და სხვები“ ის ავტორები თუ პირები არიან, მოხსენიებულნი რომ იყვნენ წიგნებში, რომ-

ლის წყალობითაც გალაკტიონი ევროპულ კულტურას ეცნობოდა და ეზიარებოდა.

ეს მაფიქრებინებს, რომ ლექსის იმაგინაციური ტოპოსი ოთახია — სივრცე, სადაც პოეტი უსმენს გრამფირფიტებს მასნეს მუსიკის ჩანანერებით — („მასნეებს“) და ამ ფონზე, პარალელურად ფურცლავს, კითხულობს ან იხსენებს ილუსტრირებულ გამოცემებს ფრანგული და ევროპული კულტურის შესახებ. ლექსის პირველი სტრიქონის დისკრეტულობაც — „ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს“ — ამით აიხსნება, თუმცა ეს ყოველივე ვუაღიერებელია სიმბოლისტური ესთეტიკის შესაბამისად.

ამ ჰიპოთეზის ველში შეყვანებული მკითხველი ალბათ კიდევ ერთხელ, „ახალი თვალით“ გადაიკითხავს

დღიურის ფურცლებიდან

ელგუჯა თავბერიძე

სტაინბეკი
სტაინბეკია

“ნითურ პონი” (“ჩვენი მწერლობა”, 2010, №10,11) იგრძნობა კლასიკოსისაგან ამბავის სწორუპოვრად გადმოცემის უნარი.

შედეგია.

ჯონ სტაინბეკის ეს მოთხრობა (მისი ორივე ნაწილი, პირველს “საჩუქარი” ჰქვია, მეორეს — “დანაპირები”) ნაკითხული მქონდა, მაგრამ რუსულ თარგმანს სულაც არ მოუხდენია ის შთაბეჭდილება, რაც მაია ჯიჯვიშვილისეული თარგმანით ვიგრძენი და განვიცადე.

ქართულ ენობრივ სივრცეში ის უცხოენოვანი თხზულებები დამკვიდრდებიან, რომლებიც ამ დონეზე იქნება გადმოღებულ-გაქართულებული.

“ნითური პონი” კერძოდ, “დანაპირები” გვეუბნება, აუცილებელია ზოგჯერ სიკვდილი, რომ გაჩნდეს სიცოცხლე, უფრო კონკრეტულად, კვიცის დასაბადებლად კლავენ ფაშატს — შვილის გაჩენისათვის წირავენ დედას. ასეთი რამ ყოველთვის არ ხდება და სტაინბეკი დიდი სიმძაფრით განგვაცდევინებს იმას, რაც იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. გამონაკლისი, ქცეული გარდაუვალ აუცილებლობად, მოსათხრობად ძნელიც იყო და ადვილიც. ძნელი იმის გამო, რომ არჩევანის ერთადერთობა უნდა დასაბუთებულიყო, ადვილი — სქემატურადაც შეიძლებოდა იმის მოყოლა, რაც უკვე ვთქვით.

სტაინბეკი იშვიათ ამბავს ადვილად მოგვითხრობს.

ესეც კლასიკოსთა თვისებაა.

ბიჭი და ცხენი...

დავინწყოთ ბიჭით. დასაწყისიდანვე ვგებულობთ, იგი პატარაა, მაგრამ როგორც ყველა პატარა დიდობისკენ ისწრაფის. ღორის ქონივით მბზინავ სათლს ისე ურტყამდა მუხლს, გეგონებოდა, დოღზე უკრავსო. თანატოლები რომ შემოეცალნენ, მერე “უკვე წარმოსახვითი მდუმარე და გამანადგურებელი არმია მისდევდა უკან, დიდი ბაირალებითა და ხმლებით აღჭურვილი”.

ბიჭი პატარაა, მაგრამ მარტო დიდობა არ სურს, უნდა დიდებშიც გამოიჩინოს, არმია ემორჩილებოდეს, უსიტყვოდ მისდევდნენ მეომრები. მოკლედ, პატარა ბიჭს ძალაუფლება იტაცებს, რასაც ერევა, იმორჩილებს. იჭერს ხვლიკებს, გველს, თექვსმეტ კალიას, ყავისფერ ტრიტონს, ყრის თუნუქის სათლში და ახურავს თავს.

ბიჭის წარმოსახვა და რეალობა დამორიშორებულია. ფიქრით შაშხანა უჭირავს ხელში და ვეფხვებსა და დათვებზე ნადირობს, სინამდვილეში ქვენარმავლებს ატყევევებს.

“მანაც კაცების მსგავსად ერთი ფეხი ლობის ქვედა ძელს შემოსდო, იდაყვები ზედა ძელს დააყრდნო და საძოვარს გახედდა. კაცებმა აღმაცურად გადმოხედეს ბიჭს”.

ბიჭისათვის აღმაცურად შეხედვა მომაკვდინებელია. ეს ნიშნავს, რომ უფროსები არაფრად აგდებენ, მეტიც, მისი დიდობისაკენ სწრაფვის შემხედვარეებს ელიმებათ.

და აი, მამა ბიჭს აძლევს შანსს, რომ უფროსები თანატოლ-თანასწორივით უყურებდნენ, სჯეროდეთ, სწამდეთ, ეჭვი არ შეჰქონდეთ მის შესაძლებლობებში.

ბიჭი მანამდე ნითურ პონს უვლიდა. ახლა ფაშატს აბარებენ მოსავლელად.

“კარგ მეჯინებედ დადგომის საუკეთესო საშუალება კვიცის გაზრდაა” — ეუბნება მამა და რანჩოს მუშა. ბიჭმა ფაშატს კვიცის გაჩენამდე უნდა მოუაროს, შემდეგ კვიციც გაზარდოს. მის ცხოვრებას სხვა აზრი და მნიშვნელობა მიეცა. იგი დიდად იქცა, უფროსებმა თანატოლად აღიარეს. ვთქვით ზემოთ, მისთვის ეს არაა საკმარისი, დიდებშიც გამოჩნეული უნდა იყოს — ოცნებობს იმ დროზე, ღამლამობით რანჩოს ბინადართ ძილს რომ დაუფრთხობს მისი ცხენის ფლოქვთა თქარათქური, და იტყვიან — ბიჭი თავისი შავი დემონით (ასე დაარქვა დაუბადებელ კვიცს) შერიფის დასახმარებლად გამოიძახეს, ამერიკის პრეზიდენტი წერილს გამოუგზავნის და ბანდიტის დაჭერაში დახმარებას სთხოვს. შავი დემონი შეჯიბრში ყველას ჯობნის და ა. შ.

“ნითურ პონის” ორივე ნაწილში ბუნება ველურია, პირველყოფილი, ხელშეუხებელი, ადამიანებიც ამ ყოფას მორგებული და შეჩვეული, მათთვის არსებული ღვთისაგანაა ნაბოძები და კი არ ასხვაფერებენ, მამა-პაპური ადათ-წესებით აგრძელებენ ცხოვრებას. უწყიან, უნდა გაჩნდეს სიცოცხლე, რომელიც გარკვეული დროის მერე შეცვლის მანამდელს.

ფაშატს ბიჭი “მზის ძალღასთან” (რა საოცარი სახელია) აჯვარებს და თერთმეტი თვე ელოდება კვიცის, რომელმაც სახელ-დიდება უნდა მოუტანოს, მოვლინებას.

მთელ მოთხრობას გასდევს განგაშის გრძობა, ყველა პასაჟი გახვედრებს, რალაც ცუდი უნდა მოხდეს და ეს ცუდი, უკეთ, ავის მოლოდინი სახლობს ბიჭის სულში. არ უყვარს შავი კვიპაროსი, “რადგან ადრე თუ გვიან სწორედ ამ ხესთან მოჰყავდათ ყველა ღორი დასაკლავად”. ვერ იტანდა ბიჭი ამას, ღორის ჭყვიტინის გაგონებასა და დაღვრილი სისხლის დანახვისას სული ეხუთებოდა, გული უჩქარდებოდა.

მოთხრობაში შავი კვიპაროსი — სიკვდილის, ზამთარ-ზაფხულ მორაკრაკე წყაროს წყალი და მისგან მწვანედ აბიზინებული მდელი — სიცოცხლის მიმანიშნებელია. ბიჭი პირველს გაურბოდა, მეორეს ესწრაფოდა. შავი კვიპაროსი და წყლის კასრი ერთმანეთის მტრებად და მოქიშპეებად შეიძლება მიგვეჩნიოთ, — გვეუბნება ავტორი. ეს იგივე სიცოცხლისა და სიკვდილის ქიშპობა და მტრობაა. ბიჭი ერთხელ შეეხებტა სიკვდილს, — ნითური პონი მოკლეს. მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება. ამიტომ უნდა, ფაშატი აარიდოს იგივეს, ყოველგვარ მოსალოდნელ შედეგს გამოკითხავს მეჯინიბეს, რომელიც პირუთვნელად პასუხობს, თუ კვიცი სწორად წამოვა საშოდან, ყველაფერი კარგად იქნებაო. ბიჭს ამ “თუ”-ს აორთქლებაც სწადია. ამას მეჯინიბეც გრძნობს და აიმედებს, — ფაშატი მშვენიერ კვიცს გააჩენსო.

დაიმედებული აგრძელებს ოცნებას, რომელიც მალე იმსხვრევა.

კვიცის დაბადებას ეწირება ფაშატი.

სულისშემხუთველად ტკივილიანი ეპიზოდია ცხენის

მოკვდინება, მეჯინიბე იძულებულია ფაშატს მოუღოს ბოლო. კლავენ დედას, რჩება ახალშობილი.

ფაშატისა და ნითური პონის ბედისწერა ერთნაირია — ერთსაც, მეორესაც წირავენ (სიკვდილით ჩნდება სიცოცხლე, შავი კვიპაროსის ხილვით გულშელონებული ბიჭი წყაროს წყალთან მოითქვამდა ხოლმე სულს. სიმბოლურად აქაც სიკვდილს სიცოცხლე ენაცვლება).

ამბავი სტაინბეკური სიმძაფრითა და შემაშფოთებლად ნაღდადა გადმოცემული. კითხულობ და ფიქრობ, თითქოს ნაცნობ გარემოში ხდებოდეს ყოველივე, ბუნებაც, ადამიანებიც მართლად, ზედმეტი მონასმის გარეშეა დახატული.

საოცარია “საჩუქარში” ბიჭისაგან სვავის მოკვლის სცენა. კითხულობ და სული გეხუთება, ფიქრობ, ნითური პონის ლემზე მოსულმა მტაცებელმა ფრინველმა ბიჭსაც არ დაუშავოს რამე, მაგრამ ბიჭი შეუძლებელს ახდენს და ამის დახატვას სტაინბეკი სჭირდებოდა. ხშირად ხომ სუსტები იმას ჩადიან, რაც ერთი შეხედვით წარმოუდგენელია. მთავარია, ჰქონდეთ სული და სურვილი... და ნითური პონის სიკვდილით დამწუხრებულ ბიჭს ჰქონდა ეს სული, სული დაუძლეველის დაძლევისა.

დავასრულოთ:

ბიჭს ჯოდი ჰქვია.

მამამისს — კარლ თიფლინი.

რანჩოს მუშას — ბილი ბაკი.

ფაშატს — ნელი.

ავტორი გითხარით, სტაინბეკია, სტაინბეკი ყველგან სტაინბეკია “ნითურ პონშიც” და სხვა თხზულებებშიც.

მთარგმნელი, ვთქვით, მაია ჯიჯეიშვილია.

კარგი მთარგმნელია.

ვაი, იმათ, ვისაც კარგი არასაკმარისი ეპითეტი ჰგონიათ.

შეარისხული ნიბნაკები

18 მაისს გამომცემლობა „არტანუჯმა“ გრიგოლ რობაქიძის წიგნის „ჰიტლერის“ წარდგინება გამართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში „ალმა-მატერი“.

ქართულად დალი ფანჯიკიძემ თარგმნა. რედაქტორია ზვიად კვარაცხელია. წიგნს დაერთვის როსტომ ჩხეიძის მრავალმხრივ საგულისხმო სტატია „ჰიტლერის მითოსური სილუეტი“.

„ჰიტლერი“ საქართველოში ჯერ კიდევ რობაქიძის სიცოცხლეში აიკრძალა, ევროპაში კი ნაშრომი სკანდალურად შეარაცხეს.

ზვიად კვარაცხელიას თქმით, გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებს გზა გადაუკეტა საბჭოთა ეპოქამ, რის შემდეგაც ის ერთბაშად გაქრა ქართულ სალიტერატურო სივრციდან, ახლა კი ამ წიგნის ნაკითხვა ყველასთვის ხელმისაწვდომია.

დალი ფანჯიკიძემ მწერლის სტილზე გაამახვილა ყურადღება, წიგნაკის სრული სათაური ყოფილა „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალთ“. ქალბატონმა დალიმ აღნიშნა, რომ ამ წიგნში შიგადაშიგ ჩართულია ქართული ისტორია, იგავები. იგრძნობა ქართული ხმოვანება,

რაც მის სტილს გამოარჩევს გერმანელი მწერლებისგან. მთარგმნელის თქმით, აღსანიშნავია არა ის, თუ რას ფიქრობდა რობაქიძე ჰიტლერზე, არამედ ის, თუ როგორ წერდა, როგორ აზროვნებდა და როგორ უყურებდა სამყაროს.

აქვე გაიძარტა ამავე გამომცემლობის მიერ ცოტა ხნის წინათ გამოცემული გრიგოლ რობაქიძის წიგნის „მუსოლინის“ განხილვა, რომლის მთარგმნელიც ნანა გოგოლაშვილია.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორებს მიხეილ გოგოტიშვილს და გიორგი თავაძეს „ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ ავტორი ძალიან უყვართ, თუმცა ამ ნაწარმოებებზე მაინც ფიქრობენ, რომ მწერლის შეცდომა იყო და კრიტიკულად უნდა შეხედოს ქართველმა მკითხველმაც.

კახმეგ კუდავამ მათ უპასუხა, რომ სამშობლოდან გაგდებული მწერლის ეს წიგნები არ უნდა გავაკრიტიკოთ და უნდა ვაპატიოთ მას, რადგან არცერთი მნიშვნელოვანი მწერალი არ უნდა იკარგებოდეს ქვეყნისთვის თავისი პოლიტიკური შეხედულების გამო.

ჩვენ კი, კარგი იქნება, თუ გვეხსოვება მწერლის ანდერძი და სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად ყოველ 14 ოქტომბერს ერთ სანთელს მაინც დავანთებთ მისი სულის საოხად.

თიკლა ჯანელიძე

ეკა ბუჯიაშვილი

დარღიანი თაობა

– მისი ძიებანი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი მხოლოდ წიგნებს კი არ ეყრდნობა, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პირვანდელ პუბლიკაციებსაც შეისწავლის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ ხომ ხშირად ვართ მომწენი, როგორ ცვლიან კრიტიკოსები თავიანთ წერილებს წიგნებად გამოქვეყნებისას. ეს წასწორებები ზოგჯერ ეხება არა სტილისტურ მხარეს ან ახალი მასალის შევსებას, არამედ ძალიან პრინციპულ მოსაზრებებს. და თუ ვინმე მიუკერძოებლად იკვლევს ამ პროცესებს, მათ შორისაა ნონა კუპრეიშვილი, თავდახრილი რომ აკეთებს თავის საქმეს, ხვალ და ზეგ კი ისიც ითქმება, რამხელა ღირებულების მემკვიდრეობას ქმნის მომავალი თაობებისათვის.

დღევანდელი მოხსენება მთლიანად ვერ მოიცავს მის მიერ შესწავლილ მასალას, მაგრამ საკვანძო მომენტები, რაზეც ქალბატონი ნონა გაამახვილებს ყურადღებას, ძალზე საინტერესო იქნება, რადგან იმდროინდელ ლიტერატურულ პროცესებში ჩაგვახედებს, – ასე დაიწყო როსტომ ჩხეიძემ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართული ლიტერატურული თავყრილობა, რომელზეც ქალბატონმა ნონა კუპრეიშვილმა გასული საუკუნის კრიტიკის ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი მიმოიხილა.

ცოცხი სჭირდება ქართულ კრიტიკასო, – დაეჩემებინა გურამ ასათიანს წლების წინათ და ეს ფრაზა – თითქოსდა შემთხვევით ნანახ ვოლანდის ტიპის ქართველთან საუბრისას ნათქვამი – ძალიან გახმაურებულა მაშინ. დღეს ზუსტად ვინ იცის, მართლაც შეხვდა იგი უცნობს მატარებელში თუ ეს ყველაფერი ლიტერატურისთვის ჩვეული მისტიფიკაცია იყო, ან სულაც თავის მეორე „მეს“ ესაუბრებოდა ავტორი, მაგრამ იმდროინდელი კრიტიკის სფეროში არსებული ვითარება კი ზუსტად გამოხატა.

გავიდა დრო. ამ ბოლო ხანს ახალგაზრდა კრიტიკოსების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში 50-60-იანი წლები (შესაბამისად, იმდროინდელი კრიტიკაც) შეფასებულია უდარდებლობის ხანად. სწორედ ეს გახდა იმპულსი ქალბატონი ნონა კუპრეიშვილისთვის ამ თემას ჩალრმავებოდა; შეისწავლა 50-80-იანი წლები – პოსტსტალინური ხანა – საბჭოთა რეჟიმის ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი. შედეგად, გამოიკვეთა არაერთი სიახლე, რომელიც საინტერესოა არა მხოლოდ ქართული კრიტიკის, საერთოდ, მხატვრული აზროვნების განვითარების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ საყურადღებოა 60-იან წლებში ატეხილი დავა ქართული ენის შესახებ.

– რას ვერჩოდით არლი თაყაიშვილს, მართალი ყოფილაო, – ასეც იტყვიან წლების შემდეგ ის კრიტიკოსები, რომლებიც მაშინ სულ სხვა პოზიციიდან უყურებდნენ საკითხს ერთიანი, დაუნაწევრებელი ქართული ენის შესახებ, თუმცა სჯობს ამ ყველაფრის შესახებ თავად ქალბატონმა ნონამ გვიამბოს:

– მინდა მაღლიერება გამოვთქვა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციისადმი, რომელმაც კიდევ ერთხელ მომცა საშუალება მესაუბრა XX ს. 50-80-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკაზე. ამგვარი მხარდაჭერა უთუოდ პრობლემის აქტუალობამაც განაპირობა. პირველ შეხვედრაზე გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები ჩემთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან ზოგიერთი მათგანი შემდგომი მუშაობის პროცესში გავითვალისწინე. მაგ. ბ-ნი ლევან ბრეგაძის რჩევამ, მეტი ყურადღება მიმექცია 60-80-იანი წლების ლიტერატურული დისკუსიებისათვის, არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოსწია. დღეს ვისაუბრებ ჟურნალ „ცისკარში“ 60-იანი წლებში წამოწყებულ და შემდგომ სამ ეტაპად განვითარებულ პოლემიკაზე, რომელიც ახალგაზრდა ენათმეცნიერის, არლი თაყაიშვილის, წერილების („ფრაზოლოგიურ ერთეულთა თარგმნის საკითხისათვის“ – 1960 წ.; „ნასამლეი სტრიქონები“ – 1963 წ.; „როგორ ვუშველოთ ქართულ ენას“ – 1966 წ.; „ენა ძველი, ენა ახალი“ – 1968 წ.; „მე მყოვარ-ჟამ დაჟინებით“ – 1968 წ.) გარშემო გაიმართა. თავდაპირველად ენათმეცნიერის შენიშვნები ე.წ. „თარგმანის ხელოვნებას“ ეხებოდა, უფრო სწორად კი იმ ენობრივ კონცეფციას, რომელიც ჭარბი არქაიზაციით (სწორედ ეს სიტყვებზე იწვევდა პოლემისტის უკმაყოფილებას) ახალგაზრდა ნიჭიერი მთარგმნელთა ჯგუფის (რ. თვარაძე, ბ. ბრეგვაძე, ზ. კიკნაძე, რ. მიმინოშვილი, თ. ჩხეიძე, ზ. გამსახურდია) მიერ გამოქვეყნდა. ა. თაყაიშვილი ხაზგასმული კორექტულობით აწვდის თავის სათაქმელს მკითხველს. მიუხედავად ამისა, მის წერილებში თანდათანობით ენით დაუკმაყოფილებლობის ახალმა დეტერმინაციამ იჩინა თავი. იგი, ფაქტობრივად, ააშკარავებდა საბჭოური ლიტერატურული პოლიტიკის მიერ მაშინ უგულებელყოფილი, უფრო სწორად კი, დახურული „ენის მრავალსახეობის პრობლემას“, რომელიც ფუნქციონალური სტილის შესწავლის იმიტირებით იყო ჩანაცვლებული. ამასთან, ავტორი ფერდინანდ დე სოსიერისა და შარლ ბალის ახალ თეორიულ რეფლექსიათა, ასე ვთქვათ, ველში იმყოფებოდა. ევროპული სტრუქტურალიზმის ფუძემდებლად მიჩნეული სოსიურისა და მისი მოწაფის, ყენევის სკოლის წარმომადგენლის, „ფრანგული სტილისტიკის“ ავტორის, ბალის შეხედულებები თაყაიშვილის წერილებში საინტერესოდაა რეპრეზენტირებული: ენა, როგორც ნიშანთა ყველაზე სრულყოფილი და გავრცელებული სისტემა, რომელიც, ამავდროულად, ფასეულობათა სისტემაცაა, იმაზე მეტ ინფორმაციას ინახავს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს; „ინდივიდუალური და ნაციონალური მენტალიტეტის გაუცნობიერებული ინტენციების სიმბოლურად ამსახველი“, განუწყვეტილად მოძრაობს, იცვლება; ენის სტრუქტურის ამგვარი ლიაობა გამორიცხავს პერიზმის გამართლებას; არქაიზაცია, რომელიც ქართულ ორიგინალურ, განსაკუთრებით კი თარგმნილ ლიტერატურაში იჩენს თავს, თვითმიზნური, ენობრივი ორიენტაციის გამომხატველი უფროა, ვიდრე სტილისტიკური ხერხისა, ვინაიდან „კულტურული ფენომენები განიხილება ენის, როგორც ფორმათარგმნილი პრინციპის პრიზმაში“, ამიტომ, გვსურს თუ არა ეს, ენის მოძრაობა დღევანდელიდან წარსულისაკენ წარსულის ერთგვარი მუმიფიციონებაა (ჭარბი არქაიზმები, ფსევდოპი-

უტური ინტონაცია, ჰაუტურობა, ეპიუტომანია) და გარკვეული ინფორმაციის მატარებელია იმდენად, რამდენადაც „მისი (ენის) მყოფობის საკითხი კულტურული იდენტობის პრობლემას უკავშირდება“ (თაყაიშვილი).

თავის მხრივ, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ენისადმი მსგავსი დამოკიდებულების გამზიარებელმა (მანანა კვაჭანტირაძის სამართლიანი შენიშვნით, რ. თვარაძის ერთიანი სალიტერატურო ენის იდეა, საბოლოო ჯამში, სხვა არაფერი იყო, თუ არა ენის ღირებულებათა ერთიანი სისტემად აღება) და სრულიად სამართლიანად „ნიჭიერად“ მოხსენიებულმა მთარგმნელებმა ენობრივი კონცეფციის ამგვარი გააზრებისათვის მზაობა ვერ გამოავლინეს. მრავლისმთქმელი რეპლიკა – „ენა ენათმეცნიერისათვის როდი იქმნება“ – ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ადასტურებს. „ენის თანადროულობის საკითხზე“ სადისკუსიოდ გადადგმული ნაბიჯი მათ უთუოდ ჯერ კიდევ XX ს. 30-იან წლებში კ. გამსახურდიას მიერ წამოყენებული ე.წ. „ენის დიქტატურის“ პრინციპთა ხელყოფად აღიქვას. კ. გამსახურდიას სტილის დემისტიფიცირება კი საბჭოური „ნოვოიზის“ პირობებში, მართლაც, **ორღესული** მახვილი იყო, რომელსაც ერთდროულად ზიანის მოტანაც შეეძლო და სარგებლობაც. ა. თაყაიშვილის მიერ გამოთქმული სურვილი „საერთოს მიმართ ნიშანდობლივის განხილვის“ შესახებ, ენის სტრუქტურალისტურ გაგებას ნიშნავდა და მან იმდროინდელ დასავლეთში უკიდურესად გაფართოებული, საბჭოეთშიკი ასევე უკიდურესად შევიწროებული ლინგვისტური ეპისტემის პირობებში, სათანადო გამოხმაურება ვერ ჰპოვა. არადა, ქართულ მწერლობაში 50-იან წლებში უკვე არსებობს ენის „ლინგვისტურ პორტრეტების“ საინტერესო ნიმუში. ეს გახლდათ ვალაკტიონის „მშვიდობის წიგნი“, რომლისგანაც ავტორი მსოფლიო აღიარებას ელოდა. ის, რაც აპატიეს ენათმეცნიერს, უბრალოდ ვერ გაუგეს დიდ პოეტს. ი. ბროდსკის ცნობილი ენობრივი კონცეფციის გათვალისწინებით, ამ კონკრეტულ ტექსტში, ვალაკტიონს, როგორც უნიკალური სმენის შემოქმედს „ენის, როგორც უსულო მატერიის ხმა“ ჩაესმის. აქ „ადამიანური გნებათაღელვა ადგილს უთმობს ლინგვისტურ აუცილებლობას“, ხოლო შთაგონების წყაროდ არა შეიდფრთიანი მუზა, არამედ თავად ენა, უფრო ზუსტად კი, „ენის დიქტატი“ გვევლინება. გენიოსის წარმოსახვაში ენის ფენომენის წვდომა „ენის გენიას“, მასთან ერთად კი „ერის გენიას“ – ჩვენი რომ „ერის სულს“ ვუნოდებთ – უკავშირდება. პოემაში ლუარსაბად თუ ტარიელად ჰერსლენიფიცირებული ენის თვითრეგულაციის და თვითმართვის საიდუმლოს გახსნის მცდელობაცაა ასახული (გალუარსაბებულ ენა კვლავ ტარიელად გარდაიქმნება).

ამბივალენტური კავშირი ენისა კულტურასთან დღევანდელ ლინგვისტურ კულტუროლოგიაში ორგვარი სქემითაა წარმოდგენილი: მენტალიტეტი /კულტურა>ენა და ჰირუკუჟენა<მენტალიტეტი/ კულტურა. რამდენიმე ხნის შემდეგ „ცისკარში“ განახლებული პოლემიკა, ასე ვთქვათ, მეორე სქემით წარიმართა. ამჯერად იგი გამოიწვია რევაზ თვარაძის სტატიამ „მთლიანი საქართველოს მესიტყვე“. შესაძლოა მხოლოდ კ. გამსახურდიას პორტრეტად ჩაფიქრებული ეს წერილი, პროგრამულად იქცა. მასში გახმოვანდა ზემოაღნიშნული სალიტერატურო ენის ერთიანობის იდეა, რომელიც, ერთი მხრივ, ტრადიციონალიზმსა და საბჭოთა მეტანარატივს, მეორე მხრივ, ტრადიციონალიზმსა და თეორიულ

ლი რეფლექსების გამრავალფეროვნების მოსალოდნელ ტენდენციებს შორის დაპირისპირებისაგან თავდაცვით მქაჩნიზმებსაც შეიცავდა. გ. ასათიანის („მოდელი და სინამდვილე“ – 1970 წ.; „მეტი სინათლე“ – 1970 წ.) და ზ. გამსახურდიას („ილუზიები და სინამდვილე“ – 1971 წ.) წერილებში პოლემიკამ ენობრივი პრობლემიდან კულტურის სივრცეში გადაინაცვლა. ლევან ასათიანი – უმცროსი შენიშვნავა: „კამათი გასცდა ლიტერატურული პაექრობის ფარგლებს და შეეხო ევროპული მწერლობის, ფილოსოფიის, რელიგიის, მეცნიერების, ქართული სულიერი კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს არსებით საკითხებს“... ამასთან, თავი იჩინა ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელმა ქრონიკულმა სენმა, „პოლემიკის უღმომებელმა სულმა“... ზ. გამსახურდიას მიერ ეროვნული სულის არსებობისა და მნიშვნელობის აქცენტირებამ, მისი სტატიების სულისკვეთებამ, მისმა მოსაზრებებმა ქართული კულტურის თავისთავადობის და ორიენტაციის შესახებ (ცხადია, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად) გ. ასათიანის წიგნის „სათავეებთან“ შექმნის იმპულსად იქცა. სწორედ აქ იწყება, ჩვენი აზრით, არლი თაყაიშვილის პუბლიკაციებით დაწყებული პოლემიკის მესამე ეტაპი. გ. ასათიანის ახალი ნაშრომის („სათავეებთან“) ფრაგმენტების გამოქვეყნებას მოჰყვა აკ. ბაქრაძის „მკვახე შეძახილი“ და ზ. გამსახურდიას „მკვახე შეძახილის ექვ“. ენის „იდენტიფიკაციაზე დაწყებული საუბარი კულტურის იდენტობაზე საუბარში გადაიზარდა. აღნიშნულმა სამეტაპიანმა პოლემიკამ 70-80-იანი წლების კრიტიკულ აზრსაც უცვალა მიმართულება – იგი ნაციონალური ნარატივის შემადგენელ ნაწილად წარმოგვიდგინა. მაშინვე მწვავედ დაისვა ქართული კულტურის ან ტოტალიტარული იმუნიტეტის საკითხი. პოლემიკის მონაწილეთა მოსაზრების იგნორირება (მით უფრო, პოლემიკის არსებობის) კი, დღევანდელი გადასახედიდან თვით ამგვარი იმუნიტეტის შესაძლებლობის უარყოფა იქნებოდა. ამიტომ უნდა გვახსოვდეს იმათი ღვანლი, ვინც იმ პირქუმს, ჩაკეტულ სისტემაში ლიტერატურის განვითარების შეუქცევადობაზე ამყარებდა იმედს და, გარკვეულწილად, ქმნიდა კიდევაც წინაპირობას დღევანდელი შედარებით თავისუფალი აზროვნებისათვის, – თქვა შეკრებაზე ნონა კუპრეიშვილმა.

როსტომ ჩხეიძე:

– ეს ყველაფერი ერთად თავმოყრილი, ერთ წიგნად შეკრული, ძალიან საინტერესო იქნება თავისი შინაარსით, სიღრმით, მიუკერძოებლობით და მასშტაბებით. ალბათ კამათსაც გამოიწვევს, გაგრძელებისა და შევსების სურვილსაც, მე კი მიხარია, რომ ამ პროცესებში ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებაც მონაწილეობს.

ვახტანგ ბახტაძე:

– ქალბატონო ნონა, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორთაგან რომელს გამოარჩევდით?

ნონა კუპრეიშვილი:

– ვიდრე ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, ვიტყვი, რომ ბოლო ხანს დადებითად შეფასდა ტარტუს სემიოლოგიური სკოლა. ითქვა, რომ სემიოტიკა საბჭოთა კავშირში ისე არ ვითარდება, როგორც საფრანგეთში, რადგან აღსადგენი იყო კულტურათა შორის განყვეტილი ძაფები, 20-იან წლებთან რომ აერთიანებდა კვლევის პროცესს. სხვათა

შორის, ჩვენთანაც ასე იყო. რევაზ თვარაძისადმი მიძღვნილ წერილს რეკონსტრუქტივისტი ვუნოდე (მაშინ ასეც მითხრეს, სჯობდა რეზ-კონსტრუქტივისტი დაგერქმიაო). სწორედ რეკონსტრუქცია იყო აუცილებელი. ყურადღება სჭირდებოდა ფორმალიზმსაც, რაზეც როსტომ ჩხეიძე „ავგისტოს შვილებში“ წერს. რეფორმატორთაგან გამოვარჩევი კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის საინტერესო წერილებს სიტყვის რაობის შესახებ და „ცისფერყანწელების“, განსაკუთრებით ვალერიან გაფრინდაშვილის (ნაწილობრივ ტიცინ ტაბიძისაც) შემოქმედებას. ეს ყველაფერი ცალკე საკვლევი, რადგან თავისთავად იყო მცდელობა კულტურული წყვეტის აღდგენისა. ამის გაკეთება კი, საბჭოთა რეჟიმის პირობებში, წარმოუდგენლად რთული იყო. მართალია, გაგა ნიჟარაძე თავის წერილში სხვაგვარად წერს, მაგრამ...

თემურ ქორიძე:

– როცა ასეთ სოლიდურ და ღრმა ანალიზს ისმენ, იმედი გეძლევა მომავლისა. თანაც ხვდები, რა მნიშვნელოვანი და მძაფრი ყოფილა ის პროცესები, რომლის დაინწყებასაც დღეს ბევრი ცდილობს. ამ მოვლენების გარეშე ვერ შედგება ქართული სულიერ-ინტელექტუალური სახის მთლიანობა, რომელმაც მომავალი უნდა შვას. თქვენ ჩინებულად დაინყეთ ენობრივ-კულტუროლოგიური პროცესების ანალიზით. ერთი რამ მახსენდება ისტორიიდან: როცა დაინყო საფრანგეთის გაერთიანება აბსოლუტური მონარქიის ქვეშ და თითქმის არაფერი უშლიდა ხელს ამ პროცესებს, უბრალო მრეცხავმა ქალმაც კი ისე იცოდა ლიტერატურა, კონკურენციას გაუწევდა ნებისმიერ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეს. მაგრამ... თვით ლუდოვიკოს ყოვლისმომცველმა ტოტალიტარიზმმაც კი ვერ მოახერხა საფრანგეთის გაერთიანება. რატომ? ერისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა სკიპტრა და ჯარი, რიშელიეს ინიციატივით, ენის აკადემია შეიქმნა. ეს ინტელექტუალური პიროვნება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვერავითარი ძალა, თვით განათლებული აბსოლუტიზმიც კი, ვერ შეძლებს ერის გამთლიანებას, თუ მისი საფუძველი არ იქნება ენა, ის კულტურულ-ცნობიერი სანყისი, რომელიც ამ ფენომენში წარმოჩნდება.

მოხსენებაში თქვენ ფრაგმენტულად ბრძანეთ ამ მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ, მაგრამ ეს პრობლემები იმდენად ახლობელია ყველა ლიტერატორისთვის, რომ ქვეტექსტებშიც იკითხება, რის თქმას აპირებთ თქვენს მონოგრაფიაში.

ჩვენ გვაოცებს სალიტერატურო კრიტიკის, ლიტერატურული ანალიზის, ესთეტიზმის, კულტუროლოგიის დონე. ამას ქმნის თაობა, რომელიც ჯანსაღად იყო განწყობილი როგორც წარსული ტრადიციების, ასევე დასავლური სიახლეებისადმი. გარკვეული მოძრაობაც კი იწყება. მაგა-



ნონა კუპრევიჩილი

ლითად, იქმნება ვახტანგ კოტეტიშვილის ბრწყინვალე წერილი „აზია თუ ევროპა“? გერონტი ქიქოძის არაჩვეულებრივი დაკვირვებანი – ისეთი, რომ მოგენატრება თავისი სიმსუბუქით, სტილური განავარდებით, აზრის საოცარი, ინტელექტუალური მოძრაობით.

თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ამის თქმას, დღევანდელ დაშლილ ცნობიერებას სწორედ ასე თანდათანობით არ შევაკონინებთ, ის ეროვნულ-ესთეტიკური იდეალიც ჩამოიშლება, რომლითაც ქართველი კაცი ყველაზე გაჭირვებულ პერიოდშიც ახერხებდა სულის მობრუნებას და მერე... იმაზე უარესიც შეიძლება დაგვემართოს, ვიდრე ძირძველი ტერიტორიების დაკარგვა. დიდი ჩავარდნა ქართველი ერის აზრობრივ-კულტუროლოგიურ ცნობიერებაში არასოდეს ყოფილა და თუ კიდევ რამე განგვანყობს იმედით, ესეც არის. აი, ამ ყველაფრის გამოა მნიშვნელოვანი ქალბატონი ნონას კვლევები და წარმატებები მინდა ვუსურვო.

როსტომ ჩხეიძე:

– სახელმწიფოებრივ ჭრილში წარმოადგინეთ ქალბატონი ნონას მოხსენებაში განხილული პრობლემები. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ამ ნაშრომის დაწერის მიზეზი სწორედ ერისა და ქვეყნის ბედისწერაზე, ცნობიერების რღვევაზე წუხილია, საინტერესო მასალაზე დაყრდნობით, თავისთავად, ძალდაუტანებლად რომ გადადის სახელმწიფოებრივ აზროვნებაში. პოლემიკა არლი თაყაიშვილსა და სხვა ლიტერატორებს შორის, სტუდენტობისას საგანგებოდ დავამუშავე. მაშინ ალტაცებული ვიყავი მეორე ფრთით, მომწონდა ის ერთიანი, დაუნანვერებელი, მთლიანი ენა. ვესაუბრე კიდევ ზურაბ კიკნაძეს და ვუთხარი: რა თქმა უნდა, თქვენ ბრძანდებით მართალი-მეთქი. რა არის იციო, – მიპასუხა, – ჩემს აზრს აღარ ვიზიარებო.

რაც შეეხება გურამ ასათიანისა და ზვიად გამსახურდიას მძაფრ პოლემიკას, მოგვიანებით, როცა ბატონი გურამი „სათავეებს“ წერდა – თავის ერთ-ერთ საუკეთესო წიგნს, მონაპოვარს ქართული კულტურისა – მთლიანად ზვიად გამსახურდიას მხარეს აღმოჩნდა; ხოლო აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანთან დავისას, იმ პოზიციიდან ეკამათება მოპაექრეს, საიდანაც უყურებდა საკითხს ადრინდელი გურამ ასათიანი.

ესეც ძალიან საინტერესოა – მოსაზრებების ასეთი შეცვლა – რადგან სწორედ ეს არის ლიტერატურული პროცესი. არ უნდა შეგეშინდეს უარყო შენი აზრი, თუკი დარწმუნდები, რომ ის მცდარი აღმოჩნდა.

წინვერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუდმივად ერთ ადგილას იჯდა.

იქაურობაც ისე მისჩვეოდა მას, რომ წლების შემდეგ, როცა, უეცრად, ეს ადგილი დაცარიელდა, იმ გარემოს ძალიან დააკლდა ერთი სიმპათიური, რალაცნაირად მოკრძალებული კაცი.

ასეთი დარჩა მანანა გაბაშვილის მესხიერებაში არლი თაყაიშვილი – მოღვაწე, რომელიც ისეთ რთულ საკითხს შეეჭიდა, თავისი მნიშვნელობით ქვეყნის ფარგლებსაც რომ გასცდა.

– ამ პრობლემის წინაშე თვითონ რუსებიც დგანან და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სხვა ერებიც, რადგან გამოჩნდა თაობა, ფსევდოდასავლურ ღირებულებებს ამოფარებული, მნიშვნელოვან ფასეულობებს რომ ანგრევს.

უფროსებისგან გამიგია: 50-იანი წლები იყო რენესანსის პერიოდი ყველა დარგში. ასპარეზზე გამოვიდნენ დიდი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, იდეოლოგიური წინების პრობლემა დიდ და მნიშვნელოვან საქმეებს რომ აკეთებდნენ.

ახლა ეს წინები აღარ არსებობს, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრს ანებებენ უნიჭო ადამიანებს, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ ძვირფასი მემკვიდრეობაც დაარღვიონ.

საერთოდ, ყველაფრის ხელალებით უარყოფა არ შეიძლება, უნდა მოახერხო კარგის დანახვა და გამოყოფაც. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ეპოქის ანალიზი ყველა დარგს სჭირდება და ამ ყველაფერში დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ აქცენტებს. ვფიქრობ, სწორედ ამით იქნება მნიშვნელოვანი ქალბატონი ნონას მონოგრაფია, – აღნიშნავს იგი.

ბატონ ემზარ კვიციანიშვილს კი ის ახარებს, რომ პოლემიკას, რომელიც წლების წინათ მის თვალწინ მიმდინარეობდა, ასეთი პირუთვნელი და მიუკერძოებელი ჭირისუფალი გამოუჩნდა ქალბატონი ნონას სახით.

– არლი თაყაიშვილი ჩემი მეგობარი იყო, ვარლამ თოფურიას და არნოლდ ჩიქობავას მონაფე. კარგი წიგნი გამოსცა ფრაზეოლოგიზმების შესახებ, თუმცა დიდი და ამკარა ლიტერატურული მიდრეკილებებიც ჰქონდა. იმ მოსაზრებაზე თავდასხმის შემდეგ, ერთგვარი სექტა შეიკრა მის წინააღმდეგ. იცით, მათი კონცეფცია ენის ათასხუთასწლოვანი მთლიანობის შესახებ, სიმბოლური თვალსაზრისით, შესაძლოა, გაიზიარო კიდევ, მაგრამ ძველ ქართულ მწერლობას თუ ჩაუღრმავდებით, დავინახავთ, რამოდენა ძვრები მოხდა ენის ნიაღში, ზოგიერთმა სიტყვამ მნიშვნელობაც კი შეიცვალა. ჩემი აზრით, არლიმ იგივე გააკეთა (ცხადია, მცირე მასშტაბით), რაც თავის დროზე ილიამ, რევაზ ერისთავის „შეშლილის“ თარგმნის გამო. მაშინაც ხომ სწორედ ენობრივ პოზიციებზე დავობდნენ.

აქვე მინდა შევეხმიანო თემურ ქორიძეს – გული მწყდება, რომ ასეთი ალესილი გონების პატრონი ლიტერატურულ ცხოვრებას ჩამოშორდა.

ქალბატონი ნონას წერილები კი მეტად მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის კრიტიკისთვის და აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს, რადგან ბევრი რამ გამოიზიარდება და სულ სხვაგვარად შეფასდება მოვლენებიო, – იტყვის ბატონი ემზარი და ძალიან საინტერესო კულუარული ამბების მოყოლით გაახალისებს შეხვედრას. შეკრებილები ამ ყველაფრის დანერითაც შეაგულიანებენ და სთხოვენ იმ დღიურების ნაწილად აქციოს, დროდადრო „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე რომ იბეჭდება და დიდი ინტერესით ეცნობა მკითხველი.

ქალბატონ მაკა ჯოხაძეს, სხვა საინტერესო შრომების გარდა, კიდევ ერთი მომენტის გამოც მოეწონა მოხსენება – ეპოქის გათვალისწინებით რა საინტერესოდ მიდის ავ-

ტორი ენის პრობლემებიდან იმ პერიოპტიკებამდე, რომელიც 90-იან წლებში გადავიტანეთ.

დასტურად იმისა, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, ადამიანია, მწერალია, ქალბატონი მაკა გაიხსენებს ჰუმბოლტის რჩევას მშობლებისადმი. იგი ამბობს, რომ არ შეიძლება უცხო ენაზე წერა-კითხვის დანყება. ეს განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს შემოქმედებითი ბუნების ბავშვებზე, რადგან მათ ცნობიერებაში ორი გალაქტიკა ეჯახება ერთმანეთს და ხშირად ერთი მეორეს ამსხვრევსო.

ენის პრობლემებზე მუშაობა, მისი იდუმალი შრეების გახსნა და შესწავლა ამ თვალსაზრისითაც საგულისხმოა და ნონა კუპრეიშვილის მოხსენება, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, სხვა ღირებულებასაც იძენს.

ასეთი გამოვიდა თვითონ შეხვედრაც, საინტერესო, ეპოქალური საკითხების მეცნიერული მიმოხილვის გარდა, ერთგვარ ხსოვნის საღამოდაც რომ იქცა. შეკრებილებმა გაიხსენეს სრულიად დავინყებული არლი თაყაიშვილი. სხვათა შორის, მნიშვნელოვანი სამეცნიერო წერილების გარდა, სწორედ ის არის ავტორი კინოსცენარებისა: „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ და „თოჯინები იცინიან“. მასვე ეკუთვნის ტექსტი სიმღერისა „თოლია“, თავის დროზე ჰიტადაც რომ იქცა და დღემდე შედეგად რჩება ქართული კინომუსიკის ისტორიაში.

ჩვენი ზონა

ბატონო რედაქტორო!

შესანიშნავია რუბრიკა „სემინარი — სამი ისტორია“. მე ის მანტერესებს არა მარტო როგორც მკითხველს, არამედ როგორც პედაგოგსაც, რადგან მასში ჩემი დოქტორანტი მონაწილეობს. გამოგიტყდებით, რომ დიდი ინტერესით ვკითხულობ ყველა სტუდენტის ნაშრომს, რომელთაგან თითოეული ცალკე ნოველაა, მაგრამ აქ არ არის საუბარი თქვენს ინტუიციებზე — გამოიცნოს რა მოეწონება მკითხველს, არც ქალბატონ რუსუდან ნიშნაიანიძის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებზე, რათა სწავლის პროცესში სრულად გამოავლინოს თითოეული სტუდენტის შესაძლებლობანი.

მართალია ცოტა ავჩქარდი და არ დაველოდე სემინარის ყველა მონაწილის შესაძლებლობათა გაცნობას, მაგრამ უკვე დაბეჭდილის ფონზე გამოირჩა თამარ ადამიას ნაშრომი. ის ერთი არ წერს ისე, როგორც სხვები. თამარ ადამიამ თავისი ნააზრევის გადმოცემის დროს გვიჩვენა აზროვნების ორიგინალურობა; არ შეიძლება, როგორც პედაგოგმა, ეს გოგონა არ გავამხნევო და გზა არ დავულოცო. გამოერჩე ამდენ შესანიშნავ ნაშრომში — ძნელია, თამარ ადამია კი ამას შესანიშნავად ახერხებს.

შეიძლება ასე არ ფიქრობდეს ქალბატონი რუსუდანი, რომელსაც უკეთესი ნაშრომები აქვს შემონახული ჩვენდა გასახარად. მე თამარ ადამია მომეწონა, გამოირჩევიან სხვებიც, გამოვჩნებამათ, გავამხნევოთ ეს ახალგაზრდები, რუბრიკაც ხომ იმ მიზნითაა შექმნილი, რომ ჩვენს სამსჯავროზე გამოიტანოს მომავალი თაობის შესაძლებლობანი.

ბოლოს ქალბატონი რუსუდანიც მოგვახსენებს თავის აზრს, ხომ დავკვირდა — მე ჩემული შეფასებები მაქვსო.

მამ ასე, სემინარი გრძელდება, გაგრძელდება, ალბათ, გამოხმაურებანაც.

მარიანე გიგაშვილი



დაიბადა 1989 წლის 27 ნოემბერს, ლანჩხუთში.
 2006 წელს დაამთავრა სოფელ სუფსის საშუალო სკოლა.
 2010 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუბლიცისტური ფაკულტეტი. არის ხელოვნებათმცოდნე.
 2010 წელს მისი ლექსები დაიბეჭდა „ლიტერატურულ პალიტრაში“.
 შეიძლება ითქვას, რომ მას უკვე გარკვეული აქვს თავისი პოეტური თვითიგივეობა. მას აქვს თავისი ხედვა, საზრისი, განცდა.
 რაც შეეხება ხელნერას, ესეც უთუოდ იქნება. ამის წინაპირობა არის ეს სამი ლექსი, რომლებშიც ჩანს შემოქმედებითი ენერჯია, პოეტური საფანელი, სტილი, რაღაცით მიმსგავსებული სიმბოლისტურ სახისმეტყველებას.
 ყველა დეტალი მიგვანიშნებს, რომ თონა კომახიძის პოეტური პერსპექტივა უნდა გაიხსნას და განათდეს ისე, როგორც მისი მშობლიური სოფლიდან დანახული ზღვის პორიზონტი.

თონა კომახიძე

ანგელოზს

ისევ მომწყურდა,
 დავეწაფე ცოდვის მდინარეს,
 მე აღარ ვცდილობ ვიყო იგივე...
 სხვა გზით ვიარე,
 ვკაფე დუმისის თეთრი ტყეები,
 მერე ვიკვილე,
 გზა ვერ ვიკვლიე.
 აქ თრთის ყოველი, სასოებისგან,
 ვთოვთ ლუციფერის სულში და ვცრემლობთ,
 ოჰ! სახლები მტვრის ფრთებით მიფრინავენ,
 ქალწულებს აცვიათ ვნების ალუბლები.
 ჩამოდი ჩვენთან...
 შენს სულსაც გაზიდავენ სხეულიდან,
 ცხენებით, მარხილებით გაგაქროლებენ,
 შარბათის სმისას ძეგლად გაქცევენ,
 ვერ დაიხსნი თავს...
 ჩამოდი და მოიმტვრიე ფრთები, ქსელები.
 ჩვენც ვცდილობდით
 ვყოფილიყავით ვარდის შრიალი,
 უსიერი იების სამეფო,
 გვინდოდა ცისარტყელა გვექონოდა შუქნიშნად...
 მაგრამ...
 ჩამოდი ჩვენთან,
 დადექი დარაჯად
 თებერვლის თეთრ პალატებში.

ცხენი

მშვიდი ტორტმანი...
 სარკის ნაპირზე გავიდრე კანი,
 ვერცხლის სუნთქვაში თმა ამოვავლე,
 მზე მოვივადე ხელის სილურჯით.
 ჩემი თვალეები, წყვილი ბაია
 მწუხარებაში ჩაემხო თავით,
 სივრცეში ცხენი გადაიქროლებს,
 უსაზღვროების წარღვნას მოიბამს.
 ჩემი სული უბრალო სურაა
 სავსე ცოდვებით და არცოდნებით,

მე ძილი მინდა სარკის ტალღებში,
 ზღვას აკვანივით დამირწევს ქარი.
 სივრცევე, ჰაერო,
 ნელი ტორტმანით
 გაიხლოვდები, გაიხლოვდები
 სარკის სიღრმეში მშვიდად შევცურავ,
 ცისფერ წვიმაში გავსხეულდები.

წითელი ქერის დავლიე შხამი
 და მოლოდინი სავსეა ხვალით,
 ყაყაჩოს ტანში ბანაობს ნისლი,
 ამოვიმღერებ... მე ნექტრით ვთვრები.
 ძაფზე ავასხი ღამეები,
 სიზმრების ცისფერი მტვერი,
 თვალთაგან ფერფლი დამდის
 ზღვის ქაფის სინათლეს ველი.
 სივრცევე, ჰაერო,
 ნელი ტორტმანით
 გაიხლოვდები, გაიხლოვდები
 სარკის ტალღებში მშვიდად გავცურავ,
 ცისფერ წვიმაში გავსხეულდები.

შოკოლადი

მე დამავიწყდა იმის მოყოლა,
 რომ ჩვენ გაგვყოფდნენ როგორც შოკოლადს.
 ამიტორდები... და დავეცემით,
 დაგველენება ფრთები და ძვლები.
 დაარბიე, დაო, სხეული,
 შენი კანია შენი საკანი,
 დაარბიე, დაო, სხეული,
 ჩემი სულის მორევს შეუერთდი.
 ჩვენ გვიყვებოდნენ უცნაურ ზღაპრებს
 და დღეს მე ვაფრენ,
 შენ ოცნებებში ბედნიერობდი
 და სამყაროში წვიმად ცხოვრობდი.
 ვერ მოვიცალე მეთქვა, დამთავრდა,
 ჩემი ნაწნავების დაფნა,
 ჩემს გულს ატმის ნაყოფში ძინავს,
 შენ ჩიტის სხეული გმოსავს.
 მე დამავიწყდა იმის მოყოლა,
 რომ ჩვენ გაგვყოფდნენ როგორც შოკოლადს.



დაიბადა 1988 წლის 21 სექტემბერს, გალში.
 2005 წელს დაამთავრა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის №1 საშუალო სკოლა.
 ამჟამად სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში,
 ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ქართული ფილოლოგიის III კურსზე.
 სხვა სამყაროდან მოდის მისი ლექსი.
 ჩვენ არ ვიცით ის სამყარო როგორია, მაგრამ ვიცით, როგორი იყო და ვგრძნობთ კიდევ როგორც
 სხეულის დაკარგულ ნაწილს.
 ტკივილისგან იშვა მისი ლექსი. ტკივილი ასაზრდოებს მის შთაგონებას. თუმცა არის ამ ტკივილ-
 ში რაღაც ისეთი, რაღაც თბილი და მეტად ადამიანური, რაც იმედითა და სიხარულის მოლოდინით
 განგანწყობს.
 არცერთი სტრიქონი, არცერთი განცდა, არცერთი პოეტური ხატი აქ არ არსებობს სიცოცხლის
 ჭეშმარიტი განცდის გარეშე.
 ამიტომ გვჯერა, გვწამს, გვეიმედება.

ნანა აბლოთია

* * *

ჩამოვალ შენთან,
 ჩამოვალ, თუკი გამომწვავ დაძინდილ ოცნებებს,
 ადენ რძისფერ სხეულს წითელ ქაშმირებს...
 ჩამოვალ, თუკი დამავინწყებ ვინ ვიყავ
 და რა ტკივილი მეგრძობდა სულში,
 რად მაშიებდა ქვეყნიერება ადამის მოდგმას
 და მკლავდა შობა აღდგომასა და ამაღლებაში.
 ჩამოვალ...
 არა, ჩამოვირბენ და შენს ალუბლებს მოვწყვეტ
 დამდნარ მზის ჩრდილში, ალენილ აგონიაში
 და კიდევ, შენი თმების წითელ ბუჩქებში.
 ჩამოსულს დამხვდი ლურჯი მთიებით,
 დროს შეათანხმე მარადისობა
 და ათვლევინე ზეცას ფერები...
 გზად დამიგე შენი სული როგორც ნაპირი,
 ფეხშიშველმა გადაცურე მარსის ველები,
 და როცა დედამინას ბორკილებს ახსნი,
 შენც სამარადჟამოდ გათავისუფლდი!

ქრისტინა

მე მახსოვს შენი თვალების სითბო,
 მწვანე სარკმლიდან მოფრენილ მზერის,
 მისვენებული ჩემს სუსტ ხელებზე
 როგორც ობოლი ლოცვები ბერის.
 დაუსრულებელ ფოთოლცვენისას ჰგავდი ქრისტინე,
 ნოემბრის აღმავრენაში მომწყვედეულ მძევალს,
 გიცემდა თეთრი მთიების გულმკერდი,
 თვალთა დაისით მიჰგავდი ქრისტეს მხევალს.
 ღიმილს ქარგავდი ქარში, ვნების ციალში,
 ვერ გენეოდნენ სხვისი ხელები დროის ფერებში.
 შენ ივსებოდი იების ცისფერ წვიმებში
 როგორც წარმართი, აღმოვადებულ
 მიმთვრალ კერპებში.
 უცხო ხელები როცა გიპოვიან ასე მშვენიერს,
 არ შეგეშინდეს, გრძნობის ქარავენებში შენც ივნიე..
 სიცოცხლე დაემსგავსება გაჭრილ ღრუბლების ფენებს
 და ბედნიერი ლტოლვათცურვამი შენ დაისვენებ.

წეროები

ჩვენ აღარ გვახსოვს რა არის ზღვარი,
 ჩვენ ის დავეარგეთ...
 ვლენეთ სიცოცხლის ღეროები
 და ვთხაპნეთ შუშებზე შავი წეროები.
 გვინდოდა ფრენა გვესწავლა,
 გავცლოდით მიწას,
 სისხლი გვწყუროდა ატმის სიცოცხლის,
 შიშველ ფეხებით ავეკიდეთ თავისუფლებას.
 როცა უეცრად ვიგრძენით მკლავების
 მიწაზე მსხვერვეა,
 თითქოს ვირმზუნეთ, ამაში უნდა ჩაგვექსოვა
 ორის ნეტარი შერწყმა – ადამ და ევა.
 ჩვენ დავიკარგეთ როგორც ბავშვები
 უსაზღვროებაში ვიპოვეთ ზღვარი,
 აღარ გვეძებოთ, დაგაგვიანდათ,
 ჩვენ გავიფანტეთ ცისფერ ხაზებში.

როცა მოვკვდები

როცა მოვკვდები,
 ჩემი საფლავის ქვაზე
 ჩამოიქროლებს ქარი,
 მსგავსი ლამაზი ქალის,
 თეთრი ხელებით, ქნართ...
 იმღერებს სიონარწვევი, უნაზეს ხმებით
 და ობმოკიდებულ საფლავს შემოსავს
 მხესგამოქცეულ ფერით.
 ოქროსფერ მდუმარებაში ვიქნებით
 მე და შეშლილი ქარი,
 მსგავსი ლამაზი ქალის
 და პაემანზე იქნება ნოემბრის დარი,
 სავსე მინდვრიდან მომწყდარ გვირილის,
 სურნელი მსგავსი გვამის...
 და აიჭრება სისხლით ხმა იღუმალი,
 საფლავზე მუხლნაქცეული მამის,
 მზე გაახუნებს ქვაზე წარწერას,
 მიწა კი ჩემს ძვლებს მიატანს ყვავილს.
 როცა მოვკვდები,
 გაიფანტება ზმუილი ქარის
 და ნაწვალები ფიქრი გულდასერილი მამის.

მიხეილ მახარაძე

გამორჩეული სიბუღის მოქალაქე და მეცნიერი

გამორჩეული მეცნიერი, ფილოსოფოსი და ქართული კულტურის ისტორიის აღიარებული მკვლევარი შალვა ხიდაშელი დაიბადა 1910 წლის 31 მაისს, ცხინვალში. შემდეგ მათი ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, სადაც დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა. 1927 წელს კი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1931 წელს.


1933-1936 წლებში სწავლობდა ლენინგრადის ენის, ლიტერატურის ისტორიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ფილოსოფიის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრებისთანავე ბრუნდება თბილისში და ივანე ჯავახიშვილის წინადადებით მუშაობას იწყებს რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად. ამ გარემოებამ არსებითად განსაზღვრა კიდევც ახალგაზრდა მეცნიერის კვლევის მთავარი სფერო — შუა საუკუნეების ქართული კულტურის ისტორია, რომელშიც საბოლოოდ გამოიკვეთა ძირითადი მიმართულება — ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია.

1946 წელს შალვა ხიდაშელი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალდაარსებულ ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც იყო სწავლული მდივანი, შემდეგ ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1966 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას.

გარდაიცვალა 1994 წლის 21 სექტემბერს.

შალვა ხიდაშელი მრავალმხრივი შემოქმედი იყო. ფილოსოფოსთა ნაშრომების გარდა, სხვადასხვა დროს მისი შესწავლისა და განხილვის საგანი გამხდარა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და მწერალთა (სულხან-საბა ორბელიანი, ალექსანდრე ამილახვარი, ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, გიორგი შატბერაშვილი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ანა კალანდაძე) შემოქმედება.

ქართულ ფილოსოფიაში შალვა ხიდაშელის კვლევა-ძიება იმთავითვე გამოირჩეოდა საკითხებისადმი ღირებულებითი მიდგომით. კერძოდ, იკვლევს და ადგენს ქართული აზროვნების ძირითად მიმართულებათა მსოფლმხედველობრივ საფუძველს ამქვეყნიური სინამდვილისადმი მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით. მისი აზრით, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრისთვის დამახასიათებელი იყო ორი ძირითადი მსოფლმხედველობრივი მიმართულება. ერთი მსოფლმხედველობა — „გამორიცხავს ისეთ შე-



შალვა ხიდაშელი

ხედულებას, რომლის მიხედვითაც ამქვეყნიურ ცხოვრებას თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს”. მეორე მსოფლმხედველობა კი, რუსთაველის თვალსაზრისიდან მომდინარეობს და სამყაროს, ამქვეყნიურ სინამდვილეს, რომელიც ადამიანის წინაშე „უთვალავი ფერით” არის გაშლილი, „თავისთავად მნიშვნელოვნად და ღირებულად” მიიჩნევს.

შალვა ხიდაშელის აზრით, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია, ქვეყნის კულტურული ცხოვრების შიგნით მომხდარ იდეურ ცვლილებათა თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენს. რამდენადაც ამ ცვლილებით განსაზღვრული იდეა ამქვეყნიური სინამდვილის და მასში მოქმედი ადამიანის ღირებულების აღიარებაა, ამდენად იმ დროის ქართული ფილოსოფიური მსოფლმხედველო-

ბის ძირითად ამოცანას ამქვეყნიური სინამდვილის ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების და, ამის შესატყვისად, ადამიანურის ახლებური გაგების დასაბუთება შეადგენს.

ამ მთავარი დებულების გაღრმავებას, კონკრეტიზაციას და განვითარებას, შალვა ხიდაშელმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს — „ჰუმანიზმის ზოგიერთი საკითხი ქართულ მწერლობასა და „ვეფხისტყაოსანში” (1954), „იოანე პეტრინი” (1956), „იოანე პეტრინის ადგილი ქართულ მსოფლმხედველობრივ მიმართულებათა განვითარებაში” (1957)...

შალვა ხიდაშელის მოღვაწეობაში განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა 1981-1994 წლები. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები ქართული ფილოსოფიის ისტორიაში, ქართულ რენესანსსა და რუსთველოლოგიაში, კერძოდ: „ქართული რენესანსის საკითხები” (1984, რუსულად), „ნეოპლატონური იდეების ასახვა შუა საუკუნეების ფილოსოფიაში” (1986, თანაავტორობით), „ქართული ფილოსოფიის ისტორია” (1988), „ნეოპლატონიზმის თეორია რუსთველოლოგიაში” (1990). ამას უნდა დაემატოს ის უამრავი პუბლიცისტური წერილი, რომლებიც ბოლო 90-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ ენებზე და ეძღვნებოდა თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, ქართულ ეროვნულ მოძრაობას, ზნეობისა და პოლიტიკის პრობლემებს.

დიდა შალვა ხიდაშელის დამსახურება ქართული რენესანსის პრობლემათა დამუშავებაში. შალვა ნუცუბიძის ქართული რენესანსის კონცეფცია შალვა ხიდაშელის ნაშ-

რომეში გაღრმავდა და განვითარდა. ხიდაშელისთვის რენესანსის არსი გულისხმობს მინიერი ცხოვრების ღირებულად აღიარებას და ადამიანის ახლებურ გაგებას. „როგორც ითქვა, — აღნიშნავს შალვა ხიდაშელი, — რენესანსისა და რენესანსული ჰუმანიზმის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს ხილული სინამდვილისა და ამქვეყნიური ადამიანური არსებობის ღირებულად აღიარებაში. აქედან — ახალი, შუა საუკუნეებისგან განსხვავებული დამოკიდებულება ანტიკურობისადმი და ახალი, განსხვავებული გაგება ადამიანურისა“.

რენესანსი ახალი ეპოქის დასაწყისია, მაგრამ ის მზადდებოდა და მნიფდებოდა შუა საუკუნეების პირობებში და ატარებდა ეპოქის სააზროვნო ნიშნებს. ამიტომაც ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულების აღიარება, წერს ხიდაშელი, სულაც არ ნიშნავს იმქვეყნიური (ზეციურის) ღირებულების უარყოფას. „ის ქვეყანა“ რჩება „უმაღლეს, რუსთაველის სიტყვით „ზენა“ სინამდვილედ, აბსოლუტურ მნიშვნელობად და ღირებულად“.

ყველაფერი ეს, შალვა ხიდაშელის აზრით, რუსთაველთან, როგორც პოეტთან, მხატვრული ხერხებით არის გადმოცემული. ხილული სამყარო მისთვის პირველყოფილისა ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს. მშვენიერება „ვეფხისტყაოსანში“ ყოველთვის ამაღლებულია და ესთეტიკურის უმაღლეს რანგს მიეკუთვნება.

შალვა ხიდაშელის დიდი ხნის ნაყოფიერი კვლევა-ძიება ქართული ფილოსოფიის ისტორიაში, ქართული რენესანსის საკითხებსა და რუსთაველოლოგიაში, თავმოყრილი იქნა ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1988), რომელიც მოიცავს ქართული ფილოსოფიის ისტორიას ძველი დროიდან რუსთაველის ჩათვლით.

როგორც ცნობილია, რუსთაველოლოგია და საერთოდ სპეციალისტთა შორის არაა ერთიანი აზრი რუსთაველის მსოფლმხედველობის წყაროებზე. ამ საკითხის გარკვევისას კი აზრთა სხვადასხვაობა და ბევრი გაუგებრობაცაა. შალვა ხიდაშელმა მონოგრაფიაში „ნეოპლატონიზმის თეორია რუსთაველოლოგიაში“ (1990) დამაჯერებლად აჩვენა ნეოპლატონიზმის გადამწყვეტი როლი რუსთაველის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, რითაც ბევრი სიცხადე შეიტანა ამ სადავო საკითხში.

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში მსოფლიო გამოხმაურება ჰპოვა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიამ პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტობაზე. შალვა ხიდაშელმა აქტიურად დაუჭირა მხარი ამ თეორიას და მას რამდენიმე სტატია მიუძღვნა. საკითხის შესასწავლად იგი ორჯერ იყო მივლინებული გერმანიაში, სადაც კითხულობდა ლექციებსაც ნეოპლატონიზმსა და ქართულ ნეოპლატონიზმზე.

შალვა ხიდაშელი თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ინსტიტუტის ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას, სადაც ბევრი რამ დაკეთდა ქართული ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1986 წლის 30 იანვარის სპეციალური დადგენილებით ფილოსოფიის ინსტიტუტს დაავალა „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ ოთხტომეულის მომზადე-

ბა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა შალვა ხიდაშელი. მიმდინარე წელს დასრულდა ეს დიდი საქმე.

შალვა ხიდაშელი დიდ პატივს სცემდა და აფასებდა შალვა ნუცუბიძეს, რომლის დაწყებული საქმის ღირსეული გამგრძელებელიც იყო იგი. შალვა ნუცუბიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მან მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1969 წელს, ხოლო მეორედ 1987 წელს.

80-იანი წლების დასასრულს — ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას — შალვა ხიდაშელი პრესის ფურცლებიდან აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში. მისი განსჯის საგანი იყო ეროვნულ მოძრაობის საკითხები. ის აქვეყნებს მოქალაქეობრივი პასუხიმგებლობით აღსავსე მწვავე წერილებს, რომელთა მთავარი მიზანიც ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვა იყო. ხიდაშელის წერილებმა პოლიტიკასა და ეთიკაზე, განსაკუთრებით კი კრიტიკულმა წერილმა სოლჟენიცინის ნაშრომზე „როგორ მოვანყოთ რუსეთი“, ახალი კუთხით გააცნო მკითხველს მათი ავტორი. ხიდაშელის პუბლიცისტური წერილები გაერთიანდა და 1993 წელს გამოიცა ცალკე ნიგნად, სათაურით — „ფიქრები საქართველოზე“.

სიცოცხლის ბოლოს შალვა ხიდაშელმა დაწერა მემორული ყაიდის ნაწარმოები „უსათაურო მოგონებანი“, რომელიც ჯერ უურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა, შემდეგ 1994 წელს ცალკე ნიგნად.

„უსათაურო მოგონებანში“ ქართველი მწერლების, მეცნიერებისა თუ საზოგადო მოღვაწეთა შეფასებისას შალვა ხიდაშელი პოულობს თითოეულისთვის დამახასიათებელ შტრიხს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს დავით კლდიაშვილისა და ტერენტი გრანელის პიროვნული განსაკუთრებულობის ავტორისეული ხედვა. მისი ცოცხალი შთაბეჭდილება დავით კლდიაშვილის საიუბილეო სხდომიდან ასეთია: „არავითარი პოზა, არც ფარული და არც გამოვლენილი; არავითარი ხაზგასმა მისი საზოგადოებრივი და სამწერლო დამსახურებისა. პირიქით, ქართული პროზის ეს შესანიშნავი ოსტატი თითქოს გაკვირვებული იყო იმით, რაც საიუბილეო სხდომაზე მოისმინა.“

დიდი მწერლის პოზიციას ხიდაშელი ასე აფასებს: „ეს სიტყვები იყო ხმა მეცხრამეტე საუკუნიდან, ხმა ილიას ეპოქიდან, რომელიც უკვე მაშინ ჟღერდა სრულიად უცხოოდ (და მით უმეტეს, უცხოოდ ჟღერს დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება)“.

ტერენტი გრანელის შესახებ კი ნათქვამია, რომ მისი პირადი ტრაგედიის მიზეზი მისი ფსიქიკის თავისებურებიდან არ გამომდინარეობს. მისი „მე-ობიდან მისი დიდი ტალანტი გამომდინარეობს, რომელიც მას დიდ პოეტად აქცევს“. ტერენტი გრანელს, — წერს შალვა ხიდაშელი, — ერთი ლექსი რომ მიეძღვნა ამ ქვეყნის ძლიერთათვის ან ინდუსტრიაზე და „ზაჰესზე“, მას არც პატივი მოაკლდებოდა და არც ყურადღება, „მაგრამ არ დაწერა, ვერ დაწერა, და ალბათ არც უფიქრია დაეწერა“.

„უსათაურო მოგონებანში“ ახლებურად არის წარმოდგენილი როგორც რეპრესირებულ, ისე სასწაულით გადარჩენილ ქართველ მოღვაწეთა სახეები (გრიგოლ წერეთელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცინ ტაბიძე, სანდრო ახმეტელი... ივანე ჯავახიშვილი, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე...). ამის გარდა, წიგნში თვითმიხილველის პოზიციიდან არის დანახული და შეფასებული

დაუპიწყარი სახელები

ამ პერიოდის ქართული კულტურის, მეცნიერებისა და პოლიტიკური ცხოვრების საკვანძო საკითხები.

„უსათაურო მოგონებანის“ ერთი მთავარი ძარღვი ავტორის განცდილი და გადატანილია. ბატონ შალვას ახლოობელთა წრეს, საკუთრივ მის ოჯახს ხომ უშუალოდ შეეხო 37 წლის მსახვრალი ხელი.

შალვა ხიდაშელს განსაკუთრებული პიროვნული ხიბლი ჰქონდა. მახსენდება 1976 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვები, ქალაქ ბაქოში ვართ ამიერკავკასიის ფილოსოფოსთა გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენციაზე. ბატონი შალვა ორი მოხსენებით გამოვიდა და თავისი აქტიური და, რაც მთავარია, სწორი პოზიციით კონფერენციის სული და გული გახდა. ამ გარემოებამ როგორც მასპინძლები, ისე რუსი და სომეხი მონაწილენი ჩვენი დელეგაციის მიმართ ძალიან კეთილად განაწყობა. ყველაფერი ეს აისახა გამო-

სათხოვარ ბანკეტზეც, სადაც ქალბატონმა მაია რაფაევამ და განსვენებულმა რევაზ თვარაძემ რუსული და ქართული პოეზიის არაერთი ნიმუში, მართლაცდა, სანიმუშოდ წაიკითხეს და დამსწრეთა საერთო აღტაცება და სიყვარული დაიმსახურეს.

ყოველი ადამიანის ცხოვრება, მართალია სულ სხვა ფორმითა და სულ სხვანაირად, სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. სიკვდილის შემდეგდროინდელი ცხოვრება კი დიდადა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა იგი მანამდე — ამქვეყნიურ სინამდვილეში. შალვა ხიდაშელმა ამქვეყნად უხინჯოდ იცხოვრა. მას არ შეშლია არც ადამიანურ ურთიერთობებში და არც უმწვავეს მეცნიერულ დისკუსიებსა თუ პოლემიკებში. ეს ცხადად გამოჩნდა მისი სიკვდილის შემდეგ. ამას აღიარებს ყველა, ვისაც ოდნავ რაიმე შეხება ჰქონია მასთან და მის ნაწერებთან.

კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი

სიმშვიდის მომგვრელი პოეზია

□

**რამდენიმე მოსაზრება
ბელა ჩეკურიშვილის
პოეტური კრებული „შესახე“**

ამა თუ იმ ადამიანის შემოქმედების ქალურობის ან მამაკაცურობის ნიშნით დახასიათება მაინცდამაინც სწორად არ მიმაჩნია, რადგანაც ხშირ შემთხვევაში საკითხის ამ რაკურსიდან დანახვა ავტორის ერთგვარ გამართლებას ემსახურება მსოფლმხედველობრივი კარჩაკეტილობისა და ღირებულებათა ფორმირების ვერსემდგარი პროცესების გამო. თვით ტერმინიც, ვთქვათ, ამჯერად „ქალური პოეზია“, სისუსტისა და ცოტა არ იყოს ზედმეტი სენტიმენტების ლამისაა დაკანონებულ კლიშეში მოქცევის მცდელობა, რაც ერთგვარად აკინებებს შემოქმედებითი პროდუქტის ესთეტიკის უკიდევანობას.

ეს შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ სწორედ ამ მიუღებელი, მაგრამ ჩემთვის ამ შემთხვევაში გამართლებული ნიშნით მინდა დავინყო ბელა ჩეკურიშვილის პოეზიის დახასიათება. იგი სწორედ ის ავტორია, რომელსაც გამოკვეთილად ქალური შემოქმედება აქვს ერთი მხრივ ფასადების ნატიფი ფაქტურის, მეორე მხრივ კი სწორედ ქალური სანყისით განპირობებული ღრმა შინაგანი მრწამსის გამო. იგი ამ ნიშნით თავს კი არ იცავს, არამედ იბრძვის. აქ სიტყვა „ბრძოლა“ არ უნდა გავიგოთ, როგორც რაღაც იდეოლოგიის, სამ-

ყაროსთან წინააღმდეგობის გამოხატულება. ამ შემთხვევაში იგი ერთგვარი მდგომარეობაა, რომელსაც ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მის პოეზიაში ქალურობა დასამალი ნიშა კი არ არის, არამედ ბრძოლის იარაღი და სწორედ ამიტომ ხმამაღლა გასაცხადებელიც კი, როგორც ნიშან-თვისება, როგორც მოქმედების ერთგვარი ხერხი თუ მეთოდი, როცა ავტორი ამ თვისებაში, როგორც ჯამბაზის სამოსელში, კი არ ინიღბება, არამედ მას აბჯრად თუ ჯაჭვის პერანგად იყენებს:

**შენ მიშლიდი მარგალიტს ფეხქვეშ
და მიდიოდი.**

**ჩემში კი ისევ კაპასობდა
მებადურის ბებერი ცოლი
და დაბრუნებულს
ოქროს თევზს გთხოვდი...**

(„ოქროს თევზის ხსოვნას“)

საერთოდ კი ამგვარი მოსაზრებების აღქმა და იმის გარკვევა, თუ ვინ რას ვგულისხმობთ ამა თუ იმ სტრიქონში, ძალიან სუბიექტური განცდაა, რადგან პოეზია ობიექტივისტურ-უნივერსალისტური აზროვნების წესი არ გახლავთ და შესაბამისად განპირობებულია ინდივიდის ქვეცნობიერი მორალით და მისი თავისუფლებით. ლექსი არ არის ე.წ. იურიდიული ქმედება. ის მხოლოდ სურვილების გამოხატულებაა, რაზეც საზოგადოებრივი რეაქცია ცალმხრივი ვერ იქნება. პოეზია და საერთოდ სწორედ ის ფენომენია, სადაც უმკაცრეს დოგმატურ კალაპოტში მცხოვრებნიც კი, თვით ყველაზე რადიკალურ იდეებსაც შემწყნარებლურად უდგებიან, რადგან ისინი იქ თავიანთ ფარულ და აკრძალულ ფასეულობებს პოულობენ.

თუმცა კი ბელა ჩეკურიშვილის ლექსებში ვერ ნააწყდებით ვერც პოეტურ, ვერც თემატურ რადიკალიზმს. პირიქით, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სისადავე მოიტანოს ჩვენამდე და ეს გააკეთოს მაქსიმალურად ტრადიციული სპექტრის ფარგლებში.

**ძაფზე ვკიდევარ ქალაღის ჩიტად
და სასწაულის მოხდენას ველი.**

**და სულერთია, ვიქნები ციდა,
თუ გაჭიმული ერთი მტკაველი,
მე ამ ყუთიდან გაფრენა მინდა
და ჩემს სურვილზე ყოველდღე ვმღერი...**
(„ჩინური სიმღერა“)



აღბათ ამიტომაცაა, რომ მისი პოეზიის რეცენზირება ლირიკულ-რომანტიკულ სიბიექტივიზმს უკავშირდება და არანაირად არ დგება ახლოს რომელიმე კონცეპტუალურ ელემენტთანაც კი. აღბათ ამიტომაცაა, ბელას ლექსებს, ცოტა არ იყოს, ძველმოდურობის სურნელი დაკრავს. რაკი სიტყვა „ძველმოდურობა“ ვახსენე, აქვე იმასაც დავამატებ, რომ ამ ავტორთან არცთუ ისე იშვიათად წაანყდებით, ცოტა არ იყოს, უადგილო არქაულ ლექსიკას თვით ყველაზე მშვენიერ ლექსებშიც კი. მაგალითად: „ჩუქურთმად ვიქეც“, „თმა შეიკარ“, „რამეთუ“ და ასე შემდეგ. ასეთი სიტყვები კიდევ უფრო ამძაფრებენ არათანამედროვე განწყობას, რომელიც ნაკლებ სასიხარულოა ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათეულის მიწურულს, მაშინ, როცა პოეტური ესთეტიკა დაგვიანებით, მაგრამ მაინც საფუძვლიანად გარდატყდა სამოცდაათიანი, შემდეგ კი ოთხმოცდაათიანი წლების მიჯნაზე. ლიბერალისტურ ტრადიციებზე მდგომ პოეტს, ცხადია, პოსტმოდერნისტული სივრცეების დალაშქვრას ვერ მოვთხოვ, მაგრამ ახალი ლექსიკური ფასადი, თუნდაც კვლავინდებურად კლასიციტურ მოდელში გაბნეული, აღბათ საინტერესო კოქტეილს შექმნიდა. და მაინც, ის, რაც ყველაზე ფასეულია ამ ლექსებში, რითიც ავტორი ახერხებს, თავი აარიდოს ერთი ადგილის ტკეპნას, ნაიფურ ნილაბში შეფუთული უკიდურესი გულწრფელობაა, რომელსაც თითქმის ყოველთვის მოცილებული აქვს არტიტულობა, წრეგადასული პათეტიკა, საკითხის დემაგოგიური აბსტრაგირება. ავტორი ახერხებს, ზუსტად გადმოსცეს ამბავი, მომენტი, რაც საბოლოოდ ქმნის ე.წ. განწყობის პოეზიას. ასეთია მაგალითად „მამა“ – ერთგვარი დაგვიანებული მონოლოგი მამისადმი. აქ მამის საიდუმლოს ეხდება ფარდა შვილის მიერ, რომელიც ცდილობს ლექსით შექმნას ორთა განწყობა, ის ტანდემი, რომელიც ბავშვობის დროს ვერ მოიხელთა.

**ჩემთან ეძებდი,
რაც ვერ გითხრეს სატრომ და ცოლმა,
რაც დაგიმალა დედაშენმა
და მეზობლის ქალს არ გაემეტა,
ჩემთან ეძებდი,
რაც ვერ მოგცა ვერც რძემ, ვერც ღვინომ,
ვერ მიუხვდი წყალსა და მინას,
ჩემთან ეძებდი,
გჯეროდა, რომ მე გაგიმხელდი,
ან უნებლიეთ წამომცდებოდა...**
(„მამა“)

მისი სიტყვები ხშირად კეკლუცობენ და ეს სიყალბედ არ უნდა მივიჩნიოთ, იგი აღბათ უფრო ავტორის ბოლომდე ვერრეალიზებული თვისებების ამ ენაზე მაინც გადმოცემის მცდელობაა. რაც უფრო იზრდება ლექსის გარეგანი სი-

სადავე, მით მეტად ინიღბება პოეტი. გარეგანის და შინაგანის ერთგვარი ამბივალენტობა იწვევს საბოლოოდ სათქმელიდან გვერდის ახვევის მცდელობას; თუმცა ეს მომენტი უნებურად გადაიზრდება სწორედ რომ სათქმელის დემონსტრაციულ იგნორირებაში. მისი სინტაქსი უმარტივესია, ყოველგვარი დაბინდულობის გარეშე მეტყველებს. არ ვარდება სასონარკვეთილებაში და არ კარგავს ნონასწორობას. მისი ემოცია მდგრადაა, რადგან ადრე მომხდარ ამბებს ჰყვება. იგი არ არის იმპოზანტური, იშვიათად ცდილობს, გაიზარდოს და პატარა გოგოს თვალთახედვის არედან გვანჯდის დიდურ თემებს. „მე ვხედავ დედას“ ზემოთქმულის ერთ-ერთი კარგი ნიმუშია, სადაც გულუბრყვილო აღსარება ფინალში ერთგვარ სილის განვნად აღიქმება, რადგან პატარა გოგონა თქვენს თვალწინ ერთ წამში გადაიქცევა ზრდადასრულებულ, უფრო მეტიც, ტკივილვეერგადალახულ სასონარკვეთილ ქალად:

**და თუ ხანდახან
ჩემი ხმიდან შეშინებული ბაჭიები გადმოხტებოდნენ,
უძილობას ვაბრალებდი და
ნანნავენის რხევით ვაქრობდი.
ჰოდა ახლაც,
იმედია, შევძლებ დაგარწმუნო,
რომ ხელებს საშველად კი არ ვიქნევ ჰერში,
ცეკვაა ასეთი, უხეში და თანამედროვე...**
(„მე ვხედავ დედას“)

ეს ლექსები ერთი შეხედვით სიმშვიდეს გგვრის, ტკბები ავტორის თავმდაბლობით, მაგრამ თან, ცოტა არ იყოს, ღიზიანდები მისი ნაიფურობის გამო. არადა, იგი მზადაა ატაროს გულუბრყვილობის ეს ნილაბი, რათა შიგადაშიგ მძიმე ტვირთაკიდებული სათქმელები შემოგვაპაროს. იგი აღწერს ამბებს და მკითხველს რჩება არჩევანი – გაუჩნდეს თუ არა ესა თუ ის ემოცია. ხანდახან რომანტიკოსია და თითქმის არ ეწინააღმდეგება სამყაროს. იგი არ ცდილობს იდუმალი და შეუცნობი მოგვინიშოს და მერე ლუბით გვათვალისწინებინოს, არამედ უნდა, რიგითი ამბავი მოყვეს ზუსტად იმ რაკურსით, როგორადაც მიიჩნევს, რომ სწორად შეგვანივებებს მისეულ ემოციას, რომელიც თითქოსდა მისივე დაჟინებული ძალისხმევით შერწყმულია მორალსა და უტილიტარულობასთან. იშვიათად შეინიშნება დეკადანსის, ნიჰილიზმის ნიშნები. სამაგიეროდ, ხანდახან ანტიკურ-წარმართული ღირებულებანი ჩნდება და ამის გამო ქურუმად და აგიტატორად გარდაისახება ხოლმე. ხანდახან კი უბრალოდ, რაციონალური ჭრილიდან ხედავს სამყაროს და კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, თუ რა მარტივად სასრულია იგი.

არასოდეს არ აწყობს ამბოხის იმიტაციას. მისი მსოფლმხედველობა შეგუებულია ნახნაგებზე ტალღეებით მიხლას და უკუქცევას, თუმცა ისეც ხდება, რომ რეკლუცია ფატალურ, გარდაუვალ მოვლენად იქცევა ხოლმე. ამ სათქმელით და პათოსითაა ბელას, მე ვიტყვოდი, ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ამბავი ცერცვისა და კედლისა“:

ეს მაშინ,
როცა ჩვეული მოძრაობით
კედელს მეთათსედ შემაყარე...
...ცას ავხედე,
და უფრო მეტად ავეკარი დაბზარულ კედელს,
ტანი კეკლუცად შემოვხვიე,
ქვებს გავუსწორე,
ფოთლები განზე გავშალე და
ჩუქურთმად ვიქცე.

სწორედ ამ ერთი ცერცვის მარცვლის, როგორც გამონაკლისისა და „კანონდამრღვევის“, აღიარებითაა გაჯერებული ბელა ჩეკურიშვილის ბევრი სხვა ლექსი, სადაც ხშირად ავტორი ლირიკულ გმირს და ადრესატებს ერთმანეთის მონაცვლეობით ამუნათებს, ძველისძველ კითხვებზე პასუხებს სთხოვს და ამ ჩანაცვლებით იცავს ერთგვარი „ბალანსის ფილოსოფიას“. და ყველაზე მეტად სწორედ ამ ფილოსოფიის წყალობითაა მკითხველისთვის უკეთეს შემთხვევაში – საინტერესო, უარეს შემთხვევაში კი – უბრალოდ, სიმშვიდის მომგვრელი.

სამინარი: სამი ისტორია

პასუხისმგებლობა და მოვალეობა

თათული შონია

(ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ფილოლოგიის მიმართულეების, IV კურსის სტუდენტი)

1.

მოვალეობა — ეგზომ მტანჯველი გრძნობა, როცა ცდილობ მის დავიწყებას. ის მუდამ თავს გახსენებს რომ მოვალე ხარ, ვალი უნდა მოიხადო.

პასუხისმგებლობა პასუხისგებას და მის წარმართვას გულისხმობს. მოვალეობა და პასუხისმგებლობა აყალიბებს ადამიანს და ფხიზელ მდგომარეობაში ამყოფებს მაშინაც კი, როცა განსაცდელი და წინააღმდეგობა იჩენს თავს.

მოვალეობა ყოველი ადამიანის ცხოვრების წარმართვაში იჩენს თავს. მოვალეობა — ქვეყნის, შვილის, მშობლის წინაშე, ეს ის გარდაუვალი აუცილებლობაა, რომელიც მუდამ თავს გვახსენებს. ადამიანში მოვალეობის აღქმის უნარი თვითშეგნებიდან შემოდის და ადამიანის ჩამოყალიბებასთან ერთად ძლიერდება.

ყოველი შრომა, გარჯა, თუ პროფესია მოითხოვს თავის პასუხისმგებელს, ამ გზით ლაგდება ყოველი საქმე.

მასწავლებელი, რომელიც მოძღვრავს და ასწავლის, მოვალეობის გამძაფრებული გრძნობით აღვსილი ცდილობს მოსწავლეთა დაკვალიანებას და პასუხისმგებლობის საფუძველზე მათ წინაშე წარდგომას.

ექიმის პროფესიაც არ არსებობს ამ გრძნობების გარეშე, მითუმეტეს, რომ სიცოცხლის გადარჩენის მისია აკისრია.

ცნობილი ამერიკული ტელესერიალის ექიმი ჰაუსის მაგალითზე შეიძლება ვიმსჯელოთ.

პაციენტი, რომელიც პარალიზებულია სუნთქვა უჭირს და გადარჩენის იმედიც გადანურული აქვს რეანიმაციაზე უარს ამბობს, როცა შეტყეები გაუმძაფრდება, ექიმში პაციენტთან დადებულ ხელშეკრულებას არღვევს და მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

ეს არის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის წარმოჩენის ზენიტი.

მიუხედავად იმისა რომ, ჰაუსი ბევრ წინამდებებებს აწყდება, პროფესიულ პასუხისმგებლობისა და მოვალეობის განცდა მას პასიურობისა და უკან დახევის საშუალებას არ აძლევს.

2.

გურჯი-ხათუნი „ისწინა, ნაკითხვისას რომ ტანში შეგაფრთოლებს, ემოციებით აგავსებს, ისე რომ რაღაც გაგიხარდეს, რაღაც გეწყინოს, გეტკინოს და მიხვდე, რომ ეს რაღაც რაც გტკივა და გიხარია, შენი სამშობლოა.



სამშობლო გურჯი-ხათუნისთვის მარადიული მონატრებისა და ნოსტალგიის უშრეტი წყაროა.

გურჯი-ხათუნის სევდა ვაზის ცრემლებით დაბადებულია რუმის სასულტნოს მიწაზე და ისევე ელავს და ბრწყინავს, როგორც უცნობი ვარსკვლავი კონიის სასახლის ცის თაღზე.

გურჯი-ხათუნის ეპოქასთან შეიძლება ვთქვათ გვაპოვებებს. დათო ტურაშვილი იმდენად ფაქიზად წარმოგვიდგენს გურჯი დედოფლის სევდიან ამბავს, თითქოს ეს მისი ნუხანდელი სიზმარი ყოფილიყოს, სამუდამოდ აღბეჭდილი სიზმარი, ან კიდე როგორც ჩვევია საკუთარი თვალთ ხილული ამბების შეკვრა და საინტერესოდ მოყოლა.

ისტორიულ რეალობას დათო ტურაშვილი ლაკონიურობით, ლამაზი სამოსით ისე ოსტატურად შეკრავს, რომ ჩვენს წინაშე დგას ქართველი პატრიოტი ქალის სახე.

გურჯი-ხათუნი უცხო ქვეყნის სასახლეში მცხოვრები ქართველი დედოფალი, პოლიტიკური ქორწინების მსხვერპლია რომლის სულში სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ქრისტიანული სარწმუნოების მწამსი ყვავილობს და ოცნებობს სანატრელი გურჯისტანის ხილვაზე.

წანარმოების შექმნას დათო ტურაშვილი წამებას უწოდებს და ტექსტის სრულყოფილების იდეასაც უარყოფს. იგი გაბედულად ცდილობს ისტორიული რეალობის მხატვრულად გადასახვას, რაც თითქოს შესანიშნავი ცდაა იდეალური ტექსტის შექმნისა და არა მარტო ტექსტის შექმნისა, არამედ პრობლემატური თემის წამოჭრისა, რომლის შესახებ ქართულ მწერლობაში თავისი სიტყვა აქამდე არავის უთქვამს, მითუმეტეს რომ არც აღმოსავლეთის ქვეყნებში უმოგზაურია გურჯი-ხათუნის ისტორიის მოსაკვლევადა.

დათო ტურაშვილი მეგზურობას გვინებს აღმოსავლურ სამყაროში და გვიმთავრებს სამშობლოს სიყვარულს. ეს ისეთი თემაა, რომლის შესახებ წარმოთქმულ ყველა სიტყვას და არა მარტო სიტყვას, საქმესაც გაფრთხილება სჭირდება. მითუმეტეს, მწერლისთვის, რომლის მოვალეობაა სწორი კონტექსტის მოხმობა ისე რომ არც ნამყოს მიადგეს ჩრდილი და ანმყოში შემეცნებითი ხასიათი ჰქონდეს. ეს ნაწარმოებიც სწორედ ისტორიული წარსულის შეცნობას ისახავს მიზნად.

დათო ტურაშვილმა კარგად იცის სიტყვის ფასი, ისევე როგორც მისი ბალავერი და ჭერი. წიგნის დასასრულს კი ქართველი მამამთავრის ილია ჭავჭავაძის ფოტოს გამოჩენა სწორედ მოხმობილი კონტექსტია. ეს მწერლის შემოქმედებითი ოსტატობის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

რომ არა ილიას ღვანლი ქართული ენის სინამდისი შენარჩუნებისათვის, ვერც მე შევძლებდი ქართული მხედრული ანბანით გურჯ დედოფალზე და შესანიშნავ მწერალზე, დათო ტურაშვილზე, სათქმელის მკითხველამდე მიტანას.

3.

როსტომ ჩხეიძე ქართველი ერის დიდი მამამთავრის ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებსა თუ პასაჟებზე, ილიას ხასიათზე თუ მისადმი ზოგად შეხედულებებზე ქმნის დოკუმენტური პროზის შესანიშნავ ნიმუშს.

ქართული სულის მარად განახლების, გადარჩენის და ფასეულობათა ძიების სათავეს მე-19 საუკუნის დამდეგიდან ილია ჭავჭავაძესთან მივყავართ. გამჭრიახი გონებით, შეუვალე შემართებით და ენერგიით დგას ქართველი ერის საგუშაგოზე ვითარცა, კლდე უდრეკი და მოძრავი, ვითარცა თერგი, განსწავლული შვილი უბრუნდება სამშობლოს, რომელსაც აწუხებს, რას ეტყვის მას თავისი ქვეყანა და რას ეტყვის იგი მას.

სათქმელი კი მძიმეა და უღმობელია, იმდენად მძიმე, რომ ქართულ ეროვნულ სინამდევებს გრიგალივით შემოხვევია მისი დამანგრეველი ძალა და აღმოფხვრას უქადის.

უფრო მოგვიანებით ამაზე გალაკტიონ ტაბიძე იტყვის: „გრიგალი გააქვს მსოფლიო ორკესტრს, მას დირიჟორობს თვითონ სატანა“.

როსტომ ჩხეიძე ივანე მაჩაბლის მოგონებებს მოიხმობს: ილია მთელი ცხოვრება ტყვიის წინაშე იდგა და სხვაგვარად ვერც წარმოედგინაო.

ივანე მაჩაბელი იგონებს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს. დაკრძალვაზე მისულთ ვერაფრით წარმოდგინათ ილიას დადუმებული სახე და უთქმელი სიტყვა თითქოს ილიას სადავეები განზე გადაენია.

აკაკი წერეთლის კრიტიკა ამ შემთხვევაში მოკრძალებულია. რასაც სამ სიტყვაში გამოხატავს: „ეს დალოცვილი როგორი ფრთხილია!..“ ილიას გვერდზე აღექსანდრე ყაზბეგი და აკაკი წერეთელი დადუმებულან... მის სიტყვას ელიან გადამწყვეტს და მრავლისმთქმელს. ილია დუმს...

სამგლოვიანო პროცესის ირგვლივ პოლიციელები ახვევია, ცდილობენ მის ჩაშლას, მაგრამ პროცესის მესვეურები მთანმინდისკენ განაგრძობენ გაზს და ხალხიც მათ მიჰყვება.

ვალერიან გუნია ილიას დადუმების მიზეზს ფრთხილად ხსნის: „ეტყობა უფრო დიდ სამშობროებას ხედავს, ვიდრე მთავრობის პოლიტიკაა, უფრო ერთბაშს და დაუნდობელს, ეს საშინელი მთავრობაც რომ შეიძლება მოგვენატროს“.

მთიელი გლეხების მოგონებებში ნათლად ჩანს ილიას სტუმართმოყვარეობა და მათდამი გამოვლენილი ყურადღება. გლეხთა მიერ „დალოცვილი რუსეთის“ შემწეობა და კეთილდღეობის მოტანაზე გამოთქმული სიტყვები ილიას დამნუხრების მიზეზი ხდება.

ვინ იცის, ილიამ იქნებ ამ ადამიანების ნააზრევში დაბრმავებული ქართველობის სახე მოიაზრა და ჩაფიქრდა...

როსტომ ჩხეიძეს მოხმობილი აქვს გრიგოლ რობაქიძის მოგონებები.

გრიგოლ რობაქიძეს წინამური მსხვერპლის სახედ წარმოუდგენია, რომელის საიდუმლოებას სინამდვილის გარდამქმნელი ძალა აქვს. იგი ილიას პირადად არ იცნობდა, თუმცა მისი დაკრძალვის შესახებ საქართველოში ჩამოსულს ბევრი სმენია: მიხაკო წერეთლის სამგლოვიანო გამოსვლა სიტყვა კი არა, ცეცხლი იყოო...

გრიგოლ რობაქიძე ილიას აფასებს, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწეს და პოეტს. ილიას მემკვიდრეობის გამგრძელებლად მეცნიერთაგან ივანე ჯავახიშვილი ესახება, ხოლო პოლიტიკოსთა შორის ნოე ჟორდანი. იგი ილიას „კარდუს დიდ მოურავს“ უწოდებს. გრიგოლ რობაქიძე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას დამონებული ერის ვინაობის აღდგენად მიიჩნევს, ასევე ქართველი ხალხის გამოყვანა საისტორიო სამზეო მოსესმიერ ღვანლად ესახება. ამ უკანასკნელს კი ნოე ჟორდანიას მიაწერს.

როსტომ ჩხეიძის წყალობით მკითხველი ნოე ჟორდანიას მოგონებებსაც ეცნობა.

სამწუხაროდ, ნოე ჟორდანიას ილიას სახეს ჩრდილში აყენებს, ილიას გლეხთა მწვალებლად მიიჩნევს საზოგადოების დიფერენციაში სდებს ბრალს და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მის წინააღმდეგ სტატიების ბეჭდვა. ვაი, რომ ნოე ჟორდანიას იტყვის, ილია საზოგადოებას ხელს უშლიდაო... მაშინ აქვს ქართველ ერს სავალალო მდგომარეობა...

ნოე ჟორდანიას ილიას აფასებს, როგორც მწერალს, მხატვრული სიტყვის ოსტატს და ეწინააღმდეგება მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებს.

იოსებ იმედაშვილი ილიას იმედით შეჰყურებს და წარმოუდგენლად მიაჩნია მისი როგორც ერთი მთლიანობის გაყოფა ცალკე მხატვრული სიტყვის ოსტატად და ცალკე პუბლიცისტად. ნოე ჟორდანიას მიუგებს: „მოვა დრო და თქვენს ილიას დროშას შეეფარებით, ვისაც საქართველო უნდა, ილიას დროშას ვერ გასცდება“.

იაკობ ბითარიშვილმა ილია სიკვდილის წინ იხილა. ის იგონებს, რომ ილიას სამშობლო სიყვარულით ანთებული გული ამ დღეს ცუდს უგრძნობდა, მაგრამ თავი დაუმშვიდებია შემდეგი სიტყვებით: „ბედს ვერაფერს წასვლიაო“.

წინამურთან მიახლოება და თოფის ფრიალი შემზარავად შემოესმა მთელს საქართველოს. ტყვიის ხმასთან ერთად გლოვის ზარებმა ჩამოჰკრეს. წინამური ყოველი ქართველის ტრაგედიაა, რომელსაც ისევე ქართველმა, ვაი ქართველმა დაუდგა სპექტაკლი. ტყვიამ მხოლოდ ილია მოკლა, რომელის ხსოვნა და დიდება მანამ იქნება, სანამ ქართული სული და ქართული თვითშეგნება იარსებებს.

როსტომ ჩხეიძის „დეტექტიური ცდა“ სწორედ ილიას ღვანლის, მისი პიროვნების და მისადმი სხვათა დამოკიდებულების ასახვაა რეალისტური ფერებით და რეალური სიუჟეტებით.

ანა იბნაძე

(გორის უნივერსიტეტის დოქტორანტი)

1.

ჩემ ცხოვრებაში იყო დრო, როცა “ვეგობრობდი” ტელევიზორთან, არ ვტოვებდი არცერთ “თოქ შოუსა” და საინფორმაციო ბლოკს, მაგრამ მიუხედავად ასეთი “მეგობრობისა”, ტელესერიალებს მაშინაც ცივად ვუვლიდი გვერდს. შემდეგ ეს “მეგობრობა” ნელ-ნელა გაცივდა და პრინციპულ უარყოფამდეც კი მივიდა. ალბათ დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ამ მხრივ დღევანდელი ქართული ტელესივრცე არ გამოირჩევა მაღალი ხარისხით, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო ერთი პროექტი — რეჟისორ ბრაიან სინგერის ტელესერიალი “ექიმი ჰაუსი”. დღეს ყურადღებას შევაჩერებ ერთ-ერთ სერიაზე — “უარი რეანიმაციაზე”. ხსენებული სერია ეხება უნიჭიერესსა და ტრაგიკული ბედის მქონე მუსიკოსს, ჯონ გენრის, რომელიც ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული, ავადმყოფობა მატულობს და ამის გამო აღარ შეუძლია აკეთოს საყვარელი საქმე — შეასრულოს მუსიკალური კომპოზიციები. ჯონ გენრისათვის მუსიკა არაა მარტო პროფესია და საქმე, ესაა მისი ცხოვრება, სიცოცხლის აზრი, მიზანიცა და მიზეზიც. იმის პერსპექტივა, რომ ყოველი მომდევნო დღე უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება, ყოველდღე რაღაც უნდა დაკარგოს, რაღაცაზე უარი თქვას და ფრაზა “შენ ამას ვეღარ შეძლებ” “შენთვის ეს აღარ შეიძლება” აუტანელია. ეს სიცოცხლე აღარაა — მუსიკის გარეშე, სხვაზე დამოკიდებული და უმოქმედო, მით უფრო მარტოხელა და მარტოსული მუსიკოსისათვის, რომელსაც არც არავინ სთხოვს — იცოცხლოს. სწორედ ამ პერსპექტივის ფონზე იღებს გადანყვეტილებას, უარი თქვას მტანჯველ მოვალეობაზე — სიცოცხლეზე.

ასეთ რთულ სიტუაციაში ჩნდება ექიმი გრეგორი ჰაუსი, რომელიც ხსენებულ სერიაშიც, ისევე, როგორც მთელ ფილმში არაორდინარული, ხისტი და, ერთი შეხედვით, უხეშიცაა, როგორც თანამშრომლებთან, ისე პაციენტებთან. ჰაუსი უარყოფს მორალურ და დანერგულ კანონებს, ცხოვრობს საკუთარი წესებით და გარშემომყოფთაც აიძულებს, მიიღონ თამამის მისეული ფორმა, მაგრამ იგი უპირველეს ყოვლისა ექიმია, ფანატიზმით შეპყრობილი ექიმი, რომლისთვისაც ადამიანის სიცოცხლეა მთავარი, და როდესაც ამ მთავარს საფრთხე ემუქრება, მისთვის პაციენტის სურვილი და ხელმონერილი ფურცელი — მხოლოდ ფურცელია და მეტი არაფერი. ამავდროულად ამტკიცებს, რომ ავადმყოფობას კურნავს და არა ავადმყოფებს. მაგრამ ამ ფრაზით, თვითონაც ხეიბარი ექიმი, თითქოს კედელს იშენებს გარესამყაროსაგან, რადგან ექიმი გრეგორი ჰაუსისათვის უმჯობესია სძულდეთ, ეშინოდეთ, ოღონდ არ ებრალებოდეთ, არ თანაუგრძობდნენ. ჰაუსი მიზანმიმართულად ცდილობს ადამიანებში გამოიწვიოს ბრაზი, მრისხანება, დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის სურვილი, ყველაფერი, გულისამაჩუყებელი სიბრაულის სურვილი.

უდიდესი მუსიკოსი, რომელიც უარს ამბობს სიცოცხლეზე, და უდიდესი ექიმი — რომელიც არაფრად აგდებს პაციენტის სურვილს, გრძნობს რა პასუხისმგებლობას სხვისი სიცოცხლის წინაშე, არღვევს კანონს და, ექიმის

ლიცენზიის ჩამორთმევის საფრთხის მიუხედავად, სიცოცხლეს უნარჩუნებს ჯონ გენრის. სწორედ ამ დაპირისპირების ფონზე შემოდის ახალი პერსონაჟი, ჯონ გენრის მკურნალი ექიმი და მეგობარი — ჰამილტონი, რომლისთვისაც მეგობრისა და პაციენტის სურვილია მთავარი და, გრძნობს რა მოვალეობას გენრის წინაშე, ასრულებს მის სურვილს და თიშავს სასუნთქი აპარატიდან, რაც, დიაგნოზით, გარდაუვალი სიკვდილია.



ორი უდიდესი ექიმის დიალოგში ნათლად ჩანს რეჟისორის ჩანაფიქრი — გვაჩვენოს — ერთი მხრივ, მოვალეობა ექიმისა და მეგობრის, შეასრულოს პაციენტის თხოვნა, რომელიც ამ მომენტში ბრძანების ტოლფასია, და მეორე მხრივ, ხეიბარი ექიმის პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლის წინაშე — რაც უნდა მიიმე და მტანჯველიც იყოს ეს სიცოცხლე. ექიმი ჰაუსის ფრაზაც “ის არაა მოვალე — მოკვდეს” ლაიტმოტივად გასდევს ფილმს და სწორედ მისი პასუხისმგებლობის გრძნობა და დაუმორჩილებლობაა, ჯონ გენრის სიცოცხლეს რომ უნარჩუნებს და ინვალიდის ეტლიც სადღაც ქრება, მაგრამ იკარგება საყვირიც, მუსიკაც — სიცოცხლის აზრი და მიზეზი. ჩნდება კითხვა — ღირს კი ასეთი სიცოცხლე?

ძალზე სიმბოლურია ფილმის ფინალი — როცა ჯონ გენრი თავის საყვირს, სიცოცხლის აზრს, ჩუქნის ექიმ ჰაუსს და ამით თითქოს ასხენებს, რომ მისი სიცოცხლაც მთავარია, ესეც პასუხი — სიცოცხლე თავისთავად მოვალეობაა და ამ თუნდაც მტანჯველი მოვალეობისაგან ტკივილგამაყურებლებით გაქცევა შეუძლებელია და, რაც მთავარია, აბები ტკივილს ვერ შევლის.

2.

დათო ტურაშვილის ტელემოთხრობა — “გურჯი ხათუნი”. ერთი შეხედვით, ავტორის მიერ ამ ოცნუთიან ტელემოთხრობაში დასმული საკითხი და პრობლემა ეხება ერთი პიროვნების — თამარ ბატონიშვილის — “გურჯი ხათუნის” ტრაგიკულ ბედს უცხო სახელმწიფოში, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. მაყურებელი ხვდება, რომ გურჯი ხათუნის პიროვნებისა და ტრაგიკული ბედის გახსენება არაა შემთხვევითი და სამშობლოდან გადახვენილი ქალის პრობლემა დღესაც აქტუალურია.

მაყურებელი ასევე გრძნობს ავტორის პასუხისმგებლობას და ფაქიზ დამოკიდებულებას თემისადმი. დათო ტურაშვილი ფეხდაფეხ მისდევს ქართველი ბატონიშვილის მიერ განვლილ გზას და ცდილობს ზუსტად აღადგინოს ის სურათი, რაც ულამაზესმა ქართველმა ქალმა გაიარა ურჯულ ქვეყანაში. ავტორი გურჯი ხათუნის შესახებ ინფორმაციების მოსაპოვებლად უკავშირდება უამრავ ადამიანს და კონიაში პოულობს ქუჩას, რომელსაც გურჯი ხათუნის სახელი ჰქვია.

ტელემოთხრობის მიზანია, გვაჩვენოს ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობითა თუ უგუნური მმართველების დამსახურებით ქვეყნიდან როგორ გაედინებოდა და დღესაც გაედინება ყველაზე დიდი საგანძური – ქართული სული, ნიჭი, ის ძალა და ენერჯია, რომელიც საკუთარ ქვეყანასა და ხალხს უნდა მოხმარებოდა, იკარგება ან, უკეთეს შემთხვევაში, ხმარდება უცხო ქვეყანას. ბედის ირონიით ძალიან ხშირად ეს ქვეყნები საქართველოსადმი მტრულად არიან განწყობილნი.

ავტორი გრძნობს რა პასუხისმგებლობას საკუთარი ხალხისა და ქართველი ბატონიშვილის წინაშე, უკან არ იხევს და, დაბრკოლებათა მიუხედავად, მაინც მიდის იპლარის ხეობაში და გვიჩვენებს გამოქვაბულში გამოკვეთილ წმინდა გიორგის საყდარს, რომლის მშენებლობაც გურჯი ხათუნის სახელს უკავშირდება. ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, თუ გავიხსენებთ, რომ საყდრის მშენებლობისას გურჯი ხათუნს რჯული უკვე შეცვლილი აქვს და მისი მეორე მეუღლე, სისასტიკითა და დაუნდობლობით ცნობილი ფერვანეც, ვერ აღუდგა წინ დედოფლის განზრახვას — მუსულმანური სამყაროს წიაღში, სადაც მართალია, ქრისტიანებს არ აწამებენ და არ სჯიან, მაგრამ ათასგვარი ხრიკებით ცდილობენ ხალხს რჯული შეაცვლევინონ – ქვეყნიერების დედოფალი – მაჰმადიანი აშენებს მართლმადიდებლურ ტაძარს. ყურადსაღებია იმ ფაქტის ჩვენებაც, როგორ ცდილობს გურჯი ხათუნის ყველგან დატოვოს ქართული კვალი, თუნდ მცირე – რისი საშუალებაც სამშობლოში არ მისცეს. უდიდესი პოეტის, სულიერი ნათესავისა და მოძღვრის – მევლანას გარდაცვალების შემდეგ აგებული საძვალეც, რომლის აშენებაშიც გურჯი ხათუნის უდიდესი წვლილია, ქართული ხე-როთმოძღვრების ნიშანს ატარებს.

როგორი სიყვარული, სითამამე და პრინციპულობა იყო საჭირო, რომ მუსულმანური სამყაროს ხეობათმოდვრების ეს შესანიშნავი ძეგლი ქართული, ქრისტიანული ტაძრის გუმბათით დაემშვენებინათ. ამ ფაქტის წარმოჩენით ავტორი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად უცხო მიწაზე ცხოვრებისა და უდიდესი პირადი ტრაგედიებისა, ქართული სული მაინც პოულობს გზას და ფილმის დასასრულიც იქით მიდის, რომ საბოლოოდ ყველაფერი თავის საწყისს, ფესვებს უბრუნდება, მაგრამ ჩუმად, ფარულად, სხვისი თვალისათვის უხილავად. ერთია უცნაური – თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი ბუნებით არტისტი და პოზიორია, გურჯი ხათუნის ეს ჩუმი და უხმაური გაქრობა თუ დაბრუნება მართლა გასაოცარია, მაგრამ არც ის უნდა დაგვაკინცდეს, რომ არტისტიზმი და პოზა ქალისთვის უფრო ნაკლებადაა დამახასიათებელი.

თამარ ბატონიშვილის – გურჯი ხათუნის ეს სევდიანი და უცნაური ამბავი იქნებოდა ერთი ძალიან ტრაგიკული თუ რომანტიკული ისტორია, რომ არა დღევანდელი სავალალო მდგომარეობა, ქვეყნის გარეთ გადინებული ქართული გენი.

ავტორის მოვალეობაც სწორედ ეს იყო, დაფიქრდეთ და ჩვენი უგუნურებით მომავალში მაინც არ დავკარგოთ თუ გადავკარგოთ ქვეყნის გარეთ “თამარ ბატონიშვილები” და შემდეგ ოქროს მთა არ გავვიხდეს მოსაძებნი მათ უკან, სამშობლოში დასაბრუნებლად.

3.

როსტომ ჩხეიძე ყოველთვის იქ დგას, სადაც საზოგადოებას უჭირს, სადაც პრობლემაა. დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და ყველზე სამიში პრობლემა კი ნიჭილიზმია. უცხო ქვეყნის ორასწლიან მმართველობას და მათგანვე ინსპირირებულ სამოქალაქო ომს უკვალოდ არ ჩაუვლია და შედეგად მივიღეთ სურათი – სრული ეროვნული ნიჭილიზმი, გახდით “ნელთბილნი”, ეს კი გარეშე ძალის აშკარა აგრესიაზე საშიშია. ქვეყანა, საზოგადოება, ხალხი შიგნიდან იფიტება და კარგავს სახეს, ერის სახეს. ერი კი თუ თავის თავს ვერ შეინარჩუნებს, სახელმწიფოებრიობაც მალე დაიკარგება და ქვეყანას ჭირისუფალიც აღარ ეყოლება. პრობლემის – ეროვნულ ნიჭილიზმის — სათავეს გასული საუკუნის დასაწყისთან მივყავართ. როსტომ ჩხეიძე თავს მოვალედ გრძნობს, დაგვანახოს საზოგადოებაში შემოჩენილი ჭირი, ცდილობს შეგვანჯღრიოს, გვატკინოს და ამით მაინც გავვახსენოს, რა დავმართეთ საკუთარ თავს, საკუთარ ერს. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა სადაც უნდა დაგვემილიყო, ქართველის თავში მომწიფდა, ქართველის ხელით მოხდა, ქართული საზოგადოების სიჩუმიტა და თავის წახრის იმედით განხორციელდა (აკი არც უმტყუნათ ვარაუდმა). და კითხვა — ვინ გვახოცვინებს, რატომ გვახოცვინებენ ერთმანეთს? სამწუხაროდ, არავის გასჩენია. როსტომ ჩხეიძის “დეტექტიური ცდა” არის მცდელობა, აღდგეს სრული სურათი, რამ გამოიწვია და რამ მიგვიყვანა ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე, და ამით იქნებ ცოტა მაინც გამოვფიხზოდეთ.

ავტორი ორიგინალური ფორმით გვთავაზობს ამ მცდელობას. ესაა ერთმანეთთან დაუკავშირებელი პიროვნებებისა და ამბების ერთობლიობა, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ხაზის, ილიას მკვლელობის, გარშემო. დღეს განვიხილავთ რამდენიმე მათგანს. სხვადასხვა სოციალური ფენისა და სხვადასხვა შეხედულებათა ადამიანების მიერ მოყოლილს. მწერალი სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა სიუჟეტის საფუძველზე, ნაირგვარი ვარიაციით უბრუნდება მთავარ თემას – ილიას პიროვნებას და მოსალოდნელ ტრაგედიას, რათა უფრო სრულად ჩანდეს პიროვნების ბედსა და საზოგადოებაში გამეფებული ნიჭილიზმის საფუძველს.

“დეტექტიური ცდის” პერსონაჟები რეალური და გამოგონილი პირებია. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟია მარტია ლიქოკელი, ხევსური გლეხი, რომელიც ცხოვრების ავტოდიტობამ მოწყვიტა საკუთარ ნიადაგს, საკუთარ კერას და სოფელ-სოფელ ხეტიალით, დღიური შრომით ირჩენს თავს და არჩენს ოჯახსაც. მარტია ლიქოკელს იდეალად ასევე ხევსური – გარსო დაუსახავს, რომელიც მასავით მშობლიურ ფესვებსაა მოწყვეტილი და ნიადაგამოცილი ქართველია, პატიოსანი, მშრომელი, ალალი. ორიგინალურადაა დახატული ილიას შეხვედრა ხევსურებთან. გაიგებს რა მუშების წარმომავლობას სახეზე ნათელი გადაეფინება და გასაუბრებას მოინდომებს – აშკარად ჩნდება პარალელი ლელე ლუნიასთან, რომელიც ქვეყნის კარიბჭესთან ხვდება სამშობლოში დაბრუნებულ ქართველებს და ურჩევს არ მოწყედნენ ეროვნულ ნიადაგს, არც ხორციით, არც სულით. თითქოს ქვეყნის კარიბჭის სწორედ ამ მცველს ელოდა ილია, როცა ხევსურებს ჩაეკითხა “ჩვენი მეფეების დრო თუ გახსოვთ?” მაგრამ ნიადაგმოწყვეტილი ხევსურები ვერ მიუხვდნენ ილიას გულისნაღებს, ვერ გაუგეს, მათი “სულ კარ-

სემინარი: სამი ისტორია

გი” ლაპარაკის მიუხედავად რატომ გადაუარა სახეზე აღმურმა მასპინძელს. ხევსურებმა ვერც ის გაიგეს რამ გადარია ქორნილის ერთ-ერთი სტუმარი — სანდრო (ალექსანდრე ყაზბეგი) და რატომ არ დალია რუსთხელმწიფის სადღეგრძელო, რომელმაც მშვიდობა გვაჩუქა, ის მშვიდობა ლელთ ლუნის საფლავშიც რომ არ უნდა. ავტორი ამ პერსონაჟის შემოყვანით და თითქოს უმნიშვნელო და ყოფითი ამბის გადმოცემით ცდილობს დაგვანახოს, როგორ შეიძლება ლელთ ლუნადან იქვე გარსოდ, რომელიც არც არაფერს აშავებს, პატიოსნად შრომობს, თავს სასაყვედუროდ არ გაიხდის, თუ მოყვას დაჭირდება, თავს არ დაზოგავს და ხრამშიც გადაიჩეხება, მაგრამ ეროვნული სული აღარსადაა.

იქნებ ილიას აღმურიც ის იყო, რომ მიხვდა, ქვეყანის სადარაჯოზე ლელთ ლუნია აღარ დგას?

შემდეგი პერსონაჟი, რომელზეც გვინდა შევაჩეროთ ყურადღება, ივანე მაჩაბელია — ავტორის ხსენებული პერსონაჟი სხვა რაკურსით შემოყავს და გამომდინარე მათი რთული ურთიერთობიდან, სწორედ ამ პერსონაჟის მეშვეობით უნდა ილიას პიროვნების უცნობი მხარის ჩვენება. კერძოდ, ეს ეხება დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვას, როცა ყველასათვის მოულოდნელად ილია დადუმდა და არ მიჰყვა ხალხისა და გულის ნებას. ამ დროს ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის უკვე განხეთქილებაა, მაგრამ აკაკის მხარე შენიშვნა: “როგორი ფრთხილია ეს დალოცვილი”, — მაჩაბელსაც კი იოლ განსჯად მოეჩვენა. ეს ეპიზოდი იმითაცაა საყურადღებო, რომ რთულ და დაძაბულ მდგო-

მარეობაში რამდენიმე პერსონაჟი შემოდის და ყველას სხვადასხვა პოზიცია აქვს ილიას მოულოდნელ საქციელთან დაკავშირებით, აკაკი “სიფრთხილედ” უთვლის, მაჩაბელი, მიუხედავად კონფლიქტისა, ცდილობს ახსნა მოუძებნოს, ერთადერთი ვალერიან გუნია მიუხედავად ილიას — სჯობს საზოგადოების რისხვა საკუთარ თავზე მიიღოს და ხალხი იხსნას მოსალოდნელი განსაცდელისაგან. მაგრამ არც ერთ მათგანს არ უცდია თვით ილიასგან გაეგო მისი საქციელის მოტივი და მიზანი. აქაც მორიგი ნიჰილიზმი?

ძალზე საყურადღებოა ეკატერინე გაბაშვილის პერსონაჟი და მონათხრობი. ილიას ცხოვრების ამ ეპიზოდის ჩვენებით ავტორს სურს ნათლად დაგვიხატოს ის დაძაბული და მტრული გარემო, რომელიც შეიქმნა ილიას გარშემო. ეკატერინე გაბაშვილი, შეიძლება ითქვას, საზოგადო მოღვაწე ერთადერთი ქალია XIX საუკუნეში, რომელიც ზუსტად ხვდება ილიას ადგილს და დამსახურებას ერის წინაშე და მის დასაცავად „ზეპურ“ საზოგადოებაში საკუთარი თავის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებასაც არ ერიდება.

და ბოლოს, იაკობ გოგებაშვილი — ჩემი აზრით ესაა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟი როსტომ ჩხეიძის შემოქმედებაში. ამ შემთხვევაში იაკობ გოგებაშვილი ქართული ინტელიგენციის იმ უპატიოსნესი ნაწილის სახეა, რომელიც, მიუხედავად დასაკარგისა თუ უკვე დაკარგულისა, შიშით დათრგუნული — შემდეგი მე ვარო — ღამით „ფანჯარასა ანებებული“. მტერმა მიზანს მიანია — ქართველი კაცი დაშინდა.

უცხოური ნოველა

ფრიდემ კარინტი

ვიცი

დედაბერი ნაპირზე გადავიდა, პალტოს კალთები ერთიმეორეზე გადაიდო და მოაღერსე მზეს თვალები მოუჭუტა. მერე ჩანთა დადო სკამზე და თვითონაც ჩამოჯდა სულის მოსათქმელად. ზუსტად მის წინ გრძელდებოდა სანაპიროს ცხაური, დაბლა-აშხეფებული ღუნაი, ხიდი ფიცის მოედნის წინ, უკან ციხე-სიმაგრე, მარცხნივ „ვიგადო“.

„რა სისულელეები მომდის თავში, — ჰკიცხავდა თავს მოხუცებული დედაკაცი. — ისე, პატარა ამბავი არ არის, — ოცდაათი წელია პეშტში არ ვყოფილვარ. რა ლამაზი სახლებია, მარტო სურათებში მინახავს. ეს ალბათ „ვიგადოა“. ღმერთო ჩემო, რა მემართება?! რომ არ ვიცოდე, სად ჩამოვედი, ვიფიქრებდი, გემმა პეშტში კი არა, სადღაც სხვაგან ჩამიყვანა-მეთქი. ანდა მე ბებრუცუნას რა ჭკუაში დამიჯდა აქ გადმოსვლა, მაღრი ხომ ობუღამი უნდა შემხვდეს!

ისე კი, თავი უნდა გამოეცადო, ყველაფერი მახსოვს თუ არა. ჰო, სწორედ აქ იყო: აი, ისიც — გერმანული თეატრი, აგერ კოშკი. იქ კი — ცირკი, სადაც სამოცი წლის წინ დავდიოდით. რა მომდის? თავი მიბრუნის, თითქოს ნასვამი ვიყო. მზემ ხომ არ დამკრა? ღმერთია მოწმე, გუ-

შინ რა ვჭამე, ის არ მახსოვს და სამოცი წლის წინ რაც ვაღამხდა, გემზე დავეჯექი თუ არა, ყველაფერი მომაგონდა. კარგიც არის. ჩემს ექიმ შვილიშვილს მოვუყვებო, ხითხითით რომ შემეკითხება ის დალლარა: „აბა, ბებიკო, როგორა გაქვს საქმე გულის არეში?“ მე ვეტყვი: „აი, მომისმინე და შეგმურდება, ნამდვილო იქედნე!“

შეგმურდება! იმას სიცოცხლადაც არ ეყოფა, მართლა რომ ვუაბმო, რომ სწორედ აქ, ამ ადგილზე, ღმერთია მოწმე, სამოცი წლის წინათ... იღბალი არ გინდა?! მაინცდამაინც დღეს გამახსენდა პირველად მთელი ამ ხნის მანძილზე! ჰო და ეს ყველაფერი რომ ჩავუკაკლო სულელმა ბებრუხანამ, სიცოცხლით მოკვდება. „დედა, გესმის, ჩვენი ბებილო ამურზე ოცნებობს!“ მე, სულერთია, მაინც მოვუყვებო, დაე, იქირქილოს ავყიამ, გაფუნყრები, დავიფრენ, მერე მომეხვევა და გადამკოცნის, კარგი, ბებილო, შევერიგდეთო.

მაინც როგორ უნდა მოვუყვე? იქნებ მხოლოდ მომეჩვენა? მაგრამ თუ მომეჩვენა, სულერთია, სამოცი წლის წინათ იყო. აი, აქ, ამ ადგილას, ღმერთია მაღალი. მე ხომ არ მომიგონია ეს ამბავი ბოლოს და ბოლოს. მაშინ ბევრი რამ მოხდა, მაგრამ მახსიერება წამერთვა. ისიც კი აღარ მახსოვს, ჩემი საცოდავი ქმარი როგორ გავიცანი ანდა პირველად როდის ვაკოცეთ ერთმანეთს, ჩვენ ხომ რვა შვილი გავვიჩნდა. ეს უაზრო შემთხვევა კი არ მაინცდება, თუმცა შემდეგ აღარაფერი ყოფილა. ჩამეჭედა თავში და აღარ გამოდის.

ჰო, აქ იყო. ას ნაბიჯზე. გუშინდელივით მახსოვს. გამოვედი გერმანული თეატრიდან, აგერ იქიდან, გესმის,

იქედნე, ისიც კი ვიცი — მაშინ რას თამაშობდნენ: ეს იყო „ვერაგობა და სიყვარული“. კი, კი, „ვერაგობა და სიყვარული“. თეატრში ერთად ვიყავით მე და მარი — შვაბი შინაბერა. გამოსვლისას ის სადღაც დამეკარგა და სრულიად მარტო დავრჩი, არა და უკვე შეღამდა. ახლა ყველაფერი მაგონდება. საოცარია! თითქოს გუშინ იყო... ვარდისფერი კაბა მეცვა, ხაბარდა. მწვანე აბრეშუმის ცხვირსახოცი მქონდა. რა კარგი ვიყავი, ღმერთო! ძალიან შემეშინდა, ავლრიალდი კიდევაც, მარის ვეძახდი. როგორ უნდა წავსულიყავი შინ მარტო? ეტლის ფულიც კი არ გამაჩნდა, კარგი ამბავი იყო, ჩემმა მზემ! გავიქეცი სანაპიროსკენ, ვიფიქრე — ეს დამთხვეული მარი ხიდისკენ წავიღოდა-მეთქი, თან ისევ ვლრიალებ. ამ ყოფაში რომ ვარ, ანაზღად მომიახლოვდა საშუალო სიმაღლის, სუსტი, რაღაც სულსწრაფი კაცი. სიბნელეში კარგად ვერ შევათვალიერე, მაგრამ, მგონი, მენალეს ჰგავდა. ასე მომეჩვენა.

— რა იყო, ქალიშვილო? — შემეკითხა.

მე კიდევ უფრო შემეშინდა და ნაბიჯს ავუჩქარე.

— გზა აგებნათ, ქალიშვილო?

მე კი ვლრიალებ და „მარის“ ვიმეორებ... იმ კაცს ისეთი კეთილი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა და ისეთი ლამაზი თვალები ჰქონდა, რომ მაინც დავეღალაპარაკე. მითხრა, გაგაცილებ და მარისაც მოგაძებნიებო. მე კი, ღმერთო ჩემო, პასუხად მხოლოდ ვსლუკუნებდი, თუმცა გზა ერთად განვავარძეთ. საკვირველი კი ეს არის: ის თავმდაბალიც იყო და დაჟინებულიც.

— რა გქვიათ, ქალიშვილო? — მეკითხება.

— ჟოფი.

— მე — შანდორი.

და დავინწყეთ მარის ძებნა. ის კაცი გაუთავებლად მელაპარაკებოდა და უკვე ორი წუთის შემდეგ ათი წლის ნაცნობებს ვგავდით. მითხრა, მეც გზა ამერიას. გამოდიოდა, რომ ბედმა შემთხვევით შეგვყარა ერთიმეორეს. მერე ისიც მითხრა, ცხოვრებაში შენნაირ საყვარელ და ლამაზ გოგოს ჯერ არ შევხვედრივარო. რა შესანიშნავია, ერთმანეთს ისე შევხვდით, როგორც ერთი რითმის ორი სიტყვაო, თვალები ვარსკვლავებზე გიციმციმებსო. შემდეგ მკითხა, ლექსები თუ გიყვარსო. მე ვუპასუხე, მხოლოდ ერთი რომანი მაქვს წაკითხული ლაიონ კუტისა, ისიც იმიტომ, რომ მის პორტრეტზე ვიყავი შეყვარებული-მეთქი. იგი დალონდა და ერთხანს მღუმარედ მომყვებოდა. ბოლოს და ბოლოს შევეკითხე:

— რატომ გაჩუმდით?

გაჩერდა. სულ თვალწინ მიდგას. მერე ისე ალერსიანად, აცხვაცხვებული ხმით მითხრა:

— მაკოცეთ, ჟოფიკა!

— ხომ არ შეიშალებ, არ გრცხვენიათ?!

— არა, — მეუბნება, — რადგანაც თუ ვინმეა ამ ქვეყანაზე იმის ღირსი, რომ აკოცონ, ეს მე ვარ.

— წავიდეთ... თქვენ რა... ბატონო შანდორ... ნუ გაჩერდით, შემცივდა.

— მე აქედან მანამდე არ მოვიცვლი ფეხს, — მეუბნება, — სანამ არ გაკოცებთ, რადგან მე ვარ მწუხარე მონობაში მყოფი სამყარო, თქვენი კოცნა კი, ჟოფიკა, შვებას მომგვრის.

— გამოადგით ფეხი და ნუ იქნებით ასეთი უსინდისო, არ გაკოცებთ.

— მაშასადამე, არ მაკოცებთ?

— სხვა რა გნებავთ? დახე, რა მარდია!

მან ხელი მაღლა შემართა.

— ვფიცავ ღმერთს, რომ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ, თუ არ მაკოცებთ.

— მაშინ ას წელს მოგიწევთ აქ დგომა.

— ვიდგები ას წელს.

— გაქვავდებით!

— გავქვავდე.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონო შანდორ. ისე გამოდის, რომ აქ გნახავთ, ერთი სამოცი წლის შემდეგ რომ გამოვიარო.

— აქ მნახავთ.

ძლიერ გავბრაზდი ამ უჯიათ კაცზე და გავიქეცი. ერთხელ მივიხედე უკან

მხატვარი მზია დედანაშვილი

— ისევ ისე იდგა, გადარეული, მაღლა ხელანეული, ერთ ადგილზე გაშეშებული.

ისე კანთიელად ვხედავ მის ცეცხლოვან თვალებს, გეგონება ეს ყოველივე გუშინ მოხდა... უკან ხიდია. გვერდით გერმანული თეატრი... სად იყო? კარგად მახსოვს, აი, აქ იდგა... მარჯვნივ, ას ნაბიჯზე, როცა მე მივიხედე... ღმერთო იესო, წმინდა ქალწულო მარიამ, შემინყალე და მიხსენი!..“

დედაბერმა გულზე იტაცა ხელი, მერე სკამიდან გადმოფორთხდა.

— ღმერთო, ისევ იქ დგას...

მისგან ას ნაბიჯზე, მოედნის შუაში, ფიცს ღალადება ხელანეული კაცი. ვიღაც შავპიჯაკიანმა ბატონებმა, ეტყობა, დელეგაციამ, ძეგლის კვარცხლბეკთან გვირგვინი დადეს. ერთ-ერთმა მათგანმა თავი ასწია და დაიწყო დეკლამირება:

„შენთან მოვედით, შანდორ პეტეფი“...

ცადანვდილი ძეგლი კი თითქოს დაჟინებით უცქეროდა თვალებში მოხუც ქალს.

**თარგმნა
ჯემალ ინჯია**

ამ რამდენიმე წლის წინათ ჟურნალმა „ეროპი“ სამი ნომერი დაუთმო თანამედროვე ფრანგულ ნოველას. ბოლო ხანებში ფრანგული კრიტიკა ძალიან ხშირად ლაპარაკობს საფრანგეთში ნოველის „რენესანსზე“ და „ახალ გაზაფხულზე“. კრიტიკოსმა და პროზაიკოსმა ჟან ფუჟერმა „მომავლის ხელოვნება“ კი უწოდა ნოველას. ამის შესახებ შეიძლება სხვას სხვა აზრი ჰქონდეს, მაგრამ აშკარაა, რომ ნოველისტიკა აყვავების ხანას განიცდის. მწერლები ხშირად მიმართავენ ამ ლაკონიურ და ტევად ფორმას, რომელიც სინამდვილის ჭრელ-ჭრელი ამბებისა და ადამიანთა ფსიქოლოგიის ცვლილებათა აღბეჭდვის საშუალებას იძლევა.

ნარკვევში „XX საუკუნის ფრანგული ნოველა“ ლიტერატურისმცოდნე რენე გოდენი მსჯელობს ნოველის ძველისძველი ხელოვნების ახალ თვისებებზე. მისი აზრით, და, ალბათ ასეცაა, თანამედროვე ნოველის ძირითადი თვისება ფსიქოლოგიზმია. მწერლები უფრო იშვიათად მიმართავენ სიუჟეტს, კონკრეტულ ფაქტს, ყურადღებას ამახვილებენ ცალკეული ადამიანთა გრძნობებზე, შეგრძნებებზე, სულიერ მდგომარეობაზე. ზოგიერთი ნოველა შეიძლება უჩვეულო, თავისებური გვეჩვენოს, მაგრამ ისინი დღევანდელი საფრანგეთის ლიტერატურაში ჟანრის განვითარების ახალ თვისებებს გვიჩვენებენ.

ანდრე მორუას მკითხველი უფრო რომანებით იცნობს. „სამ დიუმას“, „პრომეთეს, ანუ ბალზაკის ცხოვრებას“, „ელელიას, ანუ ჟორჟ სანდის ბიოგრაფიას“, დიზრაელის, შელისა და ბაირონის და სხვათა „რომანიზებულ“ ბიოგრაფიებს გატაცებით კითხულობენ მთელ მსოფლიოში. მოგონებანი მეტერლინკზე, ბერნარდ შოუზე, ჰერბერტ უელსზე, ჟან კოკტოზე, ვერნარ ლეჟეზე, ჩარლი ჩაპლინზე, პირანდელოზე და სხვ. სამკაულებივითაა მის შემოქმედებაში. ყოველი მოგონება — ნოველაა. ქართველი მკითხველი მხოლოდ მის რამდენიმე ნოველას იცნობს. გთავაზობთ ორ ნიმუშს კრებულისა და „Pour piano seul“.

ანდრე მორუა

სახლი

ორი წლის წინათ, ავად რომ ვიყავ, შევნიშნე, რომ ყოველ ღამე ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავდი. ვსეირნობდი სოფლად, შორს ვამჩნევდი თეთრ, დაბალ, გრძელ სახლს, რომელსაც ცაცხვის კორომი ერტყა გარს. სახლის მარცხნივ, მდელის პირად ჩარიგებული ალვის ხეები თვალსახარად არღვევდა სიმეტრიას და ხეთა კენწეროები საამურად ირხეოდნენ ცაცხვებს ზემოთ.

სიზმარში ეს სახლი ყოველთვის მიზიდავდა და მივდიოდი ხოლმე მისკენ. თეთრად შეღებილი ჭიშკრით იყო შესასვლელი გადაკეტილი. მერე გაუფხვებოდი გრაციოზულად მორკალულ ხეივანს. ამ ხეივნის ნაპირზე ჩამწკრივებულ ხეთა ქვეშ გაზაფხულის ყვავილებს ვხედავდი, ფურისულეებსა და ფრინტას, რომლებიც მონყვეტისთანავე მიჭკნებოდნენ ხელში. ხეივანს რომ გავივლიდი, სახლს რამდენიმე ნაბიჯიდა მაშორებდა. მის წინ მოზრდილი მოლი იყო, ინგლისური გაზონის ყაიდაზე გაკრეჭილი, თითქოს მოშიშვლებული, მხოლოდ იისფერი ყვავილების კვალი მიუყვებოდა ზოლად.

თეთრი ქვით ნაგები სახლი შავი ფიქალით იყო გადახურული. ღია ფერის მუხის მოჩუქურთმებული კარი მოჩანდა პატარა პარმალზე. მინდოდა ხოლმე სახლში შესვლა, მაგრამ დაძახებაზე არავინ მეხმაურებოდა. იმედგაცრუებული ვიყავი, ვყვიროდი, ვაბრაახუნებდი და ბოლოს მეღვიძებოდა.

ასეთი იყო ჩემი სიზმარი, რომელიც ხანგრძლივი თვეების მანძილზე მეორდებოდა ისე მკაფიოდ და ზუსტად, რომ ბოლოს ვიფიქრე, ნამდვილად ბავშვობისას მინახავს ეს პარკი და სახლი-მეთქი. მაგრამ გამოღვიძებულს ვერ აღმედგინა, ვერ გამეხსენებინა სად — და ეს მანამდებოდა იმდენად, რომ ერთხელ ზაფხულში მანქანის ტარება ვისწავლე და გადავწყვიტე არდადეგების მანძილზე საფრანგეთის გზები მომეკლო ჩემი სიზმარული სახლის საპოვნელად.

არ მოვეყვები ამის აღწერას. მოვიარე ნორმანდია, ტურენი, პიუატუ. ვერაფერს მივაგენი და არც გამკვირვებია. ოქტომბერში პარიზში ვბრუნდებოდი და მერე მთელი ზამთარი ისევ ვხედავდი თეთრ სახლს. შარშან გაზაფხულზე ისევ განვაახლე პარიზის შემოგარენში ძებნა. ერთხელაც, ლილ-ადანის მახლობლად ხეობით მივდიოდი

და უცებ სასიამოვნო შოკი ვიგრძენი, ის საოცარი ემოცია, დიდი ხნის უნახავ ადამიანს რომ შეხვდები ან საყვარელ ადგილს მიეახლები.

თუმცა იმ მხარეს არასოდეს ვყოფილვარ, ზუსტად ვიცოდი ყველაფერი. ყოველივე მეცნო: მარჯვნივ გადაშლილი პეიზაჟიც, ცაცხვის კორომი უკან ამონვერილი ალვის ხის კენწეროებიც. ჯერ ისევ მეჩხერ პატარა ფოთლებს იქით სახლი დავლანდე. მივხვდი, რომ ჩემი სიზმრების ციხე-კოშკს მივაგენი. ნამდვილად ვიცოდი, რომ ასამდე მეტრს იქით ბილიკი გადაკვეთდა გზას. ასეც იყო. გზამ თეთრად შეღებილ კარიბჭესთან მიმიყვანა.

აქედან ხეივანი იწყებოდა, რომლითაც ასე ხშირად მივლია. ხეების ქვეშ ფურისულეებისა და ფრინტების ნახად მოელვარე ხალიჩა იყო გართხმული. ცაცხვებიანი გზით მწვანე მდელიზე გავედი და პატარა ბაქანიც დავინახე ღია ფერის მუხის კარიანი. მანქანიდან გადმოვხტი, ავორბინე საფეხურები და დავრეკე. ძალიან მეშინოდა, ისევ არავინ შემეხმებინებდა-მეთქი, მაგრამ თითქმის მაშინვე გამოვიდა მსახური — ძალიან მოხუცი, შავპიჯაკიანი, ნაღვლიანსახიანი კაცი. ჩემმა დანახვამ თითქოს შეაკრთო და უსიტყვოდ დამაკვირდა.

— ცოტა უცნაური სათხოვარი მაქვს. პატრონს არ ვიცნობ, მაგრამ ხომ არ მომცემდნენ სახლის დათვალიერების ნებას?

— სახლი ქირავდება, მაღამ, — რალაცნაირი სინანულით მითხრა, — აქ სწორედ იმისთვის ვარ, რომ მსურველებს ვაჩვენო.

— ქირავდება? — გამიკვირდა. — რა მოულოდნელი იღბალია! ასეთ მშვენიერ სახლში პატრონს რატომ არ უნდა ცხოვრება?

— ცხოვრობდნენ, მაგრამ რაც სახლს სული დაეპატრონა...

— სული? ეგ ნამდვილად ვერ შემაშინებდა. არ მეგონა, თუ საფრანგეთის პროვინციებში მოჩვენებების და ამისთანა რამეების კიდევ სჯეროდათ...

— არც მე დავიჯერებდი, მაღამ, — სერიოზულად თქვა მოხუცმა, — მე თვითონ, ჩემი თვალით ხშირად რომ არ მინახა პარკი აჩრდილი, რომელმაც ჩემი ბატონები გააქცია.

— აი, თურმე როგორი ამბავია! — გაღიზიანდა ვცაადე.

— ამბავი, რომელზეც, ქალბატონო, თქვენ მაინც არ უნდა გეცინებოდეთ, — საყვედურიანი სახით მიპასუხა მოხუცმა, — ის აჩრდილი ხომ თქვენ იყავით.

საბრალო დედა

ბერტრან შმიტი ფოსტას ათვალერებდა. იქვე, სავარძელში მოკალათებული მისი მეუღლე, იზაბელი კი ერთობოდა. თვალს ადევნებდა, ყოველი წერილის გახსნაზე სახე ხან მომღიმარი, ხან კი ფიქრიანი რომ უხდებოდა.

— ერთი ამას უყურეთ!.. წერილია პონ-დე-ლ'ერიდან. რა ხანია აღარ მიმიღია.

ხელმოწერას დახედა:

— ჟერმენ გერენი? აა... დიახ, დიახ... დენიზ ოლმენის დედა. ნეტავ ჩემგან რა უნდა?

მადამ გერენი ატყობინებდა, დედაჩემი, ბარონესა დ'ოკენვილი ოთხმოცდაორი წლისა, რუანში, დამიეტის ქუჩაზე მიიცვალაო:

„...ძალიან მინდოდა მე თვითონ მეცნობებინა ეს სამწუხარო ამბავი თქვენთვის, ჩემი საყვარელი ქალიშვილის მეგობრისათვის; თქვენ ხომ კარგად იცნობდით საბრალო დედაჩემს. მახსოვს ის დრო, დენიზ რომ მოჰყავდით დამიეტის ქუჩაზე, სადაც დედაჩემი ისეთი კმაყოფილი იყო თქვენი ჟღერტულის მოსმენით. დენიზი უკვე მშვენიერი, თვალში მოსახვედრი გოგონა იყო, თქვენ კი... ქათინაურის თქმას სულაც არ ვაპირებ, მაგრამ, დაწმუნებული ვარ, იცით, როგორ გაფასებდათ ჩემი საბრალო დედა... ჩემს ცხოვრებაში დიდი სიცარიელე გაჩნდა. ოცდაათ წელზე მეტი ყოველ შაბათს დავდიოდი რუანში მის სანახავად. ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად ყოველთვის ყურადსაღები მრჩეველი იყო. მწუხარება აუტანელი იქნებოდა, რომ არა ჩემი კეთილი ჟორჟი, ასე რომ მიდგას ყოველთვის მხარში, და რომ არა ჩემი შვილების სიყვარული... თუ როდისმე მოხვდებით ჩვენს მხარეში, ნორმანდიაში, და ხანდაზმული ქალის ყბედობისა არ შეგეშინდებათ, შემომიარეთ, ბედნიერებას მომანიჭებს თქვენთან ერთად გახსენება“.

— ამ მადამ დ'ოკენვილს კარგად იცნობდით? — დაინტერესდა იზაბელი.

— ისე რა... ერთი-ორჯერ ვიყავი დენიზთან ერთად რუანში იმ ძველ, მინგრეულ სახლში.

— აბა მისი ქალიშვილი რატომ გწერთ ასეთ სენტიმენტალურ წერილს?

— თავი რომ შემაბრალოს, — ეჭვი არ შეჰპარვია ბერტრანს. — ეგ ისეთი არსებაა, უბედურებასაც რომ თავის გამოსაჩენად გამოიყენებს... ეს მით უფრო კომიკურია, რომ სიცოცხლეში „საბრალო დედას“ საკმაოდ მკაცრად ექცეოდა.

— რატომ?

— დ'ოკენვილები გაკოტრდნენ. მადამ გერენი კი ორჯერ იღბლიანად გათხოვდა და ბევრი ფული ჰქონდა, მაგ-

რამ დედას დამამცირებლად ზუსტად იმდენს აძლევდა, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო. საშინელება იყო.

ცოტა ხანს დაფიქრდა და დაუმატა:

— მარტო კი არ ამცირებდა, ეს სიამოვნებდა კიდევაც.

— რისი თქმა გინდათ?

— ძველი ამბავია... ეს მადამ გერენი პირველად ერთ საბრალო ტიპს გაჰყვა, ერპენს, დენიზის მამას... ჯერ ერთ ოფიცერთან უღალატა, მერე გერენთან, რომელიც მაშინ უცოლო იყო. მაგრამ პაემანზე სასიარულოდ აღიბი სჭირდებოდა. კარგად განვრთნილი „საბრალო დედა“ ქალიშვილს ხელს აფარებდა... ეჭვი მაქვს, შეყვარებულებს თავშესაფარს თავის სახლში ხომ არ აძლევდა... ხომ არ მაჭანკლობდა.

— თითქმის ყველა ქალი მაჭანკალია, — ოცნებით თქვა იზაბელმა.

— დ'ოკენვილის დედის შემთხვევაში ეს შეთქმულება არ იყო გასაკვირი... ახალგაზრდობაში თვითონაც ფეხსმუშუქის სახელი ჰქონდა, როგორც იმხანად იტყოდნენ. მამაჩემი, მკაცრი კაცი, ზიზლით ლაპარაკობდა მასზე. მაგრამ მთლად ღირსიც არ იყო ასეთი შეფასებისა. სულელი იყო.

— სამძიმრის წერილი უნდა გაუგზავნოთ, ბერტრან.

— ასე ფიქრობთ? რა მივწერო? ეს ამბავი სრულიად არ მალეღვებს.

— ვიცი, მაგრამ მაინც, ფორმალური მხარე ხომ უნდა დაიცვათ...

ბერტრანმა ამოიოხრა. მაგიდას მიუჯდა, ფურცელი მოიმარჯვა.

„ძვირფასო მადამ, — დაიწყო მან. — თქვენმა ბარათმა შემძრა, რა კეთილი ბრძანებით, რომ გამისხენეთ ასეთი დიდი მწუხარების დროს და თვითონ შემატყობინეთ. დიახ, ნალველი მიპყრობს, დამიეტის ქუჩაზე ჩემი რამდენიმე ვიზიტი რომ მაგონდება. უღამაზესი ადგილები, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ცქრიალა დედათქვენის მხიარულება, მისი კეთილგანწყობა იმ ბავშვის მიმართ, მე რომ ვიყავი, დაუფინყარია ჩემთვის. თქვენი თავდადებულობა დედის მიმართ, მშვენივრად მახსოვს და მხოლოდ თქვენი მეუღლისა და ქალიშვილების სიყვარული გაგაძლებინებთ. თუ ოდესმე პონ-დე-ლ'ერში მოვხვდები, აუცილებლად შემოგივლით წარსულზე სასაუბროდ. ირწმუნეთ, ქალბატონო, ჩემი თქვენდამი პატივისცემა...“

ფურცელი იზაბელს გაუნოდა.

— აბა, ნაიკითხეთ, მე მაგონი, სასაცილოა. იზაბელმა თვალი გადაავლო წერილს, სერიოზულმა და კმაყოფილმა დაუბრუნა ბერტრანს.

— ზუსტად ის არის, რაც საჭიროა.

ფრანგულიდან თარგმნა
ლია დარაშვილი



მხატვარი აივენგო ჭელიძე

ნინო ვახანია

„პოეტს სიკვდილისა არ ეშინია“

იყო პოეტი, რომელმაც შექმნა თავისი, ორიგინალური სამყარო, არ აირია ბრბოში თავისი ნუხილით და საიდუმლოთი.

იყო პოეტი, რომელიც ოცნებობდა: „რომ ჩემი სულიც არ გაირღვეს, არ დაიშალოს“, რომ ელევგიაც პიმნად ექცია და შეძლებოდა უცხო ზმანებების დანახვა. ცხოვრობდა ბიჭი და სიკვდილის წინ ნატრობდა: „მზით დამთვრალი და მზეში დანთქმული წყაროდ მაინც ამოვჩუხჩუხდე“. და გაფრინდა იგი „იმ გამჭვირვალე სამეფოსკენ, იმ ცისკენ, სადაც ბნელი სიცოცხლე ეთერივით ადნება სადაფს“. შორი სინათლით მოცახცახე პოეტის სულს ყველგან, ყველა ქვეყანაში და ყველა დროში ერთი ხმა აქვს. ამიტომ იტალიელი პოეტის ლოცვა მეტად ქართულად ისმის, ან იქნებ ქართველი პოეტის ლოცვა იტალიურიდან თარგმანს შეფარებული:

**ავე მარია! დედაო დამიცავ
წმინდა და ურყველი სული
ამ სოფლის სიცრუე-სიბილნის გვერდით
და თუკი შევცოდე უამიყამ
შემინდე! შემინდე! მხურვალედ გვედრი.**

პოეზია მეტაფორების ენაა. თამაზ ბაძალუას მეტაფორები რთული, ღრმაშინაარსიანი, ასოციაციური და რაც მთავარია, ლამაზი და მოხდენილია. ზოგჯერ – პარადოქსებით მომხიბლავი. მაგ: თოვლი – სიყვარული, ზამთარი – გული, რომელიც ჯერ არ დანებებია უიმედობას.

გალაკტიონისეული „- ილაპარაკე!“ თამაზ ბაძალუას ლექსში სხვა ელფერს იძენს და საოცარი პოეტური ხატი მთავრდება: „შენი ტუჩები გადაირბენენ გაქრობის და დავიწყების მწარე მინდორზე“.

პოეტის ცივ სასონარკვეთას, სკეპსის დილის მოლოდინი ათბობს, იმედი უხსნის გულს:

**რადგან ათასი კაცი ვარ თვითონ,
და ათასივე მარტო კვნესის,
სანამ პატარა ჩიტი შობს დილას.**

იმ პერიოდში, როცა ღმერთი აკრძალული იყო, პოეტი ღვთის გაუცნობიერებელ რწმენასა და იმედს კი არ ებლაუჭება, არამედ იცის, შესწავლილი აქვს ბიბლია, ესმის ღვთის სიტყვა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით). ამ განცდით (ზეციერის ესვით) აღბეჭდილია არა მარტო „ფსალმუნი“, არამედ სხვა ლექსებიც, სადაც ხილულად თუ უხილავად, აშკარად თუ შეფარვით ღვთის ხელი ტრიალებს. ღვთისკენ, შეუცნობლისკენ, დაკარგული სიხარულისკენ ამალეობა ხდება წყნარად, მშვიდად, გარდაუვალის გაცნობიერებით... „ბებერო ცაცხვო, გაზაფხულზე მეც ყვევილობ შენს ხმელ ტოტებთან“ – კოსმიური მთლიანო-



ბის გამცნობიერებელი პოეტის უკვდავების წინასწარმეტყველებაა, სიცოცხლის მარადიულობის განცდაც, სიკეთის, სილამაზის, გაზაფხულის უბერებლობის დასტურიც.

„სად არის წყარო, გვეითხები, სად არის წყარო...“ ასე მთავრდება ერთი უსათაურო ლექსი. წმინდა წყაროს, უკვდავების წყაროს, ღმერთს ეძებს ავტორი. ლექსის დასაწყისში ვინრო აღმართით და დიადზე ფიქრით კი მიგვანიშნებს რალაც არამინიერზე, მაგრამ მომდევნო კონტრასტი (ძევის ნაჭერი, ბოთლები და გაქონილი „სოფლის ცხოვრება“) ულმობლად გვაბრუნებს მინაზე და კონკრეტულ დროში და ამას მოსდევს: „ჩვენ არ ვიცით, რატომ მივდივართ...“, სინანული ცოდვილისა, ვაება „მონუნუნე თაობისა“, „ვინ გამოგვიყვანს ეგვიპტიდან, ვინ გვაშიშნობს ორმოც დღე-ღამეს“, და სრულიად გულცივ, უღმერთო, „უცრემლო საუკუნეში“ (მაკა ჯოხაძე) პოეტის სასონარკვეთა: „უკვე მუხლები მეკვეთება, სად არის წყარო...“

სრულიად სხვა მოტივი იჭრება პოეტის ლირიკაში შვილისადმი მიძღვნილი ლექსით „მე ვარ მეგელი...“, რომელიც განსაკუთრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგრძნებითაა აღბეჭდილი. როგორც საერთოდ ჭეშმარიტი პოეზიის, ისე ამ ლექსის შინაარსიც ბოლომდე გაუხსნელია და ზუსტ ანალიზს არ ექვემდებარება.

თვალშისაცემად მრავლადაა ამ კრებულში წინასწარმეტყველური ლექსები. ცნობილია, რომ შემოქმედებითი იმპულსი ავტორის არაცნობიერიდან მომდინარეობს, ზოგჯერ იგი ისეთ რამეს წერს, რისი თქმაც ჩაფიქრებული არა ჰქონია. ნათელხილვის უნარით დაჯილდოებული პოეტი გრძნობს, ხედავს, შეიცნობს მომავალ კატასტროფას თუ თვითონ იახლოვებს ტრაგიკულ აღსასრულს. „პოეტს სიკვდილისა არ ეშინია... სიკვდილი მისი ფიქრების მუდმივი სტუმარია“ (სალვატორე კუაზიმოდო). ის იმავე დროს იმასაც ხედავს, რომ მარადიული მზე არასოდეს ჩაქრება, პოეზიის ცაზე სამუდამოდ აღიბეჭდება მისი სახელი, როგორც ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავის. „ვინ, ვინ მაგემა მომავალი შიშის სურნელი“ ხელშესახებად გამოხატავს ავტორის განწყობას, მკითხველიც თითქოს თანამონაწილე ხდება სიცოცხლის არსის კიდევ ერთხელ აღმოჩენისა („სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. იმედი მძიმე“).

იქნებ ვცდები, მაგრამ ახლა, ამ გადასახედიდან რომ ვკითხულობ თამაზ ბაძალუას ლექსებს, ასე მგონია, სამშობლოს ბედსაც (თუ უბედობას) წინასწარ ხედავდა. სხვა რა დავარქვა იტალიურიდან თარგმნილი ლექსის „დუმილი“ ამ სტრიქონებს („თითრად გალაქულ ხომალდიდან ვხედავდი როგორ იძირებოდა ჩემი ქალაქი როგორ ვტოვებდი მიმქრალ ჰაერში დაკიდებულს ხანძარჩახვეულს“).

და ისევ ნათარგმნ ლექსში („სანაპირონი“) სწრაფვა სულის ამაღლებისკენ, მზადყოფნა თავშენიერისთვის, სხვათა ბედნიერების, საყოველთაო სიკეთის დაშეკიდრებისთვის. ნასვლის დაჩქარება, რათა „მზიან დღეს კვლავ აყვავდეს სანაპირონი“.

...დაბოლოს, დიდი მადლობა ამ მშვენიერი კრებულის გამოცემის მესვეურებს, პროექტის ავტორს (მალხაზ ბაძალუას), რედაქტორს (როსტომ ჩხეიძეს), შემდგენელს (ურა შერაზადიშვილს), მხატვარს (კარლო ფაჩულიას), შესანიშნავი წინასიტყვაობისა და ბოლოთქმის ავტორებს (ანდრო ბუაჩიძესა და ივანე ამირხანაშვილს). მათ ხომ პოეტი გაგვიცოცხლეს და დაგვიბრუნეს. ასეთი რამ კი მხოლოდ ზღაპრებში თუ ხდება.

იოსებ ჭუმბურიძე

გამჭვირვალედ მშვენიერად

□

გურამ ქართველიშვილის ერთი მოთხრობის გამო

მწერალი ან ხარ, ან — არა.

თუ ხარ, ეს ერთ პატარა მოთხრობაშიც გამოჩნდება.

შეიძლება ამ მოთხრობას სრულიად უპრეტენზიო სახელი ერქვას — „ეკა“.

თვითონ მოთხრობაში კი ქუხდეს და როგორც ქუხდეს, ისე წვიმდეს.

ისე წვიმდეს, რომ „ხევსურეთი ერთ დიდ ნიაღვრად ჩამოდიოდეს“.

...„ნისლად ქცეულ შატილში“ ავტობუსი მგზავრებს ელოდება.

მძლოლი წვიმას აგინებს.

ხევსურებს ავტობუსში „ცხვირნამახული, ყანწმომარჯვებული ხახმატელი“ შემოუძღვება.

ზაზა — ქალაქელი სტუდენტი, უსიამოვნოდ შეიშმუშნება, გაიფიქრებს: „აუ, თავიდან იწყება“.

„ზაზა ბიძამ შეაზარდა ბავშვობიდან აქაურობას. სახელიც დიდი დაუტოვა და აღზრდაც. ამიტომ ეადვილებოდა ამ არქაული დროის მეომრებთან ურთიერთობა“.

ამ ჯერზე, არდოტში, ათი წლის წინათ დაძმობილებულ კურეტას ააკითხა, „ჩეჩნეთში გადაყვა და მოკლული ძმის ცხედარი გადმოსაყვებინა“.

გადმოსაყვებინა! — ადვილად ითქმის:

„კურეტამ ძმის ცხედარი დაანაწევრა, ხურჯინებში გადაანაწილა და ცხენებს აჰკიდა. ასე იარეს ბევრი კილომეტრი უღელტეხილებით“.

ახლა კი შინ ბრუნდება.

„წინ თბილისია, აბაზანა, დედის განყოფილი ქათქათა ლოგინი და უნივერსიტეტი“.

მაგრამ... ბარისახოში ავტობუსში „გამჭვირვალედ მშვენიერი ქალი“ ამოვა.

„ის არის! აქ საიდან?!“ — გაიფიქრებს ზაზა.

— მე თქვენ შორიდან გიცნობთ, უნივერსიტეტიდან.

— მეც გიცნობთ, — ენა კინალამ დაება ზაზას... — ექსპედიციაში იყავით?

— დიახ“.

ზაზა შატილში ავტობუსის მიბრუნებას გადაწყვეტს. ამაში კურეტას ძმაკაცს „მიმინოსთვალეზიანი ბალათერა“ დაეხმარება.

„ბესოთ გიორგის მივადგები. ნამდვილ ხევსურეთს ვანახებ. მეშვიდე საუკუნეში ვაცხოვრებ.“

აუ! გადარეული მამამისი?! ამას არ ვატყვინო, თორემ მამამისს მოევლება...“

მძლოლი და ხევსურები ავტობუსიდან გადავლენ.

„— ჩემს სახელს რომ დაგარქმევ, თბილისში მერე ჩავალთ“.

„— ისედაც შენი სახელი არ მქვია?! რაც შენ გამოჩნდი, ჯგუფელი ბიჭები შორიდან მესალმებიან. თბილისში ენა არ გქონდა?! სხვა კეკლუცებთან მაგარი ხარ და რაღა ჩემთან დამუნჯდი?! რაღა ტყეში მიმართევ, ველურო, უკეთესად მოგვარება არ შეგიძლია?!“

„— უკეთესად რომ მოვაგვარო, რა, გინდა ჩემთან?“

„— მინდა“.

ბალათერამ „ნაგანი დაადრო და ხელები გაშალა“.

„სამი ნაგანი ლაპარაკობდა მონაცვლეობით“.

„ნახალოვკელი“ მძლოლი კი ისევ წვიმას აგინებდა.

სადაც ქალი და მამაკაცია და, რაც მთავარია, მათი სიყვარულია, იქ ბუნებრივად არის პოეზიაც, ამაღლებულობაც, რომანტიკულობაც. მაგრამ მოთხრობაში მთავარია ფსიქოლოგიური სიღრმე და სიმართლე.

პატარა მოთხრობაში მით უფრო ძნელია ამის მიღწევა. უმეტეს შემთხვევაში ეს ერთმა დეტალმა უნდა იტვირთოს.

როცა ავტორი ცხედრის დანაწევრებაზე გვიამბობს, დასძენს: „არაყს მიეძალა ქალაქელი და გულისრევაც გაქრა“.

ეს ფრაზა ჩვენც, მკითხველებსაც გვშველის და გულისრევის შეგრძნებას გვიქრობს.

მწერლობა ხატვავა, თანაც რაც შეიძლება მძლავრი მონასმებით.

აი, ასეთით:

„ეკას სილამაზით დაფეთებულმა ხევსურებმა საკუთარი ზურგები ამოიფარეს და უკან არც გამოუხედავთ“.

თითქოს ფილმს ვუყურებთ და შთამბეჭქდავმა კადრმა მოგვწუნსა. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ როგორ გვიხატავს ეს „კადრი“ ხევსურთა რაინდულ ბუნებას.

ან ეს როგორი სახე და სურათია:

„სიმთვრალე ავტობუსსაც გადაედო და შეუპოვრად ეკვთა გზაზე გადმოხეთქილ ნიაღვრებს“.

და მაინც, ბოლომდე გულახდილი რომ ვიყო, ესეც უნდა ვთქვა:

ოსტატის ხელით გარანდულ მოთხრობაში მხოლოდ ერთი-ორგან თუ შეგხვდება „ხორკლი“. მაგალითად, „გამჭვირვალედ მშვენიერი“ დიდებული ეპითეტია, მაგრამ „რძისფერი საოცრება“ უკვე ზედმეტად მეჩვენება. თუმცა ეს მაინც წვრილმანია. სერიოზულად კი ამ „გამჭვირვალედ მშვენიერ“ მოთხრობის კითხვისას მხოლოდ ერთხელ შევკრთი. თითქოს ისეთი არაფერი, მაგრამ ამ ფრაზისთვის მაინც დამენანა შატილი:

„რაღა ტყეში მიმართევ, ველურო...“

მაგრამ უმაღვე საკუთარ თავს ეს კითხვა დავუსვი: ვის ეჯობები შატილის სიყვარულში?!
მოთხრობაში წერია: „ხევსურმა რომ მთაში გალიაროს, შენ უნდა იყო უფრო ხევსური“.

საქართველოში რომ მწერლად გალიაროს?

...მწერალი ან ხარ, ან — არა.

გურამ ქართველიშვილი მწერალია.

* * *

კარლო ფაჩულიას ყოველთვის უხაროდა ზეზვა მედუ-ლაშვილის გამოჩენა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში.

იმიტომაც: მის მიერ წარმოდგენილი პოეტური თუ პროზაული ნიმუშის თარგმანი, როგორც წესი, შთამბეჭ-დავი გახლდათ.

იმიტომაც: აუცილებლად იტყოდა რაიმე მახვილსა და სახალისოს, თანაც პოეტურ ექსპრომტად.

და იმიტომაც: საჭადრაკო პარტნიორად რომ ეგულეებოდა.

ირწმუნებოდა: ჩემთან თამაშმა დააოსტატათ. თუმც ასეც რომ ყოფილიყო, რა მოხდა მერე — მონაფე უკვე ტოლს აღარ უდებდა მასწავლებელს, ეს კი მათ ორთაბრ-ძოლას მეტ მღელვარებასა და დრამატიზმსაც მატებდა.

იმ დღესაც საჭადრაკო და-ფასთან მიიწვევდა სტუმარს და კიდევ გადაეშვებოდნენ თავდა-ვინყებულ შერკინებაში.

კობა არაბული შემოესწრებო-დათ.

მისთვის მოულოდნელი აღ-მოჩნდებოდა თამაშში ჩაფლული ზეზვას ხილვა და ამ გაცეხას ასე გამოხატავდა:

— გიყვარს „შახმატი“?

იმას ფიგურა უჭირავს ხელ-ში, თან ყოყმანობს, რომელ უჯ-რაზე უჯობს მისი დასმა, მაგრამ



* * *

აკაკი ბაქრაძე გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილ ბი-ოგრაფიულ რომანში „კარდუ“ ამ ეპიზოდს გერმანელი მწერლის ჰანს იოსტის ცხოვრებიდან კურიოზად მოიხსე-ნიებს და... გარეგნულად მართლაც კურიოზია და სხვა არაფერი.

როდესაც სათავეში ჩაუდგებოდა „გერმანული კულ-ტურისათვის საბრძოლო კავშირს“ 1929 წელს, უკვე ნათე-ლი შეიქნებოდა მისი პოლიტიკური იდეალი. და კიდევ გა-მოჩნდებოდა მისი ნაციონალ-სოციალისტური დრამა „შლაგეტერ“, მიძღვნილი ჰიტლერისადმი „სიყვარულით აღსავსე პატივისცემითა და უცვლელი ერთგულებით“. აირჩევდნენ გერმანული მწერლობის აკადემიის პრეზი-დენტად, შემდომ კი გახდებოდა რაიხსშრიფტტუმკამმე-რის პრეზიდენტი. არც პრემიები და ორდენები მოაკლდე-ბოდა. მწერლობაში დაახლოებით იმავე როლს შეასრუ-ლებდა, რასაც გიობელსი საერთოდ იდეოლოგიაში.

გერმანიის დამარცხების შემდგომ ჰანს იოსტს — ბე-დის უჩვეულო წყალობით — არ მიათვლიდნენ ნაცისტ დაძმანაშევეებს, მიუხედავად მისი საქმიანობისა და თანამ-დებობებისა, მიიჩნევდნენ „მიტლოიფერად“ (თითქოს უშუალოდ არ მონაწილეობდა ნაცისტთა ქმედებებში და მარტოდენ თანაუგრძობდა მათ) და 500 მარკით დააჯა-რიმებდნენ.

სხვა თუ აღფრთოვანებული დარჩებოდა ბედის ამ

გაფაციცებული მაინც ასწრებს არც კობა დატოვოს უპასუხოდ:

**ვისაც არ უყვარს „შახმატი“,
იმას გაუწყურეს ხახმატი!..**

კობა სახელდახელოდ ვერაფერს შეაგებებდა და ძა-ლიან ინანებდა, ნეტა ვინ მენეოდა ენაზე, ეს ვითომ იუმო-რისტული ნკებლა ხომ ძალით გამოვიწვიეო.

თანაც გუნებაში შეევედრებოდა ხახმატის ჯვარს, ამას არ ესმის, რას ამბობს და ნუ გაუწყურები, თორემ მე ხომ შენი ერთგული ყმა ვარ და არასოდეს გამწირავო.

— სადმე დასვი ეგ ფიგურა, თორემ ჩაგეყინა ხელშიო,

— თავისას ურჩევდა კარლო ფა-ჩულია, რომელსაც, თამაშით გარ-თულს, მარტოდენ „ხახმატი“ ჩაეს-მა და ვერაფრისდიდებით ვერ აეხ-სნა, რა შუაში იყო ხევესურთა სა-ლოცავი, ბოლოსდაბოლოს მსუ-ბუქი პარტია გახლდათ, სატურნი-რო ხომ არა, მეტოქე ხახმატის ჯვარს რომ შესთხოვდა შეწევნას.

და გულში გაცეცინებოდა: კი-დეც რომ გამოცეხადოს ხახმატის წმიდა გიორგი, როგორ უშველის, თუკი ზეზვა ფიგურას ვერა და ვერ მოუძებნის უჯრასო.

მონყალებით, იოსტი... თავს დამცირებულად იგრძნობდა ასეთი უსამართლო მოპყრობის გამო და სასამართლოში იჩივლებდა. სასამართლო განიხილავდა მის საჩივარს და... მთავარ დამნაშავედ სცნობდა. სასჯელსაც შესაფე-რისს არგუნებდნენ — სამნახევარი წლით შრომა-გასწო-რების ბანაკში გაგზავნიდნენ, ნახევარ ქონებას ჩამოართ-მევდნენ და ათი წლით აუკრძალავდნენ წიგნების ბეჭდვა-გამოცემას.

თუმც ეს ყოველივე კურიოზი მაშინ იქნებოდა, გერმა-ნელ მწერალს წინასწარ რომ ვერ გაეთვალისწინებინა მო-სალოდნელი შედეგი. არადა, იგი იბრძვის იმისათვის, რა-თა თანამგრძობელიდან მთავარ დამნაშავედ გამოჩნდეს და კიდევ იოლად აღწევს ამ მიზანს, რაკილა სათანადო საბუთებს უხვად წარუდგენს სამსჯავროს.

მაინც რა რჯიდა ჰანს იოსტს?

აუტკივარი თავი ძალით რატომ აიტკია?

მიუხედავად ცხოვრების იმ გზისა, რომელიც აირჩია, ეტყობა, ბუნებით პატიოსანი კაცი გახლდათ და უკან აღარ დაიხია გარდუვალი სასჯელის წინაშე, ოლონდაც რეალური სურათი არ დამახინჯებულყო თუ გაყალბებუ-ლიყო და ყოველივეს თავისი სახელი დარქმეოდა.

წამითაც არ ინანებდა არც ნახევარი ქონების დაკარგ-ვას და არც სამწლიანხევრიან პატიმრობას.

რაც დაიმსახურა, ის კიდევ უნდა ეზღვია.

სხვაგვარად გაუძნელდებოდა თვალი გაესწორებინა დანარჩენი თანამოკალმეებისათვის, რომელთაგან ზოგი მასავით თავგადაკლული ნაცისტი გახლდათ და ზოგიც თანამგზავრი. თუკი მათ მიმართ სამსჯავრო მიუკერძოებლობას იჩენდა, დაე იოსტსაც ნუ მოეპყრობოდნენ შემცდარი საზომებით.

ჰანს იოსტის მაგალითი ძალიან ნაადგებოდით ჩვენს მედროვე მწერლებს, ყოველ დროში ჯილდოებსა და თანამდებობებს ხარბად რომ იხ-



შენ ჰანს იოსტი და კურიოზული ეპიზოდი ეძახე...

ვეჭდნენ, მერე კი ძალიან უნდოდით იმ სიმწრით მონაპოვრის მიმალვ-მომალვა და საკუთარი ბიოგრაფიების გულმოდგინედ შელამაზება, თითქოს ათასგვარად გატოტვილი კვალი არ რჩებოდეთ უკან.

ნაცისტმა ჰანს იოსტმა ასე როგორ უნდა გაჯობოთ!..

კაცი კოლონიას არ შეუშინდა, ოღონდაც ლიტერატურის ისტორია ნარმომდგარიყო ისე, როგორც სინამდვილეში იყო.

* * *

ედიშერ ყიფიანის ხსოვნის საღამოა მწერალთა სასახლეში.

უძღვება გურამ დოჩანაშვილი, როგორც მწერალთა კავშირის პროზის სექციის ხელმძღვანელი.

სექციები უმთავრესად ფორმალურად არსებობდა. უმეტესობა მწერლებისა თავს იკლავდა, რათა როგორმე სექციათა ხელმძღვანელობა ეგდო ხელთ ანდა მათ ბიუროში მოხვედრილიყვნენ, მერე კი თითოც არ უნდა გაენძრიათ. ამ ყოველივეს თავისი მიზანი ჰქონდა, მიზნებში კი ლიტერატურული საღამოების გამართვა — ხსოვნისა თუ ახალი წიგნების წარდგინებისა — ვერ თავსდებოდა.

ერთი-ორი გამონაკლისი შემთხვევა თუ მოგვაგონდება, როდესაც სექციის ხელმძღვანელი ენერგიულად მოჰკიდებდა ხელს ამა თუ იმ ჟანრის გამოსაცოცხლებლად ზრუნვას და ლიტერატურულ საღამოებს ერთგულად თაოსნობდა.

ამ ერთი-ორ გამონაკლისში გურამ დოჩანაშვილიც დაგვიდგება თვალწინ — მუდმივი და მრავალფეროვანი შეკრებებით.

ედიშერ ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი თავყრილობაც ცოცხლად და სევდანარევი სიხალისით მიმდინარეობს — ნაადრევად წასული, ყველასათვის საყვარელი პიროვნება შთამბეჭდავად წარმოისახება მესხიერებაში ჩარჩენილი საგულისხმო ეპიზოდებისა თუ სურათების წყალობით.

შეკრების თავმჯდომარე ახალ ორატორს მოუხმობს ტრიბუნასთან:

— სიტყვა ეძლევა მწერალ ნოდარ დუმბაძეს.

ბატონი ნოდარი დიდი ხანი არ არის, რაც მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, რაც მისთვის სულერთი სულაც არ გახლდათ, თუმც ჩვეული იუმორი და სიხალისე არ დაუკარგავს და იმ ნუთებშიც, როდ-

საც ამ მანტიით შემოსილი პირველად წარუდგა მწერალთა ყრილობას და თითქოს ოდნავი დაბნეულობა ეტყობოდა, აქეთ-იქიდან გასამხნეველად რაღაცებს რომ შეუძახებდნენ, მაშინვე დაიმორჩილებდა თავს და დარბაზს გადმოსძახებდა: მაცალეთ მოღვაწეობაო!..

ახლა კი, ვიდრე ტრიბუნას მიუახლოვდებოდეს, ყველას გასაგონად ბურტყუნებს:

— თავს რისთვის ვიკლავდი თავკაცობისათვის, თუ ისევ მწერლად უნდა გამოვეცხადებინე...

გურამ დოჩანაშვილს შეეუხერხებულა, ტრიბუნას მოვლელი ნოდარ დუმბაძე კი ჯერ მას შემოსცინებს: იუმორი შენც თუ ვინმესგან გესწავლებო, — და მერე უეცრად მოსხებს სიცილს: „მარადისობის კანონის“ ფინალში ზოსიმე მღვდელი უფალს რომ ევედრება, ოღონდაც ბაჩანა რამიშვილს სიცოცხლე გაუხანგრძლივე და სანაცვლოდ მე შემიმცირე ამქვეყნიური არსებობაო, პირდაპირ მაქვს შეტანილი ედიშერ ყიფიანის ლოცვა უფლისადმი, ჩემს გადარჩენას რომ შესთხოვდა



მხატვარი ბექა ონიანი

და სანაცვლოდ კი თავისი სიცოცხლის წლების შემცირებაზე იყო თანახმა, ასე რომ, ისეთი განცდა მიჩნდება, თითქოს ედიშერის მიერ ნაჩუქარი სიცოცხლით ვცოცხლობდეთ.

და შემდეგ, როგორც მოთხრობებსა და რომანებში სჩვეოდა, ცრემლს სიცილით რომ შეანაცვლებდა და სიცილს ცრემლით, სიჭაბუკის სახალისო ეპიზოდებს მოადევნებდა, რათა კვლავ სევდა შემოეცურებინა...

ჩაამთავრებდა სიტყვას და, სკამისაკენ მიმავალი, ერთს კიდევ ჩაიბურტყუნებდა: არა, მაინც რისთვის ვიკლავდი თავსო... და მხარს ისე გაჰკრავდა ახალი გამოსვლელის გამოსაცხადებლად წამომართულ გურამს, აგრძნობინებდა: შენ თუ მართლა პირდაპირ გაიგებ ყველაფერს, რა გამოვაო!..

მაგრამ სულ სხვაა
სიყვარული უკანასკნელი

ყრმობიდანვე მოსდევდა მონიერული რიდი ქალისა. მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩებოდა გულგაბზარული და შეცბუნებული მისი მშვენიებით, მისი ადგილით ცხოვრებაში, სიბრალულით მისადმი და შიშით მის წინაშე. რელისტად მიაჩნდა თავი, ყოველივე მიწიერ ზედმინვნით ვიცნობო, ოღონდ არა იმიტომ, რომ დონ უჟანივით ხშირად და ბევრი დრო გამიტარებია ქალთან, არამედ იმიტომ, რომ უხსოვარი დროიდან ბეჯითად ვკრეფდი კენჭებს მიწიდან იმ გზაზე, სადაც ქალს უნდა გაეელო.

ასე გადმოგვცემს ბორის პასტერნაკი თავის ცხოვრებისეულ კრედოს ერთ კერძო ბარათში. არაერთხელ საჯაროდაც გამოუხატავს გულში აკიაფებული მოწინება და თავყანისცემა.

ერთხელაც ნატო ვაჩნაძე ყოფილა სტუმრად პერედელკინოში. პოეტს მოულოდნელად ასე მიუმართავს ქართული კინოს ვარსკვლავისათვის: „თქვენი მშვენიება იწვევს სურვილს, რომ დაგიჩოქოთ!“ ასე უთქვამს და მყისვე შეუსრულებია კიდევც მისთვის ესოდენ ბუნებრივი, გულიდან მოვარდნილი წადილი.

„მიუკარება, ვაზივით ნაზი, ახლა ხარ მწველზე მწველი ხანძარი, მოდი ჩაკეცავ შენს სილამაზეს ლექსის იდუმალ და ბნელ ტაძარში“, — პასტერნაკის პოეზიის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი დამონმებული სტროფის ადრესატი — მისი სახელიც, გვარიც, ბიოგრაფიაც, მისივე მოგონებანი და, რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ იგი გახლავთ უკანასკნელი სიყვარული პოეტისა.

1946 წელს პასტერნაკმა ჟურნალ „ნოვი მირის“ რედაქციაში გაიცნო და მწყებ ავტორთა განყოფილების გამგე ოლგა ივინსკაია. თქვენი პოეზიის ყველაზე მგზნებარე თავყანისცემელი არისო, უთხრეს პოეტს რედაქციაში. პასტერნაკმა პკითხა ივინსკაიას, ჩემი წიგნები თუ გაქვთო? გაუკვირდა, რომ „ყველაზე მგზნებარე თავყანისცემელს“ მისი მხოლოდ ერთი წიგნი მოეპოვებოდა. „ეგ არაფერი, უსათუოდ გიმოვით, თუმცა თითქმის ყველა უკვე გამიჩუქებია“. და მერე მოულოდნელად დასძინა: „იცით, რომანის წერა დავინწყე, მაგრამ ჯერ ვერცა ვხვდები, რა გამომივა“.

ორიოდე წუთის წინ გაცნობილ ქალს ანდობდა თავის სასუკვარ საიდუმლოს — სწორედ იმხანად იბადება „ექიმი ჟივავო“, ერთდროულად სიხარულსა და ვაებას რომ მოუტანს ავტორს (შესაბამისად: ნობელის პრემია და იძულებითი უარი ამ დიდ ჯილდოზე).

მეორე დღესვე ივინსკაიას სამუშაო მაგიდაზე იდო პასტერნაკის ლექსების ხუთი კრებული! რამდენიმე დღის შემდეგ პოეტი ტელეფონით ურეკავს რედაქციაში და პაემანს უწინავეს პუშკინის ძეგლთან!!!

პასტერნაკი ორმოცდათექვსმეტი წლისა იყო, ივინსკაია — ოცდაათოთხმეტისა.

უკანასკნელი სიყვარული პოეტისა იგონებს: „დაუსრულებლივ დავეხეტებოდით მოსკოვის ძველ ქუჩებში. თითქოს ციდან გადმოფრქვეული და თავს დატყბილი, აუტანელი ბედნიერება მენვია, რომელიც გადახლართულიყო მტანჯველ ახსნა-გან-



ოლგა ივინსკაია და ბორის პასტერნაკი

მარტებთან. განა გვქონდა უფლება ამ ბედნიერებისა? არაერთგზის უკან ვიხევდით, რომ აღარ შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ შეხვედრების აღკვეთაც აღარ შეგვეძლო“.

ათასჯერ უადგილოდ ნახმარი უძვირფასესი სიტყვაც აღარ მოსწონდათ. პოეტი ეძებდა იმის ეკვივალენტს, რაც ასე აღანთებდა მის გულს უკვე მოახლოებული სიბერის კარიბჭესთან: „ამბობ, გაცვდაო სიტყვა ტრფობაო, მე მოვიგონებ უფრო უკეთესს, მთელ სამყაროს და სიტყვებს მთლიანად შენთვის სახელებს გადავუკეთებ“.

1949 წლის 7 აგვისტოს პასტერნაკი სწერდა თავის მამიდაშვილსა და მუდმივ მესაიდუმლეს, ბიზანტინოლოგ ოლგა ფრეიდენბერგს: „ბოლო ხანებში ახალი, დიდი სიყვარული მომევიწინა, მაგრამ რადგანაც ჩემი ცხოვრება ზინასთან წამდელი ცხოვრებაა, ადრე თუ გვიან, უნდა გამენირა სიყვარული...“

განგება ჩაერია პოეტის გაორეულ პირად ცხოვრებაში.

1949 წლის 6 ოქტომბერს კომპეტენტურმა ორგანოებმა დააპატიმრეს ოლგა ივინსკაია.

დაკითხავდნენ: „რატომ აპირებდით გაქცევას საზღვარგარეთ პასტერნაკთან ერთად? ჩვენ სარწმუნო ინფორმაცია მივიღეთ ამის თაობაზე. გირჩევთ დაფიქრდეთ და გვიამბოთ, რანაირ რომანს უკითხავს თავის ნაცნობ-მეგობრებს პასტერნაკი. თქვენთვის ხომ ცნობილია ამ რომანის ანტისაბჭოთა შინაარსი? თქვენ უნდა დაგვინეროთ, რომ ეს რომანი წარმოადგენს ცილისწამებას საბჭოთა სინამდვილეზე“.

1949 წლის 15 ოქტომბერს პასტერნაკი სწერდა ნინო ტაბიძეს: „ჩემო ძვირფასო მეგობარო ნინო, იცით, რამხელა უბედურება დამატყდა თავს? შემიბრაღეთ... ცხოვრებამ სიტყვასიტყვით გაიმეორა ფაულტის უკანასკნელი სცენა „მარგარიტა დილეგში“. ჩემი საბრალო ოლგა გაჰყვა ჩვენი ძვირფასი ტიცინის კვალს“.

ლუბიანკის რომელიღაც სარდაფში ჩაგდებულ ოლგას, მორიგი დაკითხვის შედეგად, მუცელი მოსწყდა და პასტერნაკის უკანასკნელი სიყვარულის ფიზიკურმა ნაყოფმა ველარ იხილა დღის სინათლე. სამაგიეროდ, ის უკანასკნელი სიყვარული ცხადლივ აღიბეჭდა დიდებული შემოქმედის პროზასა თუ პოეზიაში.

1958 წლის 7 მაისს პასტერნაკი სწერდა რენატა შვეიცერს „ექიმი ჟივავოს“ მთავარი გმირის ლარას შესახებ: „ომისშემდგომ მეორე წელს გავიცანი ახალგაზრდა ქალი — ოლგა ივინსკაია... სწორედ ის არის ლარა ჩემი რომანისა, რომლის წერას სწორედ მაშინ ვინწყებდი“.

სახელგანთქმული „სანთელი ენთო მაგიდაზე, სანთელი ენთო...“ ოლგას სახებითაა შთაგონებული, ისევე როგორც სხვა არაერთი ლექსი პასტერნაკის ომისშემდგომი შემოქმედებიდან.

ალბათ ოლგა ივინსკაიას მიუძღვის გარკვეული წვლილი იმაში, რომ პასტერნაკის ბოლოდროინდელი ლექსები გამოირჩევა „გაუგონარი უბრალოებით“, რასაც კარგა ხანია ნატრობდა პოეტი და დაჟინებით მიისწრაფოდა ამ ურთულესი მიზნის მისაღწევად.

იპროდა მოსკალეს

თანამედროვე უკრაინის ეროვნულ გმირთა პანთეონში საპატიო ადგილი უჭირავს სტეფან ბანდერას, როგორც ყველაზე გამოჩენილ მებრძოლს საბჭოთა ხელისუფლებისა და მასთან გაიგივებულ „მოსკალთა“ წინააღმდეგ.

უკრაინაში ბანდერას სახელს არქმევენ ქუჩებსა და მოედნებს, მუზეუმებსა და რესტორნებს, ლამის ყოველ ქალაქსა თუ სოფელში უდგამენ ძეგლებს, ხოტბას ასხამენ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც და სოლიდურ სამეცნიერო გამოკვლევებშიც (ასე იყო გუშინ, ალაჰჰა უნყის, რა იქნება ხვალ. პოსტ-საბჭოთა სამყაროში ისტორია ხომ იწერება ხელისუფლების სათავეში მდგომ პირთა ხუმტურების მიხედვით).

1948 წელს ლონდონში დაარსებულ უკრაინულ ჟურნალში ბანდერა წერდა: „მთელი უკრაინული პოლიტიკის მთავარ მიზანსა და უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა ბოლშევიკური ოკუპაციის ლიკვიდაციისა და რუსეთის იმპერიის დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად დანაწევრების გზით. მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს მათი გაერთიანება ბლოკებსა თუ კავშირებში გეოპოლიტიკური, სამეურნეო, თავდაცვითი და კულტურული ინტერესების პრინციპით. კონცეფციები საბჭოთა კავშირის ევოლუციური გარდაქმნისა თუ მისი გადაქცევისა თავისუფალ სახელმწიფოთა კავშირად, რომლებიც იმავე შემადგენლობით გაერთიანდებიან რუსეთის უპირატესი ან ცენტრალური როლის საფუძველზე — ამგვარი კონცეფციები ეწინააღმდეგება უკრაინის განთავისუფლების იდეას და ისინი სამუდამოდ უნდა განიდევნოს უკრაინული პოლიტიკიდან“.

დახეთ, როგორ განჭვრიტა პოსტსაბჭოთა სამყაროს კოლიზიები...

ბანდერას 1948 წელს როდი დაუწყია ბრძოლა წყეულ „მოსკალბთან“.

უკვე სტუდენტობის წლებიდან იქმნება ლეგენდები ბანდერას შესახებ. თურმე სანოლის თავზე ჰკიდებდა ძეხვის რგოლს და მშიერი, რამდენიმე დღის განმავლობაში, არ ეკარებოდა, რათა ნებისყოფა გაეკაჟებინა. საკუთარი ხელით ირჭობდა ნემსს ფრჩხილებქვეშ, რათა ტკივილის ატანა ესწავლა.

მალე იგი სათავეში ჩაუდგა უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციას („ოუნ“), რომლის შტაბ-ბინა სუფევდა ბერლინში და ჰიტლერის აღზევების შემდეგ ექვემდებარებოდა გესტაპოს.

1934 წელს ბანდერას და მის თანამებრძოლებს პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრონისლავ პერაცკის მკვლე-

ლობისათვის, უშუალოდ ჰიტლერის დავალებით რომ განხორციელდა, მიუსაჯეს სიკვდილი, მაგრამ გერმანიის ზენოლის შედეგად შეუცვალეს უვადო პატიმრობით, საიდანაც 1939 წელს გაათავისუფლეს იმავე გერმანელებმა, როდესაც მოახდინეს პოლონეთის ოკუპაცია. ბანდერას იმედი ჩაესახა გულში, რომ ისინი წყეულ „მოსკალბსაც“ დაამარცხებდნენ და ტანჯულ უკრაინას ნანატრ თავისუფლებას მოუტანდნენ!

და აი, დადგა 1941 წლის ივნისიც. პირველ ხანებში საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე შემოჭრილ გერმანულ არმიას ყვავილებით ეგებებოდნენ, მაგრამ ილუზიები მალე გაქარწყლდა. ჰიტლერელთა ხელისუფლება საბჭოთა ხელისუფლებაზე არანაკლებ მძვინვარე და სასტიკი გამოდგა. გერმანელი ოკუპანტები ზიზლით უყურებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და, ძარცვას ვილა ჩივის, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხყოფდნენ და აკნინებდნენ.

ოკუპირებული უკრაინის გაულიტერი კოხი ბრძანებდა: „გერმანელთა პოზიცია უკრაინაში უნდა ითვალისწინებდეს იმ ფაქტს, რომ ჩვენ იქ საქმე გვაქვს ყოველმხრივ არასრულფასოვან ხალხთან. არავითარი სოციალური კონტაქტები უკრაინელებთან... ეს ხალხი უნდა მართო რკინის ხელით, რათა დაგვეხმარონ ამ ომის მოგებაში“.

ოუნელებმა 1941 წლის 30 ივნისს ლვოვში გამოაცხადეს უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ბანდერა და მისი თანამებრძოლნი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს და ზაქსენჰაუზენის კონცლაგერში უკრეს თავი. მაგრამ 1944 წელს რომ გაუჭირდათ, გაათავისუფლეს, ეგებ ნითელი არმია დაამარცხონ. ნითელ არმიას რას დაამარცხებდნენ და ვარშავის აჯანყების ჩახშობისას კი ძალიანაც გამოიჩინეს თავი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ბანდერამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა როგორც „მოსკალბს“, ასევე „მოსკალთა“ მომხრე უკრაინელებს. „ოუნის“ ხელმძღვანელობა კატეგორიულად აცხადებდა: „ყველა, ვინც მხარს უჭერს საბჭოთა კავშირს, უნდა გავანადგუროთ. კი არ უნდა დავაპინოთ, არამედ ფიზიკურად უნდა მოვსპოთ, ხოლო მათი ოჯახები უნდა ამოვწყვიტოთ მესამე თაობამდე. დაე, უკრაინის მოსახლეობიდან დარჩეს თუნდაც ნახევარი — ამაში არაფერია საშინელი“.

ომისშემდგომ წლებში წყეული „მოსკალები“, ბანდერას მოსაკლავად, მოსკოვიდან ზედიზედ გაზვინდნენ გამოწვრთნილ კაცისმკვლელებს, მაგრამ მხოლოდ 1959 წელს მიაღწიეს სანადგულს.

ქრონიკა

მიწის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სერგი ჭილაიას ქრონიკა-რომანის „ეკატერინე ჭავჭავაძის“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი თავის დროზე პოპულარული იყო და ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ მისი ხელმოწერედ დაბეჭდვა „არტანუჯმა“ ითავა. ახალი გამოცემის რედაქტორი არის რუსუდან ნიშნიანიძე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, მრავალი აუცილებელი და სასიამოვნო სიახლის ნამომწევი და განმხორციელებელი ჩვენი ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ლონისძიებს პროფესორი ამირან გომართელი უძღვებოდა. მას არც აღფრთოვანება დაუმაღავს და არც რედაქტორის ღვანლის დაფასება დავიწყებია ამ პროექტის ხორცშესხმისათვის.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ დაკონიურად ისაუბრა წიგნსა და მის ავტორზე: პერიოდი, რომელიც ბატონმა სერგიმ ამ წიგნში გააცოცხლა, ტიტანურ საუკუნეს წარმოადგენს და ერთ-ერთ საუკეთესო ხანადაა მიჩნეული ქართველი ერის ისტორიაში.

— სერგი ჭილაია გახლდათ სიკეთით სავსე კაცი. მან საუკეთესო და ჩინებული ნაშრომები დაგვიტოვა. მე მისგან ვსწავლობდი კაცთმოყვარეობას და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღესაც მისი წყალობით ვინარჩუნებ ამ გრძნობას, — ბრძანა ბატონმა ნოდარ ტაბიძემ.

სერგი ჭილაიას შემოქმედებაზე შთამბეჭდავად ისაუბრეს პოეტებმა: ლია სტურუამ და ემზარ კვიციანიშვილმა, წიგნის რედაქტორმა რედაქტორმა რუსუდან ნიშნიანიძემ.

სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა მწერლის შვილმა გურამ ჭილაიამ.

ლონისძიების მონაწილეებს საინტერესო სახილველიც აჩვენეს. მონიტორზე ტრიალებდა მწერლის საოჯახო ფოტოარქივიდან სურათები, რაც უკვე გახლავთ თავისებური მატრიანეც გასული საუკუნის ლიტერატურული და სამწერლო ცხოვრებისა. რამდენიმე ვიდეოჩანაწერიც გახმინდა, რომლებიც საზოგადოებრივი არხის არქივსა და მწერლის შთამომავლებშია შემონახული.